ლუარა სორდია

ვაჟა ეგრისელის კოსმიური პოეზიის — —„კოლხური ფსალმუნების“ ზოგიერთ პრობლემასთან მიახლოება

ლუარა სორდია

ვაჟა ეგრისელის კოსმიური პოეზიის – „კოლხური ფსალმუნების“ ზოგიერთ პრობლემასთან მიახლოება

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2025

რედაქტორი **ტიტე მოსია**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, ფაზისის საერო-სამეცნიერო
საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი,
გიორგი შერვაშიძის პრემიის ლაურეატი

© ლ. სორდია, 2025

გამომცემლობა **„უნივერსალი", 2025**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-521-22-5

სარჩევი

თავი I ესთეტიკის საკითხები 5
ნათელსმენის სასწაულები 5
ნათელხილვით გამორჩეული 21
სულის მზრდელი გალობა 37
ასტრალური მოგზაურობა 46
მოგზაურობის მარშრუტები 51
ცათა ცამდე ამაღლება 59
ძვირფასი თვლების სიმბოლიკა 69
ტიტანური ტომეულების სახელწოდების – „კოლხური ფსალმუნების“ შესახებ 76
ვაჟა ეგრისელის „ხმის ძლევამოსილი იმპერია” 87

თავი II. ქრისტიანული სახისმენტყველება 107
ვაჟა ეგრისელის პოეზიის ანი და ჰოე 107
მთვარით მოსილი მგოსნის პორფირი 173
ოქროს საწმისის პარადიგმა ვაჟა ეგრისელის პოეზიაში 187
სულის მკურნავი სიბრძნის ღვინო ვაჟა ეგრისელის პოეზიაში 202

თავი III. საქართველო – მსოფლიოს დიდი წიგნის თავფურცელი 252
სამშშობლოს – ლაზარეს მკვრდრეთით აღდგომის და გაბრწყინების იმედი 266

თავი IV. ფილოსოფიური ლირიკა 273
წუთისოფელი და მარადისობა 273
არყოფნის სევდა 279

ბედისწერის რჩეული 296
ვაჟა ეგრისელის „სიყვარულის იმპერია“ 300

თავი V. სახისმეტყველების საკითხები 333
ზღვის და ოკეანის პარადიგმა 333
აპოკალიფსური სახეები 341

თავი I
ესთეტიკის საკითხები

ნათელსმენის სასწაულები

მხატვრული სიტყვის რჩეულებს ჩვეულებრივი ადამიანებისგან გამოარჩევთ ნათელსმენის, ნათელხილვის უნარი, რითაც უცდომლად ესმით და ჭვრეტენ საუკუნეების წინანდელ მოვლენებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ნეტარი ავგუსტინემ მოისმინა არა მხოლოდ ანგელოზის, არამედ თვით „თავადის ხმა“ (აღსარება) (1,249-292).

„უფალმა გამიხსნა სასმენელი“, აცხადებდა ესაია წინასწარმეტყველი“ (2,50,4,5).

რუდოლფ შტაინერი ყურადღებას ამახვილებს „სულიერ სმენაზე, „სულიერ ყურზე“.

შტაინერს გააჩნდა თანდაყოლილი ნიჭი სულთა ხილვისა (თეოსიფია) (3,91).

გოეთეს ესმოდა „სხივის იდუმალი შრიალი, სერაფიმთა ფრთების შრიალი, ციური ბგერა, „ხმა იდუმალი“.

„უცხო ბგერამ ყურს ჩამაწვეთა ჩემი სიმღერა“, აცხადებდა გერმანელი გენიოსი (4,243), რომელსაც ესმოდა „სერაფიმთა ფრთების შრიალი“ (შერიგება) (4,242).

„ღმერთეებრივ სმენას ხმა არ სჭირდება შესაგრძნობად, რადგან გულის მოძრაობითაც შეუძლია შეცნობა იმისა, რასაც ვითხოვთ“, გვმოძღვრავს წმინდა ბასილ დიდი (5, 200).

გალაკტიონი წერდა: „ვისმენ მიდამოს თავგადასავალს, სიჩუმეში მყოფს, სიჩუმით ნათქვამს“ (ქარიშხლის შემდეგ) (6,567).

პოეტების მეფის ლირიკაში „ფიქრი სუნთქავს, ფიქრი უხმოდ კამათობს, ფიქრი არხევს ოცნების აკვანს, ფიქრი კისერს არხევს“.

ამ ასპექტით განსაკუთრებულად გამორჩეულია ვაჟა ეგრისელის პოეზია, რომელსაც ესმის ზესკნელ–ქვესკნელის, სამშობლოს, მთელი მსოფლიოს სხვათაგან გაუგონარი ხმები, ემცნობა როგორც ეროვნული შემოგარენის, ისე მსოფლიოს მოვლენები.

ლექსში „აღარ ყოფნის ნერეიდა“ ნათქვამია: „საიდანღაც წყვდიადიდან ხმა ვარსკვლავთა ისმის ისნის“ (7,772).

„ათასეულ წელთა იქიდან“ წვდება სმენას ხმები: „მე ვარ ენქიდუ, ის გილგამეში“ (7,739).

პოეტის სამყაროში „უფერო და უხორცო ცოცხლობენ ხმათა ჩონჩხები“ (ხმათა ჩონჩხები)(7,653).

წიწამურთან ერის მამის–ილია ჭავჭავაძის მისამართით გასროლილი ტყვიის ხმა ესმის (ხმა წიწამურთან) (7,668).

„ჩაესმის მიწის უხმო ძახილი ცას– ვარსკვლავების ქვებით მოხრეშილს“, წერს ერთგან (7,467).

ლექსში „ზღვის მიმქრალ სიმყუდროვეში“ „მწუხარე მთოვარის ხმა ისმის“ (7, 591)

ცად მიმსწრაფ სულს „სხვათაგან მარად უცნობი მოესმის ხმა და ძახილი“ (7,648).

„ნათელმსმენს და ნათელმხილველს“ გამოარჩევს „გულის ყური და სულის თვალები“ (8,49).

„შენიც ისე ხმიანებს, ვით დავითის ფსალმუნი“, ნათქვამია ლექსში „შენც შვილი ხარ ქრონოსის“ (8,63).

პოეტს ესმის „სინათლის ფრთების შრიალი (მთვარის თეთრი ფარდა ეშვება) (8,66).

„მიუწვდომელ თვალთ ანათელს“ მიჩერებული პოეტი „ზარს არისხებს, როგორც მნათე“ (ზარს ვარისხებ) (8,67).

„შორეული წარსულიდან, ვითარც ზღვიდან, ისე გესმის – კოლხთა ლოცვა და სიმღერა: შენ ხარ პოეზიის ზევსი და მზის ნათელს გინთებს ჰერა“, ნათქვამია ლექსში „შორეული წარსულიდან“.

პოეტს ესმის „ვარსკვლავების გალობა“ (3,74), „იდუმალი ძახილი ბნელი ნათელის სიელვარეში“ (ბნელი ნათელის სიელვარეში)(8,80).

ნათელი საღვთო სახელია, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის დაუნახავი.

„ცა მეძახის ცისიერს“, აცხადებს პოეტი, რომელსაც დაჰბედებია ზესკნელ – ქვესკნელ–შუასკნელის, სხვათაგან, ჩვეულებრივთაგან მოუსმენელი ხმის გაგონება (8,86).

პოეტური სიტყვის ყოვლისშემძლეობის გამომხატველია განაცხადი: „უკვდავების ტოტზეა შენი სიტყვა ნამყენი, მიტომ ზარებს არისხებ... მიტომ ყალყზე აყენებ– გრიგალებს და ქარიშხლებს“ (8, 110).

„ბნელი ნათელის სიელვარეში“ ნათელმსმენს ესმის „იდუმალი ძახილი“ (ბნელი ნათელის სიელვარეში) (8,115).

„ნათელი“ „ბნელია“ ჩვეულებრივთათვის, რჩეულთათვის კი ადვილად აღსაქმელი. „გალაკტიკიდან“ ესმის პოეტს „სულ სხვა მნათობთა იდუმალი ტკრციალი“ (8,156).

პოეტს მოსძახის „ოქროს ვერძები“ (გ. გ–ს) (8, 168).

ეძახის „მზის სასწაული“ (8, 167).

მზე საღვთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84,12)(2,614).

„ჩემი არყოფნის მწუხარე ხმაში, ანგელოზების გალობა მესმის“, გვამცნობს ლექსის ლირიკული გმირი (8,190).

ცის ხმა ამცნობს: „ის მთაა და მე ლოდი. მამავ ღვთისავ! ალბათ დიდხანს მელოდი“.

მთა მარიამ ღვთისმშობლის, (10,121) ლოდი – ქრისტეს სიმბოლოა (11,124).

„ცას მიკარგულ ვარსკვლავების რეკვა მაინც მესმის ციდან“, ნათქვამია ლექსში „სადღაც ბნელში“ (8, 243).

კლიმანჯაროს მთასთან ერნესტ ჰემინგუეის თოფის გრიალი ესმის (8, 238).

„ქვესკნელიდან ცერბერის ყეფა“ (...8,242), „ციცქნა ფოთლების ჩურჩული“ ეწვეთება სმენას (8,249).

სხვაგან „ლექსების ჩურჩულია“ (8,249).

„ხეები ყველაფერს უსმენენ – ფოთლების დაცქვეტილი ყურებით“, ნათქვამია ლექსში „ხეები“ (8,394).

პოეტს „ათასწლეულების იქით“ ესმის „ფლოქვების ხმა – ტროას ცხენის. ფარის რეკვა აქილევსის“ (ტროას ცხენი) (8,371).

ხმა– თითქოს ჩანჩქერია, ლექსის ლირიკული გმირი „მარადისობის ხარზე ამხედრებული ლაო–ძივით: „იდუმალი ხმის – გადმოსჩქეფს ჩანჩქერი“.

„ადექი, გეყო, ძმაო ძილი. აწ ვერაფერი შეგაჩერებს, მარადისობის ხარზე ამხედრებულს ლაო ძივით“ (ხმა იდუმალი) (8, 401).

გედის სახე პოეტს მოაზრებული აქვს განსხვავებულ ჭრილში: „რაც ოცდაათს გადავცდი, არ მასვენებს, მუდამ მესმის: საიდანღაც გედის მღერა. და მე ვიცი–ზღვა და ლექსი არის ჩემი ბედისწერა“ (გედის მღერა) (8,438).

ლაშარიდან და ლომისიდან ლოცვა ესმის, ალგეთიდან, მგლის ლეკვების წკავწკავი“ (ლაშარი და ლომისი) (8,453).

კოლხეთის ცაზე ორფეოსის ხმის გაგონება დაჰბედებია (საუკუნეა ოცდაცამეტი) (8,443).

„სიტყვის სასახლის“ ხმები ათასწლეულებს გასწვდება, ასეთი რწმენაა ლექსში „ვით კრიმანჭულად გურული“ (8,502).

ლექსში „სინათლის ტორებს სცემენ სივრცეებს“ – ასეთი გამამხნევებელი განაცხადია: „ციდან კივილი მესმის მთვარიდან: მიწად კი არა, საქართველოს ზეცად იქცევი“ (9,618).

„წარსულიდან“ „ვერძების ბღავილი“ ისმინება (გიხმობს კოლხეთი) (9,570).

„მაინც მესმის ხმა ადამის, წარღვნიდან და ბიბლიიდან“, ნათქვამია ლექსში „პოეტი და დიდი ბავშვი“ (9,399).

ლექსში „აურაცხელი ღამის სიზმრებით“ „სიყვარულის კლდეზე“ დაბმული პოეტი ლოცულობს და ეთაყვანება „ცას მარადიულს“ და „ცეცხლს ღვთაებრივს“ (9,59).

სიყვარული, „პირველი სიყვარული“ საღვთო სახელია: (იოანე მოციქულის გამოცხადება, 2,4)(10,193).

„ცა მარადიული“ ღვთისმშობლის პარადიგმაა (11,122).

„ცეცხლი ღვთაებრივი“ უზენაესის მეტაფორაა (10,124).

„მზის გულის ფეთქვა“ ისმის ლექსში „აღმოსავლეთით ცის ლურჯ ტატნობზე“ (9,625).

დიდი პოეტის „სახელის, ქუხილი“ ყველა პოლუსზე ისმის, „და ეფერება ჯერაც უხილავ უცნობ სფეროებს და გალაკტიკებს“ (აქ ისევ სდუმან) (9,690).

უზენაესის ხმის გაგონება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია: „ღვთის ხმა ესმოდათ ნიადაგ – გოეთესა და ეკერმანს“ (უღმერთონი) (9,770).

ლექსში „ცის მთებში დავეხეტები“, ნათქვამია: „ვარსკვლავთა ბუნაგებიდან – მესმის ფარ–ხმალთა ჟღრიალი და ხმები ლოდთა ხეთქების“ (9,815).

„ხმას ვცნობ მათეს სახარების და დავითის საგალობლის“, აცხადებს პოეტი. „პირამიდებიდან კვნესის ხმა“ ესმის (პირამიდები) (9, 877).

ლექსში „ისე აწყდება ნაპირს ტალღები“ – ისმის „წარსულის ზღვის ქარის ქროლა და სურნელი ძველკოლხური“ ოქროს ბაღების“ (9,904).

სხვაგან „ხმა ისმის ნოსელის“ (12,911).

მზის ჩასვლისას „დასალიერთან მოისმის არყოფნის საარი“ (მზე ჩადის) (12,923).

პოეტს არ ასვენებს „ხმა კოლხური აფრების“ (2,929), „წარმართთა ხმები“ (12,949).

„შორეულ „ცათა ბინადარს“ „სინათლის მლოცველ ვარსკვლავების ესმის ოსანა“ (აუყვა მაღლა) (8,533).

„ადამის ხმა“... გლოვობს და მისტირის დაკარგულ სამოთხეს“ (ლოცვად დგას მაცხოვრის წინაშე) (9,523).

წიწამურის და კრწანისის ტრაგედიის მიუხედავად, მომხდურმა ვერ იზეიმა, ბაზალეთის ტბიდან ისევ აკვნის რწევის ხმა ესმის პოეტს (აპოკალიფსი) (9,531).

ილორში პოეტს ცათა კარები ეხსნება, „უხილავის მოხილვის“ სიხარულს ეზიარება, „ზეარსებულის არსის“ განცხადებისას „ფრთე ნათლის“ ევლინება (ილორი) (9,596).

„ცის ძახილს“ „მიწიდან და სიმყუდროვიდან“ ამოჰყავს ადამიანი (3,59).

ლექსში „ღვთიური ჰიმნი“ პოეტს მოესმის „ფრთათა რხევა სერაფიმების და მნათობების ღვთიური ჰიმნი“ (ღვთიური ჰიმნი)(9,663).

მხოლოდ უფლის რჩეულს ხელეწიფება „ტანწერწეტა ლერწმის“ მიგნება, მისი „მარადუკვდავი ფესვის“ ხმის გაგონება (სხვა არაფერი მინდა)(9,669).

პოეტს ესმის „ლოცვად მდგარი ვერხვების ხმა“ (9,675).

ვერხვი სიცოცხლის ხის სიმბოლოა.

„ნაეკლესიარშიც“, სადაც „ზარს არასდროს არისხებს მნათე“, პოეტს „ზარის ხმა ყოველთვის ესმის“ (ნაეკლესიარი) (9,688).

„აქილევსში“ უკვდავების ძახილი ისმის (9, 697).

ვაჟა–ფშაველას პოეზიაში „ჩურჩულებენ ბუერები“ (9, 719).

ლექსი„ რამზესის ეტლი“ აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ მგოსანი სხვათაგან უხილავს ხედავს, სხვათაგან უსმენელს ისმენს „ათასწლეულთა მიღმიდან“: „საოცარია თვისება მგოსნის: მუდამ სხვათაგან უსმენელს ისმენს, მუდამ სხვებისთვის უხილავს ელტვის... და აი, ახლაც თითქოს დიღმიდან ათასწლეულთა ესმის მიღმიდან – ბორბლების ჩქამი რამზესის ეტლის“ (9, 725).

შორი წარსულის ხმების გაგონებაზეა საუბარი ლექსში „წიგნი „ოდისეა“ და „ილიადა“: „შოორს წარსულში ბორგავს ტროა, მაგრამ კარგად აქ კი მესმის კვნესა... ცრემლის დოქების სმა. ფარის რეკვა აქილევსის – ტროას ცხენის ფლოქვების ხმა“ (9, 738).

შორეული წინაპრის ხმა ავალებს პოეტს: „ქართული სიტყვა სტრიქონების ოქროს ყალიბში ჩამოასხი და წიგნში ჩადე ოქროს ზოდებად“ (ღრუბლები, როგორც მიკიოტები)(9,783).

ორეულის მოვლინება, მისი ხმის გაგონებაა ლექსში, „ორეული“: „...ვაჟა! – მომესმა სიჩუმიდან და ხმა გაკმინდა. არსად არავინ! მხოლოდ სახენაფერმკრთალევი, ორეული კვლავ მიმზერს სარკიდან“ (9,808).

„ზესკნელის გრგვინვა – გრიალია“ ლექსში „ზღვა გაბრაზდა“ (9,819).

„ფრთების ფათქუნი მესმის სივრცეთა – ცა ვარსკვლავებმა გადაიქროლეს ოქროს ეტლების ცივი ციაგით“, აცხადებს პოეტი (ფ, 16).

„შორეული წარსულიდან“ ამირანის კვნესა“ ისმის (ხილვა: მიჯაჭვული ამირანი) (9, 18).

ლექსში „დღითა და ღამით“ „სიყვარულის ისმის გალობა დარდით გაფოთლილ ღამის ჭალაში“ (9, 50).

„სამი თუ ოთხი ათასწლეულის იქიდან“ ესმის პოეტს „ნაცნობი ხმის“ ვედრება, „კოლხთა წარსულით მთვრალს და გალეშილს და ჟამს უსიერს რომ მოარღვევს, ვით ტყეს კედრების, ენქიდუა ან გილგამეში“ (ენქიდუა ან გილგამეში) (9,937).

ყურესთან პოეტს „ტყის სიმფონია“ ესმის (9, 567).

„შვილწართმეული კოლხი დედის კივილს და მოთქმას“ ისმენს პოეტი ლექსში „შემოდგომაა“ (9, 575).

„ყელამდე ომში გმინავს წარსული“, ნათქვამია სხვაგან (9, 580).

„ცის ყვავილებში“ საუბარია „მზის და სინათლის“ ძახილ-ზე (9,543) სხვაგან „ქარი... მოცარტი, ზღვის ვეება სანაპიროზე, თმაგაწეწილი უკრავს რექვიემს“ (სანაპიროზე შავით მოსილი) (9, 544).

მერვე საუკუნიდან პოეტს ესმის „ამაზრზენი – ცხენთა თქა-რუნი ...მონგოლთა“: რათა „ქართლი იქცეს გოლგოთად“ (VIII საუკუნე) (9, 332).

გამორჩეული ლირიკული შედევრების – „ჰორიზონტების“, „ნათელხილვის“, „ამაღლების“ ავტორს მაინც სიკვდილი უახ-ლოვდება და ესმის „მწუხარე ხმა დაფდაფების“ (ცერზე დავის-ვი) (3, 567).

ხილვა და სმენა ერთად ფიგურირებს ლექსში „ვუმზერ და“: „ვუმზერ და ...მესმის ლეგენდებიდან ფრთების ტლაშუნი იმ რუხ არწივის, ამირანს რომ ღვიძლს უკორტნიდა“ (9,444).

ლექსში „იქმენ ნათელი“ ნათქვამია: „და როს სინათლე წაცდა ალიონს, მაშინ შევძახე ზესთა მეუფეს: „იქმენ ნათელი“, რომ ჩემი მწუხრი ვაგანთიადო“ (9,445).

„ვარსკვლავების მესმის წივწივი“, ნათქვამია ლექსში „დი-ლა“ (9,249).

ვაჟა ეგრისელის წინაპართა პოეზიის ტრადიციებისგან გა-მორჩეული „ხმის ძლევამოსილი იმპერია მაშრიყიდან მაღრი-ბით“ მიიწევს“ (ძლევამოსილი იმპერია) (9, 254).

„ტყისმჭრელის ნაჯახის ხმა“ ვერ აშინებს „ნათლის“ მგა-ლობელს“ (9,256).

„მზეზე ყივიან ჩემი ლექსები“, აცხადებს პოეტი, მზე კი უფ-ლის სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“(ფს.84,12).

„წინაპართა ცრემლებია – ზღვები მღელვარე და ვარ-სკვლავები არის ლოცვები“, ნათქვამია ლექსში „მყინვარწვერი რომ ხელთ უპყრიათ“ (9, 282).

„ზღვის ძახილი და ტალღის ოხვრა მომესმის მუდამ დაღუ-პული მამულის ექოდ“, ნათქვამია ლექსში დიოსკურია“ (9, 171).

„მომავალი გრიგალების ძახილზეა“ საუბარი ლექსში „ეს მე ვარ ზღვაო“(9, 181).

ნოქალაქევში პოეტს ჩაესმის „ყივილი ციხისმცველების“ (ნოქალაქევი) (9, 138), სხვაგან – „ჩურჩული ცისიერი და მსასოოვარი“ (ცისიერი და მსასოოვარი) (9, 139).

„მწუხარების საუფლოში“ მანუგეშებელია „ხმა ქერუბიმთა“ (10,82).

„ხმა მესმის ზეზვას და ელიზბარის“, ნათქვამია ლექსში „ბახტრიონი“ (9,85).

ჩიტის გალობას ერთვის პოეტის „ფიქრთა ხის საგაზაფხულო ხმები“ (9,110).

„...თოფის ქუხილზე გაიელვებს შუბლი ილიას და „სამზღვარს“ იქით ტატოს მერნის ჭიხვინი მესმის“, ნათქვამია ლექსში „მთას რომ შევხედავ“ (9,112).

ლექსი „ვარსკვლავეთი“ აქცენტს აკეთებს პოეტის მთავარ ორიენტირებზე – ზესკნელზე, ზღვაზე, მთვარეზე, ვარსკვლავეთზე: „დაბადებიდან მიხმობს ზესკნელი, ზეცა ზღვაა და გზას მოვიკვლევ მთვარის საჭეთი. რეკენ სიშორის ცივი ზარები... ვარსკვლავეთი ბაჯაღლო არის ნაჭედი ბექა და ბეშქენ ოპიზარების“ (12,141).

„წარსულის სუნთქვა“ ისმის ვარძიიდან (12, 118).

პოეტს აღვიძებს „ქარიშხლის ტოტზე მიბმული ზღვის ცივი ჭიხვინი“ (12, 123).

„ჩემი სულიდან ამოხეთქავს ხმა შადრევნებად“, ნათქვამია ლექსში „გაშმაგდება და აღვირს აიწყვეტს“ (10,177).

პოეტი აყურადებს „იდუმალ ხმებს“ (12,60).

პოეტის ლექსებიდან მოისმის „მთათა გალობა, ზღვათა სევდა, მიწის გნიასი“ (ჰყივის სიცოცხლე) (12, 63).

წარსული სავსეა „ლოცვით და კვნესით“ (10, 64).

„ციხე–კოშკთა“ სათოფურიდან მოისმის ხმები „თქმულებების და ლეგენდების“ (ცეცხლის ალში გამომწყვდეულებს“) (10,71).

„სარზე ჩამოცმულ ბედაურის თავის „ქალიდან“ პოეტს „ცივი ჭიხვინი მოესმის არყოფნის“ (ბედაურის თავის ქალა) (10,74).

„ჭოტების კივილის“, „ფიქრების ჩქამის“ შემდეგ მოლოდინია „ცისკრის“ (ცისკარი მოვა) (10,75).

„შორეული წარსულიდან კვლავ მოისმის ხმა ვედრების“, ნათქვამია ლექსში „ციხე–გოჯის დგას კედლები“ (12,67).

„კოლხური ფსალმუნები“ „ზევსურ ხმას“ გამოსცემს (შენი ხმა) (12,68).

პოეტს მოესმის „გედის მღერა“ (დასავლეთით ენგური და) (12,60).

„შორეული წარსულიდან, ვითარც წინათ ახლაც მესმის ტკბილ–კოლხური საუბარი“,აცხადებს პოეტი (10, 264).

„სიცოცხლე მუდამ ტირილით მოდის... და დაამთავრებს, რითაც დაიწყო ჩვენი ცხოვრების უვერტიურა“, ნათქვამია სხვაგან (12, 283).

როცა „სამარეს ჭრიან, მიწა კვნესის“ (სასაფლაოსკენ) (10,287).

ლექსში – „ზეცისკენ მიაქვს ლოცვები“ – ვაჟა ეგრისელს ჩაესმის გალაკტიონის – „ლაკმე, სად ხარ ლაკმე“ (12, 139).

სხვაგან „მწვანე შრიალი მოისმის დიდ წარსულის ვრცეულ მინდორთა“ (12, 323).

ლექსში „თუმცა დაბერდა მთვარე“ „მთვარეს... ესმის ქუხილი ზევსის და ხმები ქრისტეს კვნესის“ (10,351).

„ათასი წელი გავიდა, რაც რომ შენი ხმა მოგვკივის: ... შენ პოეზიის გადევს ბორკილი და ნუ მოგასწროს ღმერთმა მის მსხვრევას“, ნათქვამია ლექსში „ათასი წელი გავიდა“ (12, 377).

ლექსში „ღამეს მთოვარე თევზის ფხასავით“ – „ვარ-სკვლავთა აღარ ისმის არია“ (12, 530).

„მხოლოდ შენ გახსოვს აიეტის ხმა უხსოვარი“, ნათქვამია ლექსში „ოცდაცამეტი საუკუნეა“ (12, 539).

პოეტს ჩაესმის „სიმწვანის ბღავილი ციცქნა კვირტიდან“ (12, 600).

სხვაგან ნათქვამია: „ფაზისის პირას ტალღის ჩურჩული, არგონავტების ამბავს მიყვება“ (12, 601).

ლექსში – „ვარსკვლავთა ოქროს ნისკარტი“ – ნათქვამია: „ძე იგი გელაციცება ნათელმხილველს და ნათელმსმენს“ (12, 200).

„სერაფიმთა, ქერუბიმთა ანგელოზის ხმა“ ისმის ლექსში „საწუთროს ხარ მძლეველი“ (12, 605).

სხვაგან „თეთრი ტკაცუნი ისმის აფრების“ (სადღაც) (12, 655).

„...და რაღა ქნას მგოსანმა, თუ ნიადაგ მოესმის – ხმა შიშის და ოსანა“, ნათქვამია ლექსში „თეთრი კავკასიონი ნავი არის ნოესი“ (12,655).

ლექსში „რეკავს ოქროს ზარი“ – „ცის უმაღლეს ტაძართან – რეკავს ოქროს მზის ზარი“ (12, 677).

სხვაგან აქცენტი კეთდება სხვათაგან მოუსმენელ კოსმიურ ხმაზე: „ანგელოზის ფრთიანი სული ცისკენ იურვის... გიხმობს ხმა კოსმიური, რომლის მსგავსი არავის, არასოდეს სმენია“ (გიხმობს ხმა კოსმიური) (9,685).

„დღე და ღამის მიღმიდან გესმის შორი ძახილი“, ნათქვა-მია ლექსში „გესმის შორი ძახილი“ (9, 686).

„ხილვა: ლაზარეს აღდგინება“ გვაუწყებს: „საიდანღაც ლა-ზარეს ჩუმი სუნთქვა იგრძენ და ჭვრეტ იგავ–მითებში – ადრე ტაბუდადებულ საიდუმლო სიბრძნეს“ (9, 749).

ქრისტეს ჯვარცმას რომ წარმოიდგენს, პოეტს ჩაესმის „ყაყანი ბრბოთა: „...ჰე, თუ ღმერთი ხარ, გადმოხე ჯვარით“ (გადმოხე ჯვარით) (9, 750).

სხვაგან „ისმის მნათთა ყრუ ყაყანი, ვით ღამეს ქრისტეს გაცემის“ (9, 751).

„ვითარც რერიხს მოგესმის ხმები უზენაესის და „კოლხურ ფსალუმუნებში“ იწერ „მინარხეულით“, ნათქვამია ლექსში „ხელთ გიპყრია სიცოცხლე“ (9, 806).

„ბევრჯერ ჩამოჰკრეს შურის ზარს, მაგრამ ვერავის ასმინეს“, აცხადებს პოეტი ლექსში „მზაკვართა ნაშიერებმა“ (9,833).

რუსთაველის ხმის გაგონება ავსულებს, ქარიშხლებს აფრთხობს: „რუსთაველის ხმა გესმის ისე, როგორც ნობელის და შიშის ზარს არისხებ – ავსულების მობერილ ქარებსა და ქარიშხლებს (9,867).

„ნაკადული სინათლის, ვით მდინარე მოდიდდა, ...რომ გესმოდა ოდიდან ხმები ცათა საყვირის“ – ნათქვამია სხვაგან (9, 870).

„ეშმას“ საპირისპიროდ, ...მაინც ხმები ისმის ქნარის, მამის, ძის და სულიწმინდის“ (9, 841).

„წუხს ნათელი ორგვარი – ამ სოფლის და იმ სოფლის“, ნათქვამია ლექსში „ცათა სასუფეველში“ (9,871).

პოეტის ბედნიერებაა ბიბლიური წინასწარმეტყველებივით „ანგელოზის და ღვთის ძახილის“ მოსმენა (10, 848).

„ამქვეყნიურ ქაოსში“ პოეტს მუდმივად ჩაესმოდა „ჩუმი, უხმო ძახილი, ცის და მიწის სიღრმიდან“ (12, 879).

„დიდი წინაპრების სულის“ მაძიებელი პოეტი წერს: „და მე ვისმენ ქერუბიმთა, სერაფიმთა ფრთების ფათქუნს, რომლებიც ბნელს მილამპრებენ“ (ვარსკვლავებში ვეძებ) (12,900).

ლექსში „იერემია წინასწარმეტყველის გოდება“ – ნათქვამია: „ბიბლიიდან მოისმის, როგორც ცეცხლის მოდება, ნეტარ

იერემიას – ცრემლნარევი გოდება: ჩემთვის უბედურების ბევრი ბადე მოქსოვა, დამღეჭა და შემჭამა ბაბილონის ხელმწიფემ ნაბუქოდონოსორმა“ (12, 901).

პოეტის სულის საგზალია ბიბლია, „საიდანაც მოისმის... ანგელოზთა გალობა, ლოცვა წმინდა მამების და მე სულს მიამებენ“ (9, 911).

ერთგან ნათქვამია: „წარსულიდან ხმა ისმის დე გრიეს და მანონის: „სიყვარულშიც მეუფებს თურმე მგლური კანონი“ (12, 917).

ლექსში „წყვდიადს ათასწლეულთა“... ხმა ისმის იოანე მინჩხის და პროკლე დიადოხოსის“ (12, 921).

„გეძახოდა ხმა უხმო, რაც სამყაროს აოცებს. შენ კი, ძმაო, გეძინა, არ გახსოვდა ლაო–ძი და არც „დაო დე ძინი“, ნათქვამია ლექსში „გეძახოდა ხმა უხმო“ (12, 922).

პოეტს ესმის „ვარსკვლავების მუდარა“, „სიშორის ზარების რეკვა“, „ქარის დისკანტი“ (12,926,928).

„ცად დარეკილი კოლხური ზარი“ საფლავიდან მტრის ამომთხრელია (12, 9333).

ლექსში „მზე და ქარი“ „აღსავლიდან ზარს რომ რეკავს... მზე ბაჯაღლო ცის ზარია, ქვესკნელიდან ამოსული ქარი ... ზღვათა სიზმარია“ (12,932).

„ყოვლისშემძლე კოლხური ზარი“ „ჯოჯო ხმებს“ უპირისპირდება (12, 933).

პოეტს „ეფუთსა და ბიბლიაში ესმის ხმები ძველკოლხური“ (ხობის პირას) (12, 109).

„შორეული ოცნება ცისკენ ისე იურვის, ვითარც სული ბორცვების და ხმა უვერტიურის“, ნათქვამია ლექსში „ღამეს გამოქცეული“ (12,110).

პოეტს ესმის „ცის გულისცემა და ვარსკვლავთა ოვაციები“ (სიძულვილით სნეულებმა) (12,1103).

„ვიღაც უკრავდა ვარსკვლავების სიმებიან ოქროს ებანს“, ნათქვამია ლექსში „მთვარის მოხრილ შავ პალოზე“ (9, 1104).

„სერაფიმთა ფრთების შრიალი“ ისმის ლექსში „არც წყურია და არც შია“ (9, 108).

„ზღვა არის თასი გრაალის და ზღვის მუსიკა სხვა არის, ქარის სიმებზე დაკრული“, ნათქვამია ლექსში „ვარსკვლავნი შემოსხდომოდნენ“ (9, 1083).

„პოეზიის ტყავში გასულს, ცა გიძახის–გიფარავო“, ნათქვამია ერთგან (9, 1085).

პოეტს მფარველობენ პარნასის თუ სინას მთის ანგელოზები, მთვარიდან კი ხმა მოესმის „სიმართლის“ (9,1083), ასევე, „შორეული მზის“ არია (9,1057).

ერთგან ნათქვამია: „კოლხეთშიც ხმა ისმის ქეიბურთა, უცხო რამ, აპოკალიფსური“ (9, 1065).

ზოგიერთ მელექსეთა წიგნებში ვაჟა ეგრისელს მოესმის „შეცხადება ტურების“, მის ლექსებში კი „ბრდღვინავენ ლომები და ჯიქები“ (მელექსენი) (12,1010).

პოეტი აცხადებს: „ხმას ვისმენ შორეულს, ცივსა და საზარელს, რომელიც მაგონებს ქრისტეს და ლაზარეს“ (12,1014).

ერთგან მომავლის იმედი ასე გამოიხატება: „მალე აშრიალდება ჩემი ხე – საქსაულის ცის და მიწის ფიქრებად“ (12,951).

პოეტს ახარებს არა „ტურის კივილი“, არამედ „მზიანი სულის ხმების“ მოსმენა (12, 1121), ასევე „ხმა ბიბლიურ მექნარეთა“ (12,1151).

საწუთროში ისმის „გლოვის ხმა“ (12, 1144).

ლექსში „მგზავრობა წარსულში“ ნათქვამია: „და...მოისმის მთვარეზე კოლხი ორფეოსის ხმა“ (12, 1145).

პოეტს ბიბლიიდან ესმოდა „ბრძენ ესაიას მოთქმა და გოდება იერემიას“ (ალბათ იტყვიან ოდესმე) (12, 1165).

ათასწლეულის იქიდან აყურადებდა „ვერცხლის ჩხრიალის ხმას“ (12, 1174).

სიონის მთაზე კრავს (ქრისტეს პარადიგმაა) ჭვრეტს პოეტი, „ვარსკვლავები ქნარს უკრავენ, ვისმენ ჰანგებს მექნარეთა“, ნათქვამია ლექსში, „გამოცხადება“ (12, 1176).

პოეტს ასდევნებია არყოფნის რაშის ჭიხვიანი, მხეცი, ის კი „ჰელიოსის თასით“ წინაპრის სიბრძნის ღვინოს ეწაფება (7,118).

ისმის ხმა პარნასიდან: აქ ერთი თუ ამოვა, მილიონ ათასიდან“ (ხმა)(8,1196).

პოეტს გათავისებული ჰქონდა გოეთეს და ეკერმანის საუბარი (გოეთეს და ეკერმანს) (9, 1266).

„კოლხური ფსალმუნებით“ დაუბრუნდებათ ყრუებს სმენა და ბრმებს კი თვალები აეხილებათ“, აცხადებს პოეტი („კოლხური ფსალმუნების“ ხუთტომეული (9,1279).

„გესმათ ჩემი ხმა ფოლადის“, მოგვიწოდებს პოეტი (12, 1994).

„წარსულიდან მესმის ხმები – ძველკოლხური დეა, დია“, რომელშიც „დეა, დია“ – ნაყოფიერების ძველი ეგვიპტური ღვთაება იგულისხმება (დეა, დია)(12,1346).

„ხსოვნა ხმალს ჰგავს ალესილს და კოლხური ხმა მესმის – ატლანტიკის ფსკერიდან“, გვარწმუნებს ნათელმსმენი პოეტი ლექსში „მთვარე წყალში ჩასულა“ (12, 1350).

„და...მთელი ღამე ვისმენ ვარსკვლავთა – ოქროს საათების წიკწიკს“, ნათქვამია ლექსში „რა ახლო იყო ადრე“ (7,1387).

სხვაგან საუბარია „ციდან ვარსკვლავთა მესას“ მოსმენაზე (ხილვა ჰუსენი)(12, 1387).

ერთგან „...გმირთა ხმა ჩაესმით: ნასაყდრალებს, ნაციხარებს“ (არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა“) (12, 1294).

„სხვაა იქაური ცა“, ირწმუნება „ცათა ცის“ მხილველი პოეტი (იქაური ცა) (12, 1364).

სხვაგან მზის, „ამირანის ხმა“ ესმის, „მეხთატეხის ხმები“ აძრწუნებს (9, 1314).

მართებული განაცხადია: „და... მილიონში შენი ხმა იცნობა... სხვისას არა ჰგავს“ (შენი ხმა) (9, 1319).

ლექსში „ტრანსცენდენტური“ ნათქვამია: „...მზე და მთვარე, ვით ნიშა და ნიკორა, ჟამთა ურემს – შენმა ხმებმა შეუბეს. ქართული სიტყვის შენ ხარ იმპერატორი, სულიწმინდა... და ცხრავე ცის მეუფე“ (9, 1408).

დამოწმებანი

1. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, თბ. 1995
2. ბიბლია, თბ. 2013
3. რუდოლფ შტაინერი, თეოსოფია, თარგმნეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ 1970წ. რედაქტირებულია 1995წ.
4. იოჰან ვოლფგანგ გოეთე, ლექსები, თარგმანი ხარიტონ ვარდოშვილის, „საბჭოთა მწერალი, თბ. 1952
5. ბასილ დიდი, ფსალმუნთა განმარტებანი. ჰომილიები ექვსი დღისათვის. ძველი ბერძნულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო გვანცა კოპლატაძემ, თბ. 2002
6. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
7. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“ ხუთ ტომად, ტ. 5, თბ. 2003
8. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“ ხუთ ტომად, ტ. 4 თბ. 2017
9. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“, ტ. 2, თბ. 2016
10. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995
11. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996
12. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები, ტ. 1, თბ. 2001

ნათელხილვით გამორჩეული

დიდი შემოქმედების უპირველესი კრიტერიუმებია რელიგიურობა, ობიექტურობა, სიმართლის ერთგულება, დინების წინააღმდეგ სვლა, წარსულის, აწმყოს, მომავლის მოვლენების უცდომელი განჭვრეტა, მომავლის წინასწარმეტყველური ხილვა.

ნიჭის, სიბრძნის, წინასწარჭვრეტის უნარის მომმადლებულია სულიწმინდა (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12-4-11)(1,375).

არსებობს აზრი, რომ დედამიწა და სხვა პლანეტები გარშემორტყმულია საინფორმაციო ველით, რომელშიც კოდივით ჩადებულია სრული ცნობარი სამყაროს და ცოცხალ არსებათა შესახებ. ვარაუდობენ, რომ ეს ველი შეიძლება წარმოადგენდეს დედამიწის პროგრამასაც. ადამიანი, რომელიც შექმნილია სახედ და ხატად ღვთისა, უმაღლესი კოსმიური გონების მატარებელია, მას ხელეწიფება პლანეტის საინფორმაციო ველზე გასვლა და ჩვეულებრივი თვალისა და სმენისთვის უხილავ–მოუსმენელთან ზიარება.

ზეგანვითარებულ ადამიანებს ხშირად ეხსნებათ კოსმიური კავშირის არხი, ენერგეტიკული ველი და ერთდროულად ამყარებენ კონტაქტს მიწიერ და ზენარულ სფეროებთან, დედამიწის იონოსფეროსთან.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის სიტყვაიერი ხელოვნება.

საინფორმაციო ველში შეღწევას აღმოსავლურ სამყაროში „აკაშა ქრონიკას“ კითხვა ეწოდება.

სამყაროს რაციონალურ და ინტუიციურ შემეცნებაზე ამახვილებენ ყურადღებას შტაინერი, იუნგი, ფროიდი, ლომბროზო, სტეფან ცვაიგი, ღვთისმეტყველები, ბიბლიური წინასწარმეტყველები.

შტაინერი წერს: „მომავალში ჩახედვა შეიძლება. მხოლოდ დიად ხელდასხმულს შეუძლია მომავლის ცოდნასთან შეგუება. იგი მომავლის ინტერესებიდან მოქმედებს“ (1, 125).

„ადამიანი თავიდან ნათელხილვის საფეხურს გადის და მხოლოდ შემდგომ ადის სულიერი სმენის საფეხურამდე.

„დასავლეთის ეზოტერულ-ქრისტიანული ტრადიცია თვალშეუდგამი სიმაღლიდან ჭვრეტს შორეულ მომავალს.

ნეტარი ავგუსტინემ გაიგონა თვით „თავადის“ – ქრისტეს ხმა (1,94).

წმინდა ისაკ ასური წერდა: „ვჭვრეტ ღვთაებრივი ნათლის მშვენიერებას და ვხარობ მისით“ (სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, 3,236).

„ზნეკეთილთ უხილავთ ნათელი ხორციელი თვალებით, კეთილსურნელება შეუყნოსავთ, ხმები სმენიათ საკუთარი ყურებით“ (იქვე, გვ. 357). მაგრამ „ვისაც სიმდაბლე არ გააჩნია, ვერასოდეს მოიპოვებს სულიერ ხედვას. ცხოველი სარწმუნოების მეშვეობით სულიერი თვალი ღმერთს ხედავს“ (იქვე, 435).

„საკუთარ ჯვარზე გაკრული, შემმეცნებელი ამაღლებული სიბრძნის, გონებითა და გულით ზეცად აღიტყორცნება და ჭვრეტს სულის საიდუმლოებებს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“ (იქვე გვ.441).

წმინდა ნილოს სინელი გვირჩევს: „მთელი ძალისხმევით მოსწყვიტე თვალი ამქვეყნიურს, რამეთუ მისგან აღმომავალი მავნე კვალი აღამღვრევს სულს“ (იქვე, გვ. 110).

„ზნეკეთილთ უხილავთ ნათელი ხორციელი თვალებით, კეთილსურნელება შეუყნოსავთ, ხმები სმენიათ საკუთარი ყურებით“ (სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი, „სამგვარი ლოცვის შესახებ“ (იქვე, 357).

„თუკი ყოველთვის საღმრთო აზრებით იქნები დაკავებული, მაშინ ჭეშმარიტად იხილავ შენს სულში ქრისტეს ნათელს, დაუღიამებელს“ (წმინდა ისაკ ასური) (იქვე, 240).

განდობილისთვის, ადეპტისთვის მთავარია „თვალის დოქ-რინა“ და „გულის დოქტრინა“.

„როგორც სინამდვილეს, ისე ვჭვრეტ სულიერ სამყაროს“, ირწმუნება რუდოლფ შტაინერი („შუა საუკუნეების მისტერია-თა ცენტრები“, მთარგმნელი ა. კვარაცხელია, თბ. 2014, გვ 179).

შტაინერს გააჩნდა თანდაყოლილი ნიჭი სულთა ხედვისა“ (ჩემი ცხოვრების გზა).

ღვთისმეტყველები განასხვავებენ „ხორციელი თვალით ყურებას“ და „სულიერი თვალით“ – გონებით და გულით აღ-ქმას: „ცხოველი სარწმუნეოებას მეშვეობით სულიერი თვალი ღმერთს ხედავს. ამისთვის ხორცი, გონება, გული სულის გამ-გებლობაში უნდა შევიყვანოთ (წმ. ეპისკოპოსი ეგნატე ბრიან-ჩანოვი (სიტყვა მართლისა სარწმუნოების (III, გვ. 392,435,270).

ოკულტისტები ამტკიცებენ, რომ ადამიანს აქვს უნარი, იგრძნოს ფიზიკური გრძნობისთვის მიუწვდომელი, რადგან ყველა ფიზიკურ გრძნობას აქვს შესატყვისი ასტრალურში.

„საგნები ყოველმხრივ უშვებენ ტალღებს, რომელიც აღიბ-ეჭდება ასტრალური ხედვით, როგორც სინათლის სხივები ფი-ზიკური ხედვის ორგანოებით.

შეიძლება ასტრალური სინათლის დანახვა მაგარი საგნე-ბიდან, ხედვა კედლის იქით, გვერდითა ოთახში, შეიძლება და-წებებული წერილის წაკითხვა, მიწის ქვეშ მინერალების შემ-ჩნევა, ადამიანის შინაგანი ორგანოების დანახვა, ადამიანის აურას ფერის გარჩევა, სხვათა აზრების წაკითხვა, სულების და ასტრალური ფორმების დანახვა, გაგონება იქიდან, საიდანაც, ჩვეულებრივ არ ისმის ხმები.

სივრცეში ნათელმხილველობის უნარით გამორჩეული ად-ამიანები ფლობენ მათგან შორს მყოფი საგნების მოახლოებ-ის, მათი ხედვის ველში მოქცევის უნარს.

შორს ხედვისათვის საჭიროა ტელესკოპი. ასტრალურ ორგანოს აქვს ისეთი უნარი, რომელიც მოქმედებს როგორც ტელესკოპის ლინზა და ადიდებს გამოსახულებას. ზოგს შეუძლია დაინახოს რამდენიმე მილიდან, სხვებს – ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, ზოგიერთებს შეუძლიათ დააკვირდნენ სხვა პლანეტების ამბებს.

„ასტრალური ტელესკოპი“ ამცირებს მანძილს ორ დაშორებულ პუნქტს შორის.

მეორე საშუალება ნათელმხილველობისა არის ის, რომ გაიგზავნოს ასტრალური სხეული ცნობიერად თუ არაცნობიერად სურვილის მიხედვით. ნათელმხილველობა ასტრალური სხეულით არის უმაღლესი ფორმა ნათელმხილველობის.

ვანგას თითქოს უნახავს ქრისტე, ორფეოსი, ნოეს კიდობანი, ესმოდა ხმები, მისთვის საიდუმლოებას ინახავდა მთები, ველები, მცენარეები, იგი წინასწარმეტყველებდა ქვეყანაზე ჯერაც მოუვლენელ ბავშვებზე, ესაუბრებოდა გარდაცვლილებს, ხედავდა ასტრალურ სხეულს, სულს, უცხოპლანეტებს (2, 8).

ნოსტრადამუსი საყოველთაოდ ცნობილია, როგორც სამყაროს ყველა დროის ერთ–ერთი უდიდესი ასტროლოგი და წინასწარმეტყველი.

მოვლენათა წინასწარჭვრეტაზე საუბარია დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში: „მე ვჭვრეტ წინასწარ, ამიტომაც გაუწყებ კიდეც“ (3,270, 383).

დანტე ხედავდა „ფიქრების უეცარის აღმოცენებას“, ხედავდა „დროს მომავალს“ (4,318,344). მოსიყვარულე წინაპრის სულმა დანტეს უწინასწარმეტყველა ფლორენციიდან გაძევება.

დანტეს ბეატრიჩეს „ბრწყინვალე თვალთახედვა“ ყველაფერს ჭვრეტდა და მომავლის გზის მაუწყებელი იყო (3,41).

გალაკტიონ ტაბიძის წინასწარმეტყველურ ინტუაციას ხაზს უსვამდა მერაბ კოსტავა: „სხვისთვის უხილავს ჭვრეტდი ეთერში, ინტუიციით, განწონით მიზნის, წინათგამჭვრეტი და წინათმგრძნობი პოეტის გული გულია მისნის“ (გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, ქუთაისი, 1996, (4,5).

გოეთე ამბობდა: „ფრთამალი ფიქრიც ჩემი ლაღი, შორსმჭვრეტი აზრი, როგორც მომავალს, ისე წარსულს ნათლად ხედავდა“. პოეტი სიზმრად ხედავდა მხარეს, სადაც ოდესღაც უცხოვრია (შუაღამისას) (5,41,45).

რილკე ლაპარაკობდა „წინასწარმეტყველურ წამებზე“, ბლოკი „წინაგრძნობათა ნიაღვარზე“.

მეოცე საუკუნის უდიდესი მოძღვრება – „ცოცხალი ეთიკა“, ანუ „სინათლის მოძღვრება“ („აგნი იოგა“) გამოყოფს ნათელმხილველობისა და ნათელმსმენის შვიდ სახეობას. ზოგი ეხება ახლობლებს და მათ მომავალს, ზოგი – წარსულს, ბევრი – თანამედროვეობას. მეექვსე სახეობა წვდება მომავალს მსოფლიო მასშტაბით. ნათელმხილველობის უმაღლესი საფეხურია მეშვიდე, რომელიც თავის თავში აერთიანებს ყველა კატეგორიის შესაძლებლობებს (6, 94).

მეოცე საუკუნის დასაწყისში ელენე რერიხმა ჰიმალაის მთებში უმაღლესი სამყაროს მბრძანებლის, კაცობრიობის დიდი მასწავლებლის მაიტრეას კარნახით ჩაწერა მოძღვრება, რომლის მიხედვითაც, ჰიმალაის, კავკასიონისა და ალტაის მთები არიან დაცული ტერიტორიები და წარმოადგენენ „ზეციურ საძმოთა სავანეს“.

გალაკტიონს ესმოდა „მთათა ძმობა“, ჭვრეტდა ზეციურ საძმოს სავანეს, ეზმანებოდა „ჰიმალაის მწვერვალთა გზები“. წმინდა სულების სავანე– შამბალა.

პოეტების მეფე ერთდროულად იყო მომადლებული ნათელხილვისა და ნათელსმენის უნარით, ხედავდა წარსულს,

აწმყოს, მომავლის მოვლენებს, მედიუმების მსგავსად მოგზაურობდა ასტრალური სხეულით.

პოეტი ხედავდა პირველყოფილი ქაოსიდან სამყაროს შექმნას, თავდაპირველი მასებიდან სახეების გამოძერწვას, სიბნელისა და სინათლის გათიშვას, ესმოდა დედამიწის გაჩენისდროინდელი ხმები (მშვიდობის წიგნი) (7).

გალაკტიონი არის „მომავლის ღრმა სიბრძნის თვალნახელი“, „უფსკრულში შთამჭვრეტი მზერით, წინათმგრძნობი მოვლენების“.

პოეტს გამოარჩევს „ათასის მხედველობა“, „სმენა ასი ათასის“, (ათასის მხედველობა, ათასის იერი).

ინტელექტუალურ და გრძნობისეულ ინტუიციას, წვდომას, მიხვედრას, უეცარ ხილვას გალაკტიონი „განათების წამს“, „ხილვის ტაროსს“ უწოდებდა.

პოეტმა იწინასწარმეტყველა ჩვენი ქვეყნის მიბრუნება რწმენისკენ, მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვება, საკუთარი პოეტური მომავალი.

„სივრცეთა უნაზესი გრადაციების“ მხილველი პოეტი წინასწარ ხედავდა თავისი პოეზიის განახლებას, გენიალურ სახეებს, თითქოს ჯადოსნური ბალახის – მოლის შემწეობით ახერხებდა სულიერ ინიციაციას: „ლანდივით მაქვს ნახული ბეჭდის თვალში მოლები, მოტეხილი ზაფხული და ოხვრის პაროლები“ (დომინო) (8,101).

„ოდისეაში“ ქვესკნელად შთასვლისთვის იყენებენ ჯადოსნურ ბალახს მოლს, რომელსაც ოდისევსს აძლევს კირკე, კოლხეთის მეფის ასული. „ვეფხისტყაოსანში“ ფატმანის გრძნეული მონა მოლს წამოისხამს და მიდის ქაჯებში. მოლი ისეთი ბალახია, რომელიც ეხმარება ადამიანს ინიციაციაში, თვით სიტყვა „მოლი“, როგორც ჩანს, უძველესი ქართული სიტყვაა, მისი გამოყენება კოლხეთის მეფის ასულის მიერ უნდა მიუთ-

ითებდეს ანტიკური ინიციაციის ინსტიტუტის კოლხურ წარმოშობაზე, რასაც აღნიშნავს ო. ნეერახერიც“ (9,216).

ვაჟა ეგრისელს გამოარჩევს ნათელსმენის და ნათელხილვის უნარი.

პოეტი აცხადებს: „...ჰანგთა მეფე ორფეო ვარ, დღისით მზეს ვჭვრეტ, ღამით – მთვარეს, ვით საწუთროს ორფეროვანს“ (10,1018).

პოეტის ფიქრი სცილდება მოკვდავთათის დაწესებულ ზღვარს და მისი ხედვა და სმენა „პლანეტის იქით“ აღწევს (10,932).

პოეტს უხილავს როგორც „სიცოცხლის დიდი დღესასწაული“, ისე „არყოფნის“ სავანე: „ასე ყოფილა, ვინაც იხილა სიცოცხლის დიდი დღესასწაული, უკმაყოფილო და კმაყოფილი, არყოფნის კარებს გვერდს ვერ აუვლის“ (10, 959).

ვაჟა ეგრისელის პოეზია გვიწვევს „უხილავის მოხილვად“, „უსმენელის მოსასმენად“ (10, 927).

ლექსში – „კარს ვუღებ სამ ათასწლეულს“ – ნათქვამია: „...ვჭვრეტ მედეას ბროლის კისერს, მოღრეცილს კვლავ კოლხეთისკენ“(10,578).

ხშირად პოეტის ხილვას ეროვნული სატკივარი აემგზავრება: „ცეცხლისა და ცრემლის მთესველთ, ჩვენს „ამამთხრელს, ამამბარავს“ ხანუმებს და ომარ ფაშებს, ისევ ვუჭვრეტ წარსულიდან, ქართლში ურცხვად მოფარფაშეთ“ (10,971).

სიკვდილის ხილვაა შემდეგ სტრიქონებში: „სიკვდილი შემოსილი შავად ლოდზე შავად ზის, თვალები აქვს ზღაპრის“ (10,964).

ლექსში „სერაფიტა“ ნათქვამია: „...მცხეთასთან – მტკვრის სარკეში ვით გიხილე სერაფიტა!“ (10,740).

ასევე ხედავს პოეტი სხვისთვის შეუმჩნეველ სიკვდილის აჩრდილს: „...არ უთესია არყოფნას, მაგრამ ყოფნის ყანაში

მოსავალს იმკის. და ამ მილეთში არავინ ხედავს, აქვე ჩვენს გვერდით ატუზულ სიკვდილს“ (კანკალებს ქარი) (10,442).

სმენა და ხედვა ერთდროულად ამზეურებს თამარ მეფის ეპოქის დროის მოვლენას: „ბედუკუღმართ ჟამთა სუნთქვას, ისტორია ვეღარ მალავს, ვისმენ ომებს გარდასულთა და ერ-ზინკის ვხედავ სულთანს, თამარ მეფის გაყიდულს ერთ ცხენის ნალად“ (10, 443).

ლექსში „ხილვა“ ნათქვამია: „ლეგენდა თუ სინამდვილე, კვლავ უამურ ფიქრებს მისევს, ეგეოსის ზღვა რომ ადევს ბოქ-ლომად. ოქროს ვერძზე ამხედრებულს ვხედავ ფრიქსეს, კოლ-ხეთისკენ მომქროლავს“ (11, 2018).

„მარადისობის კართან“ მიახლებულ პოეტს გამოარჩევს „სული ნათელმხილველის“: „შინ რომ აღარ უშვებენ შენი ორე-ულია და ის არის პირველი, ვინც მზემ სისხლით მთიების ცის ნისორში მოზელა და უფალმა შთაბერა სული ნათელმხილვე-ლის“ (მას სხვა გზებით უვლია) (11,371).

პოეტი „უმზერს ყოფნას და არყოფნას“ (როგორც მენავეთა მოძღვარს)(10,378).

ლექსში „სათაფლიასთან“ სმენა და ხილვა ასი ათასწლე-ულის მიღმა მომხდარს აუწყებს: „ასი ათასწლეული თითქოს ერთურთს მიასკდა, ზანზარს ვისმენ მიწის და სათაფლიასთან მილიარდი წლის წინ – ვხედავ ბოლო დინოზავრს, როგორ მოწყდა ყინწი“(10,395).

სხვაგან ყურადღებას იქცევს პლანეტების ჭვრეტა: „ხარ მნათობთა მეუფე (აღარაფერს ვამეტებ), უსამანო სივრცეში გიდგას მთვარის ლოგინი. იქიდან ჭვრეტ პლანეტებს, უცხო ას-ტროლოგივით“ (ასტროლოგივით) (11,402).

„პირველქმნილი სამყაროს ჭვრეტაზე საუბარია ლექსში „ის ყველგან არის: „...ჭექა–ქუხილით ცაში წესრიგი რომ დაამ-ყაროს... შენ კი პირველქმნილს ხედავ სამყაროს – გადმოწე-რილს და გადმოღებულს უფლის დედნიდან“ (11,420).

ლექსში „ბჰაგავად გიტა“ ნათქვამია: „...მკვდრად ქმნილ ყოფნას ყოველთის არყოფნიდან ვუჭვრეტდი“ (11,404).

სიკვდილზხე ამაღლებული სულის ხილვაა ლექსში „სარ-ვა–გატა“: „ზესკნელსა და ქვესკნელს ატანს ჩემი სული – სარვა – გატა. თუმცა ჯერ არ აქვს ცაში ბინა. ვჭვრეტ: სიკვდილზე ამ-აღლებულს, განშორების ფრთების მფრინავს“ (11,471).

„ორი ბრძენი და გოლიათის – უიტმენის და თაგორის“ ჭვრეტაა ლექსში „უიტმენი და თაგორი“ (11,603).

„ფლორიდებში“ ნათქვამია: „კოლხური სიტყვის მძვინვარ ოკეანეში ვჭვრეტ პირველყოფილ პოეზიის ცისფერ ფლორი-დებს“ (10,566).

„ასტრალურის“ და „მიღმურის“ ჭვრეტაა ერთ ლექსში (10,635).

„ღამის უფსკრულებში მჭვრეტელი“ პოეტი აცხადებს: „უს-ახელოს თვალის მიმზერს წარსულიდან ხე ცნობადის“ (სა-მოთხიდან გაძევების) (10,703).

ცნობილია, როგორ დევნიდა უღმერთო პეტრე მორწმუნე-ებს, როგორც გამოეცხადა ქრისტე, სინათლე წაჰგვარა, მერე რწმენისკენ მოაქცია და შემდეგ გულით მლოცველი და მორ-წმუნე გახდა. ამ პრობლემას ეხება ვაჟა ეგრისელის ლექსი: „უკ-ვე მესამედ ყივის მამალი და ვჭვრეტ: ქცეული პეტრე პავლეთი, ქრისტეს ფეხებთან დავარდნილი, ვითარ ლოცულობს და მი-აქვს ღამეს აღმოსავლეთით ვარსკვლავთა შუბზე – ცა წამოცმუ-ლი“ (უკვე მესამედ ყივის მამალი) (10,717).

„ასტროიდსა და ირმის ნახტომში ვჭვრეტ ასტრალურს და რაღაც მიღმიერს“, ნათქვამია ლექსში „მარადისობა“ (10,635).

„ღამის უფსკრულებში მჭვრეტელ“ პოეტს „სამოსელი უფ-ლის მოსავს“ (10,671).

ვაჟა ეგრისელი, როგორც გალაკტიონი, ტერენტი გრანელი „ჭვრეტს თავის სულს მოციმციმეს, ვარსკვლავების ცხრაკლი-ტულში გამოკეტილს“ (მგოსნის სული) (10,742).

პოეტს აღაშფოთებს „წუთისოფლის სივერაგის“ ხილვა (10,753).

ანგელოზის მოვლინება იქცევს ყურადღებას ლექსში „ისევ გამოცხადება“: „უცხო სინათლეში დამდგარს, ფრთების რხევით ანგელოზმა როს მწუხრისას მოაკითხა, ცისკენ მზირალს ტანთ ემოსა ძოწეული იაკინთად“ (10,766).

ლექსში „იდუმალი საზღვარი“ პოეტი მკვდრეთით აღმდგარ ლაზარეს ჭვრეტს (10,767).

პოეტის „გონის სარკე შორეთში“ ეძებს „ცისფერ სავანეს“, ... სადაც ჩვენი სულების ჰყვავის „იასამანი“ (ჰყვავის იასამანი) (10,772).

ლექსში „ხანძთაში“ ნათქვამია: „...ფიქრში ვხედავ მერჩულეს, მლოცველს სულზე ხანძთელის“ (10,815).

პოეტი ხედავს „გზას ხილულს და უხილავს“ (ისევ ამაღლება) (10, 409).

გზა საღმრთო სახელია.

„იდუმალ გხმობს სამყარო – მღვრიე და ასტრალური და ერთად ჭვრეტ შორეულ ხილულსა და უხილავს“, აცხადებს უხილავის მხილველი პოეტი ლექსში „მღვრიე და ასტრალური“ (10, 522).

ლექსში „ხილვა“ „ღვთაებრივი ცეცხლით მოსილს“, მლოცველი ანგელოზები ეცხადებიან (10, 532).

„ნათელმსმენი და ნათელმხილველი“ მგოსანი ხედავს „ლუციფერის ბორცვს“, „ზესკნელში მჭვრეტელის“ იმედია „გზაი ჭეშმარიტების“ (ღმერთი).

„...შენიც, ისე ვით ეკლესიასტეს, ცისკრის ნათელი არის სამოსი“, ნათქვამია ლექსში „ვით ეკლესიასტეს“ (10,65).

ნათელი საღვთო სახელია.

მორწმუნე პოეტი აცხადებს: „მამას, ძეს და სულიწმინდას მე ერთში ვჭვრეტ სამივეს“ (10,275).

ლექსში „კლდე და წყალი“ ნათქვამია: „...იმედად ჩანს მთა ქორიბის, მოსეს კვერთხი, კლდე და წყალი“ (კლდე და წყალი) (10,276).

პოეტი ელოდება „უჟამო ჟამს“, „მზიან ღამეს“ (ღმერთს) ცას–მარიამს, (ლოდინი) (10,277).

ვაჟა ეგრისელის ბედნიერებაა „უხილავის მოხილვა“, (ილორი) (10,596).

პოეტი ხედავს ქვეყნის სულს, მის ბედნიერ მომავალს: „...და დღეს მღვრიე ქართლის სული – მომავლის თეთრ კალაპოტში ვხედავ, როგორ მიწანწკარებს“ (ქართლის სული) (11,720).

პოეტის განსაკუთრებულობა ვლინდება უხილავის ხილვასა და უსმენელის მოსმენაში: „საოცარია თვისება მგოსნის: მუდამ სხვათაგან უსმენელს ისმენს, მუდამ სხვებისთვის უხილავს ელტვის და აი, ახლაც, თითქოს დიღმიდან ათასწლეულთა ესმის მიღმიდან – ბორბლების ჩქამი – რამზესის ეტლის“ (რამზესის ეტლი) (11,725).

საოცარი მიგნებული ხილვაა ლექსში „რამ მომალანდა შუაღამისას“: „...ისე ჩანს ქართლის წარსული, ვითარცა ვიწრო თვალი მონგოლის, ვით თათრის თავი გადაპარსული“ (11,780).

სარკიდან ორეულის ხილვაა ლექსში „ორეული“ (11,808).

პოეტი ხედავს „მიχაჭვულ ამირანს“ (12,18).

„გილგამეშს, ამირანს, პრომეთეს ვჭვრეტ – კოლხურ ბილიკით მიმავალს“, ნათქვამია ლექსში „ხილვა“ (11,965).

„და მე ყოველთა მოსახილველად სკვითის შუბივით მშობელ მიწას ვარ დარჭობილი“, აცხადებს პოეტი (სკვითის შუბივით) (11,339).

ლექსში „შეხედეთ ზეცას“ პოეტის მიზანია „უხილავის მოხილვა“: „პოეტებო! შეხედეთ ზეცას! დაწინწკლულია პოეზიის სისხლის წვეთებით“.

ყოვლისმხილველი პოეტის მზერა – „უცხო ფრინველი ლოდინის მზიან ბუდეში ზის ფრთადაკეტილი და წამს დაეძებს უხილავის მოსახილველად“ (12,96).

სხვაგან პოეტის „დათოვლილმა ფიქრთა ხემ საგაზაფხულო ხმები მოისხა“ (ფიქრთა ხე) (12,110).

ღმერთის – „საყვარლის“ ხილვას სჭირდება რწმენა, სულიერება: „ვარსკვლავებით ნათესი ცაა – უფლის საყანე. ხმა კრთის მთვარის –მნათესი. სხვა კრძალვით და თაყვანით: ვინც ხორცს დასწვავს სულისთვის, ის იხილავს „საყვარელს“ (12,499).

„სთყვარელი“ საღვთო სახელია: „...ეს არის მეტრფე ჩემი, ეს არის საყვარელი ჩემი“ (ქებათა ქება სოლომონისა, 5,16) (13,489).

პოეტი ჭვრეტს„ მთიებით მთებს მოოქროვილს“, მარადიულ ცას (12,473).

მთა, ცა საღვთისმშობლო სახელებია (14,124-125).

ვაჟა ეგრისელს დაჰბედია „ცამდე აწვდილ კოშკების“ სარკმელებში ჭვრეტა, მზით მოსილი „ჭეშმარიტების მტევნის“ ხედვა: „ცხრა მთის გადმოხვეწილი ლეგენდის თუ მითოსის ცამდე აწვდილ კოშკების სარკმელებში ვიჭვრიტები და მე ვხედავ მზით მოსილ „ტევანს ჭეშმარიტების“ (12,487).

კოშკი საღვთისმშობლო სახელია(15,124).

„ტევანი ჭეშმარიტების“ – უზენაესის სიმბოლოა.

პოეტი „ღაზელის“ – საღვთო სიბრძნის მსახურია (12,489) რუსთველივით „ზემხედველი“, „ფარნით ხელში კარდაკარ“ დადის, ვით დიოგენე, ეძებს ადამიანს (ვით დიოგენე) (12, 514).

„ცათა ცის“, ღმერთების სამყოფელის მხილველი პოეტი ისმენს „ჩურჩულს ანგელოზთა“, „ღვთისმშობელზე ლოცვით დაღლილი“, ფიქრით ღამენათევი ხედავს „სანთლით უფლის წიგნში ლუკას, მარკოზსა და მათეს“ (ვისმენ ჩურჩულს ანგელოზთა) (12,89).

ქართველ პოეტს აინტერესებს „ხილვა ბრმა ანგელოსის“, რომელიც სულის თვალით სხვათაგან უხილავს ხედავდა, ხოლო „ყრუ ბეთხოვენის“ სმენას ზესკნელ–ქვესკნელის ხმები არ გამოეპარებოდა, რადგან განსაკუთრებული გულისყურით იყო გამორჩეული (ჰომეროსი და ბეთჰოვენი) (12,198).

ლექსში „შორს წარსულში“ ნათქვამია: „ვხედავ კოლხებს ლოცვით დაღლილთ, თვით ქრისტემდე ქრისტიანებს“ (12,211).

პოეტი „ნათელმხილველია“ (ფრთები მითებს მიანდე) (12,247).

ლექსში „ოცდაჩვიდმეტი წელია“ ხაზი ესმება განსაკუთრებულ ხედვას: „...ვჭვრეტ, ვით მაცხოვარს ხელს მიქნევს ოლიმპოსა და სანას მთა“ (12,98).

პოეტი „ხსოვნის თვალში აბუდებს ხილულსა და უხილავს“ (ელვის რაშით დაჰქრის და) (12,853).

ლექსში „შურდული და ოქროს ქნარი“ ნათქვამია: „„...მელანდება დავით მეფის შურდული და ოქროს ქნარი“ (შურდულით დავითმა გოლიათი განგმირა, ხოლო ქნარის ჰანგზე „ფსალმუნები“ შექმნა (13, 533).

სრულიად სამართლიანად, მრავალგზის კეთდება აქცენტი იმაზე, რომ პოეტი „ნათელმხილველი და ნათელმსმენია“ (ვარსკვლავთა ოქროს ნისკარტი) (13, 200).

„უნდა ვდიო მზესავით, ვითარც არეოპაგელმა, ხილვებს არამიწიერს, სიბრძნეს სოლომონისა“, ნათქვამია ლექსში „უფალი თუ გამიწყრება“ (13, 603).

პოეტი ხაზს უსვამს თავისი ხილვების განსაკუთრებულობას: „რაც განგებით იხილე, ცოცხალ პოეტს ამქვეყნად ღირსება არავის: ვარდის ელვარება და სისპეტაკე კარავის“ (13,619).

ვარდი საღვთო სახელია (14,122).

კარავი – ღვთისმშობლის სიმბოლოა (15,124).

ესმის რა „ციური გალობა“, პოეტი არის „სადღაც ტრანსცენდენტურში იდუმალად მჭვრეტელი“ (16,620).

გასაოცარი განაცხადია: „შუაღამისას ხუთ ქალწულთან სიძის მოსვლას დავესწარი“ (16,666)

„ზეცის სიძე“ ქრისტეზე მიგვანიშნებს (14,122).

„ქალწული“ ღვთისმშობლის წოდებაა (17,124).

„დასერილია დედამიწა გზებით ურიცხვით, ზოგი ფერია ცისკრის მდინარის და ზოგი კი მწუხრის ნახშირის, მაგრამ სულ სხვა გზა უჩინარი. დიდებასთან რომ გვაკავშირებს,“ აცხადებს პოეტი (16, 689).

„გზა უჩინარი“ საღვთო სახელია (14,122).

„მზერას აღარ მაშორებს ციდან თვალი ნათელი“, ნათქვამია ლექსში „მაშრიყიდან“ (16,706).

თვალი, „თვალი ნათელი“ უფლის დედის მეტაფორაა (17,124).

ერთგან ნათქვამია: „გულით ხედავს მგოსანი ხილულსა და უხილავს“ (გულით ხედავს მგოსანი) (16,732).

პოეტი გრძნობს „ყოვლისმხილველის მზერას“ (16,853).

ყოვლისმხილველი პოეტი აცხადებს: „...ვჭვრეტ პონტოს „შორეულ ნაპირზე გრაალის ორდენის რაინდებს“ (16,1068).

ასევე ჭვრეტს პოეტი წინაპარ ქალდევებს „ტიგროსს, ევფრატს და ფაზისთან“ (ქალდე) (16,978).

მთავარია „გულისყური“ და „სულის თვალი“ უხილავის სახილველად (16,979), ამიტომ „სულის თვალი“ ჭვრეტს „მარადისობას უფლის“ (16,980),

იდეალია მარდუქივით „ოთხი თვალი და ოთხი ყური“ (მითაჟამი)(5,161).

პოეტს ესმის ხმა ბრძენი ეზეკიელისა, ხოლო ბაბილონის გოდლიდან ისმენს „კივილს მიკიოტთა“ (16, 982).

ჰომეროსს და ჰელიოსს ნათლითმოსილებს ხედავს (16, 896).

„სამი ათასწლეულის იქით, ჟამს მიმწუხრის, ვჭვრეტ: ქალდეაში ქართული მთა–მთიებმა შემინეს. ლოცვა მესმის წარმართთა“, ნათქვამია ლექსში და ხაზი ესმება პოეტის ნათელხილვას და ნათელსმენას (16,987).

არა თვალის, არამედ გულის ხედვაზეა აქცენტი ლექსში „დამძიმებულს პირველ ცოდვით“ (16,1118).

პოეტი დარწმუნებულია, რომ წარღვნა ვეღარ მისწვდება „ფსალმუნებს“, „სულთა ღვთიურ საუფლოს“ (შენი ჩუმი გალობა) (16,1133).

თავისი ადგილი „მეცხრე ცაში“ ეგულება, „საყვარელთან“.

„საყვარელი“ საღვთო სახელია.

„სულ სხვაა თვალი გონების, ის მჭვრეტელია ყოველის“, აღნიშნავს პოეტი (ათასჯერ უვლის სამყაროს) (16,1189).

ლექსში – „საიდანღაც მოისმის“ – ნათქვამია: „...ხედავ, ვით ბალთაზარი, ჩამოშვებულს ხელს ციდან“...

„გიხმობს ხმა კოსმიური, რომლის მსგავსი არავის, არასოდეს სმენია“, გვამცნობს პოეტი და გვახსენდება ელენე ბლავატსკაიას „საიდუმლო დოქტრინა“...

პოეტი „ტანზე იცვამს რწმენის აბჯარს“ და იხურავს „სიყვარულის მუზარადს“ (შენ კოლხი ხარ) (16,1228).

„და სამყარო მალე მზერას მიაპყრობს შენი შუბლის ციურ მერიდიანებს“, აცხადებს პოეტი (უფლის ნათლის გარშემო) (16,1236).

ვაჟა ეგრისელი საკუთარ არსებაში შეიგრძნობს ინდრას – მსოფლიოს უზენაეს სულს (ინდრა) (16,1236).

„კოლხური ფსალმუნები“ ესახება, როგორც „კოსმიური სხივები“ (ფიქრთა ელვის ნაკადულებს) (16,1237), „იქმენ ნათელი “ პირამიდაა ხეოფსის და... დრო დარაჯობს სფინქსივით“ (ხეოფსის პირამიდა) (16,1238).

უფალმა „უნახავის დანახვის“ მადლით გამოარჩია (12,43).

„და ჭვრეტ გზაზე გოლგოთის –ჯვართა მტვირთველ კვირინელს“, ნათქვამია ლექსში „ხილვა: სვიმონ კვირინელი“ (16,1259).

განასხვავებენ ეგზოტერულ და ეზოტერულ სიბრძნეს, ეპიფიზს და ჰიპოფიზს.

ვაჟა ეგრისელს მომადლებული ჰქონდა მხოლოდ რჩეულთა მახასიათებელი ეზოტერული სიბრძნე. ცნობილია, ტვინის მარცხენა ნახევარსფერო – ჰიპოფიზი გონიერების სიმბოლოა, ეპიფიზი – განსაკუთრებული ინტუიციის.

პოეტის მიზანი იყო „წარმავალში წარუვალის, მიწიერში – ზეციერის, ვარსკვლავში მთელი პლანეტის ხილვა (16,1277).

„კოლხური ფსალმუნების“ ხუთტომეულის მისიად ესახება პოეტს ყურთათვის სმენის დაბრუნება, ბრმებისთვის – თვალის ახელა (16,1249).

ვაჟა ეგრისელის მიზანი სასწაულების მოხდენაა: „რადგან ღმერთმა ინება და მის ნებას გავენდე, ჩემი ჩანგის სიმებად ისევ ვაბამ სამყაროს გრძედებსა და განედებს“ (16,1283).

პოეტს ხელეწიფება ქრისტეს ეთერული და ასტრალური სხეულის ხილვა (16, 1293).

„კოლხური ფსალმუნები“ აღიქმება, როგორც სამყაროს მერვე საოცრება“ (16,1371).

„მეთერთმეტე კი არა, მეცამეტე ცის იქით, ნათელსა ვჭვრეტ: მე უფრო, სადაც მამა უფალი, როგორც ჭირისუფალი, მარტოდმარტო მეუფებს“, აცხადებს პოეტი (13,74).

„ჩე გოლაა შამბალა“, გვამცნობს ვაჟა ეგრისელი, რომელიც დაკავშირებულია უკვდავთა სავანესთან, ჰიმალაის მთებში არსებულ წინასწარმეტყველთა სავანესთან.

დამოწმებანი

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992

2. რუდოლფ შტაინერი, „იდუმალთმეტყველების კარიბჭე“ მთარგმნელები ლ. ბაბლუანი, ა. კვარაცხელია, ასოციაცია „კოგიტო“, თბ. 2014
3. პანტელეი ზარევი „ვანგა“, თბ. 1991
4. დანტე „ღვთაებრვიი კომედია“, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, პალიტრა L“, თბ. 2012
5. გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, ქუთაისი, 1996, №4
6. გოეთე, რჩეული ლირიკა, თბ. 1972
7. Мозаика Иоги, книга I, Тбилиси, 1990
8. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XI, თბ. 1972
9. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველე-ბა“, „მეცნიერება“, თბ. 1991
10. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“, ტ. I, თბ. 2001
11. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“, ტ. II, თბ. 2006
12. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“, ტ. III, თბ. 2016
13. ბიბლია, თბ. 2013
14. ტიტე მოსია, „საღვთო სახისმეტყველება“, ზუგდიდი, 1995
15. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“, ტ. IV, თბ. 2017
16. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“, ტ. V, თბ. 2018
17. ტიტე მოსია, „საღვთო სახისმეტყველება“, ზუგდიდი, 1996

სულის მზრდელი გალობა

პავლე მოციქული უზენაესთან მიახლოების გზად გალობას, ფსალმუნს მიიჩნევდა: „ელაპარაკეთ ერთმანეთს ფსალმუნით, გალობითა და სულიერი საგალობლებით, უმღერეთ და ეფსალმუნეთ უფალს გულებში“ (ეფესელთა, 5, 19) (1,420).

დავით წინასწარმეტყველი ახალი გალობის მომმადლებლად მიიჩნევდა სამების მესამე წევრს – სულიწმინდას: „და

მისცა ჩემს ბაგეებს ახალი გალობა განსადიდებლად ჩვენი ღმერთისა“ (ფს. 40,4)(1,563).

არეოპაგელის მიხედვით, ღმერთის ხილვა, სულიერი განწმენდა ლოცვით არის შესაძლებელი: „...ხოლო ჩუენ თავთა ჩვენთა ლოცვით აღვიყვანებით უმაღლესთა მიმართ აღხილვათა საღმრთოისა შარავანდედთა“ (2,226,10).

იოანე პეტრიწის „სათნოებათა კიბეში“ ყურადღებას იქცევს „ლოცვის ფრთა, უბიწო ლოცვა, ლოცვის სათნოება, მდუმარე ლოცვა, ლოცვის ფრთისთვის კი აუცილებელია სარწმუნოება: „სარწმუნოება ფრთოვან ჰყოფს ლოცვასა და უმისოდ ზეცად ვერ ძალუძს აღსვლად იმას“ (3,231).

ლუდვიგ ფოიერბახის „ქრისტიანობის არსებაში“ სპეციალური თავი ეძღვნება ამ პრობლემას: „გრძნობის ყოვლისშემძლეობა ანუ ლოცვის საიდუმლო“: „განა რა არის ლოცვა, თუ არა სურვილი გულისა, იმ ღრმა რწმენით გამოხატული, რომ იგი ასრულდება! ლოცვა ცვლის ბუნების მსვლელობას, ლოცვა განსაზღვრავს და იწვევს ღმერთის მოქმედებას... ლოცვაში ადამიანი ივიწყებს, რომ არსებობს ზღუდეები მისი სურვილისა და ამ დავიწყებაში იგი ნეტარია, ბედნიერია“ (4,169).;

დიდი გერმანელი პოეტი რაინერ მარია რილკე წერდა: „ლოცვა უეცრად აალებული ჩვენი ყოფიერების გაბრწყინებაა – თავად ლოცვაა შემოქმედება“ (წერილები).

ფრანც კაფკა აცხადებდა: „წერა თავისებური სულების შელოცვაა. პოეზია გვაღვიძებს ჩვენ... პოეზია ლოცვას ჩამოჰგავს“...

ლოცვა-გალობის მოტივებით იქცევს ყურადღებას შოთა რუსთაველის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა–ფშაველას შემოქმედებაა.

მეფისტოფელის საუკუნეში, ათეიზმის ზეობისას კი მთავარი იყო „დაცინვა, წყრომა და ირონია“, (გალაკტიონი), ამიტომაც „დაეცა ლოცვა და პოეზია“.

ვაჟა ეგრისელი რელიგიური პოეტია და მის შემოქმედებაში უმთავრესია გალობა უზენაესის, ღმერთის, რწმენის, სიკეთისადმი.

ლექსში „გვრიტი“ „ხატებთან მრევლის ჩურჩული უძილო, ღამენათევი ზეცისკენ ლოცვად ილტვის. და განთიადის ნათელი ხმად მონარნარობს გვრიტის“ (5, 445).

გვრიტი ქრისტეს პარადიგმაა (6, 124).

პოეტს უფლის ხმა ესმის „გალობაში შაშვის“ (ალბათ წმინდა გიორგი) (5,455).

ლექსში „გამთენიისას“ ზღვა ტაძრად ესახება, „ზვირთების ქორო“ – გალობად“ (5,497).

სხვაგან „ანგელოზების ციურ გალობას“ მოკვდავთ წუხილის ხმები ფარავენ“ (ანგელოზების ციურ გალობას)(5,970).

ლექსში „შორს წარსულში“ პოეტი ხედავს „კოლხებს ლოცვით დაღლილთ, თვით ქრისტემდე ქრისტიანებს“ (5,211).

გალობები ისმინება სვეტიცხოვლიდან, ჯვრის, ვარძიის და საქართველოს ზეცის თავანიდან“ (ითვლის მძვინვარე ათასწლეულებს) (5,965).

„...მე დღის ბოლოს, მასზე მლოცველს, კოლხური ცა შემიკედლებს“, ნათქვამია ლექსში „კოლხურ მითებს და ლეგენდებს“ (5, 934).

პოეტს გალობით მოუვლია მთელი სამყარო: „და მოდიხარ გალობით... მთელ სამყაროს კიდით კიდით“ (ათადან და ბაბადან) (5, 853).

ღმერთების საუფლო ცაში ლოცვით ამაღლებულია პოეტი (ლოცვებით ამაღლებული) (5,734).

„მოხუცი მწყემსის სალამურივით სავსეა გული ოქრონარევ მზით და გალობით“. სიხარულის ზღვა მიდგას თვალებში“, ნათქვამია სხვაგან (7,1021).

ცამდე რწმენით, ლოცვით ამაღლებულია პოეტი: „ცათამდე ამაღლებული – კაცი ფიქრით და ოცნებით, დაბლა მიწაზე ვერ

ივლის, მე ვცხოვრობ ღვთით და ლოცვებით, მეუდაბნოე ბერი-ვით“ (7,68).

იობივით ნაწამებს, „ამაღლების“ ავტორს „ბედნიერების ჩემი გალობა“ ანიჭებდა ძალას: „მხოლოდ წუხილი“... მხოლოდ დარდი, სხვა არაფერი... და მარტო ერთხელ, მხოლოდ ერთხელ, ვით ეფემერა, ჩემთან მოვიდა ჩუმი გალობით ბედნიერება და მომეფერა“ (წიგნი „ამაღლება“)(8,579).

გალობა მხოლოდ რწმენისთვის მსხვერპლის გამღებთ ხელეწიფებათ: „...ვლეწავ და ვლეწავ ფიქრების კალოს და ქართულ სიტყვას ვუსინჯავ ფერსა და გემოს, ვით ჩიტი ღაჟო, ვგალობ და ვგალობ“... (ვით ჩიტი ღაჟო) (8,846).

„უხილავის“ მოხილვას“ „ზეარსებულის არსის“ შეცნობას წინ უსწრებს ცის გახსნა, ზეციური ნათელი, ლოცვა: „ლოცვების ბურუსს მიმოფანტავს ზესთა კრებული. დარეკავს წამი უხილავის მოსახილავად, განმიცხადდება მგოსანს არსი ზეარსებულის და ფრთე ნათლისა გადამივლის სახით ფრინველის“ (ილორი) (8,596).

უსაზღვროების ოკეანესთან წილნაყარია, ზღვის უსაზღვროების მგალობელია პოეტი: „ოკეანისკენ მიიქცევა გზა შენეული, შვილი ვარ შენი. შენ გიგალობდი... მაინც ვალში ვარ, ...რაც გიგალობე, ზღვაო, ალბათ, ზღვაში წვეთია“, აცხადებს უსაზღვროებასთან წილნაყარი ლექსის მეუფე (8, 606).

ვაჟა ეგრისელის უპირველესი საგალობელია სამშობლო: „...ცით და მიწით, მზით და ციხე – ტაძრებით, სამშობლოა ჩემი საგალობელი“ (საგალობელი) (8,124).

ლექსში „საღამო“ ნათქვამია: „...ვდგავარ კოცონთან, როგორც წარმართი და ცას ვავედრებ საგალობელს აწინდელს“ (8, 145).

ვარსკვლავებისკენ მზირალი პოეტის „ფიქრში“ აირეკლება „მთათა გალობა, ზღვათა სევდა, მიწის გნიასი“ (ჰყივის სიცოცხლე) (8,63).

ლექსში „დღითა და ღამით“ “სიყვარულის ისმის გალობა დარდით გაფოთლილ ღამის ჭალაში“ (დღითა და ღამით)(8,50).

ერთგან „თოვლს და სითეთრეს გალობს ზამთარი“ (გალობს ზამთარი (8, 369).

ლექსში „მოდი, აპრილო“ – პოეტი ივედრება: „ჩემი გალობა შემიზავე შენს სინათლეში, შენი ფერების უშქარ ზღვაში და ჟრიამულში. და მომეც შენი ჯადოსნური განსწავლულობა, აპრილო, მოდი ყვავილებით და ჩემს მამულში გაზაფხულები კვლავ განფინე სასწაულებად“ (8,25).

პოეტი მამულს, ღმერთს სწირავს მსხვერპლად თავის გამორჩეულ გალობას: „ქართული სიტყვის ათასწლოვან ტოტებზე მჯდარი შენ გიგალობდი „კაფე–თესეს“, თესდი თუ მკიდი და ჩემი ფიქრი შენი სულის წუხილში ენთო, დღეს ეს გალობა მცირე თუ დიდი, მიიღე ჩემგან მსხვერპლშეწირვად, მამულო ჩემო“ (8, 218).

პოეტს ესმის უფლის „ცისფერი გალობა“: „მწუხრის სიმშვიდე შემომადგა გალობად გულზე, ცისფერ გალობად და წყალობად მაღალი უფლის“ (ვარსკვლავებში ჩაფიქრდა ზეცა) (8, 243).

ვაჟა ეგრისელის მიზანია გალობის საშუალებით მიუახლოვდეს „უხილავს“: „ჩანგი მიბოძე და მიბრძანე, რომ მეგალობა... და ვგალობ ვგალობ, ცისარტყელის მეწვის თითები... და აი, ახლა, უხილავო! შენ გეკითხები, ხომ არ დადგა დრო, შევისვენო და შენ გიხილო“ (8,191).

„ცისფერი გალობის“ პარალელურად, ყურადღებას იქცევს „ლურჯი გალობა“ (ვითარც სინათლე) (8,211).

„მგლის მუხლით“ აღმართებზე მავალი პოეტის იდეალია გალობას: „...მისდევ აღმართებს ისევ მგლის მუხლით. ხედავ? გალობამ მეც ჩიტივით შორს გამიტყუა“ (სიცოცხლის ტოტზე) (8,175).

„სამარადისო ღელვას და შფოთს“ მიჯაჭვული პოეტისთვის მთავარია „გალობა მებადურთა და მონადირეთა“ (8, 527).

ბრწყინვალე ხედვითი სახეა: „...ყვარლის მთები და მთები საჩინო ქართულ მიწაზე – ლოცვად დგანან მუხლმოყრილები, რომ ერთიანი საქართველო გადაარჩინონ“(არა ჩანს ცოტნე).

პოეტისთვის მთავარია „ლოცვა საქართველოსთვის“ (ჩვენ) (9,333).

„ღვთის სადიდებლად აღვლენილი შენი ლექსები ლოცვებია“, აცხადებს პოეტი (შენი ლექსები ლოცვებია) (9, 437).

გალობა ამაღლების, უკვდავების საწინდარია.

ელვა, ოკეანე, ქარიშხალია პოეტის სულის მზიდელი გალობის წინამძღვარი: „შენი აზრი ელვაა და მნათთა ოკეანეს ერთვის და ქარიშხლის სუნთქვას ელის. შენი სიტყვა არის ღმერთი, გალობაა – სულის მზრდელი“ (9, 829).

პოეტს ესმის „ზღვის გალობა“ (9, 180).

ლოცულობს „სამ მზეზე“, სამებაზე (სამი მზე) (9,230).

ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის დანიშნულებაა ორიგინალური მხატვრული სახეებით უგალობოს სულს, სულიერებას: „შენი აზრი ელვაა და მნათთა ოკეანეს ერთვის და ქარიშხლის სუნთქვაც ელის. შენი სიტყვა არის ღმერთი, გალობაა – სულის მზრდელი“ (შენი აზრი)(9,829).

ერთგან „ადამი ლოცვად დგას მაცხოვრის წინაშე და მისტირის დაკარგულ სამოთხეს“ (ლოცვად დგას მაცხოვრის წინაშე) (9, 523).

ლექსში „გაფრინდა ცისკენ“ საუბარია დიდი წინაპრის – ქრისტიანი ტერენტი გრანელის ლოცვებზე (ერთი პოეტის პორტრეტი) (9,141).

ვაჟა ეგრისელს ესმის „ცაცხვის გალობა“ (მგალობელი ცაცხვი) (9,380), „ზღვის გალობა“ (9,180).

„ჩემი არყოფნის მწუხარე ხმაში ანგელოზების გალობა მესმის“, აცხადებს ლექსში „ანგელოზების გალობა მესმის“ (9, 190).

„შენში სუფევს სამი მზე, სამივეზე ლოცულობ“ ნათქვამია ლექსში „სამი მზე“ (9,230)

„კოლხურ ფსალმუნებს“ „ცა“ იფარავს, როგორც ცეცხლის საგალობელს“.

ცეცხლი საღვთო სახელია (9, 124).

„სადღაც ტრანსცენდენტურში იდუმალად მჭვრეტელი“ პოეტი „ისმენს ციურ გალობას“.

დანტესა და ჰესესავით ლოცულობს პოეტი ჭეშმარიტების და სიბრძნის მომმადლებულ ღმერთზე: „ჭეშმარიტების და სიბრძნის, იმედის და სასოს მომცემს, მეც, ვით დანტე და ვით ჰესე, ვილოცებ ღმერთს მადლის მთესველს, სიკვდილისაგან წარუხოცელს“, აცხადებს პოეტი (10,832).

„ქრისტეს მებაღე“ პოეტი იღწვის „ლოცვებით მოყვავილე ბაღის მოსაშენებლად“ (10,865).

წმინდა წერილში მიწიერი ბაღი ისრაელის მეტაფორაა.

ზეციური ბაღი სამოთხეზე მიმანიშნებელია.

ნათელსმენის უნარით მომადლებულს ბიბლიიდან მოესმის „ანგელოზთა გალობა, ლოცვა წმინდა მამების“ (ბიბლიიდან მოისმის) (10, 911).

ლექსში „მიღიარდი წელია“ „მთები... გალობენ ღვთის სადიდებელს“ (10,931).

„ზესკნელსა და ქვესკნელში“ მლოცველი პოეტი გრაალს, ზღვაში „სიბრძნის ქარიშხალს“ ხედავს (10, 106).

პროფესორ ტიტე მოსიასადმი მიძღვნილ ლექსში ვაჟა ეგრისელი აცხადებს: „...შენი სიტყვაა მანანაა, გალობაა ზეცის ვაზის“ (10,1082).

მართლაც, ტიტე მოსიას 54 ტომში დავანებულია ყოვლისმ-ხილველი მეცნიერის მიერ ხილული ყოვლისმომცველი სიბრ-ძნე.

ლექსში – „არყოფნის გიხდება მოცდა“ – ნათქვამია „მეცხრე ცის მინდორზე ლოცავ, კირკესი კი არა, სხვა მოლს“ (10,298).

სულხან –საბა ორბელიანის მიხედვით, „მოლი არის ახალი ბალახი“ (11,500).

მოლი გვხვდება გალაკტიონის ლექსში „დომინო“, მაგრამ ეს სახე იქ „ათასგვარ წამლით და შელოცვით“ გართული მჩხიბავი განდეგილის, დღეგრძელი მოხუცის კუთვნილებაა (13,216).

ვაჟა ეგრისელის პოეზია საგალობელია, ლოცვაა ღვთის, ადამიანის, ჭეშმარიტების, სამშობლოს მისამართით აღვლენილი: „...ლოცვად ღმერთს აღუვლენ ახალ –ახალ საგალობლებს“ (ქრისტეს ფეხის მკვნეტელებმა) (10,1025).

ლექსში „ფაზისის პირ ძველ კოლხეთში“ „ლოცვის ხმას ახშობენ ავსულები და ქაჯები“ (10,1064).

პოეტს, პარალელურად წარმართთა ლოცვაც“ ესმის (10,987), „უფლის ანგელოზების გალობაც“ (10,986).

„ცა ყურს უგდებს დღემდე ანგელოზთა ლოცვებს და ღვთის ლაპარაკს ქართულად“, ნათქვამია ლექსში „ვარსკვლავების ტკარცალით“ (10,1123).

ვაჟა ეგრისელის გალობის მისია მიწიერი ტკივილების დაამებაა: „შენი ჩუმი გალობა ამ მიწიერ ტკივილებს დაედება ფსალმუნად, რადგან სუფევს ცა უფრო. წარღვნა ვეღარ მისწვდება შენს მითიურ ფსალმუნებს, სულთა ღვთიურ საუფლოს“ (შენი ჩუმი გალობა (10,33).

„ლოცვის ატლასით მოსილი“ პოეტი „დღენიადაგ ყოფნას უგალობს“ (10-1403).

მორწმუნე ადამიანისთვის „ეკლესია მონასტრები წიგნებია, ნაწერი უფალზე ლოცვებით“ (10,25).

„ჩემს სამშობლოს ღირსეულად რადგან ვეღარ ვუგალობე, ვითარც დავითს, მეც დამადგით გულზე ფეხი: საქართველოს უპირველეს ჩანგის მპყრობელს“, ასეთი თავმდაბლური განაცხადია ლექსში „ვითარც დავითს“ (9,37).

დამოწმებანი

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
2. პეტრე იბერი – ფსევდო დიონისე არეოპაგელი, „შრომები“, თბ. 1961
3. იოანე პეტრიწი, „სათნოების კიბე“ თბ. 1968
4. ლუდვიგ ფოიერბახი, „ქრისტიანობის არსება“, თბ. 1956
5. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“ 5 ტომად, ტ.4, თბ., 2008
6. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995
7. „კოლხური ფსალმუნები“, ტ. I, თბ, 2001
8. „კოლხური ფსალმუნები“, ტ. II, თბ, 2005
9. „კოლხური ფსალმუნები“, ტ. III, თბ, 2006
10. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“ 5 ტომად, ტ.5, თბ, 2011
11. სულხან–საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, „მერანი“, 1991
12. გალაკტიონ ტაბიძე ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988

ასტრალური მოგზაურობა

„და დაგაქროლებს ფრთები ქართული
ამ ცოდვით სავსე დედამიწაზე“ (ვაჟა ეგრისელი)

ვაჟა ეგრისელი, როგორც რელიგიური პოეტი, აცხადებდა: „ცა და მიწა ორივე არის ეზოთერული“.

პოეტი განარჩევდა მიწიერ და ზეციურ ძალებს, გათავისებული ჰქონდა წმინდა წერილის, ღვთისმეტყველთა, მსოფლიოში ცნობილ მოაზროვნეთა სიბრძნე და არა ეგზოტერული, მიწიერი, არამედ ეზოტერული, საღვთო, მარადიული სიბრძნე იყო მისი წინამძღვარი.

ასტრალური მოგზაურობის უნარით იყო პოეტი მომადლებული და მისი სული მოგზაურობდა მსოფლიოს, პლანეტების მიღმა: „ჩემი სული სარვა გატა“, აცხადებდა ვაჟა ეგრისელი.

ოკულტისტების, იოგების მოსაზრებით, ფიზიკურ სხეულს გააჩნია ჰაეროვანი ორეული, რომელიც თვით სიცოცხლის კვიტენსენცია და შეუძლია იცხოვროს ფიზიკური სიკვდილის შემდეგაც“ (1, 175).

ასტრალური მოგზაურობისას სული ეთიშება სხეულს, იქმნება უწონობისა და სიმსუბუქის შეგრძნება და ეს მდგომარეობა გაიგივებულია ფრენასთან, რაც დაკავშირებულია დიდ ძალისხმევასთან, შიშის დაძლევასა და სიმშვიდესთან.

წმინდა, დისციპლინებულ სულს ლოცვით, ფიქრით ეზრდება ფრთები (2, 31).

„არეოპაგიტულ კრებულში“ „სათნოების ფრთით“ ხდება ზეცაში ამაღლება: „სათნოების ფრთითა ამაღლდი ზეცად“ (3, 60).

სულიერ ზეცაში ამაღლებისთვის საჭიროა სულიერი სხეული და არა ხელოვნური თანამგზავრი და კოსმოსური ხომალდები.

დანტე ირწმუნებოდა: „სულს განწმენდილს და გასპეტაკებულს ცადამაღლების სრული ნიჭი მოევლინება.“

„სულის ფრთებით „მიეახლა დანტე ზეცას: „მიწაზე რა გვაქვს იარაღი ჩვენ იმნაირი, ასასვლელი ან სიმაღლიდან ჩამოსასვლელი, თავის სისწრაფით შევადარო ჩემს ფრთებს მაშინდელს“ (4, 366).

„პოეტი მსუბუქი, ფრთაშესხმული და წმინდა არსია“, აცხადებდა პლატონი (5, 30-30).

ჰაერში ამაღლების უნარით იყო ცნობილი დიდი ჩინელი ფილოსოფოსი ლაო-ძი, რომელიც ხელმწიფის კვერთხზე, სიმდიდრეზე და გამოჩინებაზე მაღლა აყენებდა ცად ამაღლების უნარს და განცვიფრებაში მოჰყავდა კონფუცი (6, 45, 49).

მიწიდან ამაღლების უნარით გამოირჩეოდნენ რუსი პოეტები: ვლადიმერ სოლოვიოვი, ალექსანდრ ბლოკი.

ჯორდანო ბრუნო განცვიფრებული იყო თომა აქვინელის მიწიდან ამაღლების უნარით.

სულიწმინდისგან ხელდასხმულთ ენიჭებათ სათნოების ეტლით ზეცაში ამაღლების შესაძლებლობა.

ამ ჭრილში განსაკუთრებულია გალაკტიონის უნარი, რომელიც აცხადებდა: „სული გაფრენილს ედარება ფერად მიმინოს, დასტოვო მხარე, სადაც ყველა ფილისტერია, სილაჟვარდეში მიიბროლოს და მიიმინოს“ (7, 219).

ტერენტი გრანელი გვამცნობს: „სული გაფრინდა თეთრი მტრედივით, სხეული დარჩა ცოდვილ მიწაზე“, „სული საზღვარს გადასცდება ფრენით“ (გაზაფხულის საღამო) (8, 154, 158).

ჰიმნოგრაფ ბასილის მახასიათებელი იყო „ზეშთა სიმაღლედ ამაღლება სულიერი ფრთით“ (3, 263).

ზოსიმე ათონელი „გონიერი ფრთით“ აღწევდა ცაში და ხდებოდა ღმერთის ხილვის ღირსი (9, 263).

სულის ფრთების მზრდელია საღმრთო სიყვარული: „სიყვარულითა საღმრთოითა ფრთოვან იქმენ შენ“ (იოანე მტბევარი) (9, 123).

გოდერძი ჩოხელის რომანში „მგელი“ – ფრენენ ბერები, ვიდრე სულიერ სიწმინდეს იცავენ. ცისკენ მიიწევენ დიდი მწერლის პერსონაჟები (ცასწავალა, არწივთან ფრენა).

ამ ჭრილში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გალაკტიონის, ანა კალანდაძის, ნიკო სამადაშვილის პოეზია.

„ჰაერით მოგზაურობა იწვევს აზრის, გონებისმიერი განწყობის შეცვლას, პროგრესირებას მენტალურ უნართა განვითარების გზით“ – ასეთია ზვიად გამსახურდიას აზრი (10, 304).

რუდოლფ შტაინერის აზრით, „შინაგან, სულიერ ადამიანს ძალუძს ფიზიკური ორგანიზმიდან მთლად გამოთავისუფლდეს, აღიქვას და იმოძრაოს სულიერ სივრცეში.

„მესამე ხარისხის შემეცნება ხელეწიფება მხოლოდ სულიერ ადამიანს, როდესაც იგი ფიზიკური ორგანიზმიდან იმდენად გამოთავისუფლდება, თითქოს ეს უკანასკნელი საერთოდ არ ჰქონია“ (11, 317).

ზეცისკენ ლტოლვის მიზანია მიწიერი ცხოვრების სრულყოფა.

გრიგოლ ნოსელი გვმოძღვრავს: „ცათა შინა სწრაფვამ კვლავ სამშობლოს გზაზე უნდა დაგვაყენოს“ (12, 397).

იოგების მიხედვით, ტრანსცენდენტურ პლანეტებზე გამგზავრებისთვის საჭიროა სულიერი სხეული.

სხვა პლანეტებზე მოგზაურობის მსურველს ჰქვია „სარვა–გატა“, რაც ნიშნავს მას, „ვისაც ყველგან მოგზაურობა სურს“.

„შრიმად–ბჰაგავატამის“ II სიმღერაში აღწერილია სულიერი ზეცის და იქ მცხოვრებთა ბუნება.

„ბჰაგავად–გიტაში“ დიდ მოგზაურობაზეა საუბარი. ჩვენ უნდა გადავლახოთ მატერიალური სამყარო და შევიდეთ სულიერ ზეცაში.

ეს შესაძლებელია არა კოსმოსური ხომალდებით, არამედ კრიშნას ცნობიერებით, სულიერი განვითარებით.

სრულყოფილი იოგისთვის, რომელიც ცნობიერად ტოვებს სხეულს, პლანეტიდან პლანეტაზე გადასვლა ისევე ადვილია, როგორც უბრალო ადამიანისთვის მაღაზიაში შესვლა. ამისთვის უნდა მივიღოთ სულიერი სხეული.

„მოგზაურობა, ხეტიალი ანტიურ და შუასაუკუნოებრივ პოემებში ერთ–ერთი კომპონენტია ინიციაციისა, ასე მაგალითად, მოგზაურობა იაზონის, ოდისევსის, ენეასისა, შუასაუკუნეთა საგებისა და რაინდული რომანების პერსონაჟებისა“ (ზვიად გამსახურდია) (10, 212).

ჩვენი თანამედროვე პოეტი ვაჟა ეგრისელი გამორჩეულია ასტრალური მოგზაურობის უნარით, რისთვისაც საჭიროა ანგელოზური სიწმინდე: „ანგელოზად ქცეული შენი სული ცად ფრინავს“, აცხადებს პოეტი (13, 1381).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი ამ ასპექტით გალაკტიონს გამოარჩევს: „პოეტთა მეფეც აღარ დაგინდეს, დღეები გექცნენ ყიზილბაშებად. კვნესოდი: ირგვლივ დაჭრილებია... დედამიწაზე გაგიძნელდა ალბათ დაშვება, მაგრამ გაფრენა ცაში აღარ გაგჭირვებია“ (გალაკტიონს) (14, 409).

სხვაგან „სიბრძნის ფრთის“ ადრესატია კოლხეთი: „... აფრის ტკაცუნში, რომაელთა სიბრძნის ფრთიანი, შორეული ქრიან ქარები. ვერა და ვერა, ვეღარ იქნა მტრისგან ძლეული. შავი ზღვის პირას წევს კოლხეთი ნიშა ხარივით და იცოხნის ათასწლეულებს“ (13, 439).

ლექსში „თვალებს კოლხეთში ახელდა“ ისევ ფრენასა და კოლხურ სიბრძნეზეა აქცენტი: „ფრთები უფალმა უბოძა, ფრენას დაჩვეულს ისედაც. თვალებს კოლხეთში ახელდა ყრმა, ,ვისაც გუნდი მისდევდა მამაც ზღვარგადამლახველთა“ (14, 454).

ცის და მიწის პრობლემების გათავისებაა ცაში აფრენის საწინდარი: „ანდამატივით ცისკენ იზიდავს, თავისკენ უხმობს

მნათობთა ქორო და მეტეორთა შმაგი რაშები, მაინც მწყერივით მიწაზე ცხოვრობს – წუთი აფრენის, წუთი დაშვების“ (15, 879).

ცათა ცაში, ცის მიღმა მიმსწაფვი პოეტი აცხადებს: „...დავფრინავ... ფრთებს ლაღად ვერა ვშლი, რა ვქნა, ცა საფრენად არ მყოფნის“ (ღამეა) (15, 1235).

ფრენისთვის „ელვის ფრთები“ და სიჩქარეა საჭირო (13, 1211).

ათასწლეულებია პოეტის ფრენის ასპარეზი: „გადაუქროლებს ათასწლეულებს, ვითარც მიმინო ან კაპოეტი... რომ ქვეყანაზე დიდი პოეტის სულს ფრენას ვერსად, ვერვინ დაუშლის“ (140 655).

ბედისწერით არის განსაზღვრული ოლიმპოს მთიდან ზევსის არწივის მოვლინება და ქართული ფრთებით დედამიწაზე ამაღლება: „ხშირად გეწვევა ჩუმი ფათქუნით ზევსის არწივი და ცად გიტაცებს. და დაგაქროლებს ფრთები ქართული, ამ ცოდვით სავსე დედამიწაზე“ (ქართული ფრთები) (15, 971).

დამოწმებანი

1. ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ, მოსკოვი, 1958;
2. Рамачарака, Основы миросозерцания индииских иогов, Петербург, 1913;
3. არეოპაგიტელი კრებული, თბ. 1981;
4. დანტე, „ღვთაებრივი კომედია“, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, „პალიტრა L“, თბ. 2012;
5. პლატონი, „იონი, დიდი ჰიპია, მენონი“, ძველი ბერძნულიდან თარგმანი და კომენტარები ბაჩანა ბრეგვაძის, , თბ. 1974;
6. ლაო–ძი, „დაო დე ძინი“, შესავალი, თარგმანი და კომენტარები ლერი ალიონაკის, თბ., 1983;

7. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977;
8. ტერენტი გრანელი, ტ. I, 1991
9. ჩვენი საუნჯე 30 ტომად, ტ. II, თბ., 1961;
10. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსანის“ სახისმეტყველება, თბ., 1991;
11. რუდოლფ შტაინერი, „ჩემი ცხოვრების გზა“, თარგმანი კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიასი, თბ., 1991;
12. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, II, თბ., 1991;
13. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“, ტ. 5, თბ., 2001;
14. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“, ტ. 1, თბ., 2001;
15. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“, ტ. 2, თბ., 2001;
16. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“, ტ. 3, თბ., 2016.

მოგზაურობის მარშრუტები

მიუთითებენ, რომ მოგზაურობა შესაძლებელია მიწაზე, ზეცაში, ქვესკნელში, სამოთხეში, ჯოჯოხეთში.

„მშვინვიერ მოგზაურობას“ ადამიანი „სულიერი სამყაროს რეალურ ჭვრეტამდე მიჰყავს“.

ამისთვის კი აუცილებელია „ნათელმხილველურ ცნობიერება“ (1,16).

„მოგზაურობა კომპონენტია ინიციაციისა“, ასე მაგალითად, მოგზაურობა იაზონის, ოდისევსის, ენეასის, შუასაუკუნეთა საგებისა და რაინდული რომანის პერსონაჟებისა“ (ზვიად გამსახურდია) (2, 212).

წმინდა გრიგოლ პალამა საუბრობს „ქვეყნიერების გარშემო მოგზაურობის“ შესახებ: „აზრი თითქოს საჰაერო ბურთივით მიმაფრენს. ვხედავ მთელ ქვეყნიერებას. მთელი სამყარო უმცირეს დროში მოვიარე და ამავე დროს მშვიდად ვიჯექი ჩემს სავარძელში“.

ამ მოგზაურობის დროს ნახა ღვთისმეტყველმა კაცობრიობის ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა, სასახლეებსა თუ სამეფო ტახტზე. სიმაძღრის მიუხედავად, სული იყო მშიერი, ფიზიკურ სიღარიბესთან ერთად, სახეზე იყო სულიერი სიღარიბე, ზნეობრივი სიღატაკე. ადამიანი მხეცს იყო დამსგავსებული, ბოროტებით ატანილი, სახეზე იყო ვაჭრობა, ნადირობა ადამიანებზე, პირუტყველი ცხოვრება, სისხლის ღვრა, დაცემა სულიერი, ქვეყანა ჯოჯოხეთის კარიბჭედ იყო ქცეული და მაცხოვარმა ის სამოთხედ აქცია (წმინდა ეპისკოპოსი ეგნატე, წერილები ერის კაცთა მიმართ) (3, 266- 267).

„ადამიანი, როგორც მაკროკოსმიური არსება... მთელი დანარჩენი სამყაროს დამტევია საკუთარ სულში“ აცხადებს შტაინერი (4,98).

„ადამიანი არის მცირე ქვეყნიერება“, წერს წმ. იოანე დამასკელი (5, 362).

შემოქმედმა ფიზიკურად თუ სულით უნდა მოიაროს ეს ქვეყნიერება და წვდეს ხილულ თუ უხილავ სახეთა საიდუმლოებებს.

გიორგი გურჯიევი საუბრობს „ხანგრძლივ და მძიმე მოგზაურობაზე „უჩვეულო და უცნობ მიწაზე“, უძნელეს და უსასრულო გზაზე, რომელსაც მრავალი ხიფათი ახლავს... „არცერთი მცდელობა არ იკარგება უქმად. მთავარია ამ მგზავრობისას მიზნის ერთგულება და უკან მშვიდობიანი დაბრუნება“ (6,103-106).

სრულყოფილი იოგისთვის, პლანეტიდან პლანეტაზე გადასვლა ისევე ადვილია, როგორც უბრალო ადამიანისთვის მაღაზიაში შესვლა. მიზანი სულიერ ზეცაში შეღწევაა.

„...ადამიანის განვითარებული ცნობიერება გამოყენებული უნდა იყოს არა ჭამის, ძილის, გამრავლებისა და თავდაცვის ცხოველურ მიდრეკილებებში, არამედ ძვირფასი გზის ძიებაში, რომელიც მარადიულ სიცოცხლემდე მიგვიყვანს.

„...ჩვენ ჭეშმარიტ საკუთარ სახლს ვეძებთ... მარადიული სიცოცხლე კრიშნაა“.

„სიტყვა იოგა ნიშნავს „დაკავშირებულს“.

სული მარადიულია.

„სხვა პლანეტაზე მოგზაურობის მიდრეკილება მუდამ ახასიათებს ცოცხალ არსებას, რომელსაც ჰქვია „სარვა გატა“, რაც ნიშნავს მას, ვისაც ყველგან მოგზაურობა სურს.

„სამყარო დაყოფილია მაღალ, შუა და დაბალ პლანეტარულ სისტემებად, დედამიწა შუა პლანეტარული სისტემების შემადგენლობაში შედის.

ენერგია კრიშნას ცნობიერებისთვის უნდა გამოვიყენოთ, რათა მივიღოთ სულიერი სხეული, რომლითაც კრიშნას პლანეტაზე მოხვედრა შეიძლება... იგი ცოცხალი არსების უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს (7, 302).

სულიერი პლანეტა ზეცის სამყაროს მიღმაა.

ვიდრე სულიერ პლანეტაზე არ წავალთ, სიკვდილს ვერასოდეს გავექცევით (7, 303).

მთავარია სულიერი ზეცის მიღწევა... სხეული სულზე გადაფარული ღრუბელია.

„გიტაში“ დიდ მოგზაურობაზე ლაპარაკი. ჩვენ უნდა გავიდეთ კოსმოსში, გადავლახოთ მატერიალური სამყარო, შევაღწიოთ მის საფარველში და შევიდეთ სულიერ ზეცაში. ეს მოგზაურობა უმაღლესია. მატერიალური სამყაროს იქით გაღწევა შესაძლებელია არა კოსმიური ხომალდებით, არამედ კრიშნას ცნობიერებით“ (7,309).

„უნდა შევუდგეთ სულიერი სხეულის განვითარებას“.

ალბერტ აინშტაინი რეგულარულად კითხულობდა „გიტას“.

სიცოცხლის ფილოსოფიამ ათეისტები შექმნა მხოლოდ. ჩვენ სულიერი არსებები ვართ და ნეტარება გვსურს, მაგრამ... მატერიალურად ცხოვრებით ტკბობას ვეძლევით“ (7,315).

სულიერ ზეცაში შეგვიძლია პირადად ვესაუბროთ ღმერთს. ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებელია ტრანსცენდენტური სასიყვარულო სამსახურის გზით (7, 718).

წმინდა მამებს სჯერათ ადამიანის ცადამაღლების უნარის: „ადამიანს, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივ საჭურველთაგან ნაკლულოვანია, გონების აღმატებულობით თვით ზეცამდე ამაღლება შეუძლია“, ირწმუნება ნეტარი ავგუსტინე (8, 264).

დანტე აცხადებს: „სული ჩემი ცაში გადიდებული, აღტყინდა უცებ, გადალახა სამანი თავისი... ნუ გაოცდები, რომ შეიძლო შვილმა სოფლისამ ჭეშმარიტების მისტიურის აგრე ჩაწვდენა. ეს მან შეიცნო, ვინც იხილა ცათა საუფლო“ (9,393).

ვაჟა ეგრისელის ფიქრი სივრცეებზე ხეტიალით გამოირჩევა: „...შენ ივლი ფიქრად და სიყვარულად, არ მოგწყინდება სივრცეებს შორის ხეტიალი“ (გაზრდილს კოლხური მზით და ლეგენდით) (10, 304).

პოეტისთვის მთავარია „გზა უსწორ–მასწორო, პარნასისკენ მიმავალი“ (პარნასისკენ მიმავალს) (11,380).

„მარადისობის ხარზე ამხედრებული ლაოძივით“ სულით მოგზაურობს პოეტი სიბრძნის სავანეში (ხმა იდუმალი) (10,401).

ვაჟა ეგრისელი „გზას ხილულს და უხილავს“ „მაღლა-მაღლა მისდევს“ (...ისევ ამაღლება) (10,909).

პოეტის სული „ზღვის წიაღმავალია“ (შენ საქართველოს გადევს უღელი) (11, 580).

„მე დედამიწას გავყურებ ჩემი მამულის ერდოდან“, აცხადებს პოეტი ლექსში „ჩემი მამულის ერდოდან (11,958).

ხეტიალობს რა მიწაზე, ცაში, ქვესკნელსა თუ ზესკნელში, „ზღვის ბილიკზეც“ ჩნდება (ქარის აკვანში) (11,604).

პოეტს სული „მამულის შუაგულიდან მიიწევს ცისკენ“ (ჩემი სული) (11,73).

„მილეთის გზიდან“, „ხეტიალის ბოლოს“ სიკვდილია „მარადიული ქალაქი“ (როგორც ოლოლ) (11,664).

უსამანოა პოეტის გზები: „ჩემს ფიქრებს სრბოლას ვერვინ დაუშლის... ხან ქვესკნელს ჩადის და ხან სივრცეს გასდევს ზოლივით... და მტკაველ–მტკაველ აქვს გაზომილი ქართული მიწის სიგანე და სიმაღლე ზეცის“ (12,834).

სოფლის შარას მიჰყვებიან პოეტი და მისი ორეული: „აქ არყოფნის სენ შეყრილი და სიბერე მორეული, ჭაბუკივით ისევ ჩქარა მივუყვებით სოფლის შარას მე და ჩემი ორეული“ (მე და ჩემი ორეული) (13,525).

„წარმავლობით მიღმური“ პოეტი აცხადებს: „ნეტავი როდის მოვრჩები ამ წუთისოფლად ხეტიალს“ (მე როდის გამიღიმებს) (13,925).

ლექსის რაშების შორეთში ქროლვის მიზანია „ციურ აზრთა ნადავლის“ მოხელთება (ზღვა ბობოქრობს მგოსანთა) (13,948).

„ცის მთებში დავეხეტები“, აცხადებს პოეტი (13,815).

პოეტის „ფრთაგაშლილი წიგნები“ „სილაჟვარდეში ჰკრავენ ირაოს“ (შენი წიგნები) (13,696).

ვაჟა ეგრისელი ცასა და ქვესკნელში დაეხეტება დანტესავით: „ცა მაქვს მოვლილი... და ახლა, ვით ალიგიერი, ქვესკნელს უსინჯავ ფერსა და გემოს“ (13,602).

პოეტის ძახილს საუკუნეები გაიგონებენ, ზღვად კოშკის ამგების ხვედრია აგასფერივით ხეტიალი (აგასფერივით) (13,511).

არა მიწა, ცა, ზღვა, არამედ „ტრანსცენდენტურ უღრანში ხეტიალი“ დაჰბედებია ვაჟა ეგრისელს (მუდამ დავეხეტები) (13,438).

დედამიწის ყველა კუთხე – კუნჭულის მომვლელი პოეტის განაცხადი ასეთია: „მე ხელისგულზე მიდევს სამყარო, მზის ენერგია–ჩემშია და არ ვარ უძლური. ჩემმა ფიქრებმა შემოიარ-

ეს დედამიწის ყველა კუთხე, ყველა კუნჭული, რომ ოდნავ მაინც მოაშუშონ არსთა იარა“ (13,348).

პოეტი ხედავს „ლაჟვარდებისკნ ვარსკვლავების ლამაზ ქვაფენილს“ (ჩამოიქროლებს როცა შავი დღე) (13,45).

„...ფიქრის შარაზე მომკლა წანწალმა“, აღიარებს „კოლხური ფსალმუნების“ ავტორი.(13,1016).

მთელი სამყაროს მომვლელი პოეტის განაცხადია: „ფიქრითა და ოცნებით სამყარო მაქვს მოვლილი. წვიმდა, გამოიდარა, რადგან აპოლონივით, უკრავ კოლხურ ვითარას“, აცხადებს მთელი სამყაროს პრობლემების გამთავისებელი (13,1307).

„უსამანო სივრცეში ხეტიალზეა“ საუბარი ლექსში „ლტოლვა“ (14,464).

„გარდასულ დროთა მოგზაურია“ პოეტი, როგორც კასტელი, როგორც შარდენი (14,554).

„გარდასულ დროთა მღვრიე ცაში“ დაეხეტება შემოქმედის სული (13,562).

„ქარივით მიუსაფარი“ პოეტის განაცხადია: „უძილო ღამეებში დავეხეტები“ (13,677).

მოხეტიალე პოეტი ზოგჯერ „უცხო პლანეტელს“ ჰგავს (შენ ცა გელის ფარულად“ (12,55).

ვაჟა ეგრისელი მზად არის ენქიდუსავით ქვესკნელს ჩავიდეს „ოქროს ჩანგის ამოსატანად“

ნ. ბარათაშვილივით „სამზღვარს იქით“ ლტოლვაა მიზანი (13,844).

„ოთხი ათასწლეულის“ იქიდან ესმის ხმა (ენქიდუა ან გილგამეში“).

„მთელი ღამე მთვარეულივით ძილ-სიზმარეთის მტვრიან გზაზე დავეხეტები“, ნათქვამია ლექსში „მორჩება“ (14,72).

ლექსში „ძლევამოსილი იმპერია“, აქცენტი მოდის პოეტის „ხმის ძლევამოსილ იმპერიაზე“ (14,254).

„დედამიწაა პოეტის ფიქრის დიდი ზეკარი“ (დედაო მიწავ) (14,280).

„უსაზღვრობაა“ ლექსის საზღვარი

დანტეს ჯოჯოხეთი და დაკარგული სამოთხე იხსენება ლექსში „გთხოვ, მაპატიო (14, 178).

ზღვები, ოკეანეები, ცათა მიღმა სამყაროა პოეტის მოგზაურობის ასპარეზი: „კვლავ მიელტვი ზესთა სამყაროს და ცათა მიღმა უგზო–უკვლოდ დაეხეტები – მარადისობას წამით თავი რომ შეაფარო“ (14,299).

ასტრალურ მოგზაურობას ეხება ლექსი „ფრთები ქართული“ (14,602).

„მარადისობის ოკეანეა“ პოეტის საასპარეზო (14,612).

არა მარტო მიწიერში, არამედ „სადღაც ტრანსცენდენტურში“ ჭვრეტა დაჰბედებია ლექსის დიდოსტატს.

ხმაც „კოსმიურია“ (14,685).

„ყოფნა და არყოფნა, სოფელი და ზესთასოფელია“ პოეტის კვლევის ასპარეზი (14,688).

„ზესკნელ-ქვესკნელის კარის“ შეღება დაჰბედებია (14,704).

„სფეროებისა და პლანეტებს“ შორის, „ათასწლეულების“ საიდუმლოებებში ხეტიალია პოეტის მიზანი (14,836).

„პოეზიას მიჯაჭვული ქართული სიტყვის გოლიათი, პოეზიის ოკეანეში“ დაცურავს (14,918).

ლექსში „ბედს ნუღარ ემდური“, ნათქვამია: „სიკვდილის და სიცოცხლის საზღვარს გადააბიჯე, თვალში შემოგციცინებს სხივი ტრანცცენდენტური და სტუმრობის შიში აქვს შენი, უცხო პლანეტებს“ (14, 1105).

პოეტს მომადლებული აქვს უნარი „ვარსკვლავებზე ხეტიალის“ (მე ერთი ვარ) (14,1031).

მიზანია „სამყაროს გრძედებსა და განედებზე“ დაკვირვება (რადგან ღმერთმა ინება (14,1283).

„ფიქრი შარაზე მომკლა წანწალმა“, აცხადებს პოეტი (14,397).

„კოლხურ ფსალმუნებში“ „ათასწლეულებია აკინძული“ (14,1369).

პოეტი არის „სამყაროს გონს ნაზიარები“ (მზე და მთვარე) (14,1392).

„ვით დანტე ალიგიერი, ჯოჯოხეთში ვარ ნამყოფი, მოვლე სიკვდილის მღვიმე... არარა არის ამ სოფლად საფლავის ქვაზე მძიმე“, ნათქვამია ლექსში „საფლავის ქვა“ (14,83).

დამოწმებანი

1. რუდოლფ შტაინერი, ადამიანის გზა თვითშემეცნებისკენ რვა მედიტაციაში, თბ. 2000
2. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ. 1991
3. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, III, თბ. 1991
4. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა, კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიას თარგმანი, პითაგორა, თბ. 1994
5. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნით გადმოცემა, თარგმანი ეფრემ მცირეს და არსენ იყალთოელის, თბ. 2000
6. გიორგი გურჯიევი, „სიყვარულის ორის სახე“, თარგმანი მიხეილ ხერგიანის, თბ. 1992
7. სიცოცხლე მოდის სიცოცხლისგან, მისი ღვთაებრივი მოწყალება ჩ. ბჰაკტივედანტა სვამი პრაბჰუპადა, თბ., 1990
8. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, თბ. 1985
9. დანტე, „ღვთაებრივი კომედია“, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, „პალიტრა L“, თბ. 2012
10. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“, ტ. I, თბ. 2001
11. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“, ტ. II, თბ. 2001

12. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“, ტ. III, თბ. 2006
13. კოლხური ფსალუმენები“, ტ. IV, თბ. 2006
14. კოლხური ფსალუმენი“, ტ. V, თბ. 2011

ცათა ცამდე ამაღლებული

ღვთისმეტყველები განარჩევენ „ხორციელი თვალით ყურებას“ და „სულიერი თვალით“ – გონებათა და გულით ჭვრეტას“ (1, 392).

„ცხოველი სარწმუნოების მეშვეობით სულიერი თვალი ღმერთს ხედავს“, ირწმუნება წმინდა ეპისკოპოსი ეგნატე (1, 435).

წმინდა ისაკ ასური აცხადებს: „...თუ განწმენდილი ხარ ვნებათაგან, მაშინ შენშია ცა და ამ ცაში ხედავ ანგელოზებს, ნათლით შემოსილებს და მასთან ერთად მეუფეს მათსა“ (1,231).

წმინდა გრიგოლ პალამა მოგვიწოდებს: „მხურვალედ ვითხოვოთ, ძმანო, ზეციური სიმაღლეები და მიველტვოდეთ სილაჟვარდეს“ (1,388).

„ჩვენი მოქალაქეობა ზეცაშია, საიდანაც ველით მაცხოვარს უფალ იესოს“, გვმოძღვრავს პავლე მოციქული (ფილიპელთა 4,20)(2,426).

მხოლოდ ღმერთი „ამაღლებული ძველთუძლეველს ცათა ცაში – აგერ ის გამოსცემს თავისი ხმით ძლიერების ხმას“ (ფსალმუნები, 68,34)(2,592).

დანტე ალიგიერისთვის მთავარი იყო „ციური საზრდო ცაში მიღებული“, „ღვთაების სხივი“ (3, 361).

„სულიერი თვალით“ მომადლებული იტალიელი გენიოსი აცხადებდა: „მივეახლეთ ზეცის სფეროს, ზესთა ზენარულს“ (3, 391).

დანტემ იხილა „ცანი ცათანი“, მოისმინა „ზეციურ ლირათ ჟღერა“, მისთვის მთავარი იყო ცაში მიღებული, „ციური საზრდო“ (3, 438).

იტალიელი პოეტი საუბრობს „ზეარსებათა მარადიულ თვალზე“ „სხეულს ჯერ არ გაყრილი სულის ცისკენ სწრაფვაზე“ (3,222).

მუდმივად მიწას მიჯაჭვული, „მარადჟამული მშვენებისგან“ გაუცხოებული სულები ისჯებიან „ღვთაებრივ კომედიაში“: „ცა გიხმობთ ისევ და ტრიალებს იგი თქვენს თავზე, გიჩვენებთ თანაც მარადჟამულ მშვენებას თვისსა, მაგრამ თქვენ მაინც ისევ მიწას მისჩერებიხართ და ამიტომაც სასჯელს მიწვდით ყოვლისმხილველი“ (3,233).

მზერადაბინდულების განაცხადი ასეთია დანტეს პოემაში: „რადგანაც თვალნი არასოდეს მიგვიქცევია სიმაღლეთადმი, რადგან ვჭვრეტდით მხოლოდ მიწიერს, მართლმსაჯულებამ მოგვისაჯა მიწისთვის ცქერა“.

„გამუდმებით გახსოვდეს ღმერთი და გონება ზეცად შეგექმნება“, გვმოვღვრავს წმინდა ნილოს სინელი (1, 106).

ნეტარი ავგუსტინე აცხადებდა. „ადამიანს ... გონებით აღმატებულს... თვით ზეცამდე ამაღლება შეუძლია“ (4,264).

წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველისთვის მთავარი იყო „ზეციური სამშობლო, ზეციური იერუსალიმი“ და გვმოძღვრავდა: „ღვთის სახლი გიყვარდეს. ხოლო თავი შენიც ჰქმენ სახლად ღმრთისა, ყოველდღე ეზიარე საიდუმლო სერობას“ (1,108,111).

გალაკტიონი ხედავდა „ცათა ცას“. პოეტების მეფეს ეიმედებოდა ცის სავანეში დამკვიდრება: „შუქად მშობლიურ ცას შეეშენები“ (5, 276).

„ჩემი ნაზი სამშობლო ლაჟვარდები ცისფერი“, აცხადებდა ტერენტი გრანელი (6, 117).

„ჩემი სამშობლო ზეცაა თავად... „ცა გარდაგვეხსნა მარადჟამული“. „მაღალი აზრი უფსკრულთა ზედა... კვლავაც აღმართავს ხელთუქმნელ სვეტად, ჭეშმარიტების შენისა ჭვრეტად, მშობლიურ ცასთან კვლავ შეგაერთებს“, აცხადებდა ეროვნული გმირი, ღვთისმეტყველთა სიბრძნესთან წილნაყარი მერაბ კოსტავა (შიმშილობა) (7,11-16,133).

„ანგელოზად ქცეული შენი სული ცად ფრინავს“, აცხადებს ვაჟა ეგრისელი (8,1382).

ბიბლიურ პერსონაჟებივით ნათელშემოსილა პოეტი: ...„ცამ ნათელი მოგაფრქვია, ვით სოლომონს სიბრძნის წყარო, შენ უფალი ღმერთი გწყალობს, როგორც სამსონს და გედეონს“.

მარადიულ ცაში დამკვიდრების საწინდარია ომებში გამარჯვება...

„მოგებული გაქვს ომები დიდგორისა და მარაბდის. აწ მარადი ცაა შენი საცხოვრისი“ (8,1115).

„ვარსკვლავებით მსხმოიარედ“, „საქართველოს ლურჯ ცად“ უქცევია პოეტი განგებას (8, 876).

ოლიმპოს ცაზე მხოლოდ „ზევსის ნათლულები“ ანათებენ (8, 73).

„ცის და მიწის „ფიქრებად ქცეული“ ეწაფება ვაჟა ეგრისელი „ცით გადმოსულ სიბრძნის წყაროს“ (მიმწუხრისას) (8,9311).

„სიბრძნის ციდან მონაბერი ქარიშხალი“ უბერავს პოეტის შემოქმედებიდან (8, 975).

დანტეს „ათ ცას“ ეგრისელის „ცამეტი ცა“ ენაცვლება (8, 1378).

„მოგებული“ გაქვს ომები დიდგორისა და მარაბდის... აწ მარადი ცაა შენი საცხოვრისი“, ასე ობიექტურად აფასებს პოეტი თავის შემოქმედებას (8,1115).

„ცა უფალია“, ასე განიმარტება ეს სახე.

„ცამ ნათელი მოგაფრქვია, ვით სოლომონს სიბრძნის წყარო. რაც უნდ გიმტრონ და გედაონ, შენ უფალი ღმერთი გწყალობს, როგორც სამსონს და გედეონს“ ასე ესმება ხაზი პოეტის გამორჩეულობას (8, 1196).

„ძნელია ქართულ ცად ქცევა, მაგრამ უთუოდ იქცევი“, ნათქვამია სხვაგან (8,1195).

მხოლოდ გრაალის ორდენის რაინდებს მოელით „მეცხრე ცა“ (8,1119).

„წელი არის ერგასი, მიწად არა, ცად ვსახლობ“, ნათქვამია ლექსში „ცვლის ოქროს ფაფარით (8,1258).

„კოლხურ ფსალმუნს, ცა იფარავს, როგორც ცეცხლის საგალობელს“, აცხადებს ცის, ღმერთის ხელდასხმული პოეტი.

„ცათა იდუმალების“ მაძიებელი „კოლხური ფსალმუნების“ ავტორი „უფანაშიდების“ ტოლფარდი ქმნილების ავტორია (ტოვებ უფანაშიდებს) (8,1405).

შემოქმედს „ცისკენ ეწევა სხივი ნათელმხილველის, სიბრძნე ეზოტერული“ (5, 963).

რუდოლფ შტაინერი ყურადღებას ამახვილებს „სულიერ სმენაზე“, სულიერ ხედვაზე, პითაგორელთა „სფეროთა მუსიკაზე, შუქურვარსკვლავიან აურაზე, ზეცისკენ მზერაზე, ზემიწიერ ძალებთან კავშირზე, სულიერებიკენ მიმავალი გზის პოვნაზე...“ (9,22).

ვაჟა ეგრისელს აინტერესებს არა მხოლოდ მიწა, არამედ ცა, ცათა ცა, სულის სავანე, ჩვეულებრივთათვის უხილავი სფერო.

პოეტი ხედავს არა მხოლოდ ცხრა ცას, არამედ ცამეტს: „მშვიდთა მიწა – მეცამეტე ცაშია, სად ნეტართა დიდი სამყოფელია, განქარდება ცისქვეშეთში ყოველი“ (8, 231).

„ჩემმა ხსოვნის ცამ აიხადა რიდე მანდილი“, წერს პოეტი, რომელსაც ესმის „ხმა ცისიერი და მსასოოვარი“ (10,139).

„რწმენის ცა ჩაუქრობელი იმედებით და ვარსკვლავებით კვლავ იკვირტება“, აცხადებს პოეტი (11, 61).

„მამულის შუაკერიდან” მიიწევს ცისკენ პოეტის სული (ჩემი სული) (10,73).

„ცას რომ შევხედავ, გაიღვიძებს ჩემში უფალი“, ასეთი განაცხადია ლექსში „ცა მშობლიური“ (10,556).

მხოლოდ ერთეულებს ხელეწიფებათ „გარდასულ დროთა მღვრიე ცაში ხეტიალი“ (თქვენს შესახებ) (10,562).

მიზანია „რწმენის ცაზე“ „უხილავის, მზეთამზის“ – უზენაესის ხილვა (ჩემს რწმენის ცაზე) (1,422).

„გვიხმობს, გვეძახის ცა კოსმიური“, აცხადებს პოეტი (11,357).

სამშობლოს მომავლის მხილველს „მზის ზარი“ ჩაესმის: „სადღაც მზის ზარს რეკავს – საქართველოს ცის გუმბათი“ (გველოდება ვაჟას მთები) (11,371).

ინტერესის საგანია „ცა მარადიული“, „ცეცხლი ღვთაებრივი“ – უზენაესი (12,397).

ბედისწერით არის განსაზღვრული ცამდე ამაღლება: „... ჩემი ბედი ცად დაირწა. მთვარესავით ცად ვბინადრობ, ციდან დავმზერ დედამიწას“ (ჩემი ბედი) (12, 177).

უფლის ცაშია ცოდნა, „სიბრძნის ღვინო“, რაც სულის მკურნავია: „მსურს, რომ სული განვიკურნო მთვარის ჩანგით, სიბრძნის ღვინით, როცა უფლის ცას შევუვლი, ღამის დარდში გახვეული, მნათთა შორის სიბრძნე ღვივის“ (ღამის დარდში გახვეული) (12,100).

ვაჟა ეგრისელს ცაში მოგზაური წინამორბედები არ ავიწყდება: „ვარსკვლავთა ოქროს ნავებზე ჰკიდია მთვარის ოვალი და მიაქანებს „ოქროს ნავს“ მისკენ პოეტი მომავლის. ალბათ ცა ასე უხმობდა გალაკტიონს და ნოვალისს“ (მომავლის პოეტი) (12,552).

მხოლოდ ფრთოვანთ, ასტრალური მოგზაურობის უნარით მომადლებულთ ხელეწიფებათ „იქაური“, „კოსმიური ცის“ ხილვა: „დღე და ღამე შენი ფრთებია... მიტომ მოგელის ცა კოსმიური“ (12, 117).

მზის და ზეცის მადლია „მიწიური ცოდვისგან“ განწმენდა: „მზის მადლს გამოყოლილი, მოფრენილი ზეციდან, ისევ ცის-კენ იურვი, მიწიერი ცოდვისგან გამწმენდს ცა კოსმიური“ (მზის მადლს გამოყოლილი) (13,148).

„ღამის წყვდიადი“ ეშმათა და ბელზებელთა საუფლოა, „მაცდურთა“ გამკიცხველი პოეტი კი მეცამეტე ცის იქით არის დავანებული: „ათასმა ეშმამ და ბელზებელმა ღამის წყვდიად-ში თავი მიმალა, რადგან მაცდურთა ვარ გამკიცხველი, მეცამე-ტე ცის იქით მიმავალს“ (13,475).

დანტეს ათ ცაზე, თავის ცამეტ ცაზე საუბრობს ვაჟა ეგრისე-ლი: „გიყვარს დანტეს ათი ცა“: „დღე და ღამე ლოცულობ... და გაქვს მისი ხათრიცა, ვინც დღესა ცვლის ღამეთი... გიყვარს დანტეს ათი ცა... ეგრისელის ცამეტი“ (14,1378).

„ცა უფალია... სამყარო იდუმალი წიგნია, ვარსკვლავთა ოქროს ასოებით დაწერილი“ (19,1381).

„ცა ღმერთია და ბედს ის განაგებს“ (ვით ჩინელს და ინდო-ელს) (14,1400).

ცაში იწერება მიწის პროგრამა, ადამიანის ბედი, მაგრამ მი-ზანი „საზღვარს იქით“, „ბედს იქით“ სწრაფვა უნდა იყოს: „ჩვე-ნი ბედისწერის ძაფს, მზის ცხელ გულზე ართავს ცა, მაგრამ თუკი ვიმარჯვეთ და სიკვდილსაც გავთასმავთ, მაშინ წელს ასს კი არა, ჩვენ ვიცოცხლებთ ათასსაც“ (14,1402).

ზღვის ქარის და ცის უსაზღვროებაა პოეტის იდეალი: „...მე და ზღვას გვიდგას ერთი სული, ცით გადმოსული სული ქარიშ-ხლის“ (14, 1403).

ცა მოიაზრება, როგორც უფალი, სამყარო როგორც წიგნი: „ცა უფალია... სამყარო იდუმალი წიგნია, ვარსკვლავების ოქროს ასოებით დაწერილი“ (14, 1381).

ცაში ფრენა მხოლოდ წმინდა სულების ხვედრია: „ანგელოზად ქცეული შენი სული ცად ფრინავს“ (14,1381).

წუთის და წამის გამარადისება, „მთიებად“ ქცევა ერთეულთა ხვედრია: „ფიქრმიუწვდომელ სიშორის ციდან მთიებად ცვივა წუთი და წამი“ (14, 1385).

დედამიწაზე დაუტევარი პოეტის ჯვარცმული სული დანტესავით უნდა მიეახლოს ზეცას: „მარად ცისკენ მზირალ შენს სულს დედამიწა ვერ დაიტევს, მალე უნდა ჯოჯოხეთის ჯვარზე ეცვა და შენც ისე, როგორც დანტე, მალე უნდა მიეხლო ზეცის თავანს“ (როგორც დანტე) (12,818).

ცის მოვლის შემდეგ, მიზანია დანტესავით, ქვესკნელს ჩასვლა: „ცა გაქვს მოვლილი... და ახლა, ვით ალიგიერი ქვესკნელს უსინჯავ ფერსა და გემოს“ (12,602).

ვაჟა ეგრისელი პატივისცემით იხსენებს ციური სულის იოანე მინჩხს და იოანე მტბევარს: „სული ედგათ ციური, ცაში ყვავილს ეძებდნენ იოანე მინჩხი და იოანე მტბევარი“ (12,848).

ყვავილი ქრისტეს მეტაფორაა: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტის ისმის ჩვენს მხარეში (ქებათა ქება სოლომონისა, 2,12) (15,488).

პოეტს ესმის „წყვდიადის იქით“ „ცისა და მთვარის კარის ჭრიალი“ (ცეცხლით ბურველი ხელით) (12,588).

„ქართლის მაღალი ცა“ იყო პოეტის თავშესაფარი, „სადაც აჰქონდა ლეგენდები და მითები (12,273).

ვაჟა ეგრისელის მიერ წუთსა და წამში „ფიქრმიუწვდენელ სიშორის ციდან“ იქმნება „სიტყვის მთიები“ (14, 1385).

„ცის მთებში“ მოხეტიალე პოეტს მარადიულობას, ზეცად ქცევას ჰპირდება უზენაესი: „ცივი კივილი მესმის მთვარიდან:

მიწად კი არა, საქართველოს ზეცად იქცევი“ (სინათლის ტორებს სცემენ სივრცეებს)(12,618).

ჯვარცმის მიზანი სამშობლოს სახელის ამაღლებაა: „აღმართავ პირამიდებად დღეებს – მოცელილს, მოცელილს და აღსავლიდან დასავლით ამაღლებული ცასავით, სამშობლოდ გადაიქევი” (12,573).

„ცას მიკარგულ ვარსკვლავების რეკვა მაინც მესმის ციდან,“ აცხადებს ნათელმსმენი პოეტი ლექსში „ცას მიკარგულ ვარსკვლავების“ (14,402).

„სიყვარულთან“ – უზენაესთან წილნაყარი პოეტი „ცას და მიწას უსინჯავს მაჯას“ (სიყვარულია ქვეყნად ყოველი) (11,764).

„ცისკენ გეწევა ცისფერი, როგორც ტატოს და ნოვალისს“, ნათქვამია ლექსში „ცისფერი ყვავილი“ (14,846).

ცაში მხოლოდ ის მკვიდრდება, ვინც „ძმათა თვისთა სატანჯველად გვემა სხეული“, ამის მაგალითია ცოტნე დადიანი (ცოტნე) (15, 648).

პოეტი „ხსოვნის ცაში“ აჰყავს სიყვარულს, რწმენას, „ალვას, პალმას, კიპარისს“ (14,919).

ალვა, პალმა, კიპარისი სიცოცხლის ხის, ანუ უზენაესს სიმბოლოებია (16, 124).

პოეტს ესმის ღმერთთან მებრძოლი იაკობის კვნესა, ქრისტეს მიერ იოგების და ოკულტისტების ზეცაში ხმობა: „საიდანღაც კვნესა ისმის ღმერთთან მებრძოლ იაკობის და ზეცაში უხმობს ქრისტე „სათნოების ფრთით“ შემკობილ იოგებს და ოკულტისტებს“ (14, 949).

იდეალია „ცით გადმოსული სიბრძნის წყარო“ (მიმწუხრისის) (14,931).

„ცათა მიღმა“ მჭვრეტელი პოეტი განადიდებს ქართულ ანბანს. „ცათა მიღმა მთიები კრთის, როგორც ანბანი ძველ–კოლ-

ხურ–მეგრული, ჩე გოლაა შამბალა, ურის მთა და ანდები და თასი იქ მეგულვის“ (8,1175).

შამბალას ჰიმალაის მთას უკავშირებენ, სადაც კონცენტრირებულია ენერგიები პარალელური სამყაროებიდან და გამოარჩევს კოსმიური ცოდნა.

ამ ადგილით დაინტერესებული იყო ელენე ბლავატსკაია.

ნიკოლოზ და ელენე რერიხებმა იმოგზაურეს ჰიმალაისა და ტიბეტში,გაეცნენ ლამაიზმს, შეხვდნენ ჰიმალაის მაჰათმებს. ელენე რერიხმა ჩაიწერა ზეციური კარნახი, ცოცხალი ეთიკა, რომელსაც „აგნი იოგა“, „ცეცხლის იოგა“ უწოდა. ელენე რერიხის მოძღვრება ახლოსაა ქრისტიანულ ცნობიერებასთან.

ამ პრობლემისადმი ინტერესს ავლენდნენ ელიზაბეტ და მარკ პროფეტები (შამბალა არის უკვდავი იოგების სავანე, რომელსაც უხილავი მცველები იცავენ (14,15).

„უფლის ხელით დაწერილი ცა დღე-ღამის არის წიგნი“, აცხადებს პოეტი (14, 1268).

„კოლხური ფსალმუნები“ „ზეციური არის წიგნი“, რომელშიც „ციურ აზრთა ნადავლია“ (14, 1143).

„სიყვარულის სალ კლდეზე“ მიჯაჭვული პოეტი დანტესავით ცაში ეზიარება „ზე-სიყვარულს ღვთაებრივს“ (14,1016).

უმაღლესი მიზანია ოქროპირივით მიწის ზეცად ქცევა (14, 1334).

პოეტს სწამს: „ჩემი ცათა ცათანი უცხოს, არა აქაურს, აისხამენ ვარსკვლავებს, როგორც ძვირფას სამკაულს“.

ცათა ცა უფლის, ანგელოზების, წმინდა სულების სამკვიდრებელია, მე-9, მე-10, მე-11, მე-13 ცამდე ამაღლებულ პოეტი ისმენს „ანგელოზების ციურ გალობას“, ითავისებს არა წარმავალ, პრაგმატისტთა აზრებს, არამედ საღვთო, მარადიულ სიბრძნეს: „სადღაც შორეთს მიქრიან შენი ლექსის რაშები და თან მიაქვთ მსოფლიოს ციურ აზრთა ნადავლი“ (ზღვა ბობოქრობს მგოსანთა) (12, 948).

ვაჟა ეგრისელი ჩაწვდა არა ეგზოთერიკულ, არამედ ერთეულთათვის გასაგებ ეზოთერიკულ–მხოლოდ განდობილთათვის მისაწვდომ სიბრძნეს.

პოეტმა უშიშრად იმოგზაურა „ცის მერიდიანებზე“, იხილა „ხილული და უხილავი“, მოისმინა „ციური გალობა“. გახდა „ცის მჩხიბავი“, „მაღალი და მაღლად მხედი“, „ცის ლურჯი სიმშვიდე“ გახდა მისი საიმედო თავშესაფარი, „ნავი და ნავთსაყუდარი“.

„ცა უფალია“, რომელიც მხოლოდ წმინდა სულის ადამიანებს წყალობს, ნიჭს, ღირსებას უბოძებს, მარადისობას მიაახლოებს, ოქროს წვიმას აწვიმებს.

წვიმა საღვთო სახელია: ღმერთი – „იგი ჩამოვა, როგორც წვიმა მოთიბულ მდელოზე, როგორც წვეთები, მიწამ რომ რწყავენ“ (ფს. 71/72,6) (2,559).

„ცის მჩხიბავი“, „მაღალი და მაღლად მხედი“ ისმენს „ციურ გალობას“, მისი მიზანი უძნელესია: „„ძნელია ქართულ ცად ქცევა, მაგრამ უთუოდ იქცევი“ (მივარდნილ ჟამთა ქარიშხლებს).

ასე მაღლდებოდა ვაჟა ეგრისელი არა მხოლოდ ხილულ, არამედ „ძველთუძველეს ცათა ცაში“ (ფს. 68,34)(2,592).

დამოწმებანი

1. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, III, თბ. 1994
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
3. დანტე, „ღვთაებრივი კომედია“, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, „პალიტრა L“თბ . 2012
4. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, თბ. 1995
5. გალაკტიონ ტაბიძე, „პალიტრა L“თბ . 2011
6. ტერენტი გრანელი, თბ. 2011
7. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990

8. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“, ტ. 5, თბ., 2011
9. რუდოლფ შტაინერი, „თეოსოფია“, თარგმნეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ 1995წ. რედაქტირებულია 1998 წელს
10. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები, ტ. 3, თბ., 2016
11. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები, ტ. 4, თბ. 2008
12. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები, ტ. 2, თბ. 2006
13. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები, ტ. 1, თბ. 2001
14. ბიბლია, თბ. 2013

ძვირფასი თვლების მაძიებელი

ვაჟა ეგრისელის ესთეტიკური მრწამსი მრავალგვარ ასპექტში ნასაზრდოებია წმინდა წერილის სიბრძნით.

„იგავთა წიგნში“ ნათქვამია: „...სიბრძნე უმჯობეს არს ოქროსა და ანთრაკის პატიოსნისა მსოფლიოს, ხოლო სიტყვანი ჩემნი უფროის ოქროსა რჩეულისა“ (1, 288,19).

„უმჯობეს არის მოგებად, ვიდრე ოქროისა და ვერცხლის საუნჯეთა“.

„მართვენი სიბრძნისანი უფროის და უმეტეს ოქროისა, ხოლო მართვეანი გონიერებისანი ურჩეულეს უფროის ვერცხლისა“ (იგავთა წიგნი, 300,16).

წმინდა წერილში ნათქვამია: „დავაფასებ კაცს ხალას ოქროზე მეტად და ადამიანს ოქროს ზოდზე მეტად“ (ესაია წინასწარმეტყველი 13,12)(1, 83).

დავით წინასწარმეტყველი მიმართავს უზენაესს: „შევიყვარენ მცნებანი შენნი უფროის ოქროსა და ანთრაკისა“ (ფს. 18,126) (2,143).

ამქვეყნიურ ამაოებათა დათმობა, სულიერი სისპეტაკე, ზნეობრივი სრულყოფა ნეტარი ავგუსტინეს ესახება, როგორც

„მარგალიტი კეთილი მრავალსასყიდლისა და არა ოქრო – ვერცხლი თუ ძვირფასი ქვები“ (აღსარება)(3, 190,250,418).

მიქაელ მოდრეკილი, ბასილი ნეოკესარიელი, იოანე მტბევარი, იოანე ოქროპირი ყურადღებას ამახვილებენ „ოქრეან სიტყვაზე“.

ქართულ ჰიმნოგრაფიაში ოქრო სულიერი თვისებების სიმბოლოა.

ანალოგიური აზრია იოანე პეტრიწის „სათნოებათა კიბეში“, ხოლო ამათი შთამაგონებელია სახარება, ქრისტეს სიტყვა.

„ნევმირებული ძლისპირნის“ (გამოგვქონდა 1982წ.) მიხედვით, მარიამ ღვთისმშობელი მოიხსენება, როგორც „სამეუფო მარგალიტის მტვირთველი“ (4).

„უძველეს იადგარში“ (გამოიცა, 1980წ. XVს. რამდენიმე ხედნაწერის მიხედვით) ძე ღმერთის დედას ეწოდება „საუნჯე დაბეჭდილი“.

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ მარიამი მოიხსენება, როგორც „უსასყიდლო მარგალიტი“, ალმას–ანთრაკ–საფირონი, იაგუნდი, ლალი, ოქრო (6, 42,45,103).

„უფანაშიდების“ მიხედვით, „ჭეშმარიტებაა ოქრო“.

გიორგი ლეონიძე აცხადებდა გალაკტიონზე: „მარგალიტად დასხმულია ხალხის გულში შენი სიტყვები“

ასეთი მრწამსის წყაროა წმინდა წერილი: „მიიღე ჩემი შეგონება და არა ვერცხლი, ცოდნა მეტია ხალას ოქროზე.

„რადგან სიბრძნე უკეთესია ძვირფას თვლებზე...

„სიბრძნის შეძენა ოქროზე უკეთესია, ჭკუის მოხვეჭა ვერცხლზე უმჯობესი“ (იგავნი სოლომონისა, 8, 10,11,16)(7, 466,471).

ოქროს ძიება „კოსმიური სიბრძნის, სულიწმინდის, ღვთისმშობლის ძიებაა“ (ზვიად გამსახურდია) (8,38).

გალაკტიონი ეძებდა ოქროს საბადოს – კლონდაიკს, ახალ კლონდაიკს, „ოქროს მიწაში, ოქროს წყალში, ოქროს ტალახში“, „სხვა ოქროს–პოეტურ სიბრძნეს: „თანამედროვე სხვა ოქროის შექმნას კედელი, არ დაიღლება ქალაქების ოქრომჭედელი“ (9, 324,325).

შემდეგ ასე ზუსტდება სათქმელი: „არ მინდა ოქროს პოვნა, რაც მსოფლიოში არი. ჟღერს სამშობლოის ხსოვნად ძვირფასი ოქროს ქნარი“ (ოქროს ქნარი) (9, 253-254).

პოეტების მეფე ასე მიმართავდა მილიონებზე დახარბებულ პრაგმატისტებს: „თქვენ გენატრებათ ლოჟა, პარტერი, თქვენ გინდათ გახდეთ მილიარდერი, მე კი ვარჩევდი გზას უნაპიროს, ცოტა სიყვარულს და ღერ პაპიროსს“.

„გალაკტიონის იდეალი იყო „საკუთარი შტამპით მოჭრილი ოქრო“ (იდეა), ანუ ინდივიდუალური, ორიგინალური ელფერით გამორჩეული შემოქმედება.

„მთაწმინდის მთვარის“ ავტორი „ოქროს“ ლაჟვარდში ეძებდა, „სხვა სინამდვილე, სხვა ოცნება“, ანუ ზეცით ინსპირირებული, ხელოვნებაში დაუნჯებული მარადისობა აინტერესებდა (შედუღება ოცნებისა და სინამდვილის).

პოეტი ზღვაში „ოქროს თევზს“ მოიხელთებდა, რაც სიტყვის ოქროს, ჭეშმარიტებას გულისხმობს.

„მართლა ვარ მილიარდერი“, აცხადებდა და თავის შედევრებს გულისხმობდა.

გალაკტიონი „დაკეტილი განძის“ მოხელთებას ცდილობდა (დღითა და ღამით), ეს განძი კი იყო სიტყვის ოქრო, ლაჟვარდის ოქრო ანუ თავისი ღრმააზროვანი გამონაგონი, პოეტური წარმოსახვები.

პოეტს აინტერესებდა „ხმები... ჯადოსნურად მოოქრული“ (ხმები, ჯადოსნურად მოოქრული) (9,64).

„მალსტრომთა ძირით ვკრეფდით მარგალიტს“, წერს პოეტი „ზღვის ეფემერაში“ და მარგალიტიც მისი განუმორებელი

მხატვრული სიტყვის კოდია, როგორც „ხელოვნებაში“: „ხელოვნება მარგალიტს ჰგავს, მას ზღვა ფარავს შეუცვლელი, რას იშვიათ თუ მისწვდება კაცის გული, კაცის ხელი“ (9,9).

XX ს. რენესანსის წარმომადგენელი სამართლიანად უწოდებდა თავის დროს „ოქროს ხანას“.

დარწმუნებული იყო, რომ „ძველისძველ ღვინოსთან“ ნაზიარებს, არც ოქროები აუთავდებოდა (ძველისძველ ღვინოს) (9, 38).

„ძველი დაწმენდილი ღვინო“ უფლის სახელია წმინდა წერილშია (ესაია წინასწარმეტყველი, 25,6) (7,91).

ანალოგიური შინაარსისაა პოეტის „ცისფერი ღვინო“.

ქართველი პოეტი აქცენტს აკეთებდა რუსთაველის სიბრძნის ზღვაზე, „ოქროს ხანაზე“ და თვითონაც „ოქროს ქნარის“, „უზარმაზარი მსოფლიო ქნარის“ მფლობელი, ძველი ელადის, ძველი რომის ტრადიციებთან წილნაყარი, მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის რენესანსის წარმომადგენელი იყო. პოეტს კლონდაიკთან, ახალ კლონდაიკთან ერთად ეზმანებოდა ოქროს საბადო კოლორადო (ხმოვანი კინო) (9,321).

„ისევ ის განძი და კოლორადო ვნახე წუხილის, პანორამა შორეული კოლორადოსი“, წერდა „აჭარის სილაჟვარდებში“ (9, 113).

გალაკტიონის იდეალი იყო წარსულის ოქროს საწმისი (არგონავტები ახალი დროის) (9,132), იგივე გრაალი, რომელზედაც შექმნა შედევრები: „მზეო თიბათვისა“, „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“.

პოეტის სულის ხომალდი „მუდამ „სიახლის ნაპირზე“ იდგა, „ახალ სიტყვებში მყოფი სამყაროს“ არქიტექტორი, „ოქროს ხანის“ უპირველესი მესიტყვე.

ოქროსგან ნეოლოგიზმიც შექმნა: „ოქროეთი“. მისი ხმები „ჯადოსნურად მოოქროულია“ (ხმები, ხალხში ყურმოკრული) (9,64).

უსაზღვრო თვალსაწიერის პოეტი „მალსტრომთა ძირით მარგალიტს“ ეძებდა (ზღვის ეფემერა), „ლალისა და ბრილიანტის“ პოვნა ხელეწიფებოდა (რამ შექმნა რამე დიადი) (9,138-139).

სიტყვებს „ალმასებად, იაგუნდებად, ლალებად“ მოიხსენებდა.

„ულევი ოქროს“ პატრონი აცხადებდა: „ოქროსა ვჭრი, როგორც ვჭრიდი, საკუთარი შტამპით (იდეა).

ამერიკელი პოეტს – ედგარ პოს კოლორადოსა და კლონდაიკში ეგულებოდა ოქროს საბადო.

„თვალ-მარგალიტს“ ეძებდა ზეცაში (სონეტი მეცნიერებას) (10,34).

„ოქროს ქვეყნის სიმბოლო ელდორადო ედგარ პოსთან ჭეშმარიტების ძიების მეტაფორად არის გადაქცეული“ (კოტე ჯანდიერი)(10,111).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში შემოქმედებითად გრძელდება წინაპართა ტრადიციები.

„მარგალიტებში ეძებ მარგალიტს“, აცხადებს პოეტი (11, 866).

ეს მარგალიტები მხოლოდ და მხოლოდ სიტყვის მარგალიტებია.

პოეტის მიზანია მოიხელთოს „ციურ აზრთა ნადავლი“, ანუ მარადიული სიბრძნე.

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი ცაში ხედავს „ბივრილს, ანთრაკსა და თვალმარგალიტს“ (პონტო) (12,1164).

ჭეშმარიტების, ძვირფასი თვლების მომმადლებულია ცა, უზენაესი.

„ჭეშმარიტების ტევანი“ მხოლოდ რწმენით მოიხელთება.

მარგალიტების ძიება უზენაესი, საღვთო სიბრძნის ძიებას გულისხმობს (მინაწერი „კოლხური ფსალმუნების ათასტომეულის IV ტომზე) (13,830).

მთავარია არა ნივთიერი „თვალ–მარგალიტი“, არამედ ბიბლიურ წინასწარმეტყველთა სიბრძნე: „გაქრება თვალ-მარგალიტი, მაგრამ სახელს და დიდებას დრო–ჟამი ვეღარ მონისლავს, ვითარცა სიბრძნეს ზირაქის და იგავს სოლომონისას“, აცხადებს პოეტი, რომელიც ნაზიარებია წმინდა წერილის უზენაეს სიბრძნეს (12,628).

პოეტი დანტესა და ჰესესავით ლოცულობს „ჭეშმარიტების და სიბრძნის“ მომნიჭებელ ღმერთზე (12,832).

ვაჟა ეგრისელს ჭეშმარიტი სიტყვის ოსტატის მისიად ესახება „ფიქრის აქატის და მარჯანის“ მოხელთება, ცისკენ ცქერა, საუკუნის პრობლემების გათავისება: „ზის მაგიდასთან სიჩუმის სკამზე და ულამაზეს დღეების თვლაში – აყოლებს ფიქრის აქატს და მარჯანს და გაოცებულ დედამიწას ჩასცქერის თვალში და ცისკენ მზირალ დედამიწას უსინჯავს მაჯას“ (პოეტი) (19,35).

„ცის ტოტებზე უზენაესის ხელდასხმული სიტყვის ოსტატი“ „ლალს და საფირონს“ – უზენაეს სიბრძნეს მოიხელთებს: „...ქუხილი ჩემი ძახილია, – მინდა გაიგო, რომ ისევ მოვკრეფ ცის ტოტებზე ლალს და საფირონს და კვლავ მოგართმევ ვარსკვლავების ძვირფას თაიგულს“, თვითდაჯერებით აცხადებს პოეტი ლექსში „მინდა გიამბო“ (14,241).

„ოქროს საწმისის“ (უზენაესი სიბრძნის) მაძიებელ სიტყვის ოსტატს გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს აჩრდილი ადგას: „ბრძოლით დაღლილი და დაქანცული, ხელს – საუკუნის მაღალ მხარზე ჩამოვასვენებ და დამადგება ოქროს ჩრდილი ქალღმერთ ნიკესი, ვით გამარჯვების შორეული სვეტი ნათელი, მაგრამ ჯერ კიდევ მე ყველაზე უსასტიკესი ომი მაქვს კიდევ გადასახდელი“ (ბრძოლით დაღლილი და დაქანცული) (14, 223).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორის თავდაჯერება და რწმენა ნასაზრდოებია ორასზე მეტი ტომეულის შემქმნელის

ზეადამიანური ძალისხმევით: „პოეტსა და ალქიმიკოსს ოქროს რკინად ვერ გიქცევენ“ (12,1300).

ობიექტური განაცხადია: „ისევ შენ ხარ მფლობელი –ღვთიურ ოქროს საწმისის და გრაალის ორდენის“ (12,306).

საუკუნეობრივი ღირებულებით გამორჩეულია პოეტის სიტყვის „თვლები და მინანქრები“, „სამშობლოს ფიქრთა მთაზე დანთებული სიტყვის კოცონი“: „მარადჟამს ღვთიურ ცეცხლით მოსილი, მბრწყინავი თვლებად და მინანქრებად, საუკუნეთა ნადავლს რომ წონის, აზრის გოდოლზე დანთებული სიტყვის კოცონი შენი, – სამშობლოს ფიქრთა მთაზე აღარ ჩაქრება“ (15, 830).

ასეთი შეუვალი განაცხადის საფუძველია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო პრობლემების ობიექტური განსჯა – გაანალიზების უცდომელი უნარი.

დამოწმებანი

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
3. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, თბ. 1995
4. ნევმირებული ძლისპირნი, თბ., 1982
5. უძველესი იადგარი, თბ., 1988
6. დავით გურამიშვილი, „დავითიანი“, თბ., 1980
7. ბიბლია, თბ. 2013
8. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, წერილები, ესსეები, „ჯვარი ვაზისა, თბ. 1991
9. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
10. ედგარ პო, რჩეული ლირიკა, „დიოგენე, თბ. 2001
11. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები 5 ტომად, ტ. 4, თბ. 2017

12. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები 5 ტომად, ტ. 5, თბ. 2019
13. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები 5 ტომად, ტ. 3, თბ. 2016
14. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები 5 ტომად, ტ. 1, თბ. 2001

ტიტანური ტომეულების სახელწოდების – „კოლხური ფსალმუნების" შესახებ

ვაჟა ეგრისელი იმთავითვე განუდგა მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში ხელისუფლებისაგან დაკანონებული სოციალისტური რეალიზმის სტერეოტიპებს, დოგმებს, შაბლონებს, სატანისტურ იდეოლოგიას.

ეს შეეხება როგორც მის მსოფლმხედველობრივ სამყაროს, ისე მხატვრულ პალიტრას.

მისი პოეზიის ანი და ჰოე არის ქრისტიანული სამება.

პოეტი უგალობს უზენაესს, მის მარადიულ სიბრძნეს, მარადიულ სიყვარულს, უზენაეს სამართლიანობას, „ღმერთს – მამულს". მისი პოეზიის მისიაა რწმენის, სიკეთის სამსახური, ხალხისთვის ტაძრისკენ სავალი გზის ჩვენება, ეროვნულ-მოქალაქეობრივ იდეალებთან ერთად. მას სურს ებრაელი ხალხის წინამძღოლ მოსესავით ურწმუნოების უკაცრიელი უდაბნოდან გამოიყვანოს ხალხი, მოსესავით ხელთ იპყრას ჯადოსნური კვერთხი, რათა ბიბლიური წინაპარივით კლდიდან გამონადენი წყაროთი – რწმენით დაარწულის ხალხი და ღმერთის აღთქმულ ქვეყანაში მიიყვანოს. ამ ურთულეს გზაზე იგი ერკინება აპოკალიფსურ მხეცებს, ამარცხებს მათ და „გალობათა ციხე-კოშკს" აშენებს.

უფლის ძალისხმევით აწყნარებს ზღვას – ცოდვილ სავანეს და როგორც ბრძენი ზეციური მენავეთმოძღვარი, მიემართება უმაღლესი მთისკენ.

ვაჟა ეგრისელი წარმავალ მოდას – „სონეტს, ტერცინას, ტრიოლეტს" კი არ მიმართავს, არამედ თავისი რელიგიური პოეზიისათვის შესაფერისი "მთიებივით ტროპარს", „ლოცვისფერ კონდაკს".

წმინდა მამა გვირჩევს: „...იკითხე ტროპარები და მათი კეთილხმოვნებით ნუ ტკბები, ეცადე კარგად ჩასწვდე აზრს.

„...იშრომე, ილოცე, რათა მოიპოვო თვალნი, კეთილად მხედველნი.

„ვერავინ სძლევს ხორცის ვნებებს სულიერ სათნოებათა გარეშე. როგორც მზე არ ჩანს ნისლში, ისევე არ ჩანს სულიერი სათნოება, ვიდრე ვნებათა შფოთი არ დაცხრება.

„ევედრე ღმერთს, რათა მოგანიჭოს მხურვალება და სურვილი სულისა წმიდისა... ამას დაყუდების, მოღვაწეობის, წმიდა წიგნების კითხვის გარეშე ვერ მიიღებ და ნურც ეძიებ, რამეთუ თუ არასწორად ეძიებ, სულიერი საქმენი მალე ხორციელად გექცევვა" (ისაკ ასური, გონების დაცვისა და ჭეშმარიტი შინაგანი ხედვისათვის" (1, 246-247).

ვაჟა ეგრისელი, როგორც რელიგიური პოეტი, უპირატესობას საგალობლებს, ლოცვა-ვედრებას ანიჭებს.

აპოკალიფსში „ახალი საგალობლის" შესწავლა მხოლოდ ქრისტესათვის სისხლის გამღებთა ხვედრია: „ვიხილე: აჰა, კრავი დგას სიონის მთაზე და მასთან ასორმოცდაოთხი ათასი, რომელთაც შუბლზე აწერიათ მისი სახელი და მისი მამის სახელი.

გავიგონე ხმა ზეციდან, როგორც მრავალი წყლის ხმა და როგორც ძლიერი ქუხილის ხმა, რომელიც გავიგონე, ჰგავდა მექნარეთა ხმას, ქნარზე რომ უკრავენ.

ისინი გალობდნენ ახალ საგალობელს ტახტის წინაშე და ოთხი ცხოველისა და უხუცესთა წინაშე. და არავის შეეძლო ამ

საგალობლის შესწავლა, გარდა მიწისგან გამოსყიდული ასორ-მოცდაოთხი ათასისა” (იოანეს გამოცხადება, 14, 1, 2, 3) (2, 507-508).

ქრისტეს მხედრის, ახალი საგალობლის ოსტატის პრეტენ-ზიით გვეცხადება ვაჟა ეგრისელი.

ქართული სასულიერო პოეზია, რუსთაველის “ვეფხისტყა-ოსანი”, დავით გურამიშვილის “დავითიანი”, ნიკოლოზ ბარა-თაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, გალაკტიონის, ტერენტი გრანელის, ანა კალანდაძის შემოქმე-დება სავსეა გალობის, ლოცვა-ვედრების ინტონაციებით.

ვაჟა ეგრისელი დიდ წინაპართა თანავარსკვლავედში მოი-აზრებს თავის თავს, შემოქმედებითად, მოწიწებით ეკიდება მათ ტრადიციებს, მაგრამ იგი მზერას უფრო შორეული წარსუ-ლისკენ მიმართავს და მისი იდეალია ბიბლიური წინასწარ-მეტყველის დავითის ფსალმუნები. ამისთვის ევედრება ღმერთს: “ვითარცა დარეჯანის ძე, მეცა ვარ ქრისტეს ნათლუ-ლი და ღმერთო, ისიც მეღირსე, რომ ავაშენო ქართული ბაღი დავითის ბაღისებრ” (ვითარც დარეჯანის ძე) (3, 506).

პოეტი ზეცის შეწევნით მართლაც აშენებს სიყვარულით, იდუმალებით გამორჩეულ ქართული ფსალმუნების ბაღს: “აჰა, ეს წიგნი – ჩემი ფსალმუნი, ფურცლებს კი არა, ცით აკინძულ ჩემს გულს გადაშლი. სიყვარულით და იდუმალი ფიქრით მო-ცული და მეც მუხლმოყრით შენზე ვლოცულობ, მზით განათე-ბული პოეზიის წმინდა ტაძარში” (ფსალმუნი) (3, 17).

ვაჟა ეგრისელის საგალობლებს „კოლხური ფსალმუნები” ჰქვია და არ არ შემთხვევითი მის გამორჩეულობაზე საუბარი: „სხვაა კოლხური ფსალმუნი. სულ სხვა ჰანგი აქვს იადონს. ძნელ გზას ვერ გავიიოლებ და სათქმელს ვეღარ მივანდობ: „სონეტს, ტერცინას, ტრიოლეტს” (სონეტს, ტერცინას, ტრი-ოლეტს) (4, 857).

ასევე პოეტის გიგანტური „იქმენ ნათელი” სახელდებულია „ოქროს საწმისად”: „იქმენ ნათელი არის ჩემი ოქროს საწმისი, მეც მზის შვილი ვარ აიეტივით”.

პარალელურად, „ფსალმუნად” მოიხსენიება „იქმენ ნათელი”.

ამ მოსაზრებას პოეტი პრეისტორიის და ისტორიის მეცნიერული არგუმენტებით ამაგრებს. კოლხეთი მისთვის არის “ელდორადო და არკადია”, კოლხეთი კაცობრიობის კულტურული აკვანია, სამყაროს დასასრული და დასაწყისი, საქართველოს ისტორიის თავფურცელი.

ამის დასტურად ჯერჯერობით მხოლოდ მსოფლიოში გახმაურებული „ოქროს საწმისის” ლეგენდა ჩაითვლება.

პოეტი ბიბლიურ ქალდეველებთან, შუმერებთან ეძებს ქართული კულტურის ძირებს, ფესვებს...

რწმენა იმისა, რომ დავიწყების უფსკრულში ჩაძირული სიბრძნე, ტრადიცია უკვალოდ არ ქრება, პოეტის ფანტაზიას ფრთებს ასხამს და ახალ დროში კოლხეთის დიდი სულიერების, აზროვნების ახლებურ გამოვლინებად სახავს თავის წიგნებს – „იქმენ ნათელი” და „კოლხური ფსალმუნების” ხუთტომეულს. ამ მოსაზრებას ამაგრებს ქართული მესიანისტური იდეა, რომ ქრისტეს კვართი მცხეთაშია, რომ საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა, რომ ქართველი ბაგრატიონები ბიბლიური დავით წინასწარმეტყველის შთამომავლები არიან.

მოკლედ, აქ სინამდვილე და ლეგენდა ერთმანეთშია გადახლართული და საბედნიეროდ ყოველივე დაფარული, „ეზოთერული” ვაჟა ეგრისელის პოეზიაში “ამოწყაროებულია” სიხარულად, სიბრძნედ.

ვისაც ამ კოლხეთიდან მოსული „ქრისტეს მხედრის” შემოქმედებისათვის თვალი გაუდევნებია, პოეტის ამ გასაოცარ სითამამეს და გაბედულებას არ იუცხოებს. მის სამართლიან

პრეტენზიებს საძირკველად უდევს უდიდესი ნიჭი, გამორჩეული ინტელექტი, მსოფლიოში ცნობილი ყველა რელიგიური, ფილოსოფიური, მითოლოგიური, კლასიკური ლიტერატურის სიბრძნის წყაროების შემოქმედებითი გათავისება და, შეიძლება ამთავითვე ითქვას, ამ წყაროებთან, მასალებთან ტოლფარდი ძალებით გაპაექრება, უფრო ხშირ შემთხვევაში, სხვათა მონაპოვრებზე გადამეტება...

ამ საკითხს საფუძვლიანი კვლევა-ძიება სჭირდება, რაც, სამწუხაროდ, არც დაწყებულა და ამჯერად ჩვენი აზრი შეიძლება მხოლოდ უარგუმენტო განაცხადის დონეზე დარჩეს, მაგრამ თავს იმით ვინუგეშებთ, რომ პირველი ცდა ასეთ უზარმაზარ პრობლემებთან შეჭიდებისა, ხშირად დიდი შედეგებით ვერ სრულდება, მაგრამ სტიმულს მაინც მისცემს ჩვენს შემდეგ დაწყებულ კვლევებს, რათა ფაქტებზე დამყარებით დასაბუთდეს ან ასევე არგუმენტირებულად იქნეს უარყოფილი აქ გამოთქმული შთაბეჭდილება.

ვაჟა ეგრისელი კი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებივით აოცებს სამყაროს მისი საგალობლების ტომეულები: „შენიც ისე ხმიანებს, ვით დავითის ფსალმუნი, სამყაროს რამ აოცებს, ხმა არის სამშობლოსი. და ვითარცა ქაოსი, შენც შვილი ხარ ქრონოსის” (ქაოსი – მარადისობის შვილი, ქრონოსი – დროს გამნასახიერებელი) (შენც შვილი ხარ ქრონოსის) (4, 63).

კოლხური სულის, მისი ისტორიის, და პრესიტორიის სულით ხორცამდე შემგრძნობი პოეტი არა მარტო წარსულის ღირსშესანიშნავი თარიღების მჭვრეტელია, არამედ პოეზიაში გარდასახული კოლხური სულის ამობრწყინებას ხედავს თავის ფსალმუნში, ისტორიული ძნელბედობების შედეგად დაბინდული წარსულის ახალი ძალით აელვარებას, რაც გაუნელებელ ტკივილებს აყუჩებს: „ბრძოლებით განვლო ქარიშხლიანი – ათასწლეულთა გზები უვალი და მის შარაზე, უცაბედად რო-

ცა შეშინდდა, მაშინ ჩემს კოლხეთს ისტორია გადაუმალეს, მაგრამ „ამოდის” ის – „კოლხური ფსალმუნებიდან“ (ამოდის, ნათდება) (4, 196).

კოლხეთის დიდი შემოქმედებითი პოტენციის გამოვლინება, დადუმებული წარსულის ტაბუს ახსნაა „იქმენ ნათელი”, „კოლხური ფსალმუნები”, ტაძრად აღმართული ახალი საგალობლების ტომეულები, რომელსაც, ჯერჯერობით, არ ჰქვია დამსახურებული სახელი – პოეზიის სვეტიცხოველი: „თუთარ-ჩელათი და ფსალმუნებით” – კოლხეთის დუმილს ტაბუ ახსენი – ჩურჩულებს ხორგა... კივის დარჩიელი: სვეტიცხოველი აღარ ახსენო, თორემ მარჯვენას არ შეგარჩენენ!!!“ (სვეტიცხოველი აღარ ახსენო) (4, 377).

პოეტი შემთხვევით არ იტყვის სხვა კონტექსტში, რომ დრომ არსაკიძის მოკვეთილი მარჯვენა მას ჩამოჰკიდა.

უეჭველია, ვაჟა ეგრისელის პოეზია ახალი საგალობლების დიდი, ცადაღმართული ტაძარია, ბიბლიური იაკობივით ღმერთთან მორკინალი, ღმერთებთან მოდავე პოეტის მარადიული ტაძარი.

წმინდა ბასილის „ფსალმუნთა განმარტებანი” (საუბარი პირველ ფსალმუნზე) გვაუწყებს: „...ფსალმუნთა წიგნი წინასწარმეტყველებს მომავალზე და შეგვახსენებს ისტორიასაც, იძლევა ცხოვრების კანონებს და რჩევას საქმეთა კეთებისას,.. საერთო საგანძურია კეთილ მოძღვრებათა.

„სულიწმინდამ...მოძღვრებას მელოდიის სიტკბოება შეუერთდა, რათა იმასთან ერთად, რაც სმენას ნაზად ეალერსება და ატკბობს, შეუმჩნევლად მიგვეღო სიტყვათაგან სარგებელნიც... ასე იქცევიან ბრძენი ექიმები, რომელნიც მწარე წამალს იმათ, ვისაც მისი დალევა ეზარებათ, თაფლდასმული თასით აძლევენ... თუკი ვინმე, რისხვისაგან გამხეცებული სმენას ფსალმუნით დაატკბობს, მსწრაფლ მოახერხებს სულის მოთვინიერებას მელოდიით:

...სათნოებათაგან უდიდესი – სიყვარული ფსალმუნთა გალობის შედეგად იბადება. ფსალმუნი თავშესაფარია დემონთაგან და ანგელოზთა მოხმობა შემწეობისათვის.

ფსალმუნი ხმაა ეკლესიისა... იგი განაბრწყინებს დღესასწაულებს და ღმრთისთვის სასურველ სევდას ბადებს, რადგან ცრემლებს თვით ქვის გულიდანაც კი გამოსწოვს. ფსალმუნი საქმეა ანგელოზთა, ზეციური მმართველობა, კეთილსურნელება სულისა, ბრძნული ჩანაფიქრი მასწავლებლისა, რომელმაც მოიფიქრა, რომ სასარგებლო სიმღერით გვესწავლა.

...აქ არის სრულყოფილი ღმრთისმეტყველება, წინასწარმეტყველება ქრისტეს ხორციელად მოსვლის თაობაზე, ძრწოლა სამსჯავროს წინაშე, სასოება აღდგომის, შიში სასჯელისა, აღთქმა დიდებისა, გახსნა საიდუმლოთა" (5, 44-45).

წმიდა ბასილ დიდი ყურადღებას მიაქცევს დავით წინასწარმეტყველის მუსიკალურ საკრავს – ფსალტირს, რომელსაც "მადლი ზემოდან, სულიწმიდისგან მიეცა, რადგანაც იგი ერთადერთი მუსიკალური საკრავია, რომელიც ხმებს ზემო ნაწილიდან გამოსცემს, განსხვავებით კითარისა და ლირასგან.

„წინასწარმეტყველის სიტყვამ თვით ინსტრუმენტის აგებულებითაც კი ღრმად და ბრძნულად გვასწავლა რომ მშვენიერსა და ჰარმონიულ სულებს ადვილად შეუძლიათ ასვლა სიმაღლეზე" (5, 46).

ჩვენ ამჯერად არ ვაპირებთ დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნების იმ განმარტებებზე შევჩერდეთ, რასაც წმიდა ბასილ დიდი გვთავაზობს და ისინი შევადაროთ ვაჟა ეგრისელის ფსალმუნებს, მხოლოდ იმის ხაზგასმა გვსურს, რომ ბიბლიური დავითის დარად, რომელმაც თავისი საგალობლები იგავებით შეაზავა, იგავები ორგანულია „კოლხური ფსალმუნების" ავტორისათვის, მაგრამ ეს საკითხი დაკვირვებას, ღრმა ძიებას მოითხოვს, რაც მომავლის საქმეა.

წმიდა ნილოს სინელი მოგვიწოდებს: „ფსალმუნთ გალობას ნუ დაცხრების ბაგენი შენნი: რამეთუ ღვთის სახელის ხმობა განასხავს დემონთ.

გასწვრთენი გონება მცნებათა სწავლებით: რამეთუ მით წარიხოცება გონებიდან მზაკვრული ფიქრები“ (6,106).

ამჯერად ჩვენი მიზანი როდია კოლხი „ქრისტეს მხედრისა“ და დიდი ბიბლიური წინასწარმეტყველის შემოქმედებითი შეხვედრების ძიება, ჩვენ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვსურს, რომ ქართველი პოეტი უფლებამოსილი იყო, შეექმნა ეროვნული სულის შესაფერი რელიგიური საგალობლები, როგორც მშობელი ხალხის დამოძღვრების საშუალება და მაგალითად ესახებოდა ქართველთა შორეული წინაპარი: „ისე, ვითარც მუმლი მუხას, ფიქრთა ურდო / დამესია, არ მაქვს ძალა მათთან დავის. გადავავლე მთებსაც ჰუნე და მოვუხმე ორ დიდ დავითს: ერთს, ვით მეფეს და მესიას და მეორეს მეფსალმუნეს“ (ორ დიდ დავითს) (4, 270).

ვაჟა ეგრისელი ხშირად საუბრობს ლექსთა წყალდიდობაზე, წარღვნაზე, მეორედ მოსვლაზე, რომელსაც მხოლოდ რჩეულნი გადაურჩებიან ნოესავით. გადარჩენილთა შორის ესახება თავისი „კოლხური ფსალმუნები“: „...და შენი წიგნი მოჰგავს კიდობანს, წარღვნას და მეორედ მოსვლას გადარჩენილს”...

წარღვნის წვიმაში აყურადებს უფლის ხმას, უწყებას, ზეთისხილის შტოს, – სიმღერას, რომელიც მტრედივით (სულიწმინდის სიმბოლოა) მიფრინავს და მოაქვს რტო-სიმღერა: „პოეტთა მეორე მოსვლაა – წვიმს ხმები... და შენი დისკანტი მიფრინავს მტრედივით და მოაქვს რტოსავით – სიმღერა – ნისკარტით“ (პოეტთა მეორე მოსვლაა) (4, 141).

ლექსში სიმღერა გაიგივებულია წარღვნის დროს ნოესთვის მტრედის მიერ მოტანილ რტოსთან, რაც განსაცდელის დასრულების, მშვიდობის, ახალი ერის დაწყების მაცნე იყო, ანუ ქართველი პოეტის სიმღერა არის დასაწყისი პოეზიის ახალი

ეპოქის, საღვთო მშვიდობის მაუწყებელი ახალი, ღვთივკურთხეული პოეზიისა.

უძველესი კოლხეთის მეფე „ცის-კაცი” ან-მარე ბაბილონის გოდლით ცდილობდა უფლის ხილვას, ხოლო მისი კოშკის ქვაზე ამოტვიფრულ კოლხურ ფსალმუნებს მთვარე კითხულობდა – ასე პრესიტორიაში ეძებს პოეტი თავისი სიტყვის ძირებს: „უფალთან აჰყავს ბაბილონის გოდოლს ან-მარე და სიახლოვის ბუგავს ალმური. „ცისკაცია” და მიტომ დიდგულობს... და... ღამღამობით მთვარე კითხულობს მის კოშკის ქვაზე ამოტვიფრულ „კოლხურ ფსალმუნებს” (ბაბილონის გოდოლი) (7, 937).

„კოლხური ფსალმუნების” ბედი არასახარბიელოა მიწის-ქვეშეთში. მისი ავტორი, მზის წყვდიადშია (ანტონიმი!), ანუ მზიან ღამეში (ღმერთის სიმბოლოა), მარტო, როგორც რჩეული: ვარსკვლავთა და ელვათა (საღმრთო სახელების) თანხლებით, χვარცმული ქრისტე კი რწმენის ციდან უმზერს: „მზის წყვდიადში მარტოდ მავალს – ვარსკვლავები მიმაცილებს: „ფსალმუნებით” და „მაყრულით”. გზას კი ელვა მიგვირისტებს. მოძმისაგან – χვარს გაკრული რწმენის ციდან – მიმზერს ქრისტე” (მოწყენილი მიმზერს ქრისტე) (4, 69).

ე. ი. რაც მიწიერთათვის უცხოა, (χერχერობით) ღვთისგან კურთხეულია... χვარცმულის, მარტოსულის ხვედრი კი ბოლოს ამაღლებაა...

ქართველი პოეტის მიერ ფსალმუნების საგალობლად ქცეული ცეცხლის კოლხური სახელი – გიბილი – შუმერების საზიაროდ წარმოჩნდება ლექსში „გიბილი“: „ნაპერწკალი, რადგანაც მზის ერია, თაყვანს ვცემდი – ცეცხლის მისტერიას, რომელსაც მე ფსალმუნებში ვუმღერე. ჰყავდათ ცეცხლის ერთი ღმერთი – გიბილი, კოლხებსა და შუმერებს“ (4, 215).

„კოლხური ფსალმუნების” მარადიულობის რწმენას თვით იდუმალი ღმერთი (გაზაფხულის მზე) მიანიშნებს პოეტს: „გაზაფხულის მზე სტყორცნის ისრებს, როგორც ამური, ჩემი ოდ-

ის აბარწას. და ჩემს „კოლხურ ფსალმუნებს” აწ ჟამი ვერ გაბაწრავს, ვით ლერწამს სასალამურეს” (გაზაფხულის მზე სტყორცნის) (4, 125).

ათასწლეულები, მთები, მწვერვალები, ზღვები, ვარსკვლავები, ელვა, ღმერთი, ადამიანი გააუკვდავა პოეტმა „კოლხურ ფსალმუნებში”: „ცეცხლთან ომებში მკვდარ ათასწლეულებს, მთებსა და მწვერვალებს, ზღვებსა და ვარსკვლავებს და ელვას ზეცაში შიშით რომ ცახცახებს” – „კოლხური ფსალმუნით” – მე სული ჩავუდგი და ჩემს წიგნებში დავასახლე“ (მთებს და მწვერვალებს) (4, 483).

ცასავით, ვარსკვლავებივით, ანგელოზებივით სისპეტაკე დაანათლა პოეტმა თავის კოლხურ ფსალმუნებს: „თვალებში ცას რომ უბრწყინავს ვარსკვლავები – ანგელოზების ცრემლებია, შენი ფსალმუნებივით სპეტაკი” (ღვთის შესაწირავ ბატკანივით) (4, 722).

„კოლხური ფსალმუნების” ზნეობის მიმართება უმრავლესობის ზნეობასთან სრულ კონტრასტშია, ამიტომ მის ქმედით ძალაში დაეჭვებული პოეტი (რადგან მცირედნი არიან რჩეულნი წოდებულთა შორის) ერთგან ირონიულად შენიშნავს: „რა ვქნა, კოლხური ფსალმუნებით, დღე-ღამის ბრუნვას ვერ ვცვლი, რადგან სოფელი არის მოკლე, „აიღე ოქრო და ვერცხლი”, შორეულ წარსულიდან მომძახის თემისთოკლე” (კოლხური ფსალმუნები) (4, 642).

ზეცის მადლია, ღმერთის განმანათლებელი ცეცხლია აბრწყინებული – „კოლხური ფსალმუნების” გვერდებზე და მისი სტრიქონების ნაკვერჩხლები გათოშილი სულის გათბობას გვპირდება: „ვითარც პრომეთემ, ეს მცირე ცეცხლი ზეშთაგონების ღმერთს მოვტაცე მაღლა ზეციდან, და ავაბრწყინე ამ წიგნის ველი. ადექ, გახსენი, თუკი შეგცივდა და სტრიქონების ნაკვერჩხლებზე გაითბე ხელი” (ფსალმუნი) (7, 15).

ვაჟა ეგრისელის აზრით, ყოველი ეპოქის ნააზრევს მოელის დიდი განკითხვა, განსჯა ღმერთის სამსჯავროს წინაშე. მისი „კოლხური ფსალმუნები", მართალია, ორ წარღვნას გადარჩენილია, მაგრამ პოეტი შვიდი ათასწლეულების მერეც მოელის ღვთის რისხვას, სწორედ ამ უშორესი დროისათვის აგებს „კოლხური ფსალმუნების" მითიურ კიდობანს, ანუ მარადისობას გასცქერის მისი მზერა, ხოლო პოეტური შედევრების გამძლეობა გათვლილი აქვს ყველაზე დიდი კატაკლიზმების, გამოცდებისა და განსაცდელისათვის, ანუ უდროო დროისათვის: „ერთს კია არა, ორ წარღვნას, ბედად გადარჩენილი, შვიდი ათასწლეულის მერეც ველი ღვთის რისხვას, მერეს და წყალდიდობას და... ვით ნოე, მეც ვაგებ: „კოლხური ფსალმუნების" დიდ მითიურ კიდობანს" (ნოეს კიდობანი) (7, 931).

დამოწმებანი

1. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი 3, თბ., 1991.
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.
3. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 2001.
4. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 2, თბ., 2006.
5. წმ. ბასილი დიდი, თხზულებანი. ფსალმუნთა განმარტებანი. ჰომილიები ექვსი დღისთვის, თბ., 2002.
6. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი IV, თბ., 1992.
7. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 3, თბ., 2007.

ვაჟა ეგრისელის „ხმის ძლევამოსილი იმპერია”

„კოლხური ფსალმუნების” ავტორი ნათელმხილველი და ნათელმსმენია. პოეტის სმენას არ გამოჰპარვია საუკუნების წინ დაცვენილი ფოთოლთა ჩქამი, რამზესის ეტლის გრიალი, არეოპაგელის, გრიგოლ ნოსელის თუ ფსალმუნთმეტყველის ხმები და ასევე მრავალგზის მოლანდებია შემაკრთობელი მზერა ნერონის თუ მოციქულების...

ზესკნელ-ქვესკნელ-შუასკნელის მომხილველს, კოსმიურში, ტრანსცენდენტურ სამყაროში გაჭრილს, „მეტაფიზიკური” ლექსების ავტორს, მიღმური, პლანეტებს იქით გაღწეული ხმა მოუსმენია, „ცანი ცათანი”, უფლის მზერა უხილავს უფლის წოდებულს და კოსმიური რიტმი, სულის ხმა, ნათლის ხმა, საღვთო მუსიკა გაუგონია.

ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს ამ მაშრიყიდან მაღრიბით განფენილ „ხმის ძლევამოსილ იმპერიაში” (პოეტის ტერმინია), განსაკუთრებულად გამორჩეული სასწაულებრივი ხმა ზეციურისა, რომელთა მოსმენა მხოლოდ ერთეულთა, ღვთისგან ხელდასხმულთა ხვედრია.

ვაჟა ეგრისელის ლექსებში ისმის წარსულიდან გამოღწეული, აწმყოში მოხელთებული ყველა ხმა, თუ მომავლის ქარების მოტანილი, აწ მოსახდენელი მოვლენების მაუწყებელი წინასწარმეტყველური სიტყვა.

შემთხვევითი როდია ეს განაცხადი: “გარდასულ საუკუნეთა მთვარეზე ვშლიდი იალქნებს და მზეზე მედგა კარავი. ის ხმები, რაც მე მსმენია, ჯერ არ სმენია არავის” (1, 479).

ჭეშმარიტი პოეზია იქ თავდება, სადაც ფეტვის მარცვალივით ყრია ძველ საბძელში სხვათა გალეწილი ხმები: „ისტორიის ძველ საბძელში გალეწილი სხვათა ხმები, ვით მარცვალი ყრია ფეტვის” (კოლხო) (3, 18).

ღვთისგან ხელდასხმულნი კი სხვათაგან უსმენელს ისმენენ, სხვათაგან უხილავს ეძებენ და ათასწლეულთა მიღმიდან ესმით საოცარი ხმები: „საოცარია თვისება მგოსნის: მუდამ სხვათაგან უსმენელს ისმენს, მუდამ სხვებისთვის უხილავს ელტვის... და აი, ახლაც თითქოს დიღმიდან ათასწლეულთა ესმის მიღმიდან, ბორბლების ჩქამი რამზესის ეტლის" (საოცარია თვისება მგოსნის) (1, 725).

სწორედ სხვანაირი გალობით, დროის სხვა ენაზე, სხვა მეტყველებით იწყება მარადისობასთან შეხმიანება: „სულ სხვანაირი ისმის გალობა, ფიქრი თუ კვირტი მზისებრ ჰყვავის სულ სხვა ენაზე... სულ სხვანაირი ხმა მოისმის დროის გელაზის" (ჩემი მხარე) (1, 290).

რამზესის საომარი ეტლიდან ნატყორცნი ლოდების ხმის მოსმენასთან ერთად, მზერას აიეტის თუ გუბაზ მეფის აჩრდილები ელანდება: „ვითარც რამზესის საომარი შავი ეტლიდან, მესმა ტყორცნის ხმა დიდი ლოდების, ციხესთან შხეფის. აჩრდილიც გაკრთა მოულოდნელად აიეტის თუ ...გუბაზ მეფის?" (ვითარც რამზესის საომარი შავი ეტლიდან) (1, 528).

პოეტს ესმის სინათლის რეკვა, ვარსკვლავთა ლოცვა (ჰორიზონტს იქით) (2, 533), ათასი წლის წინ ჩამოცვენილ ფოთოლთა ჩქამი (ნიავს რომ მოაქვს) (2, 478).

ფიქრმიუწვდენელ ზესკნელიდან წინაპრების თუ მნათობების ძახილი (ფიქრმიუწვდენელ ზესკნელიდან) (2, 422). მთვარის აკვნის რწევა (1, 347), არყოფნისას ანგელოზების გალობა (ჩემი არყოფნის მწუხარე ხმაში) (3, 190), სხივთა ჟივჟივი (ცთომილება) (2, 221), მნათობთა სალამურების შორეული ჰანგი (გადავიწყებულ, ცივ და შორეულ ჰანგზე) (2, 268), დაისის ბნელი ძახილი (და მზეს ჩამავალს) (2, 86), ვარსკვლავების უმძიმესი ჯაჭვის ზრიალი (ზაფხული ბაღში) (9, 105). ლოცვის ქარი, ვარსკვლავების ქნარის დაკვრა (შეღამებისას) (2, 284). მზეშებმული აღსავლის კარის ჭრიალი (ზღვა ხელში როგორ შემომეპა-

რა) (1, 292), ქარიშხლის ენა (მეხი ძახილზე) (2, 310), განთიადის ხმა (მეც გავიგონე) (2, 311).

სინესთეზიის ნიმუშია მუსიკის ხედვა (ბეთჰოვენი) (2, 305).

მნათობების რეკვას ენაცვლება "გამების ნაკადულები" (ვარსკვლავები) (2, 202), მნათობთა სალამურები (2, 268), ასწლეულთა მძიმე კარების ჭრიალი (ყოველ საღამოს) (3, 229), შრიალებენ დღეთა ფოთლები (ჩემი მოთმენა) (2, 477), "მამაპაპათა აჩრდილები... გვიყივიან საიქიოდან" (აჩრდილები) (3, 473), „ცის ლურჯ ბუდეში"... დღეების ჟივჟივი ისმის (მზის დასასრული) (2, 602).

ისმის მნათთა ლაპარაკი (იმედებით შებუმბლული) (2, 389), მთვარის ხმა (2, 591, I), ვარსკვლების აკვნის რწევა (4, 454).

ციდან ძახილი ესმოდათ დ. გურამიშვილს, აკაკის, ილიას, ვაჟას, გალაკტიონს, ტ. გრანელს, საერთოდ ყველა ჭეშმარიტ პოეტს. იდუმალი ხმის მოსმენა დაჰბედებია ვაჟა ეგრისელს: "როდესაც ვუმზერ შორეულ ლაჟვარდს, ციდან მომესმის ხმა იდუმალი: ვაჟა! ვაჟა! ვაჟა!" (2, 724).

პოეტს წყალობს „ნათლით მოსილი პოლიჰიმნია" (2, 183).

დანტეს ესმოდა „სინათლისგან ხმაი მეტყველი", ნათლის ხმა (3, 382).

გალაკტიონს უყვარდა "ხმა სინათლის მთესი".

ვაჟა ეგრისელს ესმის სინათლის, „მზიანი ღამის" ხმა: "მთვარის კოშკიდან მღერის სინათლე და ბანს აძლევს ღამე მზიანი. ხმები ჩვენამდე ადრე მოდის, ხან იგვიანებს. რადგან ვარსკვლავთა სიმებიანი ცა – ჩანგია მრავალხმიანი" (2, 825).

"მზიანი ღამე" ღმერთია (5, 122).

მთვარე მარიამ ღვთისმშობლის სახელია (6, 124).

გალაკტიონს ესმოდა "რაღაც მღვრიე, რაღაც არაქაური" (7, 142).

ვაჟა ეგრისელს „მზის ტოტებიდან“ ოქროს ჩიტების არაამქვეყნიური გალობა ესმის: „ოქროს ჩიტები სხედან მზის ტოტებზე და არაამქვეყნიურს გალობენ” (ზღაპარ იყო) (8, 519).

პოეტს უყვარს „ციური ქვა”, „სიყვარულის ქვა“ (ქვა, ლოდი ქრისტე ღმერთის სიმბოლოა), მის პოეზიაში შეკრებილია „ციურ აზრთა ნადავლი“, „კლდე“ (ქრისტე) და „ღვთის კიბე“ (მარიამი) ჩააგონებს ციურ არიას: „მთიები სიშორეს გალობენ და ისმის ციური არია, – როს უმზერ კლდესა და ღვთის კიბეს“, ბარძიმობაზე შუქმფინარ მარიამს” (3, 274).

ლექსში „აგე, ოცი საუკუნე” (8, 21) ჩაესმის „ცით ძახილი: „მამის სიტყვა არის ქრისტე”.

თვით ზეცა „იწვევს“ თავის საუფლოში, ნეტართა სამკვიდრებელში, „ცანი ცათანის“ სახილველად: „ნეტართა სამკვიდრებელი, მიწა კი არა, ცა უფრო მეძახდა შიშით ატანილს: ვწვეოდი უფლის საუფლოს, მეხილა ცანი ცათანი“ (ნეტართა სამკვიდრებელი) (8, 420).

განგების, ღმერთის ჩრდილშია მაღალი სულის თავშესაფარი, ზეციური ჰანგების შექმნის სტიმული: „ციდან ამაყად გამომზირალი, ყოვლის მეუფე არის განგება, მის ჩრდილში ვეძებ მე თავ-მისაფარს და ზეციური ესე ჰანგები – მე შემიქმნია არაფრისაგან” (8, 626).

სიწმინდემ, პოეტურმა ყოვლისშემძლეობამ მიაახლოვა ვაჟა-ფშაველა ღმერთთან და ზეციური ვარდებისა და ზეციური მანანის (ქრისტეს სიმბოლოა) სიტყვაში გაცხადების მადლით გაბრძნობილმა მადლი აღუვლინა მშობელს: „ზღვად ვცურავ ნეტარებისა, წვერი ხელთა მაქვს კალთისა უფლის და მისთა მსახურთა ლოცვა-კურთხევა მამდისა, კალთაში ვარდი მეშლება, თავზე მანანა დამდისა, მადლობელი ვარ მშობლისა, ჩემის გაჩენის, გაზრდისა“ (როს ვუკვირდები თავის თავს) (9, 61-62).

„ციური მანანა“, ზეციური პური, რწმენით სავსე ზეციური ჰანგები გამოარჩევს მთვარის კითაროსანს, ფშაველი გენიოსის

სეხნიას: „გიპყრია მთვარის კითარა და ღამის იქით იურვი: ნებით უფლის და განგების, ვითა მანანა ციური, გცვივა – მზიური ჰანგები“ (8, 648).

პოეტს ესმის ჰაერის მცველთა შიშის, “სიავის ღვარცოფის” შემკავებელი, უზენაესის ხმა, ვარკვლავის, მზის სახით რომ გვეცხადება: “ეს მისი ხმა არის, “ჰაერის მცველთა” შიშში რომ ისმის და რომ აკავებს სიავის ღვარცოფს. ის ვარსკვლავია ისნის, მზის ამოსვლა რომ გვამცნო” (8, 377).

რწმენისათვის ხატებთან ღამენათევი, ლოცვის ძალით ხედავს განთიადის ნათელს, ესმის “გვრიტის” ხმა: “ხატებთან მრევლის ჩურჩული უძილო, ღამენათევი, ზეცისკენ ლოცვად ილტვის და განთიადის ნათელი ხმად მონარნარობს გვრიტის” (გვრიტი) (8, 455).

გვრიტი საღვთო სახელია: “ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში” (ქებათა ქება სოლომონისა, 2, 12) (10, 15).

ცაში არწივივით მონავარდე სული უცნობი ხმისგან მოწოდებულია ცამდე აწვდილი ტაძარი ააშენოს სალ კლდეზე, ანუ სიტყვის ტაძარი აუგოს ღმერთს და ღვთისმშობელს: “ნიადაგ მაღლა გეწევა, ვითარცა განიმედს არწივი და ხმა უცნობი გავალებს, რომ აღუშენო ტაძარი სალ კლდეზე ცამდე აწვდილი” (8, 457).

სულიერი კლდე არის ქრისტე: “და ყველანი სვამდნენ ერთსა და იმავე სულიერ სასმელს, ვინაიდან სვამდნენ სულიერი კლდიდან, რომელიც თან დაჰყვებოდა მათ, ხოლო ის კლდე იყო ქრისტე” (1 კორინთელთა, 10, 4) (11,370).

ტაძარი მარიამის სიმბოლოა (6, 121).

“მხეცის” საუფლოს განარიდებს “უღამო ღამე” (ღმერთი), სამოთხეთა სამოთხე (მარიამი) მეცხრე – ღმერთების სამეუფო ცა: “სანამდე სულს ამომხდის, მაკრთობს ხილვა მე მხეცის”:

“მიხმობს ღამე უღამო, სამოთხეთა სამოთხე, მერვე არა, მეცხრე ცის” (სამოთხე) (8, 383).

უღამო ღამე იგივე მზიანი ღამეა, ღმერთი (5, 121).

სამოთხე მარიამის ალეგორიული სახელია (6, 124).

ღვთის ხატებაა მთვარე, მზე და მისი ძახილი მხოლოდ რჩეულთ ესმით: „ღვთის ხატება ჩამოდის დაბლა – მთვარის დუმილად, მზის ძახილად” (ქარმა მწყემსივით ელვის შოლტებით) (8. 962).

ღმერთთან სიახლოვეს აფიქსირებს როგორც ხედვა, ისე სმენა: „ქანცგაცლილი ბედთან ბრძოლით, ძილ-ბურანში ხშირად ვხედავ: „მოხუცებულს, სპეტაკ ზეწრით“. ის ცად გიხმობს ქრისტეს მხედარს, გვირგვინით და ვაზის ლერწით” (8, 50).

„მოხუცებული სპეტაკი ზეწრით” მამაღმერთია, ვაზის ლერწი – ქრისტე, გვირგვინი – მარიამი.

უკვდავების წყაროს ხმის და სიცოცხლის ხის შრიალის მოსმენა ასევე ღვთისგან ხელდასხმულთა ხვედრია: “სადღაც ახლოს მოისმის (ალბათ აქვე, შინ არი) უკვდავების წყაროს ხმა, სიცოცხლის ხის შრიალი” (ელვის წკეპლამ იელვა) (8, 225).

წყარო, უკვდავების წყარო ქრისტე ღმერთის სიმბოლური სახელია (5, 124).

სამოთხეში დანერგილი სიცოცხლის ხე მამაღმერთზე მიმანიშნებელი სახეა (5, 121).

ახარებს “სიბრძნით და ათორმეტთა ნაყოფით დახუნძლული”, “სიყვარულით მოსილი ყოფნის ხის” შრიალის მოსმენა: “მარადიულ შიშით და სიყვარულით მოსილი შრიალებს ხე – აქ ყოფნის, დახუნძლული სიბრძნით და – ათორმეტთა ნაყოფით” (მარადიულ შიშით და) (8, 340).

სიბრძნით და ათორმეტთა ნაყოფით დახუნძლული, “ყოფნის ხე” ქრისტე ღმერთია თორმეტი მოციქულის თანხლებით...

ცის ხმა გამუდმებით შთააგონებს მამისა და ძის განუყრელობას: “მაინც ისმის ცით ძახილი: მამის სიტყვა არის ქრისტე” (აგე, ოცი საუკუნე) (214).

მამა, ძე, სულიწმინდა და ღვთისმშობელი ერთად ფიგურირებს ერთგან: “სულიწმინდა და უფლის ნათელი ამოდიოდა ღრუბლის ხაროდან: მზის ხმა ისმოდა მთვარის კონცხიდან. ვიღაცა იდგა და უხაროდა, არყოფნა ყოფნის გულს რომ კოცნიდა” (სულიწმინდა და უფლის ნათელი) (8, 154).

უფალი მამაღმერთია, მზე – ქრისტე, ღრუბელი და მთვარე მარიამის სიმბოლოებია (5, 124) (6, 121).

სიტყვისთვის, ქრისტესთვის ჯვარცმულს,Uუშორესი გოლგოთიდან ქრისტეს კვნესა და სამჭვალთა წკარუნი ესმოდა: “ჯვარცმის შიში უშიშარს, მუდამ მდევდა ფარული, შენსკენ მაინც მოვქროდი... ქრისტეს კვნესა მესმოდა და სამჭვალთა წკარუნი სიშორიდან გოლგოთის” (ჯვარცმის შიში) (8, 174).

ლოცვით იხსნება ცის კარი, სადაც “უხილავი” და ზესთა კრებული დავანებულა, რაც ნათლის ფრთების შეხებით და ზეარსებულის განცხადებით სრულდება: “მწუხრში ზრიალით განიხვნება ცათა კარები, ლოცვების ბურუსს მიმოფანტავს ზესთა კრებული. დარეკავს წამი – უხილავის მოსახილველი. განმიცხადდება მგოსანს არსი ზეარსებულის და ფრთე ნათლისა გადამივლის სახით – ფრინველის” (ილორი) (2, 595).

უშორესის და უზენაესის ძახილის მოსმენის უნარით გაბრძნობილი, მადლობას აღუვლენს უფალს: “...მადლობა უფალს! მესმის ძახილი უშორესი და უზენაესი” (მადლობა უფალს) (1, 340).

ცა სავსეა უფლისადმი აღვლენილი ვარკვლავთა და მიწის ლერწმების საგალობლებით და დავით წინასწარმეტყველივით ევედრება პოეტი სამყაროს შემოქმედს მისდამი მიმსგავსებით აცხოვროს: “ცას, ვითარცა ვარკვლავები, დაბლა მიწის

ეს ლერწმები, უფლის გალობებით ავსებს: ...მეც, ვით დავით გეხვეწები: “ხატსა თვისსა მიმამსგავსე” (ლერწამები) (8, 885).

ვაჟა ეგრისელის პოეზიის ლირიკული გმირი ხედავს მწუხრის გამფანტავ ზეციურ ნათელს, მთვარის სასწაულქმედებას, ესმის სერაფიმების ფრთების შრიალი და ვარსკვლავების უხმო რეკვა: “ცის საუფლოდან გადმოვლენილი ნათელი – მწუხრის სერს ეფინება. მოშვებულია მთვარის ონკანი. ფრთების შრიალში – სერაფიმების ცად ვარსკვლავები უხმოდ რეკავენ” (ცის საუფლოდან გადმოვლენილი) (8, 969).

ნათელი, ვარსკვლავები ღმერთის სახელია, მთვარე – ღვთისმშობლის (6, 424), სერაფიმები – სიყვარულის სულები არიან.

უფლის საყანედან გამოღწეული ხმა ჩააგონებს, რომ „საყვარლის“ ხილვა მხოლოდ სულისთვის ხორცის გამღებთა ხვედრია: „ვარსკვლავებით ნათესი – ცაა უფლის საყანე. ხმა კრთის მთვარის-მნათესი. ვინც ხორცს დასწვავს სულისთვის, ის იხილავს „საყვარელს“ (8, 439).

„საყვარელი“ ქრისტეს სახელია: „ეს არის მეტრფე ჩემი, ეს არის საყვარელი ჩემი“ (ქებათა ქება 9, 17).

დავით გურამიშვილისთვის ქრისტე იყო “მკვიდრი მიჯნური”, საყვარელი (12, 182), ვახტანგ VI-სთვის – სატრფო (12, 183), აკაკი წერეთლისთვის – საყვარელი და სულიკო (“სულიკო”), გალაკტიონისთვის – “შორეული სატრფო” (სასიკვდილო მწუხარება), ანა კალანდაძისთვის ღმერთი – გულის “რჩეულია” (გამომეცხადა რჩეული ჩემი).

სულის პრიმატით, სულიერების სამსახურით, ლოცვით ცდილობს ვაჟა ეგრისელი “საყვარელთან”, ქრისტესთან მიახლებას.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში გვხვდება საღვთო, “ჰიერატიული” ქორწინების იდეა.

ლექსში “გადუფრენს ათასწლეულებს” (8, 394) ყურადღებას იქცევს მზის და მთვარის ქორწილი, ცის ელვა, რომლის პერსონიფიკაციაა ნიავი: “გადუფრენს ათასწლეულებს ვით ცელებესს და იავას ხმა, მზის და მთვარის ქორწილის. სამყაროს უვლის ნიავად, ელვა, ცით გადმოტყორცნილი” (8, 434).

მზე ქრისტეს, მთვარე ღვთისმშობლის სიმბოლოებია.

ლექსში “ვინ მოთვლის” (2, 129) “ცის ეკლესია მზისა და მთვარის მგალობელ ზარით” პოეტის თვალშია: “...ჩემს თვალებში დგას ქართული ცის ეკლესია, მზისა და მთვარის მგალობელ ზარით”.

“ცის ეკლესია ქართულია”.

სხვაგან “განთიადზე აღმოსავლეთით რეკავს სინათლეს მეწამული მზის ეკლესია” (მზის ეკლესია) (2, 315).

პოეტს ესმის ცის კარების გახსნის ხმა, ხედავს ებრაელი ხალხის წინამძღოლ მოსეს ცხვრებით, ქორიბის მთაზე ღმერთი რომ გამოეცხადა და ამ მოლანდებას მერე მშობლიური მახათას მთა ენაცვლება, რათა იხილოს მომავლის მაუწყებელი ცეცხლწაკიდებული მაყვალი (ცეცხლი ქრისტეს, მაყვალი მარიამის სიმბოლოდ დაისახა) და ეს ასოციაცია შემთხვევითი როდია, ლექსის ავტორს ქართველი ერი ბიბლიური ქალდეველების შთამომავლებად მიაჩნია, როგორც მრავალ მეცნიერს: “მე ვიხილე: მახათასთან – ადიოდა მაყვლის კვამლი და წიოდნენ ცის კარები. და ჩემს თვალწინ გაკრთა წამით მოსე... ცხვრები... მთა ქორიბის” (მე ვიხილე) (8, 403).

დანტეს ესმოდა სინათლისაგან “ხმაი მეტყველი”.

ვაჟა ეგრისელთან ძალზე ხშირად ხვდება სინათლის ხმა, სინათლის ძახილი: „...და მოკამკამე მთვარის ჭის იქით, განთიადამდე სინათლის ხმით ვიღაც იძახის” (ცის მაღალ ტოტზე) (2, 538).

“ღამის გაღმიდან კვლავ სინათლის ისმის ძახილი” (იავარქმნილა) (2, 634).

ზესკნელიდან, ვარსკვლავებისა და მთვარის მიღმიდან გამოღწეული ხმის მოსმენა დაჰბედებია: „და ყოველ ღამე ვიღაც კივის, სადღაც, ზესკნელში, ვარსკვლავებს მიღმა და მთვარის იქით” (სიცივეს ცივა) (2, 544).

ღმერთის განწესებულ ღამისა და დღის მონაცვლეობას ხედავს სამყაროში: „...ღამის მიღმიდან ისევ ისმის დღეთა ყივილი” (ამოწვდილი ცეცხლის მახვილით) (2, 467).

„შრიალებენ დღეთა ფოთლები” (ჩემი მოთმენა) (2, 477).

მზის გზა, მთვარის ბილიკები, ლოცვით ცისკენ, ღვთისკენ სავალის გაკვლევაა უმაღლესი მიზანი: “გზას დღისით მზისა და ღამით – მივსდევ მთვარის ბილიკებს და ზე-ცისაკენ ვიურვი... უფალთან გზას მიგვიკვლევს ლოცვა მარადიული” (გზას დღისით) (8, 815).

მზის გზა ღმერთის გზაა, მთვარის ბილიკები – ღვთისმშობლის.

სინანულის ცრემლით, სტიქსეს წყლით განბანილი, მირონით განწმენდილი სული ცის აკვანში დავანებულა და სასწაულმოქმედი ძალა მინიჭებია: „ცოდვის მონანიებად, ნაწერს ცრემლთა ანბანით, ცის აკვანში ვარწევდი – სულს, სტიქსეში განბანილს და მირონით განწმენდილს” (8, 432).

გალობა, ლოცვა, ტროპარი და კონდაკია პოეტის მართალი სიტყვისთვის ორგანული და არა სონეტ-ტერცინა-ტრიოლეტები: „სიყვარულის ცით ავსებული ჩემი ოცნება, რომელიც დაჰქრის სიმღერებად და დაგრიგალობს, მოვა შენ წმინდა, ლოცვით დაღლილ საკურთხეველთან და სიკვდილამდე შენთვის იგალობს” (ჩემი ოცნება) (2, 613).

გალობა უფლის მადლია: „ჩამაცვა გალობის ანაფარა და პოეზიის უდაბნოში უფალმა აღმკვეცა ბერად” (ჩამაცვა გალობის ანაფორა) (2, 769).

ღმერთის სახედ და ხატად ქცეული სული “ნათლის სვეტის”, მზის (საღვთო სახელებია) ძალას იკრებს და სამყაროში

სინათლედ ცხადდება: “ვით ჩაუმქრალი სვეტი ნათლისა, გარდმოვლენილი მზის საუფლოდან – ჩემი ხმა არის სამყაროს რომ სინათლედ უვლის ტერფიდან – თხემით” (რუსთაველი) (1, 463).

ბიბლიურ სამუელს, როგორც წმინდას, ესმოდა უფლის კაკუნი.

“კოლხური ფსალმუნების” ავტორს ესმის “ცისკრის” კაკუნი, ცისკარი კი საღმრთო სახელია (5, 121): “...გავაღე გული, როცა ცისკრის მესმა კაკუნი” (გამოვეთხოვე ღამის წამებას) (2, 622).

ერთგან “მთვარე უკაკუნებს ნისკარტს “მიუაჩრდილებელ ცისკარს” (8, 427).

მთვარე მარიამის, ცისკარი ქრისტეს სახელია.

სითბოს, სინათლეს ასხივებს, ორფეოსივით მღერის მზე (ღმერთი), მთვარე კი – ღვთისმშობლის ხატი – სალამურის ხმით აბრუებს პოეტს: “სითბოს, სინათლეს ორფეოსივით მღერის შენი მზე, შენი მთვარე კვლავ სალამურობს” (გავთენდი) (2, 906).

ციდან ესმის მზის და სინათლის (ღმერთი) ძახილი, ცათა ცაში ეძებს “ცის ყვავილებს” (ღმერთს): “მთვლემარე ღამეებიდან მესმის ძახილი მზის და სინათლის, რადგან სიშორის კენწეროებზე მარად ყვავიან ცის ყვავილები” (ცის ყვავილები) (2, 543).

ცის ყვავილი ქრისტე ღმერთია.

„ცაში ყვავილს ეძებდნენ” ჰიმნოგრაფები – იოანე მინჩხი და იოანე მტბევარი...

„და მე მომესმა სიმარტოვის ღია ფანჯრებთან ფრთების ფათქუნი შენი სიშორის” (და მე მომესმა) (2, 570), პოეტისათვის ასე ახლობელია ზესკნელის სიშორეში დავანებული...

პოეზიისთვის ჯვარცმული, „უფალივით ნალუსკუმარი” „ნათლის სვეტის” ძახილზე მოელის მკვდრეთით აღდგომას: „...თავს დამადგება სვეტი ნათლისა, ვით შორეული ჭირისუფა-

ლი და მის ძახილზე... ნალუსკუმარი, როგორც უფალი, მკვდრეთით აღვდგები და ავმაღლდები” (ტერენტი გრანელს) (2, 532).

“იდუმალების შორეული ზარები” ახსენებენ უზენაესს და უღვიძებენ მივიწყებულ ჭრილობებს: “იდუმალების რეკენ ზარები და მიღვიძებენ მძინარ ჭრილობებს” (1, 2076).

ზესკნელის, სიშორის ზარების მოსმენა დაჰბედებია იმთავითვე: “დაბადებიდან მიხმობს ზესკნელი,... რეკენ სიშორის ცივი ზარები” (ვარსკვლავეთი) (2, 114).

“ჭრიალებს მზეშებმული აღსავლის კარი” (ზღვა ხელში როგორ შემომეცრიცა) (2, 292).

“ჩემში უფალი ზის და მკარნახობს ცხოვრების წიგნს” (ჩემში უფალი ზის) (1, 87) – ასეა გამოხატული შთაგონების მომნიჭებელი ღმერთის წყალობა.

პოეტს ესმის “მძინარ ენის სუნთქვა” “ქარიშხლის სუნთქვა”, “ქარიშხლის ენა”, “განთიადის ხმა”: “განთიადის ხმა მეც გავიგონე აქ, ჩემს არაგვთან, იქ, შორს ნილოსზე. და დავდექ ღამის უდაბნოში, ვით მედავითნე, ბრძოლით დაღლილმა მე ჩუმად ვილოცე და შენი რწმენა სანთლად ავინთე” (მეც გავიგონე) (2, 311).

ვინც ღვთის სახლად აქცია თავისი არსება, მხოლოდ მას ხელეწიფება მილიარდების სიყვარული დაიტიოს: „ჩემი თვალები ღვთის სახლია, ხელის გული – სამყაროს რუკა. მერიდიანები – სულის სიმებია და მილიარდების სიყვარულს განედების სიმებით ვუკრავ“ (ჩემი თვალები ღვთის სახლია) (8, 480).

ძე ღმერთი ელვის, მამაღმერთი, მზის, სულიწმინდა ქარიშხლის სახით ეცხადება უდაბნოს გასაადამიანებლად, უღრანში სულიერების შესატანად: „ელვის მხურვალ ხელს მიწვდის, შორიდან ვცნობ ღიმილს ძის, მზე რომ ახლავს სხვა ნიშნის. უდ-

აბნოსკენ მიმიძღვის – ცხელი სუნთქვით ქარიშხლის“ (ელვის მხურვალ ხელს მიწვდის) (8, 493).

ზეცის ლურჯი ტაძარი ზარს არისხებს, ღამის წყვდიადს მნათობებით ამზიანებს: „ზეცის ლურჯი ტაძარი – სიშორის ზარს არისხებს. სურს წყვდიადი მოისრას. ძირს მოჭრილი ღამის ხე მნათობებს კვლავ მოისხამს“ (ზეცის ლურჯი ტაძარი) (8, 463).

პოეტი ელის სიყვარულის ქუხილს, უსხეულოს, უსახოს და უხილავს: „...და მოელი სიყვარულის ქუხილით მას, ვინაც ჩვენ არსს, ყველგან ყოფნით ამშვიდებს: უსხეულოს, უსახოს და უხილავს“ (და მოელი სიყვარულს ქუხილით) (8, 464).

სიყვარული, ქუხილი ქრისტეს სახელებია.

უსხეულო, უსახო და უხილავი მამაღმერთია (წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ., 2000, გვ. 322).

დანტეს და გალაკტიონს ესმოდათ ცეცხლის ხმა, სინათლის ხმა.

ვაჟა ეგრისელის ლექსში ცეცხლის და სინათლის ხმას მზე (ღმერთი) გამოსცემს: “სადაც ცეცხლის და სინათლის ხმა ისმის, ალბათ, მზე არი, რომ მიჰყავს აღმოსავლეთით ღამე – ზათქით და ზრიალით” (მნათობთა შუა” (2, 279).

მიწიერი ლოცვებში ციერთა ფრთის რხევას ისმენს და გულში უზენაესს უგალობს: “როცა ჩამესმება ფრთის რხევა ციერთა, სულგალაღებული მიწიერ ლოცვებით... მიყვარს სასწაულად მე შენზე ოცნება, მგალობელ ჩიტივით გულში დამწყვდეული” (მგალობელ ჩიტივით) (2, 433).

ქარიშხლის, ზღვის ენის ამომცნობს, ვარსკვლავთა ენით ესაუბრება ცა: „...არ მესმის, მაგრამ ვიცი შორიდან, ვარსკვლავთა ენით ცა რაღაცას მესაუბრება“ (დიდხანს იდვეს) (2. 876.

ზეცასთან „კომუნიკაციის“ უნარი უფლის კარებს უხსნის და უზენაესი ნათლის ხმას, ლაზარეს – ქართული ენისა და ქარ-

თველი ერის მკვდრეთით აღდგომის უწყებას ასმენინებს: „წარსულიდან რომ ყივის ქართველი, ის ხმები მოაქვთ მომავლის ქარებს: ზეცა განიხვნა – იქმენ ნათელი“, დროა, „ლაზარევ გამოვედ გარეთ“ (ლაზარევ, გამოვედ გარეთ) (2, 409).

„ხუთზე მეტი ათასეულ” წელთ იქიდან გიდგას ფესვი, საიდანაც შენი ენის, მძინარ ენის სუნთქვა მესმის”, მიმართავს კოლხ წინაპარს (კოლხ წინაპარს) (2, 143).

„მომავლის ჯეჯილის შრიალს“ აქედანვე შეიმეცნებს ნათელმსმენი პოეტი: „სადღაც მომავლის ხარობს ჯეჯილი და გესმის მისი ჩუმი შრიალი“ (1, 967).

„და დღედაღამ ღმერთი ტირის უღმერთობას“ (ღმერთი) (56, 1), ასე გვაგრძნობინებს უღმერთო ეპოქის ტრაგედიას.

ალიონის სინათლეზე შეუვედრებია ზესთა მეუფისთვის, მოსესთვის „სჯულის ფიცარის“ მბოძებლისთვის, თავისი ტიტანური „იქმენ ნათელი!“: „...და როს სინათლე წაცდა იალონს, მაშინ შევძახე ზესთა მეუფეს: “იქმენ ნათელი, რომ ჩემი მწუხრი ვაგანთიადო!” (იქმენ ნათელი) (2, 446).

ვაჟა-ფშაველას ესმოდა „უცხო ფრინველის“ ხმა: „მოფრინდა უცხო ფრინველი და დამტრიალებს თავზედა. არც არწივია, არც ქორი, თუმც ორივეს ჰგავს ხმაზედა. აბია შიბი ოქროსი, ოქროთ დაფერილს ბჯღალზედა, მასზედ მიბმული ბარათი ალს მომიკიდებს ალზედა“.

ოქროს ფრინველი ჩვენი დიდი წინაპრებისგან „უფლის საბჭოში“ დადგენილს ამცნობს პოეტს (მოფრინდა უცხო ფრინველი) (9, 54).

გიორგი ლეონიძე წუხდა, რომ სმენა ბოლომდე ვერ წვდებოდა იდუმალს: „ოქროს ჩანგების სიმების ჟღერა ჰაერში მესმის გაურკვეველი, მაგრამ ვერ მივწვდი, ვერა და ვერა, ვერ გავხდი მისი მიმაკვლეველი“ (11, 183).

ვაჟა ეგრისელს ესმის „ოქროს არფების წკრიალი: „გადმოდგებიან ცის აივნიდან ვარსკვლავები და ხმობენ მეასედ.

წკრიალი ისმის ოქროს არფების. და სიყვარულის ლურჯ-ფრთიანი ჩემი პეგასი იქით, ო, იქით მიისწრაფება“ (გადმოდ-გებიან ცის აივნიდან) (8, 953).

პოეტი ხარობს, რომ „ოქროს ჩიტები მზის ტოტებიდან გა-ლობენ არაამქვეყნიურს“ (ზღაპარ იყო) (3, 519).

უცხო ფრინველის ღვთიური ფრთები უცხო ხმას გამოსცე-მენ ვაჟა ეგრისელის პოეზიაში: „მოისმის უცხო ფრინველის უც-ხო ხმა, უცხო ყივილი. ღვთიური ფრთების ფათქუნი. გრძნობს პოეზია ქართული „მშობიარობის“ ტკივილებს“ (მოისმის უცხო ფრინველის) (1, 341).

პოეტის გული სალამურივით სავსეა „ოქრონარევ მზით და გალობით“ (მოხუცი მწყემსის სალამურივით) (3, 602).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორს ესმის ანგელოზთა უხ-მო ხმა, ხედავს ლუკას და მარკოზ მოციქულებს: „ვუსმენ ჩურ-ჩულს ანგელოზთა, ღვთისმშობელზე ლოცვით დაღლილს, ღმერთზე ფიქრით ღამენათევს ვხედავ: სანთლით უფლის წიგნში: ლუკას, მარკოზსა და მნათეს“ (ვუსმენ ჩურჩულს ანგე-ლოზთა) (8, 89).

ლექსში „ისევ შემოუსხდნენ მთვარეს ვარსკვლავები“ (8, 161) „ცა წუხს სილაჟვარდეს – ელვით დაისრული... ჩუმი ფრთათარხევა ისმის სერაფიმთა, იდუმალებაა აპოკალიფსუ-რი“.

ანგელოზებს გალობით აჰყავთ მაცხოვრისთვის შეწირული სული ცაში: „გალობენ ანგელოზები და შენი სული ქართული, ვითარცა მსხვერპლი – მაცხოვრის, ცად აყავთ ფრთების ფათ-ქუნით“ (არ ჩანან ჰაერთა მცველთან) (8,440).

ნათელსმენს განუწყვეტლივ ესმის ანგელოზების ციური გა-ლობა ცათა საუფლოდან: „ვუსმენ დღე და ღამ შენს საუფლო-დან – ანგელოზების ციურ გალობას“ (შენს საუფლოდან) (1, 335).

„ღვთაებრივ კომედიაში“ დანტემ აღწერა უფლისადმი აღვლენილი წმინდა სულების გალობა, რომელიც ისეთი ზეაღმტაცი იყო, რომ მიწიერი “უნაზესი მელოდიები” მათთან შედარებით მეხის გრუხუნს ემსავსებოდა.

ვაჟა ეგრისელის ლექსში “უფალს უგალობს დასი სერაფიმთა, გალობით სავსეა ცის ლურჯი დარბაზი” (ზევსი და სემელე) (8, 82).

ანგელოზთა ხმის მოსმენის უნარის მწყალობელ ღმერთს მადლს მიაგებს პოეტი: “ვეღარ ეტყვი ღმერთს სამდურავს, რადგან ციდან ხშირად ისმენ ანგელოზთა ხმას და ტკარცალს” (ციური ცვარი) (2, 552).

სამწუხაროდ, მიტოვებულ საყდარზე ღამურებს დაუბუდებიათ და აღარ ისმის ანგელოზების ფრთათა შრიალი: „აქ, ადრე, წირვის და სანთლების რიჟრაჟზე, ისმოდა ფრთათა მწუხარე შრიალი ანგელოზების... და ღამურების... ახლა მიტოვებულ საყდარზე ჰკიდია შავი ზარები ღამურების“ (აქ ადრე) (2, 762).

ისო ზირაქივით, „მზისთვალება ღმერთის მზერის“ მხილველ პოეტს მლოცველების წერილების კითხვისას ღმერთის ჩახველება ესმის და მის დაეჭვებულ სახეს ხედავს: „ანგე-ლოზებს კვლავ უკითხავს ღმერთი ლოცვებით ნაწერ მლოცველთა წერილს და ჩაახველებს ხან დაეჭვებით“ (ღმერთი) (1, 740).

ცის დიდ ტაძარში ლოცვად ისმის წვიმა, ისმის ანგელოზების გალობა: “ცის დიდ ტაძარში ლოცულობს წვიმა,.. ანგელოზების მესმის გალობა” (ვარსკვლავებში დავიდე ბინა) (2, 652).

პოეტის ოცნებაა “თავისი გალობა ზესთა დასს შეუხმიანოს” (ჩემი გალობა) (1, 281).

სიჩუმეში ციდან ანგელოზების ფრთების რხევა და ღმერთის ფეხის ხმა ესმის: „...და სიჩუმეში მოისმის ციდან: ანგელოზების ფრთების რხევა და ფეხის ხმა... ღმერთის“ (სიჩუმე) 2, 217).

საკუთარი “სულის და ძვალის ხმა” ესმის ცისგან წოდებულს: “მეძახის შენი ცა და სინათლე, რა სანატრელი, რა საამო ჟამი მოვიდა, მტვრევის ხმა მესმის საკუთარი სულის და ძვალის” (მეძახის) (2, 19).

ფრთოსნების უხმო სერობაში ქერუბიმთა წუხილი ისმის: “უხმო სერობა მეფობს ფრთოსნების, წუხს მწუხარების საუფლოში ხმა ქერუბიმთა” (უხმო სერობა) (2, 82).

“ჰანგთა ლოთი” კოლხი ქრისტეს მხედრის ჯადოსნური ხმებით დატყვევებული არიან ცის ანგელოზები: “ციდან ანგელოზები ისევ ისე ხედავენ, რომ გდევს ხმა – ჯადოსნური. შენ ხარ ქრისტეს მხედარი, ძველი არა, უძველეს – კოლხეთიდან მოსული” (ქრისტეს მხედარი) (8, 256).

ზეცა და სამშობლოს გზები ეძახიან (გვირილა) (2, 277).

სირინოზები მენავეთ და მოგზაურთ უსაფრდებიან, რათა მოაჯადოვონ, გზას ააცილონ ისინი (1, 183).

მაგრამ პოეტის ქართული სიტყვის ხმებმა იქით დაატყვევეს სირინოზები: “ჩემს ქართულ სიტყვას ვაელვარებ ხელში ხმალივით, თვით სირინოზებს დაატყვევებს ხმა ჯადოსნური” (ჩემს ქართულ სიტყვას) (2, 236).

სირინოზების დამარცხების, სქილასა და ქარიბდასგან თავის დაღწევის ძალა იყო დიდი, შეუცვლელი რწმენა უზენაესისა: “ჩემი დიდი საესავი-რწმენა არ გაღარიბდა, დავაღწიე კიდეც თავი ზღვაში მღერალ სირინოზებს, სქილასა და ქარიბდას” (ჩემი დიდი საურავი) (8, 549).

“კოლხური ფსალმუნების” ავტორის ლექსები იერიქონის საყვირად ქცეულა ჩვენი მამულის მოშურნეთათვის: “სულთამობრძავი ეს საუკუნე ხელში მიჭირავს, ვით სალამური და ჩემი ლექსის ყველა სტრიქონი, მოშურნეთათვის ჩემი მამულის არის საყვირი იერიქონის” (სულთამობრძავი ეს საუკუნე) (1, 26).

ლექსში “მამლები ყივილის ჯოხებით” (8, 156) “ცისკრის ვარსკვლავი – საყვირია, სულიწმინდის ნათელში შეხვეული”.

აკაკი წერეთელი იყო “გარემოების საყვირი” (პოეტი) (13, 236) გალაკტიონის სული – სამრეკლო (სამრეკლო უდაბნოში).

“კოლხური ფსალმუნების” ავტორს სულთა მარადისობაში არწმუნებს ზესთა სამყარო, სულიწმინდის “ცისფერი ქარები” მახვილად უპყრია და სიტყვას ლესავს, რათა ესმოდეს ორფეოსის, არეოპაგელის, გრიგოლ ნოსელის ბრძნული ნააზრევი: “სულთა მარადისობას დრტვინავს ზესთა სამყარო და ცისფერი ქარები ჰგვანან მახვილს ალესილს მთვარის შესამოსელით. ორფეოსის ხმა მესმის, ზარი არეოპაგელის და “პასუხი ექსუთა” წმინდა გრიგოლ ნოსელის” (სულთა მარადისობას დრტვინავს ზესთა სამყარო) (2, 894).

ასევე ესმის ფსალმუნების ავტორის ხმა: “როცა ღამემ ალესა, მთვარე ხეს ჩააფრინდა, ვითა წალდი-მეტყევის: ტყის შრიალში ხმა მესმა, – დავით ფსალმუნთმეტყველის” (მთვარე ხეს ჩააფრინდა) (2, 340).

პოეტის გალობებს სივრცეებში განფენს მშობლიური ზეცა, სულიერების, რწმენის ტაძრები: “და ჩემს გალობებს სივრცეებში ისედაც აანთებს: სვეტიცხოველი, ჯვარი, ვარძია და საქართველოს ზეცის თავანი” (ითვლის მძვინვარე ათასწლეულებო) (8, 94).

ვაჟას, გალაკტიონის, ვაჟა ეგრისელის ზეცით ნაკურთხი ქართული მიწიდან შობილი გალობა ზესკნელში იელვარებს მნათობად, ასეთია „კოლხური ფსალმუნების“ ავტორის რწმენა: „ენა ვაჟას და გალაკტიონის (გარდაუვალის გარდუვალობა) ვეღარ წალეკეს ბაიათებმა. ქართულ მიწიდან აღმომსკდარი შენი გალობა, გამოესხმება ზესკნელს მნათებად” (ენა ვაჟას და გალაკტიონის) (8, 950).

უფლის ნებით პოეტის სიტყვა ციურ მანანად, ზეციურ პურად, რწმენის განსამტკიცებელ მარადიულ სიტყვად ქცეულა (გიპყრია მთვარის კითარა) (8, 648).

პლანეტის იქით დაელოდებიან და მოუხმობენ ჭეშმარიტ

სიტყვას, ასეთია მტკიცე რწმენა პოეტისა: „მე ვხედავ ცხადად, მე ვისმენ ნათლად, ვიღაც მიხმობს და მელოდება პლანეტის იქით“ (ღვთის საუფლოში) (3, 293).

ზეციური ხმების მსმენელი, ვარსკვლავთა საუფლოდან უჭვრეტს მარადიულ, წარუვალ სიყვარულს: „ანგელოზების მესმის გალობა, მე. ვარსკვლავებში დავიდე ბინა, იქიდან ვუჭვრეტ სიყვარულის წარუვალობას!“ (ანგელოზების მესმის გალობა) (3, 652).

ასე დაჰბედებიათ სიტყვის რჩეულებს ღვთის უხმო ხმის, ანგელოზების გალობის მოსმენა.

მოსეს, დავით წინასწარმეტყველს ესმოდათ უფლის ხმა.

„უფლის ხმა რაღაა?“ – კითხულობს ბასილ დიდი და ასე პასუხობს: „...ძილში ხომ შერხევის გარეშე ვიმახსოვრებთ ზოგიერთ სიტყვას და ხმას, რომელნიც სმენით კი არ მივიღეთ, არამედ გულში აღგვებეჭდა. მსგავსად ამისა, უნდა მოვიაზროთ ის ხმაც, რომელიც წინასწარმეტყველებს ღმრთისაგან ესმით“ (15, 83).

„ხმა უფლისა უძლურს და დარღვეულ სულში როდია, არამედ მასში, ვინც თავდადებით და მტკიცედ იღწვის სიკეთის ქმნისთვის“ (15, 85).

...მაშინ იქნება მასში ხმა უფლისა, რაჟამს სული არ დაემონება ხორციელ განსჯას... ვისაც ღმერთზე კეთილშობილური წარმოდგენები აქვს და ამაღლებული აზრით იკვლევს ქმნილებათა კანონებს, ვისაც შეუძლია... რამდენადმე მაინც ჩასწვდეს ღმერთის განგების (გონებითს) სიკეთეს. სწორედ მათში მკვიდრდება ხმაი უფლისა, ვინც ...არად აგდებს ყოველივეს, რაც ხორციელია და აღიარებს, რომ მათ არავითარი ღირებულება არა აქვთ უხილავთან შედარებით“ (15, 85).

„ღვთის ტაძარში“ იმკვიდრებს ადგილს ვაჟა ეგრისელის გალობა (ო, ჭეშმარიტად) (2, 769).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორის სიტყვაში ქუხილის ხმა ისმის: “ქუხილი ჩემი ძახილია“ (მინდა გარგო) (2, 241).

ქუხილი ძე ღმერთის სახელია (5, 121).

„...და მაინც მოიწევს მაშრიყიდან მაღრიბით ჩემი ხმის ძლევამოსილი იმპერია...“ აცხადებს პოეტი.

ჩვენი დაკვირვება ამ ხმის ძლევამოსილი იმპერიის მხოლოდ ერთ ასპექტს შეეხო.

მომავალი მკვლევარები გაცილებით მეტს ნახავენ ამ ჭრილში...

დამოწმებანი

1. ვაჟა ეგრისელი, იქმენ ნათელი, თბ., 1993.
2. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 2001.
3. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 2, თბ., 2005.
4. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 3, 2007.
5. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.
6. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება. ზუგდიდი, 1996.
7. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977.
8. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 4, თბ., 2008.
9. ვაჟა ფშაველა, თხზულებანი, თბ., 1986.
10. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.
11. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.
12. ტიტე მოსია, “დავითიანის” სახისმეტყველება, თბ., 2008.
13. გიორგი ლეონიძე, რჩეული, 1961.
14. ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, თბ., 1980.
15. ბასილ დიდი, თხზულებანი, ფსალმუნთა განმარტებანი. ჰომილიები ექვსი დღისათვის. ძველი ბერძნულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო გვანცა კოპლატაძემ, თბ., 2002.

თავი II
ქრისტიანული სახისმეტყველება

ვაჟა ეგრისელის პოეზიის ანი და ჰოე

ათეისტური მეოცე საუკუნე მარადიული ღირებულებების, ეროვნული იდეალების იგნორირების, ცხოვრების საზრისის დაკარგვის, ღმერთის დავიწყებისკენ აქეზებდა სიტყვის მსახურთ და იქმნებოდა დინების მხარეს მავალთა ფუჭსიტყვაობის ნიმუშები, რამაც, ბუნებრივია, ვერ გააღწია გაღმა ნაპირამდე, იგი იმთავითვე განწირული იყო დავიწყების მორევში ჩაძირვისთვის.

სულიწმინდის მადლით ცხებულთ არასოდეს უვლიათ მიწიერ თავადთა ნაჩვენები გზით, მათ ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ „კულტურა თავისი არსით და საფუძვლებით რელიგიურია, ეროვნულ-ნაციონალურია და ამდენად, საკაცობრიო, ცივილიზაცია არარელიგიურია, ინტერნაციონალური“ (1,66).

სატანისტური ბოლშევიზმით მოწამლულ ეპოქაშივე გაჩნდა მოწოდება: „უნაყოფო, კულტურის საწინააღმდეგო ნაჰილისტური მორალიზმიდან პირი უნდა ვიბრუნოთ შემოქმედი, კულტურისმქმნელი რელიგიური ჰუმანიზმისკენ“ (სემიონ ფრანკი, „ნიჰილიზმის ესთეტიკა“) (2,66).

საბედნიეროდ, უდიდესი პოლიტიკური ზეწოლის პირობებშიც იყვნენ ზეციური სიწმინდით გამორჩეული შემოქმედნი, რომელთაც კავშირი არ გაუწყვეტიათ სიწმინდის წყაროსთან, მრავალსაუკუნოვან ტრადიციებთან და, მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლითა და მახვილით იდევნებოდნენ მორწმუნენი, უზენაესს სანთელს უნთებდნენ და ქრისტიანული სამების წინამძღვრობით ამარცხებდნენ ბოროტეულთ.

სწორედ მათი სახელები შემორჩა შთამომავლობას საამაყოდ, სულგაყიდულნი, მედროვეთა სამოსით მოსილნი კი სამუდამოდ შეაჩვენა ისტორიის მსჯავრმა.

ვაჟა ეგრისელის მოღვაწეობის დიდი პერიოდი, მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან ბოლო ათწლეულებამდე, სწორედ კომუნისტური იდეოლოგიის მძლავრობის, პანეგირიკებით ცნობილი სოციალისტური რეალიზმის გაფეტიშების პერიოდია, არადა მის შემოქმედებაში ვერც კერპების, სოციალისტური წყობილების ბელადების, სიცრუის ხოტბას ვიპოვით და ვერც წითელი ეპოქის მომაკვდინებელი ბაცილებით ავადობას.

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი იმ ავბედით, სიტყვის მსახურთა მოდრეკა-მოთვინიერების პერიოდშიც დარჩა გაბედული, მოუსყიდველი, უზენაესი ჭეშმარიტების ერთგული.

მისი მსოფლმხედველობის მთავარი წყაროები იყო ბიბლია, ღვთისმეტყველ ქრისტიანთა ნააზრევი, მითოლოგია, იდეალისტთ ფილოსოფოსთა სიბრძნე, კლასიკური ქართული და უცხოური პოეზია.

პოეტის მთავარი ორიენტირი გახდა ქრისტიანული რელიგია, რაც სულის უკვდავების საწინდრად ესახებოდა: „...დღის ბოლოს კი არსთაგამრიგე და ლანდები სხივოსანთა, ქართული ცის სიანკარეს, მხოლოდ სულებს ღვთისმოსავთა, სხვას არავის მიაკარებს“. (დღის ბოლოს კი არსთაგამრიგე) (3, 421).

თვით „კოლხური ფსალმუნების“ ავტორის ავტოპორტრეტი იქმნება სტრიქონებში: „მარადჟამს ცისკენ ჩანგშემართული, მეხთამტყორცნელი და ღვთისმოსავი, დამურვებელი ზღვის და მზით ჰანგის, სწორედ ისეთი შენ ხარ მგოსანი, აზრის მფანგველი, სიტყვის კრიჟანგი“ (მარადჟამს ცისკენ ჩანგშემართული) (3, 563).

ბიბლია სჯულის ერთგულებას, რწმენაში ხალხის განმტკიცებას მოითხოვს: „ნუ წარდგები უფლის წინაშე ხელცარიელი, რადგან ყოველივე ამას მცნება მოითხოვს“ (სმიბრძნე ზირაქისა, 35, 4) (4, 53).

„მხოლოდ ის, ვინც თავს შესწირავს უზენაესის რჯულის შესწავლას, გამოიძიებს წინაპართა სიბრძნეს“ (სიბრძნე ზირაქისა) (39,1) (4,62).

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებას გამოარჩევს რწმენა, რჯულის, ღვთის მცნებების ერთგულება: „ქართული სიტყვის რჯულმდებელი და სტრიქონებში მზის მთესავი, ცურტავიდან, მერჩულედან, მისხიდან-მისხით, ყველა შენია ქრისტესავით, რადგან შენი სიტყვა – პოეზიაა წმინდა სისხლის“ (ქართული სიტყვის რჯულმდებელი) (3, 620).

მარადიულია, საუკუნეობრივი ღირებულებისაა მხოლოდ „ღვთიური ცეცხლით მოსილი“ სიტყვა: „მარადჟამს ღვთიერ ცეცხლით მოსილი, მბრწყინავი თვლებად და მინანქრებად, საუკუნეთა ნადავლს რომ ზონის, აზრის გოდოლზე დანთებული სიტყვის კოცონი, შენი, სამშობლოს ფიქრთა მთაზე აღარ ჩაქრება“ (3, 830).

მორწმუნეობა, ქრისტიანული რელიგიის პრობლემების საფუძვლიანი ცოდნა პოეტს შასაძლებლობას აძლევს, შექმნას ინდივიდუალური ელფერით გამორჩეული ქრისტეს, მამაღმერთის, სულიწმინდისა და მარიამ ღვთისმშობლის სახისმეტყველება.

ბიბლიაში, სასულიერო პოეზიაში, არეოპაგიტიკაში ღმერთი არის ნათელი, „ნათელი წუთისოფლისა“ (იოანე, 8, 12) (5, 195).

არეოპაგიტიკაში ღმერთი მოიხსენება, როგორც „განუზომელი ნათელი, მიუაჩრდილებელი ნათელი“ (6, 189), ჰიმნოგრაფიაში – „ნათელი დაუშრეტელი, ნათელი ნათლისგანი, ნათელი თვალშეუდგამი, ნათელი დაუსაბამო, უნივთო ნათელი“ (7, 507).

ბიბლიაში გარჩეულია ორგვარი ნათელი: „უჟამო, დაუბადებელი“ ნათელი და ხილული ნათელი. „დაუბადებელი ნათელი“ ბიბლიური კოსმოგონიის მეოთხე დღემდე არსებობდა.

იგი უხილავია და მიიჩნევა ხილული ნათლის წყაროდ (მ. გიგინეიშვილი, „მზიანი ღამე“ „ვეფხისტყაოსნისა“ და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზოგი საკითხი) (8, 102).

ორგვარი ნათელი გვხვდება ძველ ინდიურ, ძველ ეგვიპტურ, ძველ ბერძნულ და რომაულ ფილოსოფიაში. ნათლის შემოქმედი ყველგან ღმერთია.

ორგვარ ნათელს განასხვავებდნენ ნეტარი ავგუსტინე, ფსევდო დიონისე არეოპაგელი, ბასილ დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი.

„ქრისტიანული ღმერთი არის ნათელი, ნათელმფენი.

თეთრი სინათლის, სიწმინდის, სილამაზის, უმანკოების, წმინდანობის, სიხარულის, ბედნიერების, ნათლისღების ფერია. ქართული მონათვლაც ქრისტიანობას უკავშირდება (9, 133).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ღმერთი არის „ნათელი ზეციური, ნათელი უზეშთაესი, წმინდა ნათელი, მარადჟამული ნათელი, ცხოველი ნათელი (10, 376, 397, 410, 411).

ნათლის სათავე ღმერთია: „ნათელი ცხოვრების, რომელსაც ღმერთში სათავე თვისი უპოვნია“ (10, 52 -53).

საღვთო ნათლის სახეებით ყურადღებას იქცევს ჩახრუხაძის „თამარიანი“, შავთელის „აბდულმესიანი“.

უძველეს იადგარში ღვთისმშობელი არის „ნათლის დედა“.

„ვეფხისტყაოსნის“ ღმერთი არის ნათელი: „ღმერთმან ნათელთა სახისა“.

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ ქრისტე არის ნათელი, დღე ნათლიერი, წარუვალი ნათელი (11, 141).

გალაკტიონის ლექსში „ავე მარია“ ღმერთი მოიხსენება როგორც „წმინდა ნათელი“ (12, 45).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში მრავალგზის ფიგურირებს საღვთო ნათელი და მისი ვარიაციები: „შორეთის ფსკერში მოციმციმე ნათელს ვუჭვრეტდი“ (13, 193).

ლექსში „ქრისტე“ (14, 343) ასეა განცდილი ქრისტეს ნათელი: „განფენილია ზეცით-მიწამდე, მისი ნათელი-ლოცვით მოსილი, ახალშობილი მნათობია მისი პროფილი, ვითარც ზენათა უზენაესის, ვით ყოფილის და არყოფილის“.

„წმინდა ნათელი“ ეწოდება ღმერთს „ამაღლებაში“ (14, 127). „აჰა, ამაღლდნენ“ ჩემი ფიქრები განთიადამდე, სადაც რწმენა მარად ციმციმებს და თავს ევლება წმინდა ნათელს ფარვანასავით“.

ღმერთი არის „ნათლის წყარო“, წინსვლის სტიმული: „მრუმე ღამის კარიბჭესთან ნათლის წყარო ისევ გიმზერს და ყოფნა არ გწყინდება, რადგან იცი, რომ შენი მზე მალე ამობრწყინდება“ (მრუმე ღამის კარიბჭესთან) (14, 66).

აღიარებული რელიგიური სახეა „ნათლის სვეტი“, რომელიც ხან ქრისტეს, ხან მარიამს მიემართება.

ვაჟა ეგრისელის ლექსში „შუნი“ „ნათლის სვეტის“ დამუნჯება-გაუჩინარებაზე უღმერთობაზე მიგვანიშნებს: „დამუნჯებულა სვეტი ნათლისა და ვარსკვლავების ჩამქრალა ბაღი“.

ნათელი და ჯვარი ძალისა და ამაღლების წყაროა: „ახლა, როცა ვხედავ შორით და ნათელთან ჯვარი ვიფსკვენ, ძალა ისევ მოვიკრიბე და მივყვები მაღლა-ცისკენ, სხივმფინარე „ხიდს“ და „კიბეს“.

ხიდი („ხიდო წიაღმყვანებელო“) და კიბე (ზეცის) მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოებია (დაუჯდომელი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა“ (15, 9).

იოანე დამასკელი ბრძანებს: „როდესაც ღვთის შესახებ ვამბობთ „სიბნელეს“, არათუ სიბნელეს ვგულისხმობთ, არამედ იმას, რომ ღმერთი არ არის სინათლე, ანუ სინათლეზე უზემოესია. ასევე, როდესაც მის შესახებ ვამბობთ „სინათლეს“, ვამბობთ იმ აზრით, რომ არ არის იგი სიბნელე“ (16, 325).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში გვხვდება ამ მოსაზრებასთან მიგნებულად მისადაგებული სახე საღვთო ნათლისა- „ბნელი

ნათელის სიელვარე“: „...და იდუმალი მესმის ძახილი ბნელი ნათელის სიელვარეში“ (ბნელი ნათელის სიელვარეში) (13, 80).

ლექსში „ჟამს ვარისხებ, როგორც მნათე“ (14, 67) „მიუწვდომელი თვალთა ნათელია“ უფლის სახელი: „უჟამოს და უხილავის სამრეკლოზე გადმომდგარი ზარს ვარისხებ, როგორც მნათე და ვით დავით, მეც დავეძებ მიუწვდომელ თვალთა ნათელს“.

„უჟამო და უხილავი“ საღვთო სახელებია (16, 337).

პოეტს გამუდმებით ენატრება „ნათელი სოფლისა“: „ალაჰი ვერ შემაყვარეს ქრისტეს ნიმბში ყოფნისას. თუმცა ისევ მენატრება მე ნათელი სოფლისა“ (ქრისტეს ნიმბში ყოფნისას) (14, 110).

პოეტი, როგორც ეკლესიასტე, შემოსილია „ცისკრის ნათელით“: „შენიც, ისე ვით ეკლესიასტეს, ცისკრის ნათელი არის სამოსი“ (ვით ეკლესიასტეს) (14, 85).

ჭეშმარიტი პოეტი მარადიული სინათლით შემოსილია.

„ჩრდილში ჩამომჯდარ მგოსანს, ცით-მირონივით გადმომდინარი, მარადიული სინათლე მოსავს“ (17, 609).

ანა კალანდაძე „მისტიურის მიღმა ფერებით“ იყო შემოსილი.

ვაჟა ეგრისელი მიღმური სამყაროდან ელოდება უსხეულო ნათელს: „ელვა ღრუბლებს გადაჩალავს, მწუხრი დადგამს მთვარის ულოს და მოკვდავმა ყველამ იცის, რომ „ნათელი უსხეულო“ მოვა მიღმეთიდან სივრცის“ (ქარი ღრუბლებს გადაჩალავს) (17, 463).

ასევე, მეცხრე ციდან მოდის „დღე წყვდიადი და მზიანი ღამე“ (იგი არის) (17, 465).

ქრისტე არის წყვდიადიდან ამოსული მზე, სხივი, უქრობი ნათელი, ცაში უშობელად შობილი: „გრძელი ღამის წყვდიადიდან დააპირებს მზე ამოსვლას, დრო მის სხივებს უშნოდ ბე-

ლავს – მერე უქრობ ნათლით მოსავს – ცაში შობილს – უშობ-ელად“ (გრძელი ღამის წყვდიადიდან) (17, 388).

პოეტი დარწმუნებულია, რომ „ნათლითმოსილი უფლის ხატება“. ყველგან არის, სასახლეებშიც და ქოხმახებშიც (მზეებს მიგზავნის ღამეები) (17, 97).

მარადიული სინათლის წყარო ცათა ცაშია: „გვესხურება ცით წყარო – მარადიულ სინათლის“ (17, 338).

წყვდიადში, უღმერთო ეპოქაში კიდევ უფრო ძლიერდება „ნათლის“ წყურვილი: „ვუხმობთ ნათელს და ყოფნა წყვდიად-ში უფალმა უწყის, სანამდე გასტანს“.

უდაბნოს გადამლახველი, ურწმუნოების ბნელის უარმყო-ფელი, ღვთისგან ხელდასხმული პოეტი თავისი პოეზიით ამ-კვიდრებს მარადიულ ნათელს: „გამოვეპარე ათასწლეულებს და საესავით... და საფიცარით, უდაბნოს ცხელი გზები გავთე-ლე... და ვითარც მოსეს, მეც მიბოძა „სχულის ფიცარი“ ღმერ-თმა წარწერით: „იქმენ ნათელი“ (გამოვეპარე ათასწლეულებს“ (14, 458).

„ნათლითშემოსილნი“ წილნაყარნი არიან მზესთან, მთვა-რესთან, მათი ხვედრია ზესთასოფლის ხილვა, უფლის ზეცაში, მნათობებთან ამაღლება: „ნათლითშემოსილს, ვითარცა ქრის-ტეს, ეძახდა სულ სხვა სასუფეველი. რადგან მიწიერს მზის და მთვარის სისხლი ერია. და... მიმწუხრისას ამაღლდა ზეცად, მნათობთა მტვერში შეერია“ (ნათლით შემოსილს) (14, 686).

ქრისტე არის „ნათლითმოსილი სიტყვა“ (თეთრი დღეების მდინარეები) (14, 437).

მხოლოდ მაცხოვრის ნათელშია შესაძლებელი ზნესრული ცხოვრება: „მაცხოვარის დგას ნათელი“ (14, 453).

ასე გამოხატა პოეტმა თავისი მაღალი მისია, რაც უკვდავე-ბის საწინდარია: „ბნელი შეცვალე ნათლით, ყოფნით არყოფ-ნა ძლიე“ (ლოცვით დაღლილი, ვითარც) (14, 575).

„მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84, 12) (5, 614).

მალაქიას წინასწარმეტყველებაში ღმერთს ეწოდება „მზე სიმართლისა“: „...ამოგიბრწყინდებათ, ჩემი სახელის მოშიშნო, მზე სამართლისა და კურნება იქნება მის ფრთებზე“ (მალაქია წინასწარმეტყველი, 3, 20) (4, 307).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ღმერთს ეწოდება „წმინდა მზე“ (შდრ. გალაკტიონი: „აენთო წმინდა მზე შინაგანი“... „მშვიდობის წიგნში)“ „მოკვდავთა ამდენ ლოცვა-ვედრებით ყოვლისმხილველი თვალი აქვს სველი. სწირავს უფალი-მწყემსი კეთილი. ღამით სავსეა ცის ტაძარი ვარსკვლავთა მრევლით, დღისით მღვდელმთავარს – წმინდა მზეს ჰყავს გამოკეტილი“ (მოკვდავთა ამდენ ლოცვა – ვედრებით (14, 820).

ლექსში საღვთო სახელებია „უფალი“ (8, 338), „მწყემსი კეთილი („მე ვარ მწყემსი კეთილი“ – იოანე, 10, 14) (5, 201).

ღმერთის სახელია მღვდელმთავარი.

პავლე მოციქული ბრძანებს: „...ხოლო ქრისტე, კეთილი მომავლის მღვდელმთავარი, მოვიდა უფრო დიდი და სრულყოფილი, ხელთუქმნელი კარვით, ე.ი. არა ამნაირად შექმნილით“ (ებრაელთა, 9, 11) (5, 478).

მზის-ღმერთის რწმენაა პოეტის საგალობელი, სულის მარადიული საცხოვრისი: „მზე დედაა-ღვთის თვალება... და ვუგალობ მას „ლილეოს“, მზეში ვცხოვრობ და ვბინადრობ, ვით ბრუნო და გალილეო“ (მზე დედაა) (14, 634).

„ჩვენი მწყემსისა და მეველის“ – ქრისტეს გვირგვინი არის მზე: „სამყაროს მანათობელი მზე არის ოქროს გვირგვინი, ჩვენი მწყემსის და მეველის და შორს რომ გადაიგრგვინა – ხმა არის ნაზარეველის“ (14, 518).

„მზიანი ღამე“ ღმერთის სახელია შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის შემოქმედებაში (18, 121).

ასეთივე შინაარსისაა ეს სახე გალაკტიონის პოეზიაში („ის დღეები დაიკარგა“).

თავისი ლირიკული პერსონაჟის ღვთისნიერობას ასე გამოხატავს ვაჟა ეგრისელი: „...იმ ერთმა გამოიარა ბნელი მზიანი ღამისა“ (ზეცა იესოს ტანია) (14, 279).

ლექსში „ლოდინი“ მამაღმერთის (ჟამი უჟამო, მზიანი ღამე), ქრისტეს (მზიანი დღე) მარიამის (ცა, მთა) ლოდინის გრძნობაა გადმოცემული: „ელი და აღარ ჩანს დღე-ღამე მზიანი, აღარც ცა, აღარც მთა, არც ჟამი უჟამო“ (14, 277).

ლექსში „მეცხრე“ (17, 957) „მზიანი ღამის“ (მამაღმერთის), სამოთხის (მარიამის), ვენახის (ქრისტეს), მეშვიდე, მერვე, მეცხრე ცის ნახვის სურვილია და ღვთისმშობლის, ქრისტეს ძიების გზით მიდის პოეტი სამყაროს შემქმნელის საუფლომდე: „იტყვის: ძებნაში სამოთხის ცრემლებს გამოვყევ ვენახის, წყვდიადში მოველ მეცხრეცა. „მზიან ღამით“ რომ მენახა: მეშვიდე, მერვე, მეცხრე ცა“.

„მზიან ღამეს“, უკვდავების წყაროს ეძებდნენ ეკლესიასტე და გილგამეში, საწუთროს ამაოებაზე წუხდნენ, თუმცა უფლის ნათელში დარჩნენ მათი სულები: „გაუკვდავების წყაროს ძებნაში, ალბათ იცვალა უცებ ამინდი და... დარჩენილნი მზიან ღამეში, წუხან საწუთროს ამაოებას ეკლესიასტე და გილგამეში“ (ეკლესიასტე და გილგამეში) (7, 154).

მზის, სიცოცხლის, სიყვარულის (ღმერთის) ძალით აღჭურვილი მიემართება პოეტი ქვეყნის კიდეების მოსახილველად: „მზით და სიცოცხლით და სიყვარულით და თოხისტარზე გამოკრული მცირე სამხარით, გზას მიუყვება ერთი პოეტი, ნახა მაღრიბი... მიდის სამხრეთით.... ელის მაშრიყი და ჩრდილოეთი“ (ერთი პოეტი) (14, 363).

ქრისტიანული ღმერთი სამებაა, სამი მზის სახეში მოაზრებული და მასზე გამუდმებით ლოცულობს პოეტი: „ღვთიურ იდუმალებით-შენი, მგოსნის სამიზნე, კვლავაც არის მოცული, შენში სუფევს სამი მზე, სამივეზე ლოცულობ“ (სამი მზე) (14, 231).

გალაკტიონის თვალი სავსე იყო ცვრებით, იებით (ცვარი ქრისტეს, ია- ღვთისმშობლის სიმბოლოა) („სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორის თვალში დაუბუდებია მზეს და „რწმენის მზე“ გამხდარა მისი საესავი: „მზე ჩემს თვალებში ბუდეს იკეთებს“, მოვიდა ჩემთან და მეც რწმენის მზესთან მივედი“ (მზე ოქროს ფრთებს შლის“) (14, 546).

ასევე, პოეტის გამორჩეულობას ამოწმებს „მზის ბეჭედი“: „შენს ბედს ბეჭედი აზის მზის“...

ამიტომაც ივედრება: „მზის ემბაზში გამბანე“ (14, 389).

მზე-ქრისტეს, ემბაზი – მარიამის სიმბოლოა.

მარიამი, დაუჯდომლის მიხედვით, არის „ემბაზისა მსგავსებისა გამომხატველი“ (დაუჯდომელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა), (16, 12).

უფლის ზეცისკენ, მზის (ღმერთის) გზასა და მთვარის (ღვთისმშობლის) ბილიკებს იკვლევს მარადიული ლოცვით: „გზას დღისით მზისა და ღამით-მივსდევ მთვარის ბილიკებს და ზეცისკენ ვიურვი... უფალთან გზას მიგვიკვლევს ლოცვა მარადიული“ (გზას დღისით მზისა და ღამით...) (17, 815).

მზეს, ვარსკვლავებს, ღმერთების სავანეს უბრუნდებიან წმინდა სულები, მზის შვილები, რათა „მზის სვეტების“ („ღმერთის), სინათლე ათოვდეთ: „დრო მოვა და მზის შვილი, მზეში დაიმარხები და ძეგლად დაგედგმება მზის სინათლის სვეტები“ (დრო მოვა და) (17, 820).

პოეტის იდეალია მზე და ტაძარი (მზე ქრისტეს სიმბოლოა, მარიამი არის „საყდარ მეუფისა“ (დაუჯდომელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა (16, 9). „ლოცვებით ამაღლებული, აღარ არსებობს სხვა უფრო ტაძარი, მზე რომ ათოვდა. ცა არის ღმერთების საუფლო და სამოსახლო მნათობთა“ (ლოცვებით ამაღლებული) (17, 734).

პოეტი „მზეში ჭვრეტს სამებას, როგორც ნაზიანზელი“ (გრიგოლ ნაზიანზელი) (17, 20).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორს ისო ზირაქივით განუცდია „მზისთვალება“ უფლის ხილვის ბედნიერება: „და ვითარცა ისუ ზირაქს“ შენც გიხილავს მზისთვალება უფლის მზერა“ (და ვითარცა ისუ ზირაქს) (17, 37).

მზეთამზეს (მამაღმერთს) და მზეს (ქრისტეს) უნთებს პოეტი სანთელს: „მე სანთელს კვლავაც დაგინთებ, ჩემო მზეო და მზეთამზე“ (17, 42).

ცის ხმის მოსმენის უნარით მომადლებული, უფლის კვართს ხედავს: „გესმის ციდან ძახილი ხან მიწის და ხან ზენის და უფლის კვართს შესცქერი, როგორც ნაზიანზელი“ (დადგა ჟამი, გათენდე) (17, 50).

მამაღმერთი, ძე ღმერთი და ქალწული-მარიამია პოეტის საესავი: „დილით მზე, ვითა ქალწული, ამაღლდა ცათა ცათასა“ (17, 87).

სანთლით ხელში ელის სულიწმინდის მოფენის დღეს (17, 52). სამყაროს, ზეცის შემქმნელი, ადამიანის სულისჩამდგმელი ღმერთი პოეტის გამუდმებული ფიქრის საგანია: „მირიადი ხატებით, მზეა მისი პროფილი, ვინაც ზეცა მთიებით დაწერა და დახატა. მანვე გადმოიყვანა ჩემში პირველყოფილი-ათას ზღვაში ნარწევი ეს კოლხური მაჰატა“ (17, 682) პოეტი არის „მზის მთესავი“ (17, 674).

მზით არის გასხივოსნებული მისი არსებობა: „მზეებს მიგზავნის ღამეები, როგორც ბარათებს“ (ადიდებული დიან დღეები) (17, 97).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი სულიერებით, რწმენით გამორჩეული პოეზიისთვის ბრძოლაში მთავარ იარაღად ირჩევს მზეს და სიხარულს: „ბრძოლა მომელის უსასტიკესი და დარჩენილი ჩემი დღეები... მზეს და სიხარულს, ვით იარაღს, ელავ აისხამენ, როგორც მცხეთა და როგორც სარკინე, რადგა-

ნაც ვიცი, ბედი მრისხანე, ვით იაკობს, თვით უფალთან რომ შემარკინებს“ (ბრძოლა მომელის უსასტიკესი).

პავლე მოციქული გვამცნობს: „ჩვენი საბრძოლო „იარაღი“ ხორციელი კი არ არის, არამედ არის ღვთიური ძლიერება სიმაგრეთა დასანგრევად“ (II კორნითელთა, თ. 10, 4) (5, 396).

სულიწმინდის ქნარად წოდებული მოციქულის წერილებში განმარტებულია „საჭურვლის“, „ჯავშნის“, „ფარის“, „ჩაჩქანის“, „მახვილის“ შინაარსი: „შეიმოსეთ ღვთის სრული საჭურველი, რათა შესძლოთ წინ აღუდგეთ ეშმაკის მზაკვრობას“ (წერილი ეფესელთა მიმართ, თ. 6, 11) (5, 421).

„იდექით ჭეშმარიტებით წელშემოსარტყლულები და სიმართლის ჯავშნით შემოსილები“ (იქვე, 6, 14) (5, 422).

„აიღეთ რწმენის ფარი, რომლითაც შესძლებთ ბოროტების გავარვარებული ისრების ჩაქრობას“ (იქვე 6, 16).

აიღეთ ხსნის ჩაჩქანი და სულის მახვილი, რომელიც არის ღვთის სიტყვა (პავლე მოციქული ეფესელთა მიმართ, (6, 14) (5, 422).

პოეტი არის მარადიულ მზით მოსილი, „უცნობის“ და „უხილავის“ რჩეული, მის გზაზე მავალი: „მარადიულ მზით მოსილი, უცნობი და უხილავი, არის ჩემი ორიენტირი. გაჩენიდან უხმოდ მიხმობს, მეც გზად მივსდევ და მივტირი“ (მარადიულ მზით მოსილი) (17, 304).

„მზის ემბაზში“ განბანილს, ვერას დააკლებს პარისის ისარი: „...და იფრენ კიდით კიდემდე, სხვა გზებით, სხვა ასპარეზით, ვითარც ახალი ამბავი. შენ, მზის ემბაზში განბანილს, ვერას დაგაკლებს პარისი“ (და იფრენ კიდით კიდემდე) (17, 33).

ქრისტეს სიმბოლოა ელვა: „ელვის მხურვალ ხელს მიწვდის, შორიდან ვცნობ-ღიმილს ძის, მზე რომ ახლავს სხვა ნიშნის. უდაბნოსკენ მიმიძღვის ცხელი სუნთქვით ქარიშხლის“ (ელვის მხურვალ ხელს მიწვდის) (17, 4934).

ელვა საღვთო სახელია ლექსში „ჟამთა სრბოლამ“ (17, 431): „ჟამთა სრბოლამ ვერ დააზრო, აცდა დელგმას და ნიაღვრებს და მისმა ცამ იბაღნარა. ის ელვაა, ბნელს მოარღვევს, მოწანწკარებს ოქროს ღარად“.

ქრისტე არის „მამის სიტყვა“: „...მაინც ისმის ცით ძახილი: მამის სიტყვა არის ქრისტე“ (აგე, ოცი საუკუნე) (17, 21).

ცის განგებით იხილა სულის თვალებმა უფლის საუფლო, ცანი ცათანი“: „ნეტართა სამკვიდრებელი, მიწა კი არა, ცა უფრო, მეძახდა შიშით ატანილს: ვწვეოდი უფლის საუფლოს, მეხილა ცანი ცათანი“ (ნეტართა სამკვიდრებელი) (17, 420).

უფლის თვალები ყველგან არის, ის ხედავს კაცის გულსაც: „ვინც ეწამა მამისათვის, ვინაც ცოდვა კაცთა მოდგმის, თავის სუსტი მხრებით ზიდა, ელვასავით ის ჯვარცმული, ისევ გვითვალთვალებს ციდან“ (ვინც ეწამა მამისათვსი) (17, 380)

ბიბლიაში ღმერთი არის „მზე სამართლისა“ (მალაქია წინასწარმეტყველი)

პოეტის ღმერთია „მზე მართლის და სამართლის“, უქრობი, მარადიული: „სხივები სანთლებს უნთებდნენ ბუდასა და საბაოთს. მე თაყვანს ვცემს ჩემს უფალს – მზეს მართალს და სიმართლის, უქრობს, დაუსაბამოს“ (სხვები სანთლებს უნთებდნენ) (17, 46).

გალაკტიონი წუხდა „ზეცის ნგრევას“ (მეოცნებე აფრებით), მზის გარდაცვალებას (მას გახელილი დარჩა თვალები), მზის ჩაქრობას (მე დამესიზმრა), მზის გაუჩინარებას, მზის ლანდად ქცევას და ამით მიგვანიშნებდა ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიაზე.

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი თავის ეპოქაში ურწმუნოების საშიშროებას ხედავს და თაობებს მოუხმობს მზის (რწმენის) გადასარჩენად: „ცა ჭკნება, ვით ტოტი ძახველის. დრო არის მზის გადასარჩენად, „რამეთუ ყოველთა აღიღონ მახვილი“ (ცა ჭკნება) (17, 536).

რწმენის ერთგულება, მისთვის თავდადება ვაჟა ეგრისელის პოეზიის გამჭოლი თემაა: „მე ვით კოლუმბი, ვით მაგელანი, დაბლა არ დავხრი რწმენის იალქანს“ (მიხმობს) (13, 198).

მზე- ღმერთი მხოლოდ წმინდა სულის მქონეთ გამოუბრწყინდებათ ისევე, როგორც „შტო სიხარულის“, როგორც მტრედის (სულიწმინდის სიმბოლოა) მიერ მოტანილი „შტო სიხარულის“: „როდესაც მტერს და მავნეს ვუთხარ „არული“, ადიდდა სული და აბრწყინდა ის მზე, ის ხატი და ახლა ველი შტოს სიხარულის როდის მომიტანს მტრედი ნისკარტით“ (ისევ მოლოდინი) (14, 161).

მზის და დაფნის რტოებით მიიწევს პოეტი უსასრულო შორეთში, რაც აძრწუნებთ მუხლსუსტებს და შეჩერებას ურჩევენ: „გზა არის შორი... თეთრჩალმიანი ღრუბლები ცაზე დამხობილან, როგორც მოგვები. ბრწყინავს და ელავს ნახევარი მთვარის მეჩეთი. შენ მზის და დაფნის მიგაქვს რტოები და მიხვალ ზევით... ვიღაცა ყვირის: წამით შეჩერდი! თორემ კეთილი მეგობრებიც მიგატოვებენ“ (გზა არის შორი) (13, 817)

ქრისტეს და მარიამის სიმბოლურ სახეებთან გვიწევს შეხვედრა ლექსში „სიშორით და ღამით მოსილ“ (14, 105): „სიშორით და ღამით მოსილ-წყვდიადიდან იშვა დილა, მზე ჩაედგა პირში სულად. ცა მეჩვენა „დახშული მტილად“, სპეტაკ წყაროდ დაბეჭდილად“.

„დილაში“, „დაბეჭდილ წყაროსა“ და „დახშულ მტილში“ მარიამი გვეცნაურება, მზეში – ქრისტე.

„ქებათა ქებაში“ ნათქვამია: „მტილი ხარ დახშული, სძალო, დაო ჩემო, ჭა დაგმანული, წყარო დაბეჭდილი“ (4, 12).

სძალი და „წყარო დაბეჭდილი“ მარიამის სახელებია „დაუჯდომლის“ კვალობაზე, მზეში“ ქრისტე ამოიცნობა.

პოეტის ორიგინალობას მოწმობს „მთვარის ფიალით“ მზის მადლის“ შესმა: „ჰელიოსის მზემ, ვითარც მზის შვილმა,

მთვარის ფიალით მზის მადლი შესვი და ამიტომაც უკვდავი გახლი“ (სკიპტრა და ტახტი) (14, 656).

მთვარე და ფიალა მარიამის სახეებია, მზე ქრისტესი, ანუ საუბარია მარიამის გზით ქრისტეს (მზის) მოვლინებაზე...

ღმერთის სიმბოლოა „მზიანი დღე“, სიბრძნის და სიწმინდის მომნიჭებელი: „ყოვლისმხილველ თვალს – შენ რომ გიკოცნის, ცით მონაბერი, მშობლიური მიწის ქარია და შენ გეკუთვნის ეს დღე მზიანი. მიტომ ტირიხარ... და გიხარია, რომ გადიქეცი ზღვა-ოკეანედ“ (გინესი 97) (17, 995).

შუქი, სხივი ძე ღმერთის სახელია ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში, ფილოსოფიურ მწერლობაში (იოანე დამასკელი, პეტრე იბერი, გრიგოლ ნაზიანზელი, იოანე პეტრიწი, ლუდვიგ ფოიერბახი).

„უფალი ჩემი შუქი არის და ხსნაა ჩემი, ვის შევუშინდე?“ აცხადებდა დავით წინასწარმეტყველი (ფს. 20, 1) (5, 547).

„ხალხები მოვლენს შენს ნათელზე და შენი სხივის ელვარებაზე“, წერდა ესაია წინასწარმეტყველი (4, 60,3).

ლუდვიგ ფოიერბახის „სამებისა და ღვთისმშობლის მისტერიაში“ მამაღმერთს ეწოდება შუქი, ასევე, შუქი მიიჩნევა „ძის პრედიკატად“(19, 109).

ვაჟა ეგრისელი საღვთო ჭრილში მიმართავს სხივის სახეს: „მე თავზე დამესხურა უკვდავ სხივთა ნათელი“ (ქრიან საუკუნე) (17, 45).

საინტერესო, რელიგიური შინაარსის სახეა „ცის ხეზე“ (მამაღმერთი) გამოჩენილი ვარსკვლავის შუქი: „კაცი იყავ, ღმერთკაცი, არაფერი გიკვირდა, მხოლოდ ერთხელ გაოცდი, როს ცის ხეზე ვარსკვლავი შუქად გამოიკვირტა“ (შუქად გამოიკვირტა) (17, 494).

ქრისტეს ორიგინალური სახეა „სხივთა მარჯანი“, რომლითაც შემოსილია პოეტი: „ალბათ ჯვარზე გაგაკრავენ და მით უფრო გალაღდები... შემოსილი სხივთა მარჯნით – ქრისტესა-

ვით ამაღლდები და დაჯდები უფლის მარჯვნივ“ (ალბათ ჯვარზე გაგაკრავენ) (17, 634).

ცეცხლის ღვთიურ ბუნებას აღიარებდნენ ინდოეთში, საბერძნეთში, რომში, სპარსეთში.

„სიტყვა „ცეცხლს“ ბიბლიაში ფიზიკური და ზესთაბუნებრივი მნიშვნელობა აქვს“ (9, 191).

მოსეს წინამძღოლობით ეგვიპტიდან გამოსულ ებრაელებს წინ უძღოდათ ღმერთი დღისით „ღრუბლის სვეტის“ და ღამით „ცეცხლის სვეტის“ სახით (გამოსვლა, თ. 13, 21, 22) (4, 71).

მოსეს ქორიბის მთაზე ქრისტე ცეცხლის, ხოლო მარიამი მაყვლის სახით ეჩვენა.

მაყვლოვანი ღვთისმშობლის სიმბოლოა, ცეცხლი – ქრისტესი (აკაკი ბაქრაძე, სასულიერო პოეზიის სახეები) (20, 58).

ქრისტე არის „ვითარცა ცეცხლი უვნებლად განმანათლებელი“ (21, 104) საერთოდ კი, „ზეცის არსებათა ცეცხლის სახედ აზმნობენ“ (21, 144).

სასულიერო პოეზიაში ქრისტეზე მოგვანიშნებს „ცეცხლი უსხეულო (ი. მტბევარი), „სუდარი ცეცხლისა“ (ი. მინჩხი), „ნაკვერცხალი ცეცხლისა“, „შანთი შეუხებელი“, „ცეცხლი მშობელი ცვარისა“ (ეზრა).

ამ ფრაზებში „ცეცხლი“ ქრისტეა, „ცვარი“ – მისი მოძღვრება (აკაკი ბაქრაძე) (20, 59).

გრიგოლ ხანძთელს, როგორც ღვთის რჩეულს, ცეცხლის სახით ახვევია „სული ღმრთისაი განმანათლებელი“ (6, 597).

ინდურ მითოლოგიასა და ღვთისმეტყველებაში ღმერთი ნათელია, სხივოსანი, იგი ელვისა და ცეცხლის შარავანდედით იხილვება (9, 76).

ა. დრევსკის აზრით, ცეცხლის კულტი წინ უსწრებდა ბუდიზმს და ქრისტიანობას, ხოლო ბუდა და ქრისტე... კოსმიური ცეცხლის მატარებლები არიან.

ასევე, სულიერ ძალებს ახასიათებთ ცეცხლური ენერგია და ნათების უნარი (22, 93).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ღმერთის სახელია „დიადი ცეცხლი“: „წარმავალი და აგრეთვე მარადიული იხილე ცეცხლი და მიხვედი ისეთ ზღვარამდის, რომლის გადაღმა თვალი ჩემი ვეღარა წვდება (10, 247).

ე. რერიხი ღმერთს უწოდებს „დიად ცეცხლს“, რომელიც არაფერს წვავს და ყველაფერს წმენდს (23, 89).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ღმერთი არის „ცეცხლი მარადიული და ცეცხლი ღვთაებრივი“...

ლექსში „ღამე ფიქრში“ (13, 558) უღმერთობის სიბნელეს „უზენაესის უწმინდესი ცეცხლი“ ანათებს: „ღამეა ფიქრში... მხოლოდ ჟამი-ჟამ უზენაესის უწმინდესი ცეცხლი იელვებს“.

მზის მარადიულ სინათლესთან წილნაყარი, უფლის საკურთხეველთან დგას პოეტი, რწმენის სალ კლდეზე მიჯაჭვული, წყლით და ცეცხლით მონათლული: „მზის ჩაუქრობელ კელაპტრით, მდგარს უფლის საკურთხეველთან, აწ ვერაფერი შეგცვლის რწმენის სალ კლდეზე მიჯაჭვულს, მონათლულს წყლით და ცეცხლით“ (მზის ჩაუქრობელ კელაპტრით) (17, 801).

წყალი და ცეცხლი საღვთო სახელებია (18, 124).

ღმერთის სახელია უსაზღვროებას, მარადისობა: „...აბა რად უნდა დიდი მისნობა: უსაზღვრების – უსაზღვროებას, მარადისობის-მარადისობას“ (17, 857).

თავის ღვთისმოსაობას სიმბოლური „სიყვარულის კიბით“, მარადიული ცის, ღვთაებრივი ცეცხლის სახეებით გვაგრძნობინებს პოეტი: „აყვავებული ღამის სიზმრებით, ციმციმ დავტოვე მთვარის აკვანი და სიყვარულის კლდეზე დავები. მერე ვილოცე და ვეთაყვანე ცას მარადიულს და ცეცხლს ღვთაებრივს“ (აყვავებული ღამის სიზმრები) (14, 596).

სხვაგან „მარადისობასთან“ მიდის პოეტი „ცეცხლით ზენარით“: „მარადისობა სადღაც ყვავილობს, მეც იქ ამოვალ ცეცხლით ზენარით“...

სიყვარული ღმერთია (I იოანე, 4, 8) (5, 320).

ცა მარადიული, მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორაა (24, 124).

„ცეცხლი ღვთაებრივი“ უფალზე მიგვანიშნებს (11, 121).

ეს რელიგიური სახეები შთაგონებენ პოეტს „ციურ არიას“ – საღვთო მოტივებს: „მთიები სიშორეს გალობენ და ისმის ციური არია, – როს უმზერ კლდესა და ღვთის კიბეს – ბარძიმობაზე შუქმფინარ მარიამს“ (14, 274).

სოლომონის „ქებათა ქების“ მიხედვით, ღმერთი არის „სულის შეყვარებული“ (1,7) (4, 15) „საყვარელი“(ქებათა ქება სოლომონისა) (5, 16) (4, 17).

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ ქრისტეს ეწოდება „მიჯნური“, „საყვარელი“, ვახტანგ მეექვსესთან – „მიჯნური, სატრფო, აკაკი წერეთელთან – „სიყვარული“ და „სული“ („სულიკო“), ვაჟა-ფშაველასთან-„სიყვარული, სატრფო“ (სამეფო „სიყვარულისა) (25, 258-200).

იოანეს გამოცხადებაში ღმერთს ეწოდება „პირველი სიყვარული“.

ქრისტემ ეფესოს ეკლესიას უსაყვედურა „პირველი სიყვარულის“ – ღმერთის დავიწყების გამო: „...შენს საწინააღმდეგოდ ის მაქვს, რომ შენ დაივიწყე შენი პირველი სიყვარული“ (იოანეს გამოცხადება, 2, 4) (5, 492)

ვაჟა ეგრისელი ხშირად მიმართავს ღმერთის სიმბოლოდ „სიყვარულისა“ და „საყვარლის“ სახეებს.

„ამ სოფლად“ და „იმ სოფლად“ პოეტის წინამძღვარია „პირველი სიყვარული“ – ღმერთი: „ცხადია თუ ფარული – ჩემთვის ორივ ერთა და შუა არ იყოფა პირველი სიყვარული ამ სოფლად და იმ სოფლად“ (პირველი სიყვარული) (17, 389).

„სიყვარულის“, „საყვარლის“ ხილვა მხოლოდ წმინდათა, სულისთვის ხორცის გამღებთა ხვედრია: „ვარსკვლავებით ნათესი ცაა – უფლის საყანე, ხმა კრთის მთვარის – მნათესი. სხვა კრძალვით და თაყვანით: ვინც ხორცს დასწვავს სულისთვის, ის იხილავს საყვარელს“ (17, 439).

ვაჟა ეგრისელთან „სიყვარულია ქვეყნად ყოველი, ცის და მიწას რომ უსინჯავს მაჯას და დიდრონ ზღვებს რომ აღემატება. ადამის ძეო! უფლის ხატებავ! სიძულვილისთვის დროს როგორ ხარჯავ“ (სიყვარულია ქვეყნად ყოველი) (17, 764).

დანტესთან „სიყვარული ღვთაებრივი ანიჭებს ძალას და ამოძრავებს ამ მშვენიერ ციურ ცდომილებს“... „სიყვარული... აბრუნებს მზეს და პლანეტებს“...

ვაჟა ეგრისელის ერთ ლექსში ვაზის ნერგი მარიამია, ოქროს მტევნები – ქრისტე: „ადამის ცოდვის მტვირთველმა, იხარა ნერგმა-ვაზისამ, მოისხა ოქროს მტევნები და რტოკეთილი ყვავილობს – ცათაგან დაუტევნელი“ (17, 334).

პავლე მოციქულისთვის ქრისტე იყო „სულიერი კლდე“ (I კორინთელთა, 10, 4).

ვაჟა ეგრისელი ქმნის „სიყვარულის კლდის“ სახეს ქრისტეს მეტაფორად: „...მე სიყვარულის კლდეზე დავები. მერე ვილოცე და ვეთაყვანე ცას მარადიულს და ცეცხლს ღვთაებრივს (17, 121).

ღმერთი პოეტისათვის არის „სიყვარულის მტევანი“, რომელსაც ლოცვით უახლოვდება: „ლოცვის ბილიკს მივყვები, მარად მისი ერთგული. გზა არის უტევანი და სადღაც იქ მეგულვის სიყვარულის მტევანი“ (ლოცვის ბილიკს მივყვები) (17, 414).

სხვაგან სიყვარულის მტევანი (ქრისტე) დაუკავშირა (ვენახს – მარიამს), და სიცოცხლის“ ხეს (მამაღმერთს): „ვენახს, ჟამთა შესაკრთობად, ჩამოკიდა ლერწმის ყულფი და მტევანი სიყვარულის – სიცოცხლის ხეს მიადგა. მიტომ ადგას თვალი

უფლის ჭილ-ეტრატის იადგარს“ (ვენახს, ჟამთა შესაკრთობად) (17, 51).

სახარებაში ზეციური ვენახი, „ვაზი ჭეშმარიტი“ ქრისტეს სიმბოლოა „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამაჩემი კი მევენახეა“ (იოანე, 15,).

„მე ვაზი ვარ, თქვენ კი – ლერწები“ (იოანე, 15, 5) (5,213).

იოანეს აპოკალიფსში ვენახი და მისი დამწიფებული მტევანი გულისხმობს ქრისტეს და მის მოძღვრებას: „მოისთულენ ტევანი იგი ვენახისა მის ქუეყანისა, რამეთუ დამწიფებულ არს ყურძენი იგი მისი“.

ღვთაებრივ კომედიაში„ ქრისტეს ეწოდება „ღვთიური ვენახი“ (10, 350).

ჭილ-ეტრატის იადგარში“ მარიამი წარმოდგენილია, როგორც „ვენახი ჭეშმარიტებისა“, ქრისტე – „ტევანი ცხოვრებისა“ (26, 80).

ჰიმნოგრაფიაში მარიამი მოიხსენება, როგორც „საღმრთო ვენახი (27, 81).

„სინურ მრავალთავში“ ღმერთის სიმბოლოა „ტევანი ჭეშმარიტებისა, ახლისა ვენახის კვირტი“ (... 66).

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ ქრისტე წოდებულია, როგორც „კარგი ყურძენი, ღვინო კი სულის სიმბოლოა (11, 64,-65).

ვაჟა ეგრისელისათვის ცის ვენახია ქრისტე: „მიწაზე არა, ალბათ ცაშია-სამოთხე, რადგან ვერსად ვერ ვნახეთ, ლოცვა-ვედრებით ბოლოს ვეწვევით... და გაზაფხულის ჩვენ ვართ ლერწები, ცაში ყვავილობს ჩვენი ვენახი“ (მიწაზე არა, ალბათ ცაშია-სამოთხე) (17, 450).

პოეტი სანთელს უნთებს „ნორჩ ვაზს“ (მარიამს), „მტევან დიდს“ (ქრისტეს): „ცას მოწყალედ შევციცინებ, იქნებ სადმე თვალი ვკიდო მას, ვინც რომ ადამის ძის ცოდვა-ბრალი ზურ-

გზე იდო. მე ჩემს სიგრძე სანთელს გინთებ, ნორჩო ვაზო, მტევან დიდო“ (ნორჩო ვაზო, მტევან დიდო) (17, 124).

ცაში, უფლის ვენახში ხეტიალობს პოეტის სული უხილავის ხილვის სურვილით: „ვარსკვლავებით მორწყული, ცაა უფლის ვენახი, სადაც ვითარც მეველე, აღარ ვიშლი ხეტიალს და მსურს, როგორც ან-მარეს, უფალი რომ მენახა, ბაბილონის გოდილი?! ალბათ მეტის-მეტია“ (17, 447).

ქრისტეს მხედარი პოეტი „ძილ-ბურანში“ ხედავს მოხუც მამას, რომელიც ცად უხმობს გვირგვინით და ვაზის ლერწით: „ქანცგაცლილი ბედთან ბრძოლით, ძილ-ბურანში ხშირად ხედავ: „მოხუცებულს, სპეტაკ ზეწრით“. ის ცად გიხმობს ქრისტეს მხედარს, გვირგვინით და ვაზის ლერწით“ (ქანცგაცლლი ბედთან ბრძოლით) (17, 50).

ღვინო, „ძველი დაწმენდილი ღვინო“, ქრისტეს მეტაფორული სახელია ესაიას წინასწარმეტყველებაში: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს კერძებით, ნადიმს ძველი“,... დაწმენდილი ღვინით“ (ესაია, 25,6) (5, 91).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში კოლხეთში ქრისტიანობის გავრცელება აღიქმება, როგორც ღმერთის მიერ „ღვინის ხის“ დამყნობა: „წარსულიდან მოსილი დღე ნათობს და ამაყობს და ბარჩხალა მზით მიმხელს: რომ კოლხეთში დაამყნო ღმერთმა ვაზი-/ღვინის ხე“ (წარსულიდან მოსული) (17, 606).

სხვაგან სულის მკურნავია „მთვარის ჩანგი“ (მარიამი) და სიბრძნის ღვინო“ – ქრისტე: „მინდა სული განვიკურნო მთვარის ჩანგით, სიბრძნის ღვინით, როცა უფლის ცას შევუვლი, მნათთა შორის სიბრძნე ღვივის“...

არც ის არის შემთხვევითი, რომ პოეტი თავის წიგნს – „ნათელხილვა“ ვაზად ნათლავს, რელიგიური მოტივების, მამაღმერთის, ქრისტეს და მარიამის სახეების პრიმატის გამო: „ცით ჩამოსული წყალობად, ჰოი, რა სილამაზეა-შიგ არსთა გულისმ-

პყრობელი, ეს წიგნი არა, ვაზია, რჩეულთა „მოსართლობელი“ (წიგნი „ნათელხილვა“) (17, 944).

გალაკტიონ ტაბიძე თავის პოემას „ალვას“ და „სუროს“ (საღვთო სახელებს) უწოდებდა: „პოემას უვრცესს დაერქმევა ალვა და სურო... იქ შორეული მხარეები უნდა გამეფდეს“...

ბიბლიაში, სასულიერო პოეზიაში, დავით გურამიშვილის „დავითიანში“, გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, ანა კალანდაძის შემოქმედებაში საღმრთო სახელია ვარდი, ყვავილი.

დავიმოწმებთ ერთ ადგილს ბიბლიიიდან: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“ (ქებათა ქება სოლომონისა, 2, 12) (4, 15).

მარადისობის, სიყვარულის, მზის, სინათლის (საღვთო სახელებია) პარალელურად, ვაჟა ეგრისელი დაეძებს „ცის ყვავილებს“: „მარადისობა მარად მე მინდა და სიყვარულის ჩუმი მუფობა, რადგან მთვლემარე ღამეებიდან-მესმის ძახილი მზის და სინათლის, რადგან სიშორის კენწეროებზე მარად ჰყვავიან ცის ყვავილები“ (ცის ყვავილები) (17, 543).

პოეტის იდეალია „ცის ყვავილის“ (ღმერთის) მაძიებელი ციური სულის ჰიმნოგრაფები-იოანე მინჩხი და იოანე მტბევარი: „სული ედგათ ციური და უღმერთოდ ვერ ძლებდნენ დაბლა დედამიწაზე მარად დაუდევარნი. ცაში „ყვავილს“ ეძებდნენ იოანე მინჩხი და იოანე მტბევარი“ (სული ედგათ ციური“) (17, 848).

ჩვენს თანამედროვე პოეტს არ ასვენებს „სუნთქვა ყოილის“: „დედამიწაზე დაუტევარი, მარად მოჯანყე და ამბოკარი, არ გასენებდა სუნთქვა „ყოილის“ და რასაც უფლის თვალი მოჰკარი, სიმღერის ზღვაში შთანთქე ყოველი“ (17, 321).

ასევე, ძალზე ორიგინალურ ჭრილში მოიაზრება ანალოგიური – ჩანაფიქრის ბიბლიური სახე – „ვარდი იერიქონის“:

„...და მოყვავილე ჩემი სტრიქონი წარსულს მოვწყვიტე და მოგიძღვენი, ყითარცა ვარდი იერიქონის“ (ვითარცა ვარდი იერიქონის) (17, 458).

მიგნებული და პოეტური თავისთავადობითა აღბეჭდილი სახეა „ადაბერების სოსნები“: „შენი სიცოცხლის სანაპიროზე არდაბერების ჰყვავის სოსნები. ზღვა და ღელვაა მარადისი შენი მხლებელი. თუმცა წახდა ჟამი... მაგრამ მაინც პატიოსნება შენს სულში კვლავ დევს ხელუხლებელი“ (შენი სიცოცხლის სანაპიროზე) (14, 413).

ნათლის პრიმატი, რწმენის ყვავილის აყვავება ასეა მეტაფორული სახეებით გაცხადებული: „ახლა ჩემს ცაზე აღარ ილევა ფერნაკლულ დღეთა ავარდისფრება და ღამეების აგვირილება“ (მოგონებების მწუხარ ხეივანს) (14, 223).

საღმთო სახელია ცხოვრების ხე, რომლის ვარიაციებია ალვა, პალმა, კიპარისი, ვაზი, ნაძვი.

„სიცოცხლის, ხე“ არსებობის ბიბლიაში, კერძოდ, შესაქმეში იწყებს და ღვთაების სიმბოლოა. ედემის ბაღში ასევეა გაშენებული ცნობადის ხე (წიგნი დაბადების, 2, 16, 17) (918).

იოანეს გამოცხადების „ხე ცხოვრებისა ნაყოფის გამომღებელი ათარმეტთა ნაყოფთა“ (თ. 22,1-2) ქრისტესა და მის თორმეტ მოციქულს გულისხმობს.

ახალ აღთქმაშივეა ამ სახის ახლებური ვარიაცია: „შეიწყნარეთ ნერგი სიტყვისაი, რომელიცა შემძლებელ არს ცხოვრებად სულთა თქუენთა“ (კათოლიკე ეპისტოლე იაკობისა, 1,2).

ღვთისმეტყველებაში ასეა კომენტირებული სიცოცხლის ხე: „ხე ცხოვრებისაი, ვითარცა ხატებაი ღმრთისაი“ (გრიგოლ ნოსელი).

„ღვთაებრივ კომედიაში“ ქრისტეს სიმბოლოა „დიადი ხე“, „ხე ტკბილი“: „ამასობაში მივეახლეთ ჩვენ „ხესა დიადს“... „ხე ტკბილი“ (10, 234).

ქართული სასულიერო პოეზიაში „სიცოცხლის ხე“ და „ცნობადის ხე“ ხან მარიამს, ხან ქრისტეს გულისხმობს.

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ ნათქვამია: „ზედ გულზე ვიბი იგი ხე, კაციანი და ღვთიანი“ – პროფ. ტ. მოსიას განმარტებით, ეს სახე ქრისტეს ორბუნებოვნებას გამოხატავს და ძალზე ორიგინალურია.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში სიცოცხლის ხედ გვევლინება პალმა და ტუია: „ვითარც ბრძანებდა შენიე პოეტი მარტოგულია. და სადღაც სიკვდილს მგლები კი ვაჰ რა საზარლად ყმუიან. ცად კი სიცოცხლის ხეები დგანან, პალმა და ტუია“ (14, 114).

ლექსში „შავ ღრუბლებს“, „მთიებით ტოტებდაზნექილი“. ქართული ცის ხე წარმოაჩენს ქართველთა ქრისტიანულ იდეას“: „დგას ცის ხე-ქართული მთიებით ტოტებდაზნექილი“ (14, 802).

უღმერთობას, „რწმენის ხის“ ამოთხრას ლაშარის და ლომისის ჯვარი ემუქრება განადგურებით: „ლოცვად დგას მაცხოვრის წინაშე ლაშარის და ჯვარი ლომისის: მიუზღვას თავისი რწმენის ხის ამომთხრელს“ (ლოცვად დგას) (14, 524).

ერთგან პოეტი ამბობს: „...და მინანავებს პალმა ქოქოსის“... პალმა სიცოცხლის ხის, ანუ ღმერთის სიმბოლოა.

ქრისტე არის „ყოფნის ხე“, სიბრძნით და ათორმეტთა ნაყოფით (12 მოციქული იგულისხმება) დატვირთული: „მარადიულ შიშით და სიყვარულით „მოსილი შრიალებს ხე-აქ ყოფნის, დახუნძლული სიბრძნით და ათორმეტთა ნაყოფით“ (41, 340).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორის შემოქმედებაში „ფიქრთა ხე“ საგაზაფხულო ხმებით არის დახუნძლული: „..როს გალობა ჩიტის მოისმა, მაშინ, უეცრად დათოვლილმა ჩემმა ფიქრთა ხემ, საგაზაფხულო ხმები მოისხა“ (ფიქრთა ხე) (13, 110).

გაზაფხული (ძველ ქართლში ზაფხული), საღმრთო სახელია და ის მომდინარეობს დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნიდან: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (65, 12) (4, 588).

ღმერთს, გაზაფხულს, ზაფხულს მოჰყავს სულის გაზაფხული: „უფალი ჩემში განვასხეულე, ჩემი სიცოცხლის გაზაფხული დღეებს უკვირდა“ (უფალი ჩემში განვასხეულე) (13, 63).

პოეტის სული აფორიაქებულია იდუმალებით, გაურკვევლობით, უზენაესის მიუწვდომლობით: „...სულს მარადის მიფორიაქებს. იდუმალების იდუმალობა, გაურკვევლობა გაურკვეველის“ (სამი ათასის სიბობოქრეში) (3, 577).

იდუმალი, გაურკვეველი საღმრთო სახელებია (8, 138).

ყოვლისმხილველი მზერა „წამს დაეძებს უხილავის მოსახილავად“(17, 97). უხილავი ღმერთის სახელია (18, 337).

ძალზე ხშირად, როგორც დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“, ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ერთად არის ხოლმე მოაზრებული დედა-ძის მარადიული სახეები.

ქრისტესა და მარიამის სიმბოლურ სახეებთან გვიწევს შეხვედრა ლექსში „მანანათი დაგვაპურა“ (17, 138): „მანანათი დაგვაპურა და წყურგილე გვასვა თასით. ზღვაში თესდა, ცაში მკიდა, წელი არის ორი-ათასი, რაც გადმოჩქეფს წყარო კლდიდან“.

მანანა, ზეციური პური, რომლითაც მოსემ დააპურა ეგვიპტიდან წამოყვანილი ისრაელები, მიგვანიშნებს ღმერთზე, ასევე მოსეს მიერ კვერთხით კლდიდან გადმოდენილი წყარო, „წყურგილე“ არის ქრისტეს სიმბოლური სახელი.

თასი, კვერთხი, კლდე-უფლის დედის პარადიგმებია.

სახარებაში ქრისტე ეუბნება თავის ხალხს: „მამაჩემი გაძლევთ ჭეშმარიტ პურს ზეციდან.

რადგან ღვთის პური ისაა, რომელიც ზეციდან ჩამოდის და სიცოცხლეს აძლევს წუთისოფელს.

მე ვარ პური სიცოცხლისა. ჩემთან მომსვლელს არ მოშივ-
დება და ჩემს მორწმუნეს არასოდეს მოსწყურდება“ (იოანე, 6,
32, 33, 35) (5, 190).

„მე ცოცხალი პური ვარ, ზეციდან ჩამოსული. ვინც ამ პურს
შეჭამს, საუკუნოდ იცოცხლებს“ (იოანე, 61, 51) (5, 191).

იოანე დამასკელი გვაუწყებს: „პური არსობისა აღნიშნავს
მომავლის ანუ საუკუნო ცხოვრების პურს, ანდა იმ პურს, რო-
მელსაც ჩვენი არსების შესანარჩუნებლად მივიღებთ“ (29, 310).

ჭეშმარიტ პოეზიაში „ციური მანანა„ – ღვთის რწმენაა უპ-
ირველესი. „გიპყრია მთვარის კითარა და ღამის იქით იურვი...
ნებით უფლის და განგების, ვითა მანანა ციური, გცვივა-მზიუ-
რი ჰანგები“ (გიპყრია მთვარის კითარა) (17, 648).:

წყარო, წყალი საღვთო სახელია.

ქრისტე ამბობს სახარებაში: „თუ ვინმე სწყურია, მოვიდეს
ჩემთან და შესვას“ (იოანე, 7, 37) (5, 194).

პოეტი ეძებს „ცისკენ მზირალ კლდეს“, სამოთხეს (მარი-
ამს) რათა იპოვოს „წყაროსთავი“ – ქრისტე: „ცისკენ მზირალ
კლდეებს ფშვნიდი, რომ გეპოვნა წყაროსთვალი და სამოთხის
ბაღი მშვიდი” (ელვასავით მიმოჰქროდი) (17, 856).

წყვდიადის მანათობლისგან მოდის წყლის სათავე, ხოლო
ცის ნათელში ერთად ბუდობს მტრედი, გვრიტი, ღაჟო (საღვ-
თო სახელებია) “წყვდიადს მანათობლად ახლავს, რომ სათავე
წყალს დაუდოს, მიტომ მუდამ გარიჟრაჟობს. ცის ნათელში ერ-
თად ბუდობს მტრედიც, გვრიტიც და ღაჟო“ (წყვდიადს მანა-
თობლად ახლავს) (17, 431).

დიდი პოეზია ყოველთვის სინათლის და მზის მთესავია,
მოსესავით კლდიდან კვერთხით წყაროს გამომდენი, ანუ
რწმენის, სულიერების, სარწმუნოების მსახური მხატვრული
სიტყვით“: „მეცხრე ციდან ჩამოსული – სინათლის და მზის
მთესავი, ვით ბრძანებდა „ბრძენი დივნოს“, კვერთს დაჰკრავ
და კლდეს გააპობ მოსესავით, უფლის წყარომ რომ იდინოს“

(მეცხე ციდან ჩამოსული) (434). ღმერთი არის „მარადი წყარო“ (მარადი წყარო) (3, 784).

„უფლის ხელით მორთმეული წყურგილე“, მადლიანი წყარო დის კოლხურ „ფსალმუნებში“ (ჩემი წყარო) (17, 454) ღმერთის სახელია უკვდავების წყარო (17, 226), მარადი წყარო (17, 378).

„ცაა მარადისობის ხე და ცვივა სიცოცხლის ნამი“ (მარადისობის ხე) (17, 191).

ნამი საღმრთო სახელია. ღვთისმშობლის სახედ არის მოაზრებული რწმენის ხე: „აჰა, რწმენის თეთრი ხე, რომელსაც იმედების მარადმწვანე კვირტები აკერია ღილებად. თუ ბრმა მას ხელს შეახებს, თვალი აეხილება (რწმენის ხე) (17, 458). აქ ხაზი ესმება ქრისტეს სასწაულმოქმედ უნარს.

ვაზი არის „ცის და სიცოცხლის ხე“ (ვაზი) (17, 127).

ქრისტე არის ვაზის ნერგის (მარიამის) – „ოქროს მტევანი: „ადამის ცოდვის მტვირთველმა, იხარა ნერგმა ვაზისამ, მოისხა ოქროს მტევნები და რტო-კეთილი ყვავილობს – ცათაგან დაუტევნელი“ (ადამის ცოდვის მტვირთველმა) (17, 334).

პოეტს ესმის „უკვდავების წყაროს“ („ღმერთის) ხმა, „სიცოცხლის ხის (ღმერთის სიმბოლოა) შრიალი: „სადღაც ახლოს მოისმის (ალბათ, აქვე, შინ არი), უკვდავების წყაროს ხმა, სიცოცხლის ხის შრიალი“ (ელვის წკეპლამ ილვა) (17, 225).

სიცოცხლის ხის ვარიაციებია ალვა, პალმა, ნაძვი, კიპარისი, ვერხვი.

ალვის ხის კვირტის თვალში ქრისტეა ნაგულისხმევი ისევე, როგორც მთვარის (მარიამის) ოქროს სხივში და ვარსკვლავში: „იქ, ბეთლემთან ვარსკვლავები, მიწას ოქროს სხივებს სცემდნენ-მთვარის ვერცხლის დაირიდან. გაახილა კვირტმა თვალი-ცისკენ მზირალ ალვის ხიდან და სამყარო გაირინდა“ (იქ, ბეთლემთან) (17, 388).

„ცის ხის“ „ვარსკვლავშიც“ ქრისტეა ნაგულისხმევი: „ვარსკვლავებით დახუნძლულ ცის ხეს ცვივა ნაყოფი, ვით ატმის ხეს ყვავილი“ (ვარსკვლავთცვენა) (17, 479)

„ცის ხის“ ვარსკვლავის შუქში ქრისტე მოიაზრება:„კაცი იყავ, ღმერთკაცი, არაფერი გიკვირდა, მხოლოდ ერთხელ გაოცდი, როს ცის ხეზე ვარსკვლავი შუქად გამოიკვირტა“ (კაცი იყავ, ღმერთკაცი) (17, 505).

მტრედი, თუღუნი (შევარდენი) ღმერთის სიმბოლოა ლექსში „ისევ ქარონი“ (17, 47). „მე კი ვიცი, რომ ფარულად თავს დამტრიალებს თუღუნი“, ამბობს პოეტი.

ეს სახე სხვაგანაც ფიგურირებს რელიგიური შინაარსით: „ზიხარ ცივ სიმყუდროვეში უხილავ მხეცთა ნატორი, უსასოო და უღონო, მაგრამ წამითაც არ გტოვებს აჩრდილი თეთრი თუღუნის“ (ზიხარ ცივ სიმყუდროვეში) (17, 459).

ღმერთის სახელია აგრეთვე გვრიტი: „ხატებთან მრევლის ჩურჩული უძილო, ღამენათევი, ზეცისკენ ლოცვად ილტვის. და განთიადის ნათელი ხმად მონარნარობს გვრიტის“ (ხატებთან) (17, 455).

ეს სახე მომდინარეობს სოლომონის „ქებათა ქებიდან“: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“.

ქრისტე არის „მწყემსი კეთილი“: „მე ვარ მწყემსი კეთილი. მწყემსი კეთილი თავის სულს გასწირავს ცხვართათვის“ (იოანე 10,11) (4, 201).

ვაჟა ეგრისელის ლექსში „მოკვდავთა ამდენ ლოცვა-ვედრებით“ (3, 820) ქრისტე წარმოიდგინება, როგორც „მწყემსი კეთილი“: „მოკვდავთა ამდენ ლოცვა-ვედრებით, ყოვლისმხილველი თვალი აქვს სველი. სწირავს უფალი-მწყემსი კეთილი“...

ლექსში „მწყემი კეთილი“ მწყემსი ქრისტეს სიმბოლოა, „ჟამი“ – მამაღმერთის, ცხოვრების ხე“ – ქრისტესი, „თორმეტი ნაყოფი“ – თორმეტი მოციქულია, „ცხორები“ – მრევლი: „კი,

მწყემსი კეთილი ფარას კვლავ მილალავს, სიბრალულს ბღავიან „ცხორები“, თუმც ჟამი ხეს არხევს ცხოვრების, დახუნძლულს „ათორმეტ ნაყოფთა“ (14, 103).

„დარდის დევის“ დათრგუნვის ძალაა ღმერთი-„მწყემსი კეთილი“: „შენც დარდის დევს კლიტულში ჰყავხარ გამოკეტილი, მაგრამ წამით არ გტოვებს იგი, მწყემსი კეთილი“ (სადღაც) (17, 4594).

„ღმერთი არის „მარადისობის მამა“ (ესაია, 9, 5) (16, 45), „დიდების მამა“ (პავლე მოციქული, ეფესელთა, 1, 17) (4, 414).

„მოხუცი მამა“ მამაღმერთის სახელია დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“, გოეთეს „უკანასკნელ საზღვარში“, გალაკტიონის „მამულში“.

ვაჟა ეგრისელის ლექსში „წელში მოხრილი და თვალბედითი“ (14, 45) მამაღმერთი „მოხუცი მამის“ სახეშია პერსინიფიცირებული, „წელში მოხრილი და თვალბედითი ცივად დაგვცქერის მთვარე... მოხუცი მამა მთელი ღამე ვარსკვლავებს თესავს“.

უფლისგან ხელდასხმულს, რწმენის მირონით გასპეტაკებულს, მამაღმერთის უხმო ძახილი ამხნევებს: „ამაღლდები! აღწევს ელვად მამა-უფლის ხმა ძახილი. რწმენის მირონს ცა აპკურებს“ (ამაღლდები) (3, 715).

ღმერთი არის მარადისობა (8, 338): „მარადისობის გზების ძებნაში უნდა ლესავდე აზრის ჯევარდენს“ (მზე ჩავიდა და) (3, 186).

მარადისობის,ზეციური ცეცხლის თანამგზავრია პოეტი: „მარადისობა სადღაც ყვავილობს, მეც იქ ამოვალ ცეცხლით ზენარით“ (ცახე ეცემა ჩრდილი გოდოლის) (14, 242).

სხვაგან „მარადისობაა მისი შუბი“, მარადისობაა ლტოლვის საგანი: „მარადისობის ცისკენ მზირალი, ვინც უღმერთობას გულში გაივლებს, არსი ყოველი საწუთრისგან დაილეწე-

ბა... მარად უჭკნობი და მოყვავილე – „ეს მე ვარ ვაზი, თქვენ კი ლერწები) (13, 925).

პოეტს ესმის „მარადისობის არია“: „სივრცეებს იქით, სხვა პლანეტებზე მირიადი სხივით ნარწევი, მარადისობის ისმის არია“ (17, 713).

ლოდი, ქვა, ქრისტეს სიმბოლოა: „მიხვედით ცოცხალ ქვასთან, ადამიანებმა რომ დაიწუნეს, ღვთისგან კი სრული და ძვირფასია“ (I პეტრე, 2, 4) (5, 304.

ვაჟა ეგრისელი მრავალგზის მიმართვის ამ სახეს და მის ვარიაციებს. მის ლექსებში ქრისტე ფიგურირებს, როგორც იმედის ქვა, ციური ქვა, სიბრძნის ქვა, სიყვარულის ქვა, რწმენის ლოდები, „ლოდინის ლოდები“. თავისი პოეზიის რელიგიურობა, ქრისტიანული ხასიათი ასე გამოხატა პოეტმა: „... და დგება ჟამი ციურ ქვაზე აზრების ლესვის“ (როს სოფლოს თავზე) (13, 848).

ლექსში „დიდი წიგნი“ (18. 501) „იმედის ქვა“ და „რწმენის ლოდებია“ წარსულის, აწმყოს, მომავლის გაცნობიერების, მისი სიცოცხლის დიდი წიგნის შექმნის იპულსი: „იმედის ქვით და უზარმაზარ რწმენის ლოდებით, ვითარცა მცხეთა, მეც ამიგია ჩემი სამშობლოს მომავალი, აწმყო, წარსული, ჩემი სიცოცხლე დიდი წიგნია – დღისა და ღამის ყდაში ჩასმული“ (დიდი წიგნი) (18, 501).

ვაჟა ეგრისელის ლექსში ღმერთი არის „სიყვარულის ქვა“...ჩემი სიტყვა, რუსთაველივით სიყვარულის ქვაზე ავლესე“, ამბობს პოეტი.

სიხარული საღვთო სახელია. ქრისტე არის „სიხარული ყოვლისა ერისა“ (ლუკა, 2, 10) (4, 113).

მზესთან ერთად, პოეტის საბრძოლო (სულიერი) იარაღია მზე, სიხარული: „ბრძოლა მომელის უსასტიკესი და დარჩენილი ჩემი დღეები მზეს და სიხარულს, ვით იარაღს, კვლავ აისხამენ, – როგორც მცხეთა და როგორც სარკინე, რადგანაც ვიცი,

ბედი მრისხანე, ვითარც იაკობს, თვით უფალთან რომ შემარ-კინებს“ (ბრძოლა მომელის უსასტიკესი) (17, 293).

ღმერთი არის ნათელი, განთიადი.

ნათელმსმენ პოეტს ესმის საღვთო მუსიკა, განთიადის ხმა და გულმხურვალედ ლოცულობს რწმენის გადასარჩენად: „განთიადის ხმა მეც გავიგონე, აქ, ჩემს არაგვთან, იქ, შორს ნი-ლოსზე: და დავდექ ღამის უდაბნოში, ვით მედავითნე, ბრძო-ლით დაღლილმა ჩუმად ვილოცე და შენი რწმენა სანთლად ავინთე“ (მეც გავიგონე) (3, 311).

გზა საღვთო სახელია.

ქრისტე ამბობს: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება, სიცოცხლე“ (იოანე 14, 6) (5, 21).

პოეტი მისდევს „გზას ხილულს და გზას უხილავს მაღლა... უხმო მეხთა ტეხად და ქუხილად“ (ისევ ამაღლება) (14, 186).

ვაჟა ეგრისელის ლექსში ღმერთს ეწოდება „გზაი ჭეშმარი-ტების“: „მხოლოდ ერთმა უფალმა იცის ათასწლეული თუ რამ-დენი გავიდა, რაც მზის ჭუჭრუტანიდან ზესკნელში ვიჭვრიტე-ბი. და იქიდან ნათლად ჩანს „გზაი ჭეშმარიტების“ (გზაი ჭეშ-მარიტების) (1, 11).

ღვთის გზით მავალი პოეტი ევედრება უზენაესს, ბოლომ-დე გააგნებინოს უზენაესის გზა: „თუკი ყველა გზა მიდის რო-მისკენ, მე შენს გზას ვსწავლობ, როგორც გაკვეთილს და გე-ვედრები, ღმერთო, მომხედე, ამ ცხოვრებისაგან სასოწარკვე-თილს, უპოვარსა და ოხერმოხეტეს“ (თუკი ყველა გზა მიდის რომისკენ) (14, 75).

იოანე დამასკელის მიხედვით, ღმერთი არის „ზეარსი, ყო-ველივეზე ზემყოფი, უზემოესი, ზეღმერთი, ზეკეთილი, ზესრუ-ლი (16, 327). მიუწვდომელი, ყოვლის მხილველი, შეუცნობე-ლი, სინათლეზე უზემოესი, მოუაზრებელი, უსასრულო“ (16, 3622).

პოეტი გრძნობს „ყოვლისმხილველის“ მზერას, სიკეთეს, სინათლეს, რომელიც მოკვდავთათვის შეუცნობელი, მიუწვდომელი და უსაზღვროა: „გვითვალთვალებს ფარულად და ხელს გვიწვდის რომელი, ვით დიადი ზესთაზე და ვით წმინდა მამანი, მარად შეუცნობელი, ძალი განუზომელი, ფიქრი მიუწვდომელი, უსაზღვრო, უსამანო“ (ვით დიადი ზესთაზე) (14, 62)

გალაკტიონი ამბობდა: „ვგავარ ზესთაზეს“ (ვაშა, შავ ზღვაზე ამომავალ მზეს).

იოანე დამასკელი ღმერთის მოიხსენებს, როგორც „აზრს, მოაზროვნეს, სიბრძნეს და ბრძენს, გონებას და გონებისმიერს, სიტყვის მშობელს“ (18, 338).

ბასილი დიდის მიხედვით, სულიწმინდა არის „ფალავანი მწიგნობარი“ (30, 146).

ვაჟა ეგრისელის ლექსში მამაღმერთი არის „ზესთამგოსანი, ჩანგის მპყრობელი, მგალობელი: „ზის მამაღმერთი ზესთა მგოსანი შიშის ქათქათა წვერმოშვებული და მოკვდავების ლოცვით შებურვილს მთვარე უჭირავს ხელში ჩანგივით და ღამეს გალობს სიმსხივოსანი“ (თეთრი ღრუბლების თეთრ სავარძელში) (4, 234).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორისთვის რელიგიურობის და მუსიკალობის იდეალები არიან დიონისე არეოპოგელი, წმინდა გრიგოლ ნოსელი, ორფეოსი: „ორფეოსის ხმა მესმის, ზარი არეოპაგელის და „პასუხი ექსუთა წმინდა გრიგოლ ნოსელის“ (სულთა მარადისობას დრტვინავს ზესთა სამყარო) (3, 890).

ღვთისნიერობა ათქმევინებს: „ჩემში უფალი ზის და მკარნახობს ცხოვრების წიგნს“... (ჩემში უფალი ზის) (9, 890).

აი, როგორი ახლობელია პოეტისთვის ქრისტიანული ღმერთი: „უფალი ჩემში განვასხეულე, ჩემი სიცოცხლის გაზაფხული დღეების უკვირდა“.

ღმერთის სიყვარულით ამაღლებული პოეტი მეუდაბნოე ბერივით რწმენით და ლოცვებით აღწევს სულის განწმენდას: „ცათამდე ამაღლებული კაცი ფიქრით და ოცნებით დაბლა მიწაზე ვერ ივლის. მე ვცხოვრობ ღვთით და ლოცვებით, მეუდაბნოე ბერივით (ცათამდე ამაღლებული) (3, 68).

თავისი უდიდესი მისიის შესრულებაში ღმერთი ეგულება შემწედ: „იმედად ჩანს მთა ქორიბის, მოსეს კვერთხი, კლდე და წყალი“ (კლდე და წყალი).

მთა და კვერთხი მარიამ ღვთისმსშობლის სიმბოლობია (24, 124).

კლდე და წყალი ქრისტე ღმერთის სახელებია (18, 121).

ვაჟა ეგისელი ქართული სულიერების, ზნეობის გადამრჩენად „ჭეშმარიტების ძელს“ სახავს: „რაც ნაღდია და ქართული, არა ზღაპარ მითებისა, დღემდის ჩვენთან მოიტანა ძელმა ჭეშმარიტებისა“ (რაც ნაღდია და ქართული) (3, 536).

ძელი იგივ ჯვარია (ნეტარი ავგუსტინე).

ცა მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა (24, 124).

ვაჟა ეგრისელი წუხს მარიამის უარყოფას და მიმართავს სიმბოლური ცის სახეს: „ცა ჭკნება, ვით ტოტი ძახვილის“ (ცა ჭკნება) (3, 536).

სახარებაში ქრისტემ ტაძარი დაატოვებინა ვაჭრებს და უთხრა მათ: „დაწერილია: ჩემი სახლი სამლოცველო სახლად იწოდება, თქვენ კი ავაზაკთა ბუნაგად გიქცევიათ იგი“ (მათე, 21, 12) (5, 45).

ამ სიტყვების პერიფრაზირებაა ვაჟა ეგრისელის სტრიქონები: „და ვღაღადებ მეც, ვითარცა ქრისტე, ღვთიურ ჩემს სახლს ლოცვის სახლი ჰქვია“ (არ ჩერდება) (3, 206).

არსი, ზეარსი ღმერთის სახელია (16, 338).

პოეტს ასულდგმულებს „რწმენა ზეარსის მადლის და ნახვის“ (ნიავს რომ მოაქვს) (3, 478).

ებრაელი ხალხის წინამძღოლმა მოსემ ღვთისგან ბოძებული სასწაულებრივი კვერთხით მეწამული ზღვა გააპო და სამშვიდობოზე გაიყვანა თავისი ხალხი. ქრისტემ ფეხით გაიარა ზღვაზე (მარკოზი, 6, 48, 49) (5, 81).

ზღვა ცოდვილი ცხოვრების სიმბოლოა ბიბლიაში: „ზღვა, მწარეწყლიანი მარილისგან და მშფოთვარე ქარიშხალთაგან სიმბოლოა ამა სოფლისა“ (31, 519).

ამ ზღვაზე გადასასვლელი გემია ძელი, იგივე ჯვარი, ჯვარცმა (31, 519).

ესაია წინასწარმეტყველი ბოროტეულთ ლაფიან და ტალახიან ზღვას ადარებდა: „ბოროტულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრის ლაფს და ტალახს“ (ესაია, 57, 20) (4, 116).

ზღვის გადალახვა ცხოვრების ცოდვების დამარცხებას ნიშნავს გალაკტიონის ლექსში „გადავიარეთ მრისხანე ზღვები“ (12, 205).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში „რწმენის საჭით“ ხდება ზღვაზე გადავლა და პოეტი – „მენავეს“ – უზენაესის სავანემდე ამაღლება: „მიწის ბელტების დგას ღრიანცელი... მე რწმენით საჭით ზღვა გავაპე და ვით მენავე, მიველ იქ, სადაც შენ ციმციმებდი... „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი„ და შეწყნარების ვთხოვ უზენაესს, (3, 478).

ღმერთი, როგორც – ზღვის ღელვის (ბოროტეულთა) დამმარცხებელი, არის „მენავეთამოძღვარი“ (14, 378)

პოეტი წყლის ზედაპირზე სიარულის უნარით მომადლებული, ბიბლიის სიბრძნის ზღვაშიც მცურავია: „წყლის ზედაპირზე სიარულს, ნუ დაიკვეხნის ნურავინ. ეს შენ ხარ... ჰერკულესივით მითოსის მხრებზე შემდგარი, ბიბლიის ზღვაში მცურავი“ (წყლის ზედაპირზე სიარულისა) (14, 84).

ზღვის ზვირთების აყალ-მაყალს ცვლის მზის სხივების წვიმა (მზე საღმრთოო სახელია), მოსეს მაყვლისა და გედეონ-

ის საწმისის ხილვა: „უცებ მიწყდა ნაპირთან – ზვირთთა აყალ-მაყალი, ზღვას სხივები აწვიმს მზის და კრთის – მოსეს „მაყვა-ლი“, გედეონის „საწმისი“.

მოსეს მიერ ქორიბის მთაზე ხილული ცეცხლწაკიდებული, მაგრამ შეუწველი მაყვალი მარიამ ღვთისმშობლის სიმბო-ლოა. ისევე, როგორც მსაჯულთა წიგნში გედეონისთვის ღმერ-თის მიერ ცვრით დანამული საწმისის გაცხადება (გამოსვლა-თა 124, 7, 121) რომელიც ღვთისმშობლის მოვლინების მაცნედ დაისახა.

ამაღლებული, მიწიურის, ხილულის არადჩამგდები სული უხილავს – ღმერთს (16, 337) მიელტვის: „ისევ ველტვი უხილ-ავს, არსად მგდები ხილულის, რადგან ამას მავალებს სული აღმა მავალი“ (ეკლესიის ზარები) (3, 645).

უფლისგან ნაკურთხი მზერით ერთდროულად იხილვება საგნობრივი და ატრალური, ხილული და უხილავი: „იდუმალ მხმობს სამყარო, მღვრიე და ასტრალური. და ერთად ჭვრეტ შორეულს, ხილულსა და უხილავს“ (მღვრიე და ასტრალური) (14, 522).

„რწმენის ტვირთი“ აქლემის ტვირთია, მაგრამ მაინც სასი-ამოვნო (ციდან გადმომდგარი) (3, 690).

ფიქრთა მატლებით იობივით გაწამებული პოეტი მაინც რწმენის ერთგულია: „მოფუთფუთე ფიქრთა მატლი მახვევია... მაგრამ მაინც არ ვღალატობ ღვთიურ რწმენას, ვით იობი. შენს სიმაღლეს, შენს განგებას, სიკვდილამდე მივენდობი“ (მოფუთ-ფუთე ფიქრთა მატლი მახვევია“, (3, 980).

უღმერთობის დარდით გულდაწყვეტილი პოეტი მაინც მის-წვდა უზენაესის სამეფოს: „დიდხანს ველოდი უფლის წყალო-ბას, უღმერთო ცის ქვეშ ბევრი ვიცადე. დარდის თოკებზე ვფენ-დი ფიქრის ფარჩებს და დიბებს. მე შენს მიუვალ სილამაზის ციხე-ციტადელს მაინც მივადგი სიყვარულის მაღალი კიბე“ (დიდხანს ველოდი) (3, 754).

ნათლის და ჯვრის ძალა ძალისა და ამაღლების წყაროა: „ახლა როცა ვხედავ შორით და ნათელთან ჯვარი ვიფსკვენ, ძალა ისევ მოვიკრიბე და მივყვები მაღლა-ცისკენ, სხივმფინარე „ხიდს“ და „კიბეს“...

„ხიდი“ და „კიბე“ მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოებია (24, 124).

იოანე დამასკელი ბრძანებს: „როდესაც ღვთის შესახებ ვამბობთ „სიბნელეს“, არათუ სიბნელეს ვგულისხმობთ, არამედ იმას, რომ ღმერთი არ არის სინათლე, ანუ სინათლეზე უზემოესია. ასევე, როდესაც მის შესახებ ვამბობთ „სინათლეს“, ვამბობთ იმ აზრით, რომ არ არის იგი სიბნელე“ (18, 325).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში გვხვდება ამ მოსაზრების ზედმიწევით მიგნებულად გამოხატული სახე საღვთო ნათლისა – „ბნელი ნათელის სიელვარე“: „...და იდუმალი მესმის ძახილი ბნელი ნათელის სიელვარეში“ (ბნელი ნათელის სიელვარეში) (14, 80).

ლექსში „ჟამს ვარისხებ, როგორც მნათე“ (3, 67), „მიუწვდომელი თვალთა ნათელია“ უფლის სახელი: „უჟამოს და უხილავის სამრეკლოზე გადმომდგარი ზარს ვარისხებ, როგორც მნათე და ვით დავით, მეც დავეძებ მიუწვდომელ თვალთა ნათელს“.

„უჟამო“ და „უხილავი“ საღვთო სახელებია (18, 337).პოეტს გამუდმებით ენატრება „ნათელი სოფლისა“: „ალაჰი ვერ შემიყვარეს, ვერც სპარსებმა, ვერც თათრებმა, ქრისტეს ნიმბში ყოფნისას. თუმცა ისევ მენატრება მე ნათელი სოფლისა“ (ქრისტეს ნიმბში ყოფნისას) (14, 110).

ღმერთი არის „ცისკრის ნათელი“, ხოლო პოეტი არის ამ ნათელით შემოსილი: „შენიც, ისე ვით ეკლესიასტეს, ცისკრის ნათელი არის სამოსი“ (ვით ეკლესისტეს) (14, 85).

წყვდიადში, უღმერთო ეპოქაში კიდევ უფრო ძლიერდება „ნათლის“ წყურვილი: „ვუხმობთ ნათელს და ყოფნა წყვდიადში უფალმა უწყის, სანამდე გასტანს“.

უდაბნოდან, ურწმუნო საუკუნიდან მომავალი, ღმერთისაგან ხელდასხმული პოეტი თავისი პოეზიით ამკვიდრებს მარადიულ ნათელს: „გამოვეპარე ათასწლეულებს და საესავით... და საფიცარით, უდაბნოს ცხელი გზები გავთელე... და ვითარც მოსეს, მეც მიბოძა სჯულის ფიცარი ღმერთმა წარწერით: „იქმენ ნათელი“ (გამოვეპარე ათასწლეულებს“ (3, 458).

„ნათლითშემოსილნი“ წილნაყარნი არიან მზესთან, მთვარესთან, მათი ხვედრია ზესთასოფლის ხილვა, უფლის ზეცაში, მნათობებთან ამაღლება: „ნათლითშემოსილს, ვითარცა ქრისტეს, ეძახდა სულ სხვა სასუფეველი. რადგან მიწიერს მზის და მთვარის სისხლი ერია. და... მიმწუხრისას ამაღლდა ზეცად, მნათობთა მტვერში შეერია“ (ნათლითშემოსილს) (3, 686).

მაცხოვრის ნათელში ცხოვრობს პოეტი ზნესრული ცხოვრებით: „მაცხოვარის დგას ნათელი“. (14, 153).

ასე გამოხატა პოეტმა თავისი მაღალი მისია, რაც უკვდავების საწინდრად ექცა: „ბნელი შეცვალე ნათლით, ყოფნით არ-ყოფნა ძლიე“ (ლოცვად დაღლილი, ვითარც) (14, 375).

ესაიას წინასწარმეტყველებაში ქრისტეს ეწოდება „დიდი საყვირი“: „იმ დღეს ახმიანდება დიდი საყვირი, რომ თაყვანი სცენ უფალს წმინდა მთაზე იერუსალიმში“ (ესაია, 27, 13) (4, 22(.

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ ღმერთი არის „ზეცის საყვირი“ (30, 168).

ვაჟა ეგრისელი თავისი პოეზიის რელიგიურობას, საუკუნის პრობლემების გათავისებას „იერიქონის საყვირის“ სახით გვაგრძნობინებს: „სულთამობრძავი ეს საუკუნე ხელში მიჭირავს ვით სალამური და... ჩემი ლექსის ყველა სტრიქონი მო-

შურნეთათვის ჩემი მამულის არის საყვირი იერიქონის“ (საყვირი იერიქონის“ (3, 776).

ანა კალანდაძე იერიქონის საყვირით სიფხიზლისაკენ მოგვიწოდებდა: „...გულო იფხიზლე, სულო იფხიზლე, იერიქონის გამცნებს საყვირი“.

ღმერთი არის არსი, არსთა გამრიგე (16, 339).

ვაჟა ეგრისელის ლექსში ღმერთს „არსთაგამრიგე“ ეწოდება და იგი ცაშია დამკვიდრებული (არსთაგამრიგე) (3, 344).

წმინდა გზის გაგნებაში პოეტს ეხმარება ქრისტესთვის წამებული წმინდა გიორგი და დიდი ღვთისმეტყველი გრიგოლ ნოსელი: „მსგავსად წმინდა გიორგის, ბევრი ათასწლეული ვაებას გავუძელით, ხმაც გვესმოდა ნოსელის: „განიძარცვეთ მუნ ძველი, ახლით შეიმოსენით“ (ხმაც გვესმოდა ნოსელის) (3, 911).

ძველი კაცი ცოდვილი ადამია, ახალი კაცი – ქრისტე.

სასულიერო პოეზია, „ჭილ-ეტრატის იადგარი“ სულის განწმენდის და ღმერთამდე ამაღლების ძალის მომცემია: „ციურ სიმყუდროვეში, როცა ის კითხულობდა ჭილ-ეტრატის იადგარს უცაბედად მაცხოვრის მაღალ ჭიშკარს მიადგა, (ჭილ-ეტრატის იადგარი) (3, 331).

ჭიშკარი, კარი მაცხოვრის სახელია: „კვლავ უთხრა იესომ: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მე ვარ კარი ცხვართა“ (იოანე, 10, 7)(5, 531).

სამებასავით იჭვრიტება ნათელმხილველის სული სიცოცხლის, სიკვდილის, ზესკნელ-ქვესკნელის საიდუმლოებებში: „ცხოვრებაა წამება, რადგან, როგორც სამება ერთურთს გადავეფსკვენით: მე, სიცოცხლე, სიკვდილი, ზესკნელ-შუასკნელ-ქვესკნელი“ (სამება) (3, 552).

სიწმინდის ღმერთის ერთგულება – მსახურება ერთეულთა ხვედრია და შურით, მტრობით აღაგზებს სულმდაბლებს: „... თქვენი გულისთქმა კვლავ შიშველია, როგორც გეტერა და

სტრიქონებში თესთ აპათიებს: ჩემი გალობა ღვთის ტაძარში აღარ ეტევა და ვითარც ქრისტეს, ვიცი, ამას არ მაპატიებთ“ (ო, ჭეშმარიტად) (3, 666).

მიწიერთაგან, მდაბალი სულის კალმოსნებისგან განსხვავებულ „ქრისტეს ნათლულს, ქრისტეს ნაგრამს“ უფლება აქვს უტყუარი დიაგნოზი დაუსვას პოეტურ მოვლენებს და საკუთარი გამორჩეულობა ხაზგასმით აღნიშნოს: „ჩემი ათასწლეულთა მზე მოდიდდა და ძმანო ჩემნო, ჭეშმარიტად, ო, ჭეშმმარიტად! – თქვენ ქვენანი ხართ, მე ვარ ზემოთიდან“ (კუს კი არა და) (3, 37).

ქრისტემ მიმართა იუდეველებს: „თქვენ ქვენანი ხართ, მე კი ზემოთიდან ვარ, თქვენ წუთისოფლისანი ხართ, მე კი წუთისოფლის არა ვარ“ (იოანე, 8, 23) 4, 196).

გულისტკივილით ამბობს პოეტი: „რა ვუყოთ, რომ ვერ მცნობენ მიწიერნი ცისიერს“ (ხედავთ?) (4, 366).

ქრისტე გვასწავლის, რომ ფართო გზა უმრავლესობის გზაა, გზა წაწყმედის, სულის დაღუპვის, ვიწრო კი – ერთეულების, წმინდა ადამიანების: „შედით ვიწრო კარიბჭით, ვინაიდან ფართოა კარიბჭე და განიერია გზა, რომელსაც დაღუპვისაკენ მიჰყავს და მრავალნი დადიან მასზე.

ვინაიდან ვიწროა კარიბჭე და ვიწროა გზა, რომელსაც სიცოცხლისაკენ მიჰყავს და მცირედნი იპოვნიან მას“ (მათე, 7, 13,14)(5,13).

ვაჟა ეგრისელი ამ ერთეულთა გზის ერთგულია: „დუმს გილიოტინა და ეშაფოტი. თუმც რხევა მესმის გასანთლულ ბაწრის და როგორც პოეტს სიცოცხლე მტკივა. ფართოს კი არა, მივყვები გზა-წვრილს და ნუთუ ესეც იქამდე მივა?“ (დუმს გილიოტინა და ეშაფოტი)(3,616).

„კოლხური ფსალმუნების“ ტომეულების ავტორი „მზის ნაშიერია“, მზის და მთვარის ძე, მის „ბედს ბეჭედი აზის მზის“ (აიეტივით მზის შვილი) (3,889), იგი, განბანილია მზის ემბაზში

(რომ ვთქვა გმირთა ამბავი (3, 389), მთვარის ემბაზში, ფაზისის ემბაზში, მისი წიგნები „სიბილას წიგნებივით ნაწერია მზის მელნით, მთვარის კალმით, ფოთლებზე პალმის“ (ვითარც სიბილას წიგნები) (3, 921).

გალაკტიონისთვის პოეტი იყო „მზის შვილი“, ორიგინალურ ხელწერას იგი „საკუთარ ბეჭედს“ უწოდებდა.

როგორც ვხედავთ, ასტრალური სახეების, მზის სიმბოლიკის ფარგლები ვაჟა ეგრისელმა წინარე პოეტებზე უფრო გაამრავალფეროვნა და ორიგინალურ ხილვათა საზღვარი უფრო შორს გასწია.

პოეზია ღმერთის სულია და რწმენის განმტკიცებისთვის გოლგოთის გზით მავალია პოეტი: „ათასეული წლის იქით, გოლგოთის გზებით უვლია – უკვდავებას რომ ერთვის და ... პოეზია სულია უფალი ქრისტე ღმერთის“ (ათასეული წლის იქით (3, 85).

პოეზია „ღვთის ტაძარია“: „...ის ღვთის ტაძარი ვერ დავასრულე, პოეზია რომ ჰქვია სახელად“ პოეტი უნდა იყოს „ღმერთივით მაღალი და მართალი“ (ფშავში) (3,163).

სასულიერო პოეზიაში ქრისტეს სახეა „ცეცხლი უსხეულო“ (ი. მტბევარი) „სუდარი ცეცხლისა“ (ი. მინჩხი), „ნაკვერცხალი ცეცხლისა“ „შანთი შეუხებელი“, ცეცხლი მშობელი ცვარისა“ (ეზრა). ამ ფრაზებში „ცეცხლი“ ქრისტეა, „ცვარი“ – მისი მოძღვრება (ა. ბაქრაძე) (22, 59).

გრიგოლ ხანძთელს, როგორც ღვთის რჩეულს, ცეცხლის სახით ახვევია „სული ღმრთისაი განმანათლებელი“ (6, 597).

ინდურ მითოლოგიასა და ღვთისმეტყველებაში ღმერთი სხივოსანია, ნათელი, ელვისა და ცეცხლის შარავანდედით იხილვება (24, 16).

ა. დრევსის აზრით, ცეცხლის კულტი უსწრებდა ბუდიზმს და ქრისტიანობას, ხოლო ბუდა და ქრისტე... კოსმიური ცეცხლის მატარებლები არიან.

ასევე, სულიერ ძალებს ახასიათებთ ცეცხლური ენერგია და ნათების უნარი (25, 93).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ღმერთის სახელია „დიადი ცეცხლი“: „წარმავალი და აგრეთვე მარადიული იხილე ცეცხლი და მიხვედი ისეთ ზღვარამდის, რომლის გადაღმა თვალი ჩემი ვეღარა წვდება“ (10. 247).

გ. რერიხი ღმერთს უწოდებს „დიად ცეცხლს“ (26, 89).

ე. ტაბიძის პოეზიაში მრავალნაირი ცეცხლი შეინიშნება, განსაკუთრებით კი „ღვთიური ცეცხლი“ და მისი ვარიაციები.

ასევე, ამ ასპექტით ძალზე საყურადღებოა ტერენტი გრანელისა და ანა კალანდაძის პოეზია.

ვაჟა ეგრისელთან გვხვდება „ცეცხლი ზენარი“: „მარადისობა სადღაც ყვავილობს, მეც იქ ამოვალ ცეცხლით ზენარით“.

უღმერთობის სიბნელეს „უზენაესის უწმინდესი ცეცხლი“ ანათებს: „...ღამეა ფიქრში... მხოლოდ ჟამი-ჟამ უზენაესის უწმინდესი ცეცხლი იელვებს“ (18, 558).

თავის ღვთისმოსაობას სიმბოლური სიყვარულის კიბით, მარადიული ცის, ღვთაებრივი ცეცხლის სახეებით გვაგრძნობინებს: „აყვავებული ღამის სიზმრებით, ციმციმ დავტოვე მთვარის აკვანი და სიყვარულის კლდეზე დავები. მერე ვილოცე და ვეთაყვანე – ცას მარადიულს და... ცეცხლს ღვთაებრივს“ (აყვავებული ღამის სიზმრებით“) (3, 596).

სიყვარული ღმერთია (I იოანე, 4, 8) (4, 320) ასევე კლდეც (17, 124)

ცა მარადიული მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორაა (15, 124).

რელიგიური სახეები შთაგონებენ პოეტს „ციურ არიას“ – საღვთო მოტივებს: „მთიები სიშორეს გალობენ და ისმის ციური არია, – როს უმზერს კლდესა და ღვთის კიბეს – ბარძიმობაზე შექმფინარ მარიამს“ (3, 274).

ღმერთი არის „ცეცხლი მარადიული და ცეცხლი ღვთაებრივი“...

ახალი აღთქმის მიხედვით, ღმერთი „პირველი სიყვარულია“.

ქრისტემ ეფესოს ეკლესიას უსაყვედურა „პირველი სიყვარულის“ – ღმერთის დავიწყების გამო: „... შენს საწინააღმდეგოდ ის მაქვს, რომ შენ დაივიწყე, შენი პირველი სიყვარული“ (იოანეს გამოცადება 2, 4) (4, 492).

ვაჟა ეგრისელის მიმართავს ამ სახეს: „ცხადია თუ ფარული – ჩემთვის ორივ ერთია და შუა არ იყოფა პირველი სიყვარული ამ სოფლად და იმ სოფლად“ (პირველი სიყვარული (14, 389).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორისთვის ქრისტე არის „სიყვარულის კლდე“:

„მე სიყვარულის კლდეზე დავები. მერე ვილოცე და ვეთაყვანე ცეცხლს მარადიულს და ცეცხლს ღვთაებრივს“. კლდეც ქრისტეს სახელია (17, 121).

ღმერთი არის „სიყვარულის მტევანი“: „ლოცვის ბილიკს მივყვები, მარად მისი ერთგული. გზა არის უტევანი და სადღაც იქ მეგულვის სიყვარულის მტევანი“ (ლოცვის ბილიკს მივყვები“ (14, 414).

სიყვარულის მტევანი ასევე რულიგიური სიმბოლოა სხვა კონტექსტშიც: „ვენახს, ჟამთა შესაკრთობად, ჩამოკიდა ლერწმის ყულფი და მტევანი სიყვარულის – სიცოცხლის ხეს მიადგა. მიტომ ადგას თვალი უფლის ჭილ-ეტრატის იადგარს“ (14, 51).

ვენახი ქრისტეს სიმბოლოა, ლერწამი მოციქულების.

„მარადისობის თვალით მზირალი, ვინც უღმერთობას გულში გაივლებს არსი ყოველი საწუთრისგან დაილეწება მარად უჭკნობი და მოყვავილე „ეს მე ვარ ვაზი, თქვენ კი ლერწები“ (18, 925) ამბობს პოეტი.

ღმერთის, რწმენის მსახურებას ისეთი გალობა შეჰფერის, როგორიც აპოკალიფსშია, ხოლო ლექსით რწმენის მსახურება ბერის მარტვილობას მოგვაგონებს: „ჩამაცვა გალობის ანაფორა და პოეზიის უდაბნოში – უფალმა აღმკვეცა ბერად. მირონით სავსე მაქვს მზის ამფორა,მას ჟამი ვერ დაამსხვრევს, ვერა“ (ჩამაცვა გალამის ანაფორა) (3, 769).

...“სტრიქონს ელვით ვაგვირისტებ“ ამბობს პოეტი და ელვა აქაც რელიგიური შინაარსისაა.

ამავე ჭრილში მოიაზრება ცისარტყელაც: „ცისარტყელა ხელს გიწვდის, რადგან შენ ხარ მგოსანი, წარღვნას გადარჩენილი, ქრისტეს კვართით ნაშობმი“ (ცისარტყელა ხელს გიწვდის) (14, 77).

პოეტი გამუდმებით გრძნობს უფალს თავის არსებაში და აცხადებს, რომ „ქრისტეს ნაგრამია, ქრისტეს ნათლული“, რომელსაც მზერას არ აცილებს „სიხარულის თვალი“. სიხარულიც და თვალიც საღმრთო სახელებია: „მწუხრში დამეძებს სიხარულის თვალი მოხეტე და მოწყალებით ღმერთო მომხედე – ქართულ მიწაზე დგება ჩემი ხმის განთიადი“ (ფრთების ფათქუნი მესმის სივრცეთა“) (1, 8).

პოეზია და ღმერთი იდენტურია ვაჟა ეგრისელისთვის, რადგან „პოეზია სულია უფალი ქრისტე ღმერთის“, პოეზია კავშირი მარადისობასთან: „ეძებს და მუდამ ჰპოვებს... მარადისობის შერთვის ფიქრი აწუხებს პოეტს... პოეზია, ვით ღმერთი, არის ანი და ჰოე“ (ეძებს და მუდამ ჰპოვებს) (3, 661).

პოეტი არის „მტერთა მრისხველი, კოლხეთიდან მოსული... „ქრისტეს მხედარი“ (14, 2).

მაგრამ ურწმუნონი და უჩინონი უშორეს და უახლოეს მხედარს ვერ ამჩნევენ: „ვარსკვლავების თავსხმაა, ქარ-ქორია ღრუბლების. მთვარე კიდობანია – ბიბლიური ნოესი. და ყოველის მხილველნი, ახლა არას ხედავენ და არა ჩანს მხედარი მარად უშორესი და მარად უახლოესი“ (მეორედ მოსვლა) (14,

75). უშორესი და უახლესი მხედარი იგივე აპოკალიფსის მხედარია – ქრისტე.

მოკვდავების შემყურე პოეტი ასკვნის: „მოკვდავნი ისე ირევეა, ვითარც სკა-ახალნაყარი – დღისა და ღამის ნაპირთან. უღმერთოდ რა არის სამყარო, ბუნაგი მკვლელთა და ვამპირთა“ 14, 129).

პოეტი ელოდება „მარადისობას წვიმას“,წვიმა კი საღვთო სახელია (17, 121).

დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „იგი ჩამოვა, როგორც წვიმა მოთიბულ მდელოზე, როგორც წვეთები მიწას რომ რწყავენ“ (ფს. 71, 6) (4, 597).

პოეტის „ციური არია“ ბნელს ფანტავს, მისი „ცის ყანა“. ლურჯად ღაღანებს: „...დროც გარდახდა და ცის ყანა ბევრჯერ ლურჯად აღაღანდა“ (წარსულიდან) (3, 621).

პოეტს ეიმედება თავისი უებრო, გამორჩეული „თავთუხიანი ყანა... პურის“.

მისი დევიზია ამაღლება სხეულზე, სივრცეზე, ლაჟვარდებამდე, ღვთის სავანემდე მიღწევა და თუ ეს შეცოდებაა, ღვთის დიდსულოვნების იმედი აქვს: „ამაღლდი სულო, სხეულიდან ამოიწიე (გებღაუჭება მიწიერი არამიწიერს) და ღვთის საუფლო, უსამანო ლაჟვარდს გახედე... და ამით უფალს თუ შესცოდე, ამ „სითავხედეს“, მაღალია და შეგინდობს ღმერთი“ (ამაღლება) (3,29).

ცხოვრება „დღე-ღამე მზიანის“, მაღალი ცის, მთის, უჟამო ჟამის ხილვის მოლოდინია, მაგრამ ურწმუნო ეპოქაში დავიწყებიათ უზენაესი და იმედგაცრუებული პოეტი ამბობს: „ელი და აღარ ჩანს დღე-ღამე მზიანი, აღარც ცა, აღარც მთა, არც ჟამი უჟამო“ (ლოდინი). დღე-ღამე მზიანი ღმერთია (33, 121).

ცა, მთა მარიამის მეტაფორული სახელებია (24, 124).

უჟამო ჟამი მარადიული ღმერთის პარადიგმაა (16, 337).

ლექსი მამაღმერთის, ძე ღმერთის, მარიამ ღვთისმშობლის გაუჩინარებით გამოწვეულ სევდას გვიმხელს.

უღმერთო ეპოქაში „ქრისტეს ნათლული“ და ქრისტეს მხედარი უსამართლობასთან შეურიგებელი პოეტი გარემოსილი იყო შურით: „არ გშორდება და დაგდევს შური-ქვეგამხედვარი, რადგან მტერთა მრისხველი კოლხეთიდან მოსული შენ ხარ ქრისტეს მხედარი“ (ქრისტეს მხედარი)(14, 361).

ხბოს აღტაცების მქონე პოეტებს ვაჟა-ფშაველა ნიშნისმოგებით მიმართავდა: „ვისაც არ მოგწონთ ტირილი, ის ნუ დასჯდებით ჩემთანა: მტირალის სტვირის პატრონი ფეხს როგორ გავწვდი თქვენთანა?!მაგრამ გავიგებთ ერთხელაც, ვინ ახლო ვდგავართ ღმერთთანა“ (სიმღერა).

უფალი ჭმუნავს სამყაროს ცოდვებზე და მის სახედ და ხატად შექმნილი პოეტი, ბუნებრივია, დარდობს ქვეყნის ბედზე, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ამით უფრო ესათნოება ღმერთს.

ვაჟა ეგრისელი „სინათლის ნაპირის“ ირგვლივ ეკალ-ბარდებს ჭვრეტს და ტირილნარევ სიმღერას აღავლენს უფალთან: „ჰყვავის სინათლის ნაპირი, მოსილი ეკალ-ბარდებით, ჩემი მფარველი დუმს კალთა. სიმღერით ტირილნარევით მისვლას ვაპირებ უფალთან“ (ჰყვავის სინათლის ნაპირი)(3,726).

ეკლები, ხიწვები, ეკალ-ბარდები არაერთგზის ჩნდება ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში და ამით მწარე რეალობაზე ხდება მინიშნება.

„ეკლებიც ცთომილების შემდეგ აღმოცენდა მიწიდან, თანახმად უფლის განჩინებისა. ამის შემდეგ ვარდის საამურობას ეკალიც თანაშეეწყვილა, რომ შეგვახსენოს ის ცთომილება, რის გამოც ეკლებისა და კუროსთავების აღმოცენება მიუსაჯა ჩვენთვის მიწას.

„მიწაც განქარდება და შეიცვლება. ხოლო ნეტარია ის, ვინც მშვიდთა მიწას დაიმკვიდრებს, რადგან ის მიწა, რომელმაც

წმინდანები უნდა შეიწყნაროს, უკვდავია“ (იოანე დამასკელი) (16,357).

უფლის თანამგზავრია, უფლის მზერას გრძნობს პოეტი, როგორც გალაკტიონი: „მზის წყვდიადში მარტოდ მავალს – ვარსკვლავები მიმაცილებს: „ფსალმუნებით“ და მაყრულით, გზას კი ელვა მიგვირისტებს. მოძმისგან ჯვარს გაკრული რწმენის ციდან-მოწყენილი მიმზერს ქრისტე“ (მოწყენილი მიმზერს ქრისტე) (14, 69, 121).

„უსაზღვროების“ ნისლებში გახვეულ პოეტს ცის სული-ელვა ეძახის ზეცისკენ: „უსაზღვროების ნისლებში გახვეულს და მიზეზს იდუმალ, შორეულ ოხვრათა, ელვა-ცის სულია, რომ გიხმობს ცახცახით შენ – სტუმარს წამიერ, მიწიერ ქოხმახთა და მუდმივ ბინადარს – ვარსკვლავთა „სასახლის“ (უსაზღვროების ნისლებში გახვეულს)(14,503).

ჟამის გამოდარება, უფლის სასუფეველი ეიმედება პოეზიისთვის, ჭეშმარიტებისა და რწმენისთვის ჯვარცმულს: „მიქრის ჟამი – დღეთა ფეხქვეშ მფენელი, მაქრობელი წყვდიადის და... მოდარე, გითვალთვალებს უფლის სასუფეველი, ის ახლო არს, კარსა ზედა მომდგარი“ (მიქრის ჟამი) (3,736).

პოეტისთვის მთელი ქვეყანა ავსებულია ქრისტეს სახელით და სულით: „და ქართლის ცაზე კვლავ მელანდება: „იესოს კვართი, შურდული და ქნარი დავითის“ (ქნარი დავითის).

აქ გაზიარებულია მესიანისტური იდეა, რომ ქრისტეს კვართი საქართველოში, მცხეთაშია (31, 98-99).

ქართული მესიანისტური მოსაზრების მიხედვით, ქართველი ბაგრატიონები ბიბლიური დავით წინასწარმეტყველის შთამომავლები არიან (31, 51-52).

ღმერთის სიყვარულით ამაღლებული პოეტი მეუდაბნოე ბერივით რწმენით და ლოცვებით აღწევს სულის განწმენდას: „ცათამდე ამაღლებული კაცი ფიქრით და ოცნებით დაბლა მი-

წაზე ვერ ივლის. მე ვცხოვრობ ღვთით და ლოცვებით, მეუდაბ-ნოე ბერივით“ (ცათამდე ამაღლებული) (3,68).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში მარადიული, სამართლიანი ღვთის სიბრძნე მოიძიება, რაც მისი გამორჩეულობის საწინდა-რია: „შენი ლექსი, ციცქნა ლექსი დიდ ტილოებს მიტომ მე-ტობს, „საიდუმლო სერობაა“ მასში დიდი, ვითარც ფუნჯში ტინტორეტოს“ (შენი ლექსი) (3,392).

გალაკტიონის ლექსში საუბარია საიდუმლო სერობაზე: „ო, მეგობრებო, ჩვენი სერობა, იქნებ მომავალს შვებას მოუტანს, იქნებ ღამის ალმაცერობა, მე ეხლავ ვამჩნევ ერთგულ იუდას“ (ო, მეგობრებო, ჩვენი სერობა) (12,371)

საიდუმლო სერობის აუცილებელი წევრია იუდა, ის, გალაკ-ტიონივით, არც ვაჟა ეგრისელს აკლდა.

ჭეშმარიტი პოეტობა ქრისტიანული მისიის აღსრულებად და ჯვარცმად ესახებოდა აკაკი წერეთელს: „მე, მგონია, მის-თვის ვართ ქვეყნად მოვლინებული, მაცხოვარი რისთვისაც იქ-მნა ჯვარცმულ – ვნებული“ (პასუხი მეგობარს) (35,124).

„ბავშვობიდანვე იყავი მარტო ჯვარზე გაკრული“, ეხმიანე-ბა „სულიკოს“ ავტორს გალაკტიონი.

წინამორბედებს უერთებს ხმას ვაჟა ეგრისელი: „... და ვიცი ახლა თვით უფალიც ვეღარ მიშველის, რადგან დღედაღამ ფიქრის კარზე მესმის კაკუნი. მაცხოვარივით – ტიტველ-შიშვე-ლი, ვარ პოეზიის ჯვარზე გაკრული“ (ჩემმა გამჩენმა) (3,236).

ქრისტესა და მარიამის სიმბოლურ სახეებთან გვიწევს შეხ-ვედრა ლექსში „მანანათი დაგვაპურა“ (15, 138): „მანანათი დაგვაპურა და წყურგილე გვასვა თასით,ზღვაში თესდა, ცაში მკიდა. წელი არის ორი – ათასი, რაც გადმოჩქეფს წყარო კლდიდან“.

მანანა, ზეციური პური, რომლითაც მოსემ დააპურა ეგვიპ-ტიდან წამოყვანილი ისრაელები, მიგვანიშნებს ღმერთზე. ასე-

ვე მოსეს მიერ კლდიდან გადმოდენილი წყარო, წყურგილე არ-ის ქრისტეს სიმბოლური სახე (7,124).

„თასი“ და „კლდე“ არის უფლის დედის პარადიგმები (17, 124).

ქრისტე ეუბნება ისრაელის ხალხს: „მამაჩემი გაძლევთ ჭეშმარიტ პურს ზეციდან.

რადგან ღვთის პური ისაა, რომელიც ზეციდან ჩამოდის და სიცოცხლეს აძლევს წუთისოფელს.

მე ვარ პური სიცოცხლისა. ჩემთან მომსვლელს არ მოშივ-დება და ჩემს მორწმუნეს არასდროს მოსწყურდება“ (იოანე, 6, 32, 33, 35) (4, 190).

„მე ცოცხალი პური ვარ, ზეციდან ჩამოსული. ვინც ამ პურს შეჭამს, საუკუნოდ იცოცხლებს“ (იოანე, 61, 51) (4, 191).

„პური არსობისა აღნიშნავს მომავლის ანუ საუკუნო ცხოვ-რების პურს, ანდა იმ პურს, რომელსაც ჩვენი არსების შესანარ-ჩუნებლად მივიღებთ“ (იოანე დამასკელი) (სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი IV, თბ. 1992, გვ. 310).

წყარო, წყალიც უფლის სახელია.

ქრისტე ამბობს: „თუ ვინმეს სწყურია, მოვიდეს ჩემთან და შესვას (იოანე, 7, 37) (4, 194).

ქრისტიანული სიმბოლოებია „ოქროს მდინარე“ და „წყა-რო ცხოვრებისა“: „ციქნა დედამიწაზე მარად დაუტევარი – ეძ-ებს ოქროს მდინარეს, ვით ბრძენი მოდრეკილი, ან „წყაროს ცხოვრებისა“, როგორც დიდი მტბევარი“ (14, 50).

„წყალი, მდინარე (ბიბლიაში იორდანე) განასახიერებს საღვთო მადლს, რომელიც შემოდის სააქაო ყოფაში სულიერი სამყაროდან და ანაყოფიერებს მას“ (33, 211).

პოეტი კოლხეთს მოიაზრებს, როგორც სამყაროს საწყისს, უფლისგან პირველქმნილ სამყაროს მოდელს, სადაც ეგულება სამოთხის ბაღი, ხე ცხოვრების, ხე ცნობადის (ღმერთი) და უც-ოდველი ევა: „აი კოლხეთი, ღვთის ოდაბადე. სამოთხის ბაღში

აქ პირველი ადამი იშვა. სად ხე ცხოვრების დახუნძლულა ხილით ცნობადის, მაგრამ... ჯერ არ უგემნია ნაყოფი ევას“ (3,58).

პოეტი თაყვანისცემით ლოცულობს ხეზე, სვეტზე, ბოგირზე, ცის კიბეზე: „ვილოცო და გცე თაყვანი, ამქვეყნად მისთვის ვბოგინობ, მიყვარხარ! მიტომ ვდიდგულობ – ხეო, სვეტო და ბოგირო, კიბევ ცათამდე მიდგმულო!“ (ვილოცო და გცე თაყვანი) (3, 444).

ხე და სვეტი ქრისტეს სიმბოლოებია (18, 129), ბოგირი, კიბე- მარიამისა (24, 121).

ერთ ლექსში ღმერთის სახედ ფიგურირებს „პალმა ქოქოსის“, როგორც პოეტისთვის მადლისა და წყალობის მიმცემი, ტიტანური წიგნის – „იქმენ ნათელი“ – შთამაგონებელი: „ღმერთმა მოგხედა! იქმნა ნათელი! რადგანაც შენი სული ჩემობდა. და გინანავებს პალმა ქოქოსის. ოქროს ირემიც მთაზე შემოდგა, ბადეს ამოჰყვა თევზი ოქროსი“ (ისევ წიგნი – „იქმენ ნათელი“) (3, 691).

ღმერთის სახელია „მარადისობა“, უსაზღვროება“.

ეს სახე მრავალგზის გვხვდება ვაჟა ეგრისელის პოეზიაში: „აბა რად უნდა დიდი მისნობა: უსაზღვროების უსაზღვრებას, მარადისობის“ მარადისობას (აბა რად უნდა დიდი მისნობა((17, 857).

ღმერთშემოსილი, მზითშემოსილი, ცეცხლშემოსილი პოეტის მიზანია მარადისობა შეიმოსოს, წილნაყარი გახდეს უდიადესთან, სიყვარულთან მიწაზეც და ცაშიც: „ალბათ იქნება წყალობა უფლის: ზამთარში თოვლად, ზაფხულში წვიმად, მარადისობა ტანზე რომ გეცვას და სიყვარულით დაიდო ბინა მიწად და ზეცად“ (17, 494).

მგოსანი არა არყოფნას, არამედ მარადისობას მიელტვის, თანაც დროზე, რადგან შეცნობილი აქვს წუთისოფლის წარმავლობა, სიმუხთლე: „მარადისობას მიველტვით, ვახმე! თუ დაგვაგვიანდა მისვლა. და ჟამმა უჟამომ ადრე ჩამოჰკრას მიზრა-

ფი, ჩვენ კი არ ვუწყით ნიადაგ, რომ არყოფნისკენ ვისწრაფ-ვით“ (მარადისობას მიველტვით) (3, 451).

მარადისობა ერთადერთია, უცვალებელი, სრული: „ერთა-დერთია მარადისობა, რომელსაც რაა, ერთი ნამცეციც არ ემ-ატება და არც აკლდება“ (მარადისობა) (17, 658).

მარადისობასთან შეხმიანება, მის სავანეში დამკვიდრება მხოლოდ შემოქმედთ ხელეწიფებით: „მარადისობის არის წა-მალი – ყოველი დიდი შემოქმედება“ (ზამთრის ღამე) (17, 617)

პოეტს სწამს, რომ წმინდა სულის სიტყვის დიდოსტატი ცის მოქალაქე და მარადისობის რჩეულია: „ჩაუბღუჯიხარ მარადი-სობას, მიწის კი არა, ცის მოქალაქე“ (ჩაუბღუჯიხარ მარადისო-ბას) (17, 856).

მარადისობა თვით გამოარჩევს „მზითმოსილს“, „მა-ღალს“, რომ კიდევ უფრო მეტად აზიაროს იდუმალებას, სი-მაღლეს: „მარადისობა კიბეებით ჩამოდის დაბლა, რომ მზით-მოსილი და მაღალი უფრო ამაღლდე“ (ბნელი ღამიდან გად-მოხვეწილი) (17, 529).

„უვალ გზაზე“ პოეტი რწმენის ფარით და შუბით მიემართე-ბა, მისი მეგზურია მზე-ღმერთი: „ხელში ფარით და შუბშემარ-თული ჩემი დღეები – ძველ რომაელს ჰგავდნენ მეომრებს. წინ მზე უძღოდათ კეისარივით. იმ გზას ჩემეულს ვერვინ გაივლის და ვერც ვერავინ გაიმეორებს“ (ხელში ფარით და შუბშემარ-თული (14, 777).

სულიერი ფარით, სულიერი ჯაჭვ-მუზარადით აღჭურვი-ლობის ნიმუშია ვაჟა ეგრისელისთვის ვაჟა ფშაველა: „მზე – შუბად, მთვარე – ფარად იფარე, ტანზე ჩაიცვი ვარსკვლავების ჯაჭვ-მუზარადი (გვერდით ვაჟა გყავს, არ ხარ ეული, და უთ-ვალთვალებ ქართულ მიწას აწ და მარადის, საქართველოს – ზეცადაქცეული“ (17, 956).

„ორი კოლხი კაბადოკიელი“ – წმინდა ნინო და წმინდა გორგი საქართველოს იფარავდნენ „მთვარის მახვილით“ და

„მზის ფარით“: „მთვარის მახვილით და მზისა ფარით, ათასწლეულებია საქართველოს იფარავს (მიუხედავად სიობლის) ორი კოლხი „კაბადოკიელი“ წმინდა ნინო და წმინდა გიორგი“ (ორი კოლხი „კაბადოკიელი“) (17, 764).

უკვდავების საწინდარია „მთვარის ფიალით“ (მთვარე მარიამის სიმბოლოა) მზის (ღმერთის) მადლის მიღება: „ჰელიოსის მზემ, ვითარც მზის შვილმა, მთვარის ფიალით მზის მადლი შესვი და ამიტომაც უკვდავი გახდი“ (სკიპტრა და ტახტი) (17, 654).

ვაჟა ეგრისელისთვის პოეზია ღვთის ტაძარია, რომელიც რწმენის სამსახურშია ჩამდგარი და სულიერების განმტკიცებას ისახავს მიზნად მხატვრული სიტყვის საშუალებით. პოეტი ურწმუნო ეპოქაში, შეღამებული რწმენის სარკმელში მზის (ღმერთის) მოვლინებას ხედავს და უხარია: „ღამეჩამდგარმა რწმენის სარკმელმა ლოცვა-ვედრებით, ვით ცამეტმა მამა ასურმა თვალთ მზე ჩაისახა და აახილა. მაინც მიუვალ მთაზე პარნასის, ის ღვთის ტაძარი ვერ დავასრულე, პოეზია რომ ჰქვია სახელად“ (ღამე ჩამდგარმა რწმენის სარკმელმა) (3, 437).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორის შემოქმედებაში ყურადღებას იქცევს საღვთო ქორწინების იდეა: „... მნათობების ოჯახები დავიარე, გსვამ სიმაღლევ, მზის მოწვდილო, მთვარე არა, მთვარე ჩემი დაი არი, მზეზე უნდა ვიქორწინო“ (ღამეების თეთრ ძვლებს ვხრავდი) (14, 308).

იგივე აზრია ლექსში „გადუფრენს ათასწლეულებს (4344). „გადუფრენს ათასწლეულებს ვით ცელებესს და იავას ხმა მზის და მთვარის ქორწილის. მზის სამყაროს უვლის ნიავად, ელვა, ცით გამოტყორცნილი“ (17, 4344).

მზეზე ქორწინება უნდა ნიშნავდეს „ჰიეროგამიას, ანუ საკრალურ ქორწინებას, რაც სიმბოლოა ინიციაციის უმაღლესი სინთეზისა“ (ზვიად გამსახურდია (36, 213)

პავლე მოციქული ეუბნება თავის მოწაფეებს, რომ „დანიშნა ერთ კაცზე“ – იესო ქრისტეზე, რათა „ქალწულებად“ წარდგნენ სამსჯავროს წინაშე.

ვაჟა ეგრისელის ლექსში მზის და მთვარის ნიშნობაზეა საუბარი. მზე-ქრისტეს, მთვარე – მარიამის მეტაფორაა: „მთას უკავია სავსე პირთამდე – ქარიშხლით სავსე ვერცხლის თასი ზღვის და დგება ჟამი მზის და მთვარის ნიშნობის. ეს კოლხეთია – ღმერთქალ ფაზისის, სად სიძულვილი სიყვარულად აღმოიშობა“ (ეს კოლხეთია) (572).

ინიციაციაქმნილი, სულიერ სრულყოფილებამდე ამაღლებული პოეტი, სინდისის და ნამუსის ერთგული მსახური, მზად არის სიკვდილს ოქროს კალმით და „საქორწილო სამოსით“ დახვდეს: „მონა ვიყავ ყოველთვის, სინდისის და ნამუსის და როდესაც დარეკავს წამი ყოფნა-არყოფნის, კოხტად გამოვეწყობი და მე სიკვდილს დავხვდები ხელში ოქროს კალმით და საქორწილო სამოსით“ (აღსარება) (17, 571).

გალაკტიონ ტაბიძე „მზის სადღეგრძელოს“ სვამდა „მარადი ჭიქით“: „მზის სადღეგრძელოს მარადი ჭიქით, ვსვამ, მიხარია ცეცხლის კდებანი (12, 183).

მზე ქრისტე ღმერთის, „მარადი ჭიქა“ მარიამის სიმბოლოაა.

ვაჟა ეგრისელი არის „ქრისტეს კვართით ნაშობი“, „ქრისტეს ნათლული“,ღვთისმშობლის მიერ მოქსოვილი „სიტყვის ოქროს კვართით“ მოვლენილი, ამიტომაც „მზის სადღეგრძელოს“ ალავერდს მასთან გადადის უზენაესი, მაგრამ მანამდე გოლგოთის გზა უნდა გაიაროს, რადგან ჯვარცმის გარეშე არ არსებობს ამაღლება: „მე მოვალ შენთან... უკეთესი ვერავინ ვპოვე. მზის სადღეგრძელო – შენ უნდა შესვა. და ჰკითხა პოეტს: – სად მიდის ეს გზა? – შენ რომ ახლა პარალელს ავლებ? – უკვდავებამდე, მაცხოვარო, გოლგოთას გავლით“ (სად მიდის ეს გზა) (14, 743).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი იფერებს მშობლიურ, მაღალ ცას, რომელიც მოსილია უფლის მადლით და ამშვენებს მზის გვირგვინი – ქრისტე, სულიერი მზე: „უფლის მადლით მოსილი და მზის გვირგვინოსანი საქართველოს გშვენის ცა. ვიღაც კივის: მგოსანო! “ თავი შენი შეიცან! (თავი შენი შეიცან) (14, 495).

სადღაც მიღმურში, მთვარის სავანეში (მთვარე მარიამის სიმბოლური სახელია) ზეცის ჭალებში ყვავის ვარსკვლავები (ქრისტეს სიმბოლოა), სადაც მარადიულობა და უკვდავებაა და სადაც მარადიულ სიყვარულს ეზიარება სული: „სადღაც მიღმიერ ღამის ნაპირთან და სიახლოვეს მთვარის სავანის – ვარსკვლავებით ისევ ჰყვავის შენი ჭალები: და სად სიცოცხლის არ ჩანს სამანი, იქ, ჩემი გული სიყვარულით შეიმსჭვალება“ (სადღაც მიღმურ ღამის ნაპირთან) (17, 524).

ნათელმხილველი ხედავს ცის ხეზე გამოკვირტულ ვარსკვლავის შუქს, ანუ მამაღმერთს და ძეღმერთს (კაცი იყავ ღმერთკაცი) (17, 505).

„მთვარის დაირიდან“ გამომავალი ბეთლემის ვარსკვლავები მიწას ოქროს სხივებად რომ მოეფინა, მხოლოდ და მხოლოდ ძე ღმერთის მოვლინებაზე მინიშნება შეიძლება იყოს: „იქ, ბეთლემთან ვარსკვლავები, მიწას ოქროს სხივებს სცემდნენ – მთვარის ვერცხლის დაირიდან. გაახილა კვირტმა თვალი-ცისკენ მზირალ ალვის ხიდან და სამყარო გაირინდა“ (იქ, ბეთლემთან ვარსკვლავები) (17, 388).

პოეტი წოდებულია ცისკრის ვარსკვლავისგან, მაგრამ იქ მისასვლელი გზა არა სწორი, არამედ „ოკრობოკროა“, რაც აფიქრებს: „რომ მიხმობს ცისკრის ვარსკვლავი, ვინ იცის, თუ რას მიქადის! ცა- გადამდნარი ოქროა, გზა კი სულ ოკრობოკროა, ნეტავ, თუ მივალ იქამდი“ (რომ მიხმობს ცისკრის ვარსკვლავი) (17, 702).

ეს შორეული ვარსკვლავი „თვალთა თვალია გონების“ (ღმერთი): „ცას ღრუბლების დევები ელვის წკნელით როზგავენ, მაინც ვერ იმონებენ, შორს კი ბრწყინავს ვარსკვლავი თვალთა თვალი გონების“ (17, 4564).

ლექსში „მამლები ყივილის ჯოხებით“ (17, 156) „ცისკრის ვარსკვლავი საყვირია, სულიწმინდის ნათელში შეხვეული.“

პოეტის იდეალია „ერთი ვარსკვლავი“, რომელსაც მხოლოდ სულიერი თვალით მომადლებული ხედავს: „მოსვლის დღიდან, მე ერთ ვარსკვლავს შევციცინებ, მას ჩემს გარდა აღარ ხედავს კაციშვილი“ (მოირების მოლოდინში) (17, 735).

პოეტის სულის პეგასი ისწრაფვის ცის აივნისკენ, სადაც ვარსკვლავები ოქროს არფებს აწკრიალებენ: „გადმოდგებიან ცის აივნიდან ვარსკვლავები და ხმობენ მეასედ. წკრიალი ისმის ოქროს არფების და სიყვარულის ლურჯფრთიანი ჩემი პეგასი იქით, ო, იქით მიისწრაფება“ (გადმოდგებიან ცის აივნიდან) (17, 9537).

სხვაგან „ვარსკვლავების ქნარების“ ხმა ესმის პოეტს.

ლექსში „იგი არის“ – ფიგურირებს „ვარსკვლავების საცერი“: „იგი არის ვარსკვლავების საცრით, ვინც სიშორის –სიახლოვეს ცრიდა. და ისაა სისხამ დილის ნამი. მერვე არა, მოდის მეცხრე ციდან, დღე წყვდიადი და მზიანი ღამე“ (17, 4654).

პოეტის ღმერთი გაცხადებულია ცის ვარსკვლავის, მიწის ლერწების საგალობლებში, პოეტის მიზანი კი, დავით წინასწარმეტყველივით, ღმერთთან მიმსგავსებაა: „ცას ვითარცა ვარსკვლავები, დაბლა მიწის ეს ლერწები, უფლის გალობებით ავსებს... მეც, ვით დავით გეხვეწები: „ხატსა თვისსა მიმამსგავსე“ (ლერწები) (17, 885).

ცის ნათელი მწუხრის სერს ამზიანებს მთვარესთან ერთად, ისმის სერაფიმების ფრთების შრიალი და ვარსკვლავების უხმო ცეკვა: „ცის საუფლოდან გარდმოვლენილი ნათელი – მწუხრის სერს ეფინება. მოშვებულია მთვარის ონკანი.

ფრთების შრიალში – სერაფიმების ცად ვარსკვლავები უხმოდ რეკავენ“ (ცის საუფლოდან გადმოულენლი) (17, 969).

„სინათლის და მზის მთესავი“, კვერთხით კლდიდან წყლის გადმომდენი, ანუ რწმენის მსახური უნდა იყოს ჭეშმარიტი პოეტი მხატვრული სიტყვით: ვით ბრძანებდა „ბრძენი დივნოს“ – კვერთხს დაჰკრავ და კლდეს გააპობ ქრისტესავით, უფლის წყარომ რომ იდინოს“ (მეცრე ციდან ჩამოსული) (17, 434).

რწმენამ მისცა პოეტს ძალა, თავი დაეღწია სირინოზებისა და ორი ვერაგი ურჩხულისათვის: „ჩემი დიდი საესავი – რწმენა არ გაღარიბდა. დავაღწიე კიდეც თავი ზღვაში მღერალ სირინოზებს, სქილასა და ქარიბდას“ (ჩემი დიდი საესავი) (17, 549).

ვაჟა ეგრისელის ერთ ლექსში ღმერთს ჰქვია ხილული და უხილავი, კლდე, სიმტკიცის კედელი, ნათელი დაუშრეტელი, მზეთამზე, ცა ცათა: „უხილავო და ხილულო, კლდეო, სიმტკიცის კედელო, ათასი ტანχვის ამტანო, ნათელო დაუშრეტელო, მზეთამზევ, ცაო ცათანო“ (უხილავო და ხილულო) (17, 4604).

პოეტი ელის უსხეულოს, უცხოს, უხილავს“, „სიყვარულის ქუხილს“, რომელიც ყველგან და ყოველთვის ჩვენშია: „ცად გეწევა ბრაჰმაცა და ნირვანაც, როს ჩასცქერი ვედებს, უპანაშიდებს და... მოელი სიყვარულის ქუხილით მას, ვინც ჩვენ არს, ყველგან ყოფნით ამშვიდებს. უსახეულოს, უსახოს და უხილავს“ (ცად გეწევა) (17, 467).

ქუხილი საღვთო სახელია (18, 122).

ელვის რაშით მიმქროლი უფალი წარსულის და მომავლის ქუხილია, ხილული და უხილავი ერთდროულად: „ელვის რაშით დაჰქრის და ჩვენში ჩნდება წარსულის და მომავლის ქუხილად. ხსოვნის თვალში აბუდებ ხილულსა და უხილავს“ (ელვის რაშით დაჰქრის და) (17, 853).

ვაჟა ეგრისელის ერთ ლექსში მთვარე ქრისტეს მეტაფორად გვევლინება: „მთვარე ქრისტეა, თეთრებში გამოწყობილი

და ნათლის სვეტად აღმართულ წყვდიადში ვჭვრეტ მოწაფეებს და ჯვარცმულს“ (მთვარე ქრისტეა) (17, 903).

ერთგან „მთვარე უკაკუნებს ნისკარტს „მიუაჩრდილებელ ცისკარს“ (17, 427) ცისკარი მარიამის სახელია.

მთვარის დუმილში და მზის ძახილში ქრისტე გვეცნაურება: „ღვთის ხატება ჩამოდის დაბლა-მთვარის დუმილად და მზის ძახილად“ (17, 9644).

მზიან ღამესთან ერთად, მამაღმერთის სახელია „ძველი დღე“, რომელიც მომდინარეობს დანიელის წინასწარმეტყველებიდან: „ბოლოს ვნახე, რომ დაიდგა ტახტრევნები და დაჯდა ძველი დღეთა“ (დანიელი, 7, 9) (4, 255).

ვაჟა ეგრისელის ლექსში ერთდროულად და ერთნაირი შინაარსით ფიგურირებს „ძველი დღე და „მზიანი ღამე“: „მომწუხრისას ნახირივით რქებზე სანთლებდანთებული-მთიები ცას მიაბღავლებს. მე აღვუვლენ მაშინ ლოცვას: ძველ დღესა და მზიან ღამეს“ (მიმწუხრისას (17, 335).

„ძველ დღესთან“ (მამაღმერთთან) ერთად, „ახალ მზეს“ (ქრისტეს) ელოდება პოეტი: „უფლის ანგელოზებმა – მერცხლებმა ცა დახაზეს, ვითარც მახარობლებმა – თეთრფრთიანი ნოელის. შენ კი ისევ მოელი: ძველ დღესა და ახალ მზეს“ (უფლის ანგელოზებმა).

ღმერთი არის დღე, „გრძელი დღე“ (18, 122) (17, 377).

„ვითა გრძელი დღე-ღამე უფალია-ჰაერი. ციდან ცვივა ნაყოფი, ყოფნისა და არყოფნის, საღმრთოცა და საეროც“ – გვაუწყებს ვაჟა ეგრისელი (17, 426).

ერთ ლექსში „თუთარჩელა“ მამაღმერთის, ზღვა-მარიამის, აფრა-ქრისტეს სიმბოლოა: „...თუმც მეუფებს გაჩენიდან: თუთარჩელა, ზღვა და აფრა“ (წამიერი ნათებისთვის) (17, 4054).

სხვაგან ზღვა და ვაზი მარიამია, ცისკარი და გრიგალი ქრისტე: „მზის ჭიგოს ჩამოხუნძლულო, ვაზო, სიცოცხლის მტევნებით. ცისკარო დაუშრობელო,ზეცათა დასატევნელო,

ზღვაო-გრიგალის მშობელო“ (ზღვაო, გრიგალის მშობელო) (17, 427).

გალაკტიონისთვის ორგანული იყო „ლოდინი ლოდის“. ლოდი ქრისტეს მეტაფორაა.

ვაჟა ეგრისელთან გვხვდება „ლოდინის ლოდები“ (4, 954).

სულიწმინდა მოიხსენება, როგორც მტრედი, დიდება, ცეცხლი.

ლექსში „იქნებით ორნი“ ორი საღმრთო სახელია: „დიდება“ და ცას და მიწის შუა გახიდული „ცისარტყელა“: „შენ და დიდება – იქნებით ორი. მერე ორივე ცისარტყელებად გაიხიდებით ცას და მიწის შუა, წარსულსა და მომავალს შორის“ (17, 820).

ზ. გამსახურდია წერს: „ღვთისმეტყველებაში სულიწმიდის ღმრთეებაზე საუბრისას მუდამ აღნიშნავენ მის დიდებას და მზისებრ ბრწყინვალებას. ასევე პეტრე მოციქულისთვის იგი არის სული დიდებისა: „რამეთუ დიდებისაი იგი და ღმრთისა სულ თქუენ ზედა განსვენებულ არს“ (I პეტრე, 4, 14) (ზ. გამსახურდია) (36, 126).

დანტე ევედრებოდა უზენაესს: „დიდების შენის ნატვიფარი მომადლე ჩემს სულს“ (10, 411).

„დიდების მამა“ არის მამაღმერთი (პავლე მოციქული, ეფესელთა მიმართ, 1, 6).

ქრისტე არის „იდუმალი“ და „მხოლოდშობილი“: „აქ კი სანთელს უნთებს მნათე იდუმალს და მხოლოდშობილს“ (მზეს წყვდიადში) (17, 3384).

ცათა ცა, უფლის ცა არის ხან მამაღმერთის, ხან ქრისტეს სიმბოლო: „ათასწლეულმა მეორემ, შენს თავზე გადიგრიალა, შეები საქმეს სათაოს. და უზეშთაეს გვირგვინად, შენ ექმენ – ცაო ცათაო“ (ათასწლეულმა მეორემ).

ღმერთი არის მზე, მზიანი ღამე, „ღამე უღამო“: „სანამდე სულს ამომხდის, მაკრთობს ხილვა მე „მხეცის“. მიხმობს ღამე უღამო, სამოთხეთა სამოთხე, მერვე არა, მეცხრე ცის“ (17, 383).

იგავის მიხედვით, ზღვა-მარიამის, ქრისტე გრიგალის სახით წარმოიდგინება: „მთებს-უფლის ანგელოზებს სძინავთ... ზღვა ცის აკვანს არწევს. ვიღაც წყლისპირს ყვება იგავს, რომ მოსვლიდან თაყვანსა სცემს ზღვას-მარიამს, ქრისტეს – გრიგალს“ (მთებს- უფლის ანგელოზებს) (17, 435).

ღმერთი არის „დღე დაუღამებელი“ (მზის წყვდიადით მოსილი) (17, 439). (შდრ. და. გურამიშვილი – „დღე ნათლიერი“).

„ძველი დღე“ დანიელის წინასწარმეტყველების მიხედვით, მამაღმერთის სახელია.

პოეტს ერთნაირად უნათებს წყვდიადს „ძველი დღეც და ახალიც“ (ქრისტე): „ჯერ ჩემს მზეს და სინათლეს მოსავს ბურტყლი ბახალის. თუმცა, ვით ჩემს წინაპრებს, ღამის წყვდიადს მოლამპრებს ძველი დღეც და ახალიც“ (17, 442).

პოეტი ევედრება მამაღმერთს – „ძველ დღეს“ და „მზიან ღამეს“: „მიმწუხრისას ნახირივით საქმეზე სანთლებდანთებული-მთიები ცას მიაბღავლებს. მე აღვუვლენ მაშინ ლოცვას: ძველ დღესა და მზიან ღამეს“ (17, 335).

„ძველი დღის“ წყაროა ბიბლია: „ბოლოს ვნახე, რომ დაიდგა ტახტრევნები და დაჯდა ძველი დღეთა“... (დანიელ წინასწარმეტყველი, 7, 9) (4, 255).

ღმერთი არის თვალი, მზის თვალი, მარად ღია თვალი“: „დიდ – განმზრახველო და მრავალმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელის და ნამოქმედარის მიხედვით“ (იერემია, 32, 19).

ვაჟა ეგრისელის ლექსში „მიმწუხრისას“ ღმერთის სახელია „ცის თვალი“: „მიმწუხრისას ცის თვალი იწყებს დათვლას მთი-

ების და ვერასდროს ამთავრებს, ითვლის ოქროს პლანეტებს, ცხრა მზესა და ცხრა მთვარეს“ (17, 3854).

პოეტი ელოდება „მარადისობის წვიმას“ (ამაღლება) წვიმა, „შხაპუნა წვიმა“ საღმრთო სახელია.

მეუფის იდენტური შინაარსისაა „განგება“: „ციდან ამაყად გადმომზირალი, ყოვლის მეუფე-არის განგება, მის ჩრდილში ვეძებ მე თავ-მისაფარს“ (17, 6254).

ვაჟა ეგრისელი ქრისტიანობის ძირებს ეძებს წარმართულ კოლხეთში, სადაც „ქრისტიანობამდელი ქრისტიანები“ ეგულ-ება.

სამოთხე, ცხოვრების ხე, ცნობადის ხილიც აქ ეგულება: „აი კოლხეთი, ღვთის ოდაბადე! სამოთხის ბაღში აქ პირველი ადა-მი იშვა. სად ხე ცხოვრების დახუნძლულა ხილით ცნობადის“ (აი კოლხეთი) (17, 581).

აქვე ეხსნება ცის კარები და მთვარის ტაძრიდან „კოლხური ზარი“ ესმის: „გაიღო ცის ცხრავე კარი და მთვარის ქათქათა ტაძრიდან, – მოისმა „კოლხური ზარი“ (17, 736).

იდუმალების ამფორებიც აქ ეგულება: „კოლხეთის მიწა გულს გვიხსნის და გვიწვდის გულმშვიდად იდუმალებით და სიშორით სავსე ამფორებს“ (ამფორები) (17, 700).

პოეტი ემყარება მიქელ ასურის აზრს: „მერე ასისთავმა ლაზმა ტანსაცმლის თავისი წილი (ქიტონი ვ.ე.) მიიტანა თავის ქალაქ ფუდში ეგერთა დედაქალაქში“.

გამომდინარე აქედან, ლექსში „ქრისტეს ქიტონი“ პოეტი ჰკვირობს: „ათასი და უფრო მეტის წლის მერე კვლავ მიამიტ-ობს და ვიღაცა სხვაგან ეძებს-გოლგოთიდან წამოღებულ, ფუდს მოტანილ ქრისტეს ქიტონს“ (ფუდი-ფუთი, მეგრ. ფო-თი“). (17, 196).

შოთა რუსთაველთან, გალაკტიონთან „გონება“, „ბუნება“ საღმრთო სახელია.

ბუნება ასეთივე შინაარსით გვხვდება ვაჟა ეგრისელის პოეზიაში: „... „ბუნება მოკვდავთ ბევრჯერ აღგვაფრთოვანებს, რომ იშრიალონ ქვეყნად რწმენის ხოდაბუნებმა“ (ქრისტე ქრისტეა) (17, 845).

ვაჟა ეგრისელის ღმერთი – ვარსკვლავი არის „თვალთა თვალი გონების“: „ცას ღრუბლების დევები ელვის წკნელით როზგავენ, მაინც ვერ იმონებენ. შორს კი ბრწყინავს ვარსკვლავი თვალთა თვალი გონების“ (ცას ღრუბლების დევები) (17, 456).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორის მთელი შემოქმედება, ცხოვრების აზრი არის ღმერთის ძიება, მისი მიმსგავსებით ცხოვრება.

პოეტის იდეალია, ღვთის სახედ და ხატად შექმნილმა ადამიანმა ეს ხატი შეინარჩუნოს და ამისთვის ევედრება უფალს დავით წინასწარმეტყველივით: „ცას ვითარცა ვარსკვლავები, დაბლა მიწის ეს ლერწმები, უფლის გალობებით ავსებს... მეც, ვით დავით გეხვეწები: ხატსა თვისსა მიმამსგავსე“ (ლერწმები) (17. 854).

„უფლის ქიტონით“ მოსილს ვერაფერს აკლებს პარისი, რადგან მას „აქილევსის ფარი“ გამოარჩევს და არა ქუსლი: „და გითვალთვალებს ჩუმად პარისი, რომ შხამიანი გტყორცნოს ისარი და ბრძოლის ველზე, ვით კეისარი, დაეცე კაცი – უფლის ქიტონით, მაგრამ შიშველ ქუსლს ვერც პოულობს და ვერც გიპოვნის“ (ჰა, მიიწურა წელი სამოცი)17, 603).

პოეტის სამოსელია უფლის კვართი – რწმენა: „უფლისაგან წყეულია, ვინც რომ ბაძავს ყვავ-ყორნებს, შენ კი, კვართად რწმენა გმოსავს... ორი ათასწლეულია ელოდები ქრისტეს მოსვლას, მაგრამ იგი აყოვნებს“ (უფლისაგან წყეულია) (17, 85).

მხოლოდ კეთილი საქმეების კეთებით შეიძლება ადამიანი ღმერთს მიემსგავსოს, სხვაგვარად ეშმაკის კერძად იქცევა მისი სული: „რადგან ხატებად მოხველ, ყოვლის შემქმნელი ღმერ-

თის, აღარ გიმტყუნოს გეშმა, ვინც არ აკეთებს კეთილს, თავის გზით მიჰყავს ეშმაკს“ (რადგან ხატებად მოხველ) (17, 718).

ადამიანის მსაჯული ღმერთია და მოკვდავთა ცოდვები სასწორზე იწონება: „რწმენა ღვთის ერთადერთობის-ათასწლეულებს მისერავს... უღმერთო მოკვდავთ ცოდვები – მხრებზე ცით ჩამოუწონეს. მზე ღმერთია და მის მზერას თვალს მიტომ ვეღარ ვუსწორებთ“ (რწმენა ღვთის ერთადერთობის) (17, 121).

ღმერთთან წილნაყარი სული მზის მთესავია და ქრისტესაგან მტრის შენდობის მოთხოვნა აქვს გათავისებული: „შენ სულ სხვა ხარ – მზის მთესავი... და არა ის.... ხელუკუღმა, დარდი კედელს შეაყარო. შენ მზადა ხარ ქრისტესავით, მოყვასს მტერი შეაყვარო“ (შენ სულ სხვა ხარ) (17, 674).

ქრისტესმიერი გზის ერთგულება, მიწიდან ცად ამაღლების საიდუმლოების შეცნობა, საღვთო მისტერიების არსის გაგება, აი უმაღლესი მიზანი ზნესრულობისა: „მან იხილა საოცრება – მიწიდან ცად ამაღლების. აი, ახლა გზას გასცქერის ქრისტესმიერს და დაეძებს კვლავ ოცნებით მირაჟებს და მისტერიებს“ (ქრისტე) (17, 232).

მხოლოდ ცაში, ღმერთების სავანესთან მიახლებით, მირონით ხდება სულის განწმენდა მონანიებით: „ცის აკვანში ვარწევდი – სულს, სტიქსეში განბანილს და მირონით განწმენდილს“ (ცოდვის მონანეიბად) (17, 434).

ჭეშმარიტი პოეტები ყოველთვის ცაში ეძებდნენ სიწმინდის წყაროს და ცდილობდნენ ზეციური სინათლით შემოსვას: „დამფრთხალი მიწის შავი სიმძიმით, უსამანო ცისკენ იურვის პოეტის სული – ღვთაებრივი და კოსმიური“ (დამფრთხალი მიწის შავი სიმძიმით“) (7, 909).

გალაკტიონი თავის ღვთისნიერობას ასე გამოხატავდა: „... ჩემი თვალები წინათ როს ფეთქდნენ ცვრებით, იებით...“ („სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“). ცვარი – ქრისტეს, ია მარიამის სამშობლოა.

ვაჟა ეგრისელი ორიგინალურად, ოღონდ განსხვავებულად გვაზიარებს თავის მორწმუნეობას:

„ჩემი თვალები – ღვთის სახლია. ხელის გული – სამყაროს რუკა. მერიდიანები – სულის სიმებია და მილიარდების სიყვარულს განედების სიმებით ვუკრავ“ (ჩემი თვალები ღვთის სახლია) (17, 480).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი ქრისტესავით ჯვარცმულია სიკეთისთვის, სინათლისთვის და იგი კი არ გაურბის, ორგანულად განიცდის გოლგოთის ტრაგედიას, რადგან იცის, ამაღლება მხოლოდ მსხვერპლის საფასურად ხდება: „ჯვარცმის შიში უშიშარს, მუდამ მდევდა ფარული, შენსკენ მაინც მოვქროდი... ქრისტეს კვნესა მესმოდა და სამსჭვალთა წკარუნი, სიშორიდან გოლგოთის“ (ჯვარცმის შიში უშიშარს) (17, 174).

პოეტის იდეალია დათესოს რწმენის „თავთუხიანი ყანა“, რომ „იშრიალონ ქვეყნად რწმენის ხოდბუნებმა“ (ქრისტე) (17, 845).

ვინც „მარადისობას“ (ღმერთს) შეიმოსავს, მხოლოდ ის დაიმკვიდრებს მიწას და ზეცას: „ალბათ, იქნება წყალობა უფლის, ზამთარში თოვლად, ზაფხულში წვიმად, მარადისობა ტანზე რომ გეცვას და სიყვარულით დაიდო ბინა მიწად და ზეცად“ (მარადისობა) (17, 494).

მარადიულ სამსჯავროს ღმერთშემოსილი წარუდგება მისი პოეზიის ლირიკული გმირი, არა ცოდვით დამძიმებული, არამედ როგორც „სული ჭეშმარიტების“, უზენაესის ტოლფარდი თავისი შემოქმედებით, სულიერებით გამორჩეული მხატვრული სიტყვით: „რა დღეს, რა ხვალ, ცოდვილი უნდა წარვდგე წინაშე მარადიულ მეველის და ვამცნო ხმის კანკალით: პარკით გამოფრენილი ფრთანათელი პეპელა – სული ჭეშმარიტების, სხვა კი არა, „მე ვარ ის!“ (რა დღეს, რა ხვალ) (17, 460).

პოეტისთვის ორგანულია ბიბლიური, სახარებისეული იგავები, თვითონაც ძალზე ხშირად იგავებით გვამცნობს ჭეშმა-

რიტებას და უმაღლესი, ურთულესი აზროვნების გათავისებით გვაოცებს: „უცებ აღსდგა ბორბალ ქარი“, მძინარ ზღვაზე – მაცნედ ავის, მაგრამ ვთქვი: სდექ! – მინელდა. აი, ახლა, ვით იესო, მეც იგავით ვსაუბრობ და მივალ ნავით სოფელს – ღადარინელთა!“ (მარკოზის სახარების კითხვისას (17, 916).

პოეტის არსებობა სავსეა უფალით – „სიხარულით: „ცას რომ შევხედავ, გაიღვიძებს ჩემში უფალი და სიხარული მდის ალაზნებად“ (ცა მშობლიური) (17, 556).

უფლის სახლად ქცეული სული მარადიულ „გაზაფხულს“ – ღმერთს ეზიარება: „უფალი ჩემში განვასხეულე, ჩემი სიცოცხლის გაზაფხული დღეებს უკვირდა“ (უფალი ჩემში განვასხეულე (17, 63).

პოეტის სულის მზრდელია „მზიანი და მზით მოსილი“ – ღმერთი: „მზიანი და მზით მოსილი სულის მზრდელი უნდა მიქონ, რომ თავს ადგეს ათი მნათი. და მე ვეძებ ლამაზ სტრიქონს, ვითარც ნესტანს და თინითინს“ (მზიანი და მზით მოსილი) (17, 330).

„მე, ვით კოლუბში, ვით მაგელანი, დაბლა არ დავხრი რწმენის იალქანს“ (გიხმობს) (3, 198) აცხადებს ათეიზმის ორ„წარღვნაში“ სულიერების, ღვთისნიერების გადამრჩენი პოეტი მტკიცედ, რაც მისი შემოქმედების გამორჩეულობის საწინდარია.

მთლიანობაში გადავავლოთ თვალი ვაჟა ეგრისელის კანონიკურ და ინდივიდუალური ელფერით აღბეჭდილ რელიგიურ სიმბოლიკას. მისი შემოქმედების მიხედვით, ღმერთი არის ზენათა უზენაესი, შორეთის ნათელი, მიწით ზეცამდე განფენილი ნათელი, წმინდა ნათელი, ნათლის წყარო, ნათლის სვეტი, ბნელი ნათელის სიელვარე, მიუწვდომელი თვალთა ნათელი, ნათელი უსხეულო, ნათელი სოფლისა, ცისკრის ნათელი, მაცხოვრის ნათელი, მარადიული სინათლე, ბნელი ნათელის სიელვარე, ნათლით მოსილი სიტყვა, თვით პოეტი არის შემოსი-

ლი „ცისკრის ნათელით“, ნათელშემოსილი, მარადიული ნათელით მოსილი, მარადისობაშემოსილი.

საყურადღებოა მზის სახის გამოყენებით გააზრებული საღვთო სიმბოლიკა: „წმინდა მზე, მზე მზისა, მზიანი ღამე, დღე-ღამე მზიანი, სამი მზე, მზის ბილიკი, ტაძრის მზე, მზისთვალება უფალი, მზეთამზე, მზე მართალი, მზე სიმართლის, მზე უქრობი, მზე დაუსაბამო, მარადიული მზე, მზის რტო, მზის კელაპტარი.

ღმერთი არის ელვა, ელვის ხელი, ცისარტყელა.

ღმერთის სახელია ცეცხლი მარადიული, ცეცხლი ღვთაებრივი, უწმინდესი ცეცხლი, ღვთაებრივი ცეცხლი, ცეცხლი ზენარი, უკვდავი სხივი, შუქის კვირტი.

ქრისტე არის სულიერი კლდე.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ღმერთი გვევლინება, როგორც პირველი სიყვარული, სიყვარული, სიყვარულის კლდე, სიყვარულის მტევანი, სიყვარულის კიბე, სიყვარულით ამაღლება.

ქრისტეს სახელია ცის ვენახი, ლერწი, ნორჩი ვაზი, ვაზის ლერწი, ოქროს მტევანი.

მამაღმერთის სახელია მოხუცებული სპეტაკ ზეწრით, მოხუცი მამა.

ღმერთი მოიხსენება, როგორც ღვინის ხე, ყოფნის, სიბრძნის ღვინო, ოქრო, ცის ყვავილი, ყოილი, ვარდი იერიქონის, არდაბერების სოსნები, დღეთა ავარდისფრება, ღამეების აგვირილება, ჭეშმარიტების ძელი, სიცოცხლის ხე, ცის ხე, რწმენის ხე, ალვის ხე, კვირტი, ნერგი, სვეტი, ფიქრთა ხე, იდუმალების იდუმალობა, გაურკვევლობა გაურკვევლის, მანანა, ციური მანანა, წყურგილე, მარადი წყარო, წყაროსთავი, უფლის წყარო, უკვდავების წყარო, ნამი, მტრედი, თუღუნი, თეთრი თუღუნი, გვრიტი, მწყემსი, მწყემსი კეთილი, მეველე, უსაზღვრება, მარადისობა, მარადისობის გზები, მარადისობის არია, რწმენის ლოდები, იმედის ქვა, ციური ქვა, სიბრძნის ქვა, სიყვარულის

ქვა, სიხარული, სიხარულის თვალი, განთიადის ხმა, გზა ჭეშმარიტების, გზა ხილული, გზა უხილავი, შეუცნობელი, ძალი განუზომელი, უსაზღვრო, უსაზღვროების უსაზღვროება, ზესთამგოსანი, სიმსხივოსანი, კლდე, ზეარსი, რწმენის საჭე, მენავე, მენავეთმოძღვარი, უხილავი, შორეული, იდუმალი, უჟამო, უჟამო ჟამი, საყვირი იერიქონის, არსთაგამრიგე, მხოლოდშობილი, მაღალი ჭიშკარი, სამება, უთვალავ სხივთა ნათელი, უშორესი მხედარი, უახლოესი მხედარი, ერთი ვარსკვლავი, ვარსკვლავის ქნარი, ცისკრის ვარსკვლავი, ვარსკვლავი, ვარსკვლავების საცერი, თვალთა თვალი გონების, ცის თვალი, საყვირი, მთვარე, სიყვარულის ქუხილი, ქუხილი, წარსულის და მომავლის ქუხილი, ძველი დღე, დიდი დღე, გრძელი დღე, დღე დაუღამებელი, ახალი დღე, სვეტი, თუთარჩელა, აფრა, გრიგალი, ქარიშხალი, დიდება, ცა ცათა, იდუმალი, ღამე უღამო, ცის სვეტი, მარადისობა, კლდე, სული ჭეშმარიტების, უსახო, უხილავი, დილის ნამი, დღე წყვდიადი, ძე,... ცისკარი, ოქროს ღარი, ვაზი, ცისკარი, დიდება, განთიადი, განთიადის ხმა, მარადისობის წვიმა, მამის სიტყვა, განგება, ცნობადის ხილი, პალმა ქოქოსის, სიხარული, გაზაფხული, ბუნება.

დამოწმებანი

1. აკაკი მინდიაშვილი, ხელოვნების რელიგიურობისა და თანამედროვე სინამდვილის შესახებ, ჟურნალი „ცისკარი“. 1999 [1]3
2. რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიასა და რევოლუციაზე, თბ., 1994.
3. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები ხუთ ტომად, ტ. I თბ., 2001.
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.

6. არეოპაგიტული კრებული, თბ., 1981
7. ქართული მწერლობა 30 ტომად, ტ. I თბ., 1987.
8. ძველი ქართული მწერლობის საკითხები, ტ. III თბ., 1968.
9. ვიქტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველება, ბუენოს აირესი, 1953.
10. დანტე, „ღვთაებრივი კომედია“, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ., 2012.
11. ტიტე მოსია, დავით გურამიშვილი და ქართული სიტყვიერი კულტურა, თბ., 1986.
12. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977.
13. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 3, თბ., 2007.
14. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 2, თბ., 2006.
15. საპატრიარქოს უწყებანი, ¹ 12 (498), თ-9 აპრილი, 2009.
16. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ., 2000.
17. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 4, თბ., 2008.
18. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.
19. ლუდვიგ ფოიერბახი, ქრისტიანობის არსება, თბ. 1956.
20. კრებული პოეზია, თბ., 1981.
21. პეტრე იბერი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი) შრომები, თბ., 1961.
22. А. Древс, Миф о Христе, М. 1983.
23. Мозайка Агни Иоги, в двух книга, книгах I, Тбилиси, 1990
24. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996.
25. ვაჟა ფშაველა, თხუზულებანი 5 ტომად, ტ. I, 2006.
26. ჭილ-ეტრატის იადგარი, 1982
27. ნევმირებული ძლისპირნი, თბ., 1981.
28. სინური მრავალთავი 864 წლისა, აკაკი შანიძის რედაქციით, თბ., 1959.
29. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი IV თბ. 1992.

30. ბასილ დიდი, თხზულებანი, ფსალმუნთა განმარტებანი. ჰომოლიები ექვს დღისათვის. ძველი ბერძნულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო გვანცა კოპლატაძემ, თბ. 2002.
31. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
32. ტიტე მოსია, „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროებისა და პოეტიკის საკითხები, თბ. 1989
33. ტიტე მოსია, ოქსიმორონი „მზიანი ღამის“ პრობლემატიკა, თბ. 1999
34. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 1955.
35. აკაკი წერეთელი, თხზ. სრ. კრ. 18 ტომად, ტ. II თბ. 1991.
36. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ. 1991.

„მთვარით მოსილი მგოსნის პორფირი“

ვაჟა ეგრისელს ქართლის ცაზე ელანდება „იესოს კვართი, შურდული და ქნარი დავითის“.

ასევე, პოეტი იზიარებს მესიანისტურ იდეას, რომ საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა და განსაკუთრებული მოწიწებით უგალობს ჩვენი ზეციური დედის ღირსებებს.

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი ზედმიწევნით კარგად იცნობს ამ სახის ყველა ქართულ თუ უცხოურ წყაროს და კანონიკურ ხატებს ყოველთვის ორიგინალური ნიუანსებით ამკობს.

სოლომონის „ქებათა ქებაში“ ყურადღებას იქცევს ნიგზოვანი, კარდახშული, დაკეტილი მტილი“, ბროწეულის ბაღი, რაც ღვთისმშობლის მეტაფორად დაისახა: „ბაღი ხარ დახშული, დაო ჩემო, ჭა დაგმანული, წყარო დაბეჭდილი, შენი ნარგა-

ვები ბროწეულის ბაღია, რჩეული ნაყოფებით – ქოფერითა და ნარდიონით“ (ქებათა ქება, 4, 12, 13) (1, 16).

ეს სახე ასეთ მაღალ რეგისტრში ხმიანებს ქართველი პოეტის სტრიქონებში: „აგე, ოცი საუკუნე, უფლის ნებით მოწეული, ჩემი ნიგზოვანი მტილი, კარდახშული, დაკეტილი, მობრიალებს ბროწეულად“ (მტილი) (2, 456).

„სულიერი კლდე“ ქრისტეს სახეა პავლე მოციქულის წერილში. (I კორინთელთა,, 10, 4) (3, 370).

ტაძარი მარიამის სიმბოლოა (4, 124).

„უცნობი ხმა“ ამაღლებს და ავალებს პოეტს, ცამდე აწვდილი ტაძარი ააშენოს „სალ კლდეზე“, ანუ მხატვრულ სიტყვაში უკვდავყოს დედა-ძის ხატება: „ნიადაგ მაღლა გეწევა, ვითარც განიმედს არწივი და ხმა უცნობი გაძალებს, რომ აღუშენო ტაძარი – სალ კლდეზე, ცამდე აწვდილი“ (ნიადაგ მაღლა გეწევა) (2, 457).

ლექსში „მეცხრე ციდან ჩამოსული“ (2, 434) მოსეს მიერ კლდიდან კვერთხით წყაროს გამოდენის ეპიზოდია ყურადღების საგანი: „მეცხრე ციდან ჩამოსული – სინათლის და მზის მთესავი, ვით ბრძანებდა „ბრძენი დივნოს, კვერთხს დაჰკრავ და კლდეს გააპობ ქრისტესავით, უფლის წყარომ რომ იდინოს“.

კვერთხი და კლდე მარიამის (4, 124), წყარო ქრისტეს სიმბოლოდ დაისახა (5, 121).

პოეტი ეზიარება დედა-ძის ხატებას, რათა მის სიტყვაში რწმენის წყარომ დაივანოს და „უფლის ხოდაბუნები“ შრიალებდეს,პურის „თავთუხიანი ყანა“ ბიბინებდეს...

ერთ ლექსში იგავის კვალობაზე მარიამი მოიხსენება ზღვად, ქრისტე-გრიგალად: „მთებს-უფლის ანგელოზებს სძინავთ. ზღვა ცის აკვანს არწევს. ვიღაც წყლის პირს ჰყვება იგავს, რომ მოსვლიდან თაყვანსა სცემს ზღვას – მარიამს, ქრისტეს – გრიგალს“ (მთებს, უფლის ანგელოზებს) (2, 435).

პოეტი მადლს სწირავს მამაღმერთს – მზეთამზეს, მაცხოვარს, მთავარანგელოზს და ღვთისმშობელს, რომ „ჰაერის მცველთა“ კერძი არ გახადეს: „თუ მზეთამზემ დღე მომცა და ამქვეყნად მაცხოვრა. თუკი „ჰაერთა მცველნი“ ნათელს არ დამიშრობენ, მაშინ სანთელს ავუნთებ, მადლს შევწირავ მაცხოვარს, ღმერთს და მთავარანგელოზს და მარიამ ღვთისმშობელს“ (თუ მზეთამზემ დღე მომცა) (2, 441).

ბოგირი და კიბე მარიამის სახელებია. თაყვანისცემის, სიყვარულის და ლოცვის ღირსია ხე, სვეტი, ბოგირი და კიბე: „ვილოცო და გცე თაყვანი, ამქვეყნად მისთვის ვბოგინობ, მიყვარხარ! მიტომ ვდიდგულობ – ხეო, სვეტო და ბოგირო, კიბევ, ცათამდე მიდგმულო“ (ვილოცო და გაცე თაყვანი) (...441).

ბიბლიის მიხედვით, მარიამი არის მოსეს მიერ ხილული „შეუწველი მაყვალი“, რომელსაც ცეცხლი ეხვეოდა, მაგრამ არ იწვებოდა.

ვაჟა ეგრისელის ლექსში ერთდროულად ფიგურირებს მზე – (ქრისტე) და მაყვალი – მარიამი: „ელვა მეხს გამოეკიდა, წამით, როცა დრო იხელთა. ცა შესძრა აყალ-მაყალმა. მერე მზემ გამოიხედა, ვით „შეუწველმა მაყვალმა“ (ცა შესძრა აყალ-მაყალმა) (2, 342).

პოეტმა სულის თვალით იხილა მოსესავით ცეცხლოვანი მაყვალის ბუჩქი: „... და ვიხილე, ვითარც მოსემ, ცეცხლმკრთომარე ბუჩქი მაყვლის“ (წუხს და (2, 335).

ლოცვის ადრესატია „კიბე“, „მთა“ (მარიამი) და მისი ნაყოფი -„სინათლე“ და „წყარო“ (ქრისტე“): „ვარ მუხლმოყრით მლოცველი, იმ კიბის“ და იმ „მთის“ – მომცემი ცის ნაყოფის. მომფენი აქ სინათლის და წყაროს კი – აქ ყოფნის“ (2, 379).

ზღვა ღვთისმშობლის სიმბოლოა ლექსში „წამიერი ნათებისთვის“: „წამიერი ნათებისთვის, მეტეორის თავგანწირვა – უსამანო სივრცეს ზაფრავს. თუმცა მეფობს გაჩენიდან: თუთარჩელა, ზღვა და აფრა (2, 405)

ლექსში „თუთარჩელა“ მამაღმერთი მთვარის, ღვთისმშობელი ზღვის, ქრისტე აფრის სახეშია მოაზრებული.

ლექსში „ზღვაო, გრიგალის მშობელო“ (2, 427) მზე – მამაღმერთის, ვაზი და ზღვა – მარიამის, ხოლო სიცოცხლის მტევნები და გრიგალი ქრისტეს სახეებად გვევლინება: „მზის ჭიგოს ჩამოხუნძლულო, ვაზო, სიცოცხლის მტევნებით. ცისკარო დაუშრობელო, ზეცათა დასატევნელო ზღვაო-გრიგალის მშობელო“.

მარიამის სამბოლოდ ხშირად მთვარე მიიჩნევა (4, 124), ცისკარის ვარსკვლავი კი ქრისტეს გულისხმობს (ზოგჯერ მარიამსაც) ამ სახეებს მიმართავს პოეტი ერთ ლექსში: „ამდენ დიდ-დიდ ვარსკვლავებში, სადღაც ერთი მოჩანს ნეკად, დღის დადებულ ცის შავ კვერცხს კი მთვარე უკაკუნებს ნისკარტს „მიუაჩრდილებელ ცისკარს““ (ამდენ დიდ-დიდ ვარსკვლავებში“) (2, 427).

ლექსში „შენ სულ სხვა ხარ“ ისევ ხიდისა და „კიბის“ (მარიამს) სახეებთან გვიწევს შეხვედრა, რადგან, იგია ზღვაში, (ცოდვებიან ცხოვრებაში) გადასასვლელი ხიდი, ცამდე (ღმერთამდე) ასასვლელი კიბე: „ლეგენდებით მობიბინე – ათასწლეულები თიბე და შენ უფლის ნებით გადე – ზღვაში ხიდი, ცაში – კიბე (2, 286).

დიდ, საღვთო საქმესთან შეჭიდებული პოეტი ევედრება მარიამს და ქრისტეს. გვირგვინი მარიამს, ცა „ცათა“ ქრისტეს გულისხმობს, როგორც ეს რელიგიურ სიმბოლიკაშია: „ათასწლეულმა მეასემ შენს თავზე გადაიგრგვინა, შეები საქმეს სათაოს და უზეშთაეს გვირგვინად, შენ ექმენ – ცაო ცათაო“ (2, 380).

ლექსში „გაახილა კვირტმა თვალი“ (2, 388) მამაღმერთი მოაზრებულია ალვის ხის, ქრისტე – კვირტის, ხოლო მარიამი მთვარის სახეში: „იქ, ბეთლემთან ვარსკვლავები, მიწას ოქროს სხივებს სცემდნენ – მთვარის ვერცხლის დაირიდან. გაახილა

კვირტმა თვალი – ცისკენ მზირალ ალვის ხიდან და სამყარო გაირინდა“.

პოეტის ხატებია მზე (ქრისტე) და მთვარე (მარიამი): „ზღვაა შენი აკვარელი, ცაა შენი ნაყალმარი. „კოლხურ ფსალმუნს“ ვერ ამთავრებ. ხატებია მზე და მთვარე, ამირანის და ყამარის“ (ზღვაა შენი აკვარელი) (2, 849).

მზის შვილი მთვარის ფიალით (მთვარე-მარიამი) ეზიარა მზის (ქრისტეს) მადლს და უკვდავება გაინაღდა: „ჰელიოსის მზემ, ვითარც მზის შვილმა, მთვარის ფიალით მზის მადლი შესვი და ამიტომაც უკვდავი გახდი“. (სკიპტრა და ტახტი) (2, 656).

როგორც მრავალგზის, ამჯერადაც პოეტის სულიერი ფარი და ჯაჭვ-მუზარადია მზე (მამა ღმერთი), მთვარე (მარიამი), ვარსკვლავები (ქრისტე) და ღმერთშემოსილობის მაგალითად დიდი წინაპარი – ვაჟა ფშაველა ესახება: „მზე – შუბად, მთვარე – ფარად იფარე, ტანზე ჩაიცვი ვარსკვლავების ჯაჭვ-მუზარადი (გვერდით ვაჟა გყავს, არ ხარ ეული) და უთვალთვალებ ქართულ მიწას აწ და მარადის, საქართველოს – ზეცადქცეული“ (მზე შუბად, მთვარე ფარად იფარე) (2, 956).

მარიამი არის „ცა“, ქრისტე – „მარადიული სინათლე“: „გვესხურება ცით წყარო – მარადიულ სინათლის“.

ერთ ლექსში კოლხი კირკე წარმოსახულია, როგორც ღვისმშობლის დედა (2, 363), ხოლო კოლხები „ქრისტემდე ქრისტიანები“ (2, 2114).

დემეტრეს საგალობელში ღვთისმშობელი „გაბრწყინებულ მზედ“ დაისახა (6, 121).

ვაჟა ეგრისელის ლექსში ბიბლიის კვალობაზე, „ძველი დღე“ არის მამაღმერთი, „ახალი მზე“ – მარიამი და ქრისტე: „... შენ კი ისევ მოელი: ძველ დღესა და ახალ მზეს“ (2, 377).

საღვთისმშობლო სიმბოლიკაში მარიამი არის ვაზის ნერგი, ცათაგან დაუტევნელი, ქრისტე – ოქროს მტევნები: „ადამის

ცოდვის მტვირთველმა მოისხა ოქროს მტევნები. და რტო-კეთილი ყვავილობს – ცათაგან დაუტევნელი“ (ცათაგან დაუტევნელი) (2, 334).

პოეტს ძილ-ბურანში ევლინება მოხუცი მამა, გვირგვინი, ვაზის ლერწი: „ქანცგაცლილი ბედთან ბრძოლით, ძილ-ბურანში ხშირად ხედავ: მოხუცებულს, სპეტაკ ზეწრით“. ის ცად მიხმობს ქრისტეს მხედარს, გვირგვინით და ვაზის ლერწმით“ (ქანცგაცლილი ბედთან ბრძოლით) (2, 50).

გვირგვინი მარიამის, ვაზის ლერწი ქრისტეს სიმბოლოა.

პოეტი სანთელს უნთებს თავის იდეალებს – „ნორჩ ვაზს“ – მარიამს და „მტევანდიდს“ (ქრისტეს): „ცას მოწყალედ შევციცინებ, იქნებ სადმე თვალი ვკიდო, მას, ვინც რომ ადამის ძის ცოდვა-ბრალი ზურგზე იდო. მე ჩემს სიგრძე სანთელს გინთებ, ნორჩო ვაზო, მტევან-დიდო“ (ნორჩო ვაზო, მტევან დიდო) (2, 124).

პოეტს იტაცებს „მთვარის დუმილი“, „მზის ძახილი“ (ქარმა მწყემსივით ელვის შოლტებით) (2, 962).

მთვარე – მარიამის, მზე – ქრისტეს მეტაფორაა.

ლექსში „ცხრა მთით გადმოხვეწილი“ (2, 484) „ჭეშმარიტების ტევანი“ – მარიამია, მზე – ქრისტე: „ცხრა მთით გარდმოხვეწილი ლეგენდის თუ მითოსის ცამდე აწვდილ კოშკების სარკმლებში ვიჭვრიტები და მე ვხედავ მზით მოსილს ტევანს ჭეშმარიტების“.

ერთ ლექსში მარიამი წარმოისახება ვენახად, ქრისტე ლერწად: „ცრემლით მორწყულ მოკვდავთ ლოცვებს, არ ყოფნის ცის არეალი. თუმცა რწმენა კვლავ გადადის ხიდზე ბეწვის. ვენახია – მარიამი, ქრისტე – ლერწი“ (ქრისტე-ლერწი) (2, 486).

„მზის ემბაზში“ განბანილ პოეტს განგებამ განუსაზღვრელი ასპარეზი მისცა, რათა კიდით-კიდემდე დაფრენდეს მისი სიტყვა: „... და იფრენ კიდით-კიდემდე – სხვა გზებით, სხვა ას-

პარეზით, ვითარც ახალი ამბავი. შენ, მზის ემბაზში განბანილს, ვერრას დაგაკლებს პარისი“ (2, 33).

მზე ქრისტეს, ემბაზი მარიამის სახელია: „გიხაროდენ, ემბაზისა მიმსგავსებისა გამომხატველო“ („დაუχდომელი“) (4, 124).

პოეტი ლექსს უძღვნის მარიამის მშობლებს – ანას და იაკიმეს (2, 719).

ლექსში „სამება“ ანგელოზებთან ლოცვებით განწმენდილი და ღვთისმშობლის სისპეტაკეს ნაზიარები სული გვხიბლავს: „დაფრინავდნენ ცად ანგელოზები და ხელებს ტაძრისკენ იწვდიდნენ, ლამაზ ფრთებს ლოცვებზე იშრობდნენ... ფრესკიდან გვიმზერდა ღვთისმშობლის სისპეტაკე და სიწმინდე“ (2, 746).

პოეტი ეძებს „წყაროსთავს“ (ღმერთს) და სამოთხეს (მარიამს): „...ცისკენ მზირალ კლდეებს ფშვნიდი, რომ გეპოვნა წყაროსთავი და სამოთხის ბაღი მშვიდი“ (ელვასავით მიმოჰქროდი) (2, 856)

ლექსში „წარსულიდან მოსული“ (2, 606) ღმერთისგან დამყნილი ვაზი მარიამია, ღვინო – ქრისტე: „წარსულიდან მოსული დღე ნათობს და ამაყობს და ბარჩხალა მზით მიმხელს: რომ კოლხეთში დაამყნო ღმერთმა ვაზი – ღვინის ხე“.

„ჰელიოსის მზემ, ვითარც მზის შვილმა, მთვარის ფიალით მზის მადლი შესვი და ამიტომაც უკვდავი გახდი“ (სკიპტრა და ტახტი (2, 6564), აცხადებს პოეტი და ლექსის „მზე“ ქრისტეა, „მთვარის ფიალა“ – მარიამი.

ერთგან ფიგურირებს მარიამის სახელი – „ქალწული“.

„ცისკრის ანგელოზებმა, როცა ღრუბლები გაწურეს, მთებს მიმალული მთიები იქცნენ ასად და ათასად... დილით მზე, ვითა ქალწული, ამაღლდა „ცათა ცათასა“ (2, 87).

ქალწული მარიამის სახელია: „აჰა, მუცლადიღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად იმანუილს“ (ჩვენთან არს ღმერთი) (ესაია, 7, 14)(1,78).

უფალი, ძე, სულიწმინდა, ღვთისმშობელი (მთვარე) ერთდროულად გვეცნაურება ლექსში „სულიწმინდა და უფლის ნათელი“ (2, 154).

„სულიწმინდა და უფლის ნათელი, ამოდიოდა ღრუბლის ხაროდან, მზის ხმა ისმოდა მთვარის კონცხიდან, ვიღაცა იდგა და უხაროდა: არყოფნა ყოფნის გულს რომ კოცნიდა“.

ლექსში „ცა უფლის ტაძარია“ (2, 197) მარიამი განცდილია, როგორც უფლის ტაძარი, მთვარე: „ცა უფლის ტაძარია, ღრუბლები – ბერებია, ანაფორის კალთებს რომ იშრობენ. მთიები – ანგელოზებია, ფეხს ბანენ მთვარეს – მარიამ ღვთისმშობელს“ (ცა უფლის ტაძარია).

მზის (ქრისტე) და ქალწულის (მარიამის) სავანე ცათა ცაშია, ბროლის ცაში“: „დილით მზე, ვითა ქალწული, ამაღლდა ცათა ცათასა“ (2, 871)

მარიამი „ზეცის ლურჯი ტაძარია“, წყვდიადის მოსასპობად მოვლენილი: „ზეცის ლურჯი ტაძარი – სიშორის ზარს არისხებს, სურს წყვდიადი მოისრას. ძირს მოჭრილი ღამის ხე მნათობებს კვლავ მოისხამს“ (ზეცის ლურჯი ტაძარი) (2, 463).

ლექსში, „ეს კოლხეთია“, ძალზე საინტერესო სახეებით ფიგურირებს მარიამი. ის არის მთა, თასი ზღვის, ღმერთქალ ფაზისის ორეული: „მთას უკავია სავსე პირთამდე – ქარიშხალით სავსე ვერცხლის თასი ზღვის და დგება ჟამი მზის და მთვარის ნიშნობის. ეს კოლხეთია – ღმერთქალ ფაზისის, სად სიძულვილი სიყვარულად აღმოიშობა“ (ეს კოლხეთია) (2, 572).

„მზის და მთვარის“ ნიშნობა „ჰიერატიულ ქორწინებას“, ინიციაციას გულისხმობს.

ლექსში „ორი კოლხი კაბადოკიელი“ ის აზრია, რომ კაბადოკიელები წმინდა ნინო და წმინდა გიორგი იგივე კოლხები

არიან: ქრისტეს ღვთისმშობლის მადლით იფარავენ საქართველოს. „მთვარის მახვილით და მზისა ფარით, ათასწლეულებია საქართველოს იფარავს (მიუხედავად სიობლის), ორი კოლხი კაბადოკიელი – წმინდა ნინო და წმინდა გიორგი“ (ორი კოლხი კაბადოკიელი) (2, 764).

ერთგან „მთვარე“ მარიამია, „მზის ფარი“ – ქრისტე. პოეტი ლოცვით მიიკვლევს „მთვარის ბილიკებს“, მზის გზას, ანუ დედა-ძის სავანეს: „გზას დღისით მზისა და ღამით-მივსდევ მთვარის ბილიკებს და ზე-ცისკენ ვიურვი... უფალთან გზას მიგვიკვლევს ლოცვა მარადიული“ (გზას დღისით მზისა და ღამით)(2, 815).

ერთ ლექსში ერთდროულად გვიწევს შეხვედრა სულიწმინდასა, უფლის ნათელსა, მზესა (ქრისტე) და ღრუბელ – მთვარესთან (მარიამი): „სულიწმინდა და უფლის ნათელი ამოდიოდა ღრუბლის ხაროდან. მზის ხმა ისმოდა მთვარის კონცხიდან, ვიღაცა იდგა და უხაროდა: არყოფნა ყოფნის გულს რომ კოცნიდა“ (სულიწმინდა და უფლის ნათელი) (2, 154).

სხვაგან ცის სახეში – უფლის ტაძარს, ღრუბლებში – ბერებს, მთებში ანგელოზებს და მთვარეში მარიამ ღვთისმშობელს ჭვრეტს: „ცა უფლის ტაძარია, ღრუბლები – ბერებია, „ანაფორის კალთებს რომ იშრობენ. მთები – ანგელოზებია, ფეხს ბანენ მთვარეს – მარიამ ღვთისმშობელს“ (2, 197).

ემბაზთან ერთად, მარიამი არის მზის (ქრისტეს) ამფორა, მირონი (დაუჯდომელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა): „მირონით სავსე მაქვს მზის ამფორა, მას დრო ვერ დაამსხვრევს, ვერა!“

„სულიერი ტაძარი“ მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლური სახელია („დაუჯდომელი“).

ვაჟა ეგრისელის ლექსში მარიამის ორიგინალური სახეა „მზიანი“ და „ამაღლებული“ ტაძარი: „ლოცვებით ამაღლებული, აღარ არსებობს სხვა უფრო, ტაძარი, მზე რომ ათოვდა. ცა

არის ღმერთების საუფლო და სამოსახლო მნათობთა“ (ლოცვებით ამაღლებული) (2, 734).

ლექსი „იქ, ბეთლემთან ვარსკვლავები“ (2, 388) მარიამის მიერ ქრისტეს მოვლინებას წარმოისახავს.

ლექსში „სინური მრავალთავი“ მარიამი წარმოჩნდება, როგორც „ცამდე აწვდილი კოშკი“:

„ცხრა მთით გადმოხვეწილი ლეგენდის თუ მითოსის ცამდე აწვდილ კოშკების სარკმლებში ვიჭვრიტები და – მე ვხედავ მზით მოსილს ტევანს ჭეშმარიტების“ (სინური მრავალთავი) (2, 484).

საგულისხმოა, რომ „კოშკი“ გალაკტიონის შემოქმედებაში მარიამის სიმბოლოა („კოშკი“).

ფსალმუნში ღმერთია კოშკის სახეში მოაზრებული: „ღმერთო... ძლიერი კოშკი ხარ მტრისაგან დამცველი“ (ფს. 61, 4).

მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლური სახელია სამოთხე (4, 124).

მარიამი – სამოთხე – სამოთხის ბინადარია, მეცხრე ცაში მკვიდრობს, „მხეცის“ დამთრგუნველია, „უღამო ღამესთან“ (ღმერთი), ერთად და სამოთხეში უხმობს სულს: „მანამდე სულს ამომხდის, მაკრთობს ხილვა მე „მხეცის“, მიხმობს ღამე უღამო, სამოთხეთა სამოთხე, მერვე არა, მეცხრე ცის“ (სანამდე სულ ამომხდის (2, 383).

შემთხვევითი არ არის „მხეცის“ კონტექსტში „უღამო ღამის“ (ღმერთის) და სამოთხის (მარიამის) ხსენება.

დავით გურამიშვილი ასე მიმართავს ქრისტეს დედას: „ნათელო და ბრწყინვალეო, თქმულო აღდგომისა ხატო, სიტყვიერთა ცხოვართ ქნარო და უხილავთ მხეცთ დამსხარტო“.

ამ სტრიქონებთან დაკავშირებით, პროფესორი ტიტე მოსია წერს: „ქრისტეს უპირველესი მისია იყო ბოროტების დათრგუნვა, მისი აღგვა პირისაგან მიწისა. ვინაიდან მაცხოვა-

რი წმ. მარიამმა შობა, ამიტომ ისიც შვილთან ერთად ითვლებოდა ვეშაპის გამანადგუნებლად“ (7, 206).

მხეცი, გველი, ვეშაპი სინონიმური სიტყვებია და ბოროტების სიმბოლოა (7, 2006).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს „ოქროს საწმისისა“ და გრაალის თემას და შემთხვევითი როდია პოეტის მიერ საწმისის, გრაალის, სულიწმინდის და ღვთისმშობლის გაიგივება (2, 272). საწმისის, გრაალის მოაზრება საკაცობრიო სიბრძნის, წიგნის ჭრილშიც კი (9, 4).

გრაალის მიმდინარეობას ქართველურ, კაბადოკიურ ეთნოსს უკავშირებს ზვიად გამსახურდია. მისი აზრით, „გრაალის მისია ეს არის სულიწმინდის მისია. გრაალი არის სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულიწმინდისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმინდით გამსჭვალული ადამიანი“ (8, 38).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი უფრო შორს მიდის და მის შემოქმედებაში იდენტურობის ნიშანი უზის საწმისს, გრაალს, ღვთისმშობელს (ღმერთი სიბრძნე, მარიამი – სიბრძნის დედა) და კოლხურ ფსალმუნებს.

პოეტს უძველეს კოლხეთში ეგულება სამყაროს პირველსაწყისი, ბიბლიური ქალდეველები, ღვთისმშობლის დედა კირკე, კოლხთა დედა რეა, კიბელე (წარმართულ საქართველოში „ნანა“), ოქროს საწმისი, გრაალი და ამ ტრადიციების შემოქმედებით განვითარებად ესახება თავისი „კოლხური ფსალმუნების“ ტიტანური, ათასგვერდიანი ხუთტომეული) იხ. ამაზე ჩვენი „ოქროს საწმისის პარადიგმა ვაჟა ეგრისელის პოეზიაში (10, 57-65). და „ვაჟა ეგრისელის ტიტანური ხუთტომეულის „კოლხური ფსალმუნების“ სახელწოდების შესახებ (11, 145-150).

გრაალის, საწმისის კოლხეთთან დაკავშირება თანმიმდევრულ ხასიათს ატარებს „კოლხეთიდან მოსული ქრისტეს მხედ-

რის“ შემოქმედებაში (იხ. გრაალი – კაცობრიობის მარადიული იდეალი (11, 124-151).

ამიტომ ცის ცხრავე კარის გახსნის მხილველისთვის, მთვარის ტაძრიდან მოსმენილი ღვთიური ზარი კოლხურია: „გაიღო ცის ცხრავე კარი და მთვარის ქათქათა ტაძრიდან – მოისმა კოლხური ზარი“.

მარიამი ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში ასოცირებულია კოლხეთთან, კოლხთა დედა კიბელესთან, რეასთან, კირკესთან (იგი თითქოს ღვთისმშობლის დედაა) და ღმერთქალ ფაზისთან: „მთას უკავია სავსე პირთამდე – ქარიშხლით სავსე ვერცხლის თასი ზღვის და დგება ჟამი მზის და მთვარის ნიშნობის. ეს კოლხეთია – ღმერთქალ ფაზისის, სად სიძულვილი სიყვარულად აღმოიშობა“ (ეს კოლხეთია) (2, 572).

ვფიქრობთ, ეს პრობლემა მომავალში ისტორიკოსებისა და ლიტერატორების სერიოზული კვლევის საგანი უნდა გახდეს.

„კოლხური“ ფსალმუნების“ ავტორი მზითმოსილია, მთვარითმოსილი, ცისკრით ნათელით მოსილი.

პოეტი ქვეყნის ოთხივე კიდეს მოგზაურობს „მთვარის თეთრი ჩოხით“ და „მზის ოქროსფერ სამხრეთი“: „მთვარის თეთრი ჩოხით და მზის ოქროსფერ სამხრეთი, შენ ერთი ხარ მეუფე – ქვეყნის კიდით კიდემდე, აღმოსავლით, დასავლით, ჩრდილოსა და სამხრეთით“ (შენ ერთი ხარ მეუფე) (12, 363).

მთვარე მარიამის, მზე – ქრისტეს სიმბოლოებია.

ვაჟა ეგრისელის „პორფირი“ მთვარით მოსილია: „ფხიზელ ღამეთა ვარ კმაყოფილი. რადგან მათ მომცეს და მათ მიბოძეს – მთვარით მოსილი მგოსნის პორფირი“ (დღეებმა ყველა ფიქრი წამართვა“ (13, 586).

პოეტი ეძებს სამოთხეს – მარიამს, ვენახის (ქრისტეს) გზით, რომ იხილოს „მზიანი ღამე“ (მამაღმერთი)და უფლის ცა: „იტყვის: ძებნაში სამოთხის ცრემლებს გამოვყევ ვენახის,

წყვდიადში მოველ მეცხრეცა. „მზიან ღამით“ რომ მენახა: მეშვიდე, მერვე, მეცხრე ცა“ (12, 957).

„ტაძარი“ მარიამის სიმბოლოა და ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილის თვალში საქართველოს ცა – მარიამია დავანებული: „სამშობლოსთვის ყოველთვის, ხმალს მოჰგავდი ალესილს, რადგან ქართლის ტაძარში გსურდა დიდხანს გელოცა. და ცრემლიან თვალებში გედგა საქართველოს ცა“ (გედგა საქართველოს ცა) (13, 528). (შდრ. გალაკტიონის „თვალები ფეთქდნენ ცვრებით, იებით – „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“).

ვაჟა ეგრისელის პოეზია სავსეა სულის მზრდელი ლოცვა-ვედრების, გალობის ინტონაციებით, სიმბოლური ზღვისა და ცის კოშკებით და მის „თვალებში დგას ქართული ცის ეკლესია მზისა და მთვარის მგალობელ ზარით“... მზე ქრისტეს, მთვარე მარიამის სახელია.

ირისე, ცისარტყელა მარიამის სიმბოლოა (4, 124).

როგორც ღმერთის, ასევე უფლის დედის რჩეულია პოეტი: „ცისარტყელა ხელს გიწვდის, რადგან შენ ხარ მგოსანი, წარღვნას გადარჩენილი, ქრისტეს კვართით ნაშობი (12, 77).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორის „საგანძურია“ ღვთისმშობლის მიერ ქართულ სიტყვის ყაისნაღით მოქსოვილი ოქროს კვართი: „შენ, მესამე ათასწლეულს, ვით მეგობარს ხელს რომ ართმევ, ალბათ სიყვარულით დაღლილს, მოგიქსოვა ღვთისმშობელმა ოქროს კვართი, ქართულ სიტყვის ყაისნაღით“ (შენ მესამე ათასწლეულს) (12, 917).

მზისა და ცისარტყელას (ქრისტესა და მარიამის) ფერებით იმოსება, უზენაესი ნათლის დიადემა ადგას პოეტის სულს: „როდესაც სულს, ცისკენ მქროლავს, გულმა თვალი მიადევნა, მაშინ გაქრნენ ვარსკვლავები – ცის ბარტყები და სინათლის დიადემად დამადგა მზე და ფერები ცისარტყელის“ (აუმ) (13, 957).

მზე ქრისტეს, ცისარტყელა მარიამის მეტაფორაა.

არც ის არის შემთხვევითი, რომ მისი პოეზიიდან „სიცოცხლის, სიყვარულის“ (ქრისტეს) ჰანგები იხმიანებს ათასწლეულებში, ხოლო მისი სიტყვის სასახლე „გადახურულია მთვარით“ (მთვარე მარიამის სახეა): „სიცოცხლესა და სიყვარულს ათასწლეულებს გასძახებს მთვარით გადახურული, შენი სიტყვის სასახლე“ (ვით კრიმანჭულად გურული).

ახლა მთლიანობაში გადავავლოთ თვალი ვაჟა ეგრისელის პოეზიაში დაფიქსირებულ საღვთისმშობლო სიმბოლიკას. პოეტისათვის მარიამი არის ნიგვზოვანი მტილი, ტაძარი, ზეცის ლურჯი ტაძარი, მზიანი ტაძარი, მთვარის ტაძარი, ქართვლის ტაძარი, კლდე, კვერთხი, ზღვა, ბოგირი, კიბე, მაყვალი, მაყვლის ბუჩქი, ხიდი, მთა, მთვარის ბილიკი, მთვარის მახვილი, მთვარის ციალი, მთვარის ფარი, მთვარე, ვაზი ნორჩი, ღვინის ხე, ვენახი, ცა, ცათაგან დაუტევნელი, ახალი მზე, გვირგვინი, ჭეშმარიტების ტევანი, ემბაზი, სამოთხე, ედემი, ქალწული, ფიალა, ღრუბელი, ცამდე აწვდილი კოშკი, ოქროს საწმისი, გრააალი, კირკე, კოლხთა დედა რეა, კიბელე, ცის ეკლესია, ცისარტყელა, ცისკარი.

პოეტი მოსილია მთვარის თეთრი ჩოხით, „მთვარის შესამოსელით“, გამოარჩევს „მთვარით მოსილი მგოსნის პორფირი“, მფლობელია ღვთისმშობლის მიერ ქართულ სიტყვის ყაისნაღით მოქსოვილი ოქროს კვართის...

დამოწმექბანი

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
2. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები ხუთ ტომად, ტ. II, თბ. 2008
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992

4. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996
5. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995
6. ქართული მწერლობა 30 ტომად, ტ. I, თბ. 1987
7. ტიტე მოსია, „დავითიანის“ სახისმეტყველება,; თბ. 2005
8. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ. 1990
9. რენე გენონი, გრაალის სიმბოლიზმი, „ლიტერატურული საქართველო“, 15 ოქტომბერი, 1992
10. ლუარა სორდია, „ოქროს საწმისის პარადიგმები ვაჟა ეგრისელის პოეზიაში“, ჟურნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, თბ. 2009, [1] 6-7
11. ლუარა სორდია, წერილები, ბიბლიის ერთი კონცეფცია. აპოკალიფსური სახეები. გრაალის იდეალი. თბილისი, 2009
12. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 3, თბ. 2007
13. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 2, თბ. 2006

ოქროს საწმისის პარადიგმა ვაჟა ეგრისელის პოეზიაში

ვაჟა ეგრისელის პოეზიის უმთავრესი პრობლემა საღვთო სიბრძნის, უზენაესი კოსმიური იდეალის ძიებაა. ამიტომ, ბუნებრივია, მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ოქროს საწმისისა და წმინდა გრაალის სახეებს, რადგანაც ცნობილია, რომ “ინიციაციური სიბრძნე უმეტესად სიმბოლიზებულია ქალით, საუნჯით, ოქროს საწმისით, წმინდა გრაალით” (1,213).

სრულიად გამორჩეულია პოეტის დამოკიდებულება საქართველოს, კერძოდ, კოლხეთის წარსულისადმი. მას აინტერესებს არა მარტო ისტორია, არამედ პრეისტორია, რაც შთაგონების ამოუწურავი წყაროა.

კოლხეთის წარსული, მისი უძველესი ფესვები და ძირები განჭვრეტილი აქვს არა მხოლოდ მეცნიერული თვალით, არამედ ინტუიციით, ხილვებით. ფუძე, ადგილის დედაა უდიდესი სტიმული, ცადამაღლების ძალა: "წყვდიადიდან ამოსული – მზე კოლხური და ქართული, გზას შორეულს გიიოლებს. ცად აყავხარ ფრთის ფათქუნით სიყვარულის კვირიონებს" (წყვდიადიდან ამოსული) (2,262).

პოეტისათვის „მუზების ტაძარი" კოლხეთია: „...დარჩენილ დღეებს და სიცოცხლეს მიასებს, კოლხეთი – მუზების ტაძარი" (მუზების ტაძარი) (2,376).

ვაჟა ეგრისელის აზრით, კაცობრიობა არსებობას იწყებს ბიბლიური კოლხეთით, იგი კულტურის უპირველესი აკვანია".. ბიბლიური კოლხეთი, სადაც კაცობრიობის – მზე და მთვარე აღმოხდა და აკვანი დაირწა" (უძველესი კოლხეთი) (2,23).

ეს აზრი უკიდურესობამდე ვითარდება ლექსში „პონტოს და ფაზისს": პონტოს და ფაზისს ხელთ უპყრია ძველი კოლხეთი-მთელი სამყაროს დასაწყისი და დასასრული" (2,918).

კოლხეთი წარმოიდგინება, როგორც „სავსე ოქროთი ელდორადო და იკარია" (ელდორადო და იკარია) (2,565).

მშობლიური ნაპირების პოვნის სურვილმა ათასწლეულებში ახეტიალა, აღდგომის კუნძულებზე მოაზმანა წინაპრების ნაკვალევი: ფიქრის ჩელტიანი ნავის, მიმაქანებს წინ აფრები და აღდგომის კუნძულებზე გადარჩენილს ჩემდა ბედად, ჩემი დიდი წინაპრების-კოლხთა ნასახლარებს ვხედავ" (ხილვა: კოლხთა ნასახლარები აღდგომის კუნძულებზე (2,821).

პოეტი წუხს, რომ „გადავიწყების კუნძულისკენ" გზას უკეტავს „ჟამთა ეშვები" (ხეთასთან) (2,702).

წარსულიდან მომავალში გაღწევის გარანტიად მშობლიურთან კავშირი მიიჩნევა: "ფიქრმიუწვდომელ წარსულიდან-მომავალში მიგაქანებს ქარბორია გამოვლილი ძველ კოლხური იალქანი, ნანა, ლილე და ენლი" (ფიქრმიუწვდომელ წარსუ-

ლიდან) ამ დიდი ტრადიციების გამოძახილი და გაგრძელება მისი „კოლხური ფსალმუნების“ ტიტანური ხუთტომეული, რომელიც შთაგონებულია „სიყვარულის არილის“ მატარებელი მშობლიური ადგილებითა და ხალხით: „არესისა და კირკეს ჭალებში ვკრიფე მე ესე ნაყოფი მწირი“ (ფსალმუნი 2, 17).

კოლხეთი ვაჟა ეგრისელის ინტერესებში შემოდის. როგორც უპირველესი ქართული სახელმწიფო, როგორც დიდი სულიერი კულტურის ქვეყანა და ამ კულტურის სიმბოლოა მსოფლიოში გახმაურებული ოქროს საწმისი, ოქროს ვერძი, რომელიც თანამედროვე კოლხეთის შვილს აზრს და სულს უნათებს...

“საწმისი არის სიმბოლო კოსმიური სიბრძნისა... ადამიანმა ოდესღაც დაკარგა იგი, ხოლო მისი კვლავ დაბრუნება დაკავშირებულია მრავალ ფათერაკთან და საზარელ ძალებზე გამარჯვებასთან. ასეთი რამ არის მარადიული საწყისი ადამიანში, მისი ზესთაცნობიერება, მისი ღვთაებრივი არსი. იგი ეკუთვნის ადამიანს, მაგრამ ადამიანი განშორებულია მასთან, მისივე საკუთარი ქვენა გრძნობით, გრძნობადობით (დრაკონი, რომელიც დარაჯობს საწმისს). ეს ქვენა ბუნება ადამიანმა უნდა დასძლიოს, დააძინოს (დრაკონის დაძინება იაზონის მიერ). მხოლოდ ამის შემდეგ ეზიარება იგი კვლავ მარადიულს (საწმისს). ეს კი შესაძლებელი ხდება, როდესაც ადამიანის საშველად მოვა მისივე ცნობიერება (მედეა), რომლის ჯადოსნური ძალა სასწაულებს შეაძლებინებს“ (1, 40).

მხოლოდ სიბრძნის ძალას ხელეწიფება წარმავლობაზე გაამარჯვებინოს ადამიანს: „მისტერიათა სიბრძნის მაძიებელს დიდი გაწმენდა, შემზადება და მძიმე გამოცდები უნდა გაევლო დაკარგული სიბრძნის კვლავ მოსაპოვებლად (1, 269).

ამიტომაც ფათერაკებით არის სავსე იაზონისა და არგონავტების ცხოვრება.

ოქროს საწმისის ძიება, რასაც ადგილი აქვს მისტერიათა სამყაროში, არის იგივე გრაალის ძიება.

ამიტომაც „ოქროს საწმისს... კლასიკურ გრაალსაც უწოდებენ“ (1, 272).

არგონავტების ლაშქრობა განიხილება, როგორც „დიდი ალქიმიური ქმედების ალეგორია, უნივერსალური სამკურნალო საშუალების ძიება“.

კავკასიის, კერძოდ, კოლხეთის ოქროს საწმისი გიგივებული იყო ფილოსოფოსთა მთასთან, რწმენასთან და ეწოდებოდა ზეციური რწმენის მადანი. ოქროს საწმისის ძიება ზეცნობიერის, უმაღლესი სულიერების ძიებად ითვლებოდა ისევე, როგორც გალაადის და სხვათა მიერ გრაალის ძიება. ვერძი ნიშნავს უმანკოებას, ხოლო საწმისი უმაღლესი სულიერების სიდიადეს და ბრწყინვალებას, ...რაც უკავშირდება განძის ზოგად სიმბოლიზმს» (1, 273).

საგულისხმოა, რომ ბერძნებს კოლხები დასაბამიდანვე ჩაუთვლიათ თავიანთ თანატოლ, ღმერთთა შთამომავალ, ძლიერ და განათლებულ ხალხად. კოლხეთის მეფე აიეტი ბერძენთა ნათესავია.

მეცნიერთა ყურადღებას მუდამ იპყრობდა აპოლონიოს როდოსელის მრავალი ცნობა, კოლხეთში ინახება არა ოქროს საწმისი, არამედ ტყავზე ნაწერი წიგნი, რომელშიც ოქროს მიღების წესი წერიაო და რაც მთავარია, ქართველებს ჰქონიათ «თავიანთი მამაპაპათაგან ნაწერი კვირბები, რომელზედაც მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი» (3, 151)

იგივე მოსაზრება ვითარდება ისტორიულ წიგნებშიც(4,767).

“ჩვენს შორეულ წინაპრებს ჰქონიათ ანბანი ანტიკურ ეპოქაში, ჰქონიათ საზღვაო რუკები სათანადო აღნიშვნებით, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს უაზრო და მითიურ ჰიპოთეზას ჩვე-

ნი ანბანის რაღაც უცხო გზით შექმნის შესახებ... ეს ცნობები მთელი 700 წლით ძველია უცნაურ ლეგენდებზე, რომლებიც შეუთხზავთ გვიან პოსტ ფაქტუმ. ანბანიც საკუთარი გვქონია, ლიტერატურაც და ფილოსოფიაც. ეს ფაქტი საამაყოა“, წერს აკაკი გელოვანი (5, 31).

კოლხური დამწერლობის თაობაზე ბერძნულ წყაროებში ორი სახის ცნობა მოიპოვება. ერთია ელინისტური ხანის ანონიმური ავტორისა და ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის ხარაქს პერმაგონელის ცნობები.

ანონიმური ავტორი ტრაქტატის ერთ-ერთ თავში, რომელსაც ეწოდება „ოქროს საწმისისათვის“, ამბობს: “კოლხეთში დაცული ტყავი ნამდვილად ოქროსი კი არ იყო (ეს პოეტური მონაჭორია), არამედ ტყავებზე ნაწერი წიგნი, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით. თანამედროვეებმა შესაფერისად უწოდეს მას ოქროსი, მისგან გამომდინარე მოქმედების გამო“ (6, 150).

ოქროს საწმისის ანალოგიურ განმარტებას იმეორებს ახ. წ. VII საუკუნის ისტორიკოსი, მსოფლიო ქრონიკების ავტორი იოანე ანტიოქიელი: იასონმა და მისმა მხლებლებმა მოიპოვეს... ე. წ. ოქროს საწმისი. ეს წიგნი (იყო) ტყავებზე ნაწერი, შემცველი იმისა, თუ ვით უნდა გაკეთდეს ოქრო ქიმიის საშუალებით (3, 150).

ეს აზრი გამეორებულია სვიდას სახელით ცნობილ X საუკუნის ლექსიკონში (3, 151).

ოქროს საწმისის ასეთი განმარტება ემყარება ძვ. წ. IV საუკუნის ბერძენი ფილოსოფოს-ათეისტის ევჰემეროსის და მისი მოწაფეების პრინციპს, რომლებიც ცდილობდნენ ყოველი მითის, თქმულებისა და ლეგენდის ალეგორიულ-ისტორიული განმარტება მოეცათ, ჭეშმარიტების მარცვლები დაეძებნათ (3, 151).

ბერძენთა წარმოდგენით, კოლხებს დამწერლობა ძველთა-განვე ჰქონიათ. „ხორაქსის დროს... კოლხეთში გავრცელებული იყო „ოქრო-დამწერლობა“ (ხრისოგრაფია), ანუ ხელოვნება ოქროს ასოებით წერისა“, წერს პავლე ინგოროყვა (3, 169).

ცნობა ე. წ. კვირბებზე დაცულია აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“. იგი პირველი ცნობაა, ძველ ქართველურ ტომებში (კოლხეთში) არსებული, დამწერლობის შესახებ.

„არგონავტიკის“ IV წიგნში მოთხრობილია აიას (კოლხეთის) დაარსებისა და კოლხური კვირბების შესახებ, რომელშიც ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი (5, 279-281).

ვლ. სიჭინავას აზრით, „კვირბების“ ბერძნულ გადმოცემაში დაცულია ეტრატის ძველი – კოლხური (ზანური) სახელწოდება კირიბი – კრავი – კირიბიში – კრავის ტყავი... კვირბების ეტრატებია (კირიბიში), სადაც ზოგჯერ შეიძლება კარტოგრაფიული მასალებიც იყო ჩაწერილი. არგონავტების თქმულების ოქროს საწმისი ეს იგივე კირიბი – კირიბიშია, რომელზედაც ოქროს მოპოვებისა და დამუშავების რთული ქართულ-კოლხური ტექნოლოგიური პროცესი იყო აღნიშნული. საგულისხმოა ვლ. სიჭინავას არგუმენტი, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებში ხშირად „ცხვრისა“ და „წიგნის“ აღსანიშნავად ერთი და იგივე სიტყვები იხმარება (6, 101).

აპოლონ როდოსელისა და სხვა ბერძენ ავტორთა ცნობები კვირბებზე უტყუარი ცნობებია და კოლხურ ტომებში უძველესი ხანებიდანვე არსებულ დამწერლობაზე მეტყველებენ (3, 165).

ვაჟა ეგრისელი იზიარებს და პოეტურად ეხმაურება ამ ისტორიული ფაქტების სიმართლეს, მაგრამ მისი პოეტური ციკლის სათქმელი არა მხოლოდ წარსულის გაიდეალებაა, არამედ მტკიცება-ჩვენება, თუ როგორ ვითარდება წარსულის ის დიდი ტრადიციები აწმყოში. იგი ცდილობს კავშირი გააბას უშორეს წარსულსა და დღევანდელობას შორის.

კოლხეთის დიდი სულიერი კულტურის მაცნე საწმისის სახე ელანდება და აიეტის რკინის ხარების ბღავილი მეოცე საუკუნეში ესმის „კოლხური ფსალმუნების“ ავტორს და ეს სიხარული მწუხარებით იბურება, რადგან მაინც ნისლიანია ყოველივე: „ჩემი კოლხეთი ოქროს საწმისით ამოთავთავდა სიხარულით და მწუხარებით. და ათასეულ წელთა იქიდან ბღავილი მესმა აიეტის რკინის ხარების“ (ჩემი კოლხეთი) (2, 436).

მშობლიური კოლხეთიდან ოქროს ვერძის ბღავილის მოსმენა თითქოს მასტიმულირებელია პოეტისათვის, რათა სიტყვის დევებს ებრძოლოს და თავისი პოეზიით გააბას სულიერი კავშირი წარსულთან, გაამთელოს საუკუნეებს შორის ჩატეხილი ხიდი: „კოლხთა ზღაპრულ წარსულიდან ბღავილი სულ მესმის ვერძის ზაფხული თუ ზამთარია... და... მე სიტყვის დევებს ვებრძვი ბაყაყსა და ცხრათავიანს“ (კოლხთა ზღაპრულ წარსულიდან) (2, 447).

ეს თემა ყოველთვის ტკივილიანია, ღალატით წაგვრილი განძის გამო: „იქ ურჩხულის თოლი ათი დარაჯობდა ვერძს და მუხას. ო, იმ ღამეს, ქცეულს ნაცრად ვით დაჭრილი გოლიათი ზღვა ფაზისთან მიბარბაცდა“ (არგოს გამოჩენა) (2, 982).

ჭყონდიდის (მუხის) ტოტზე დაკიდული საწმისი ჩამავალ მზესავით ელანდება ამ უბედურების გამცნობიერებელს: „...რიონის პირას, რომ ჰკიდია ტოტზე ჭყონდიდის, ჩამავალი მზე არის თუ... ოქროს საწმისი? (ზღვისკარად მდგარი ჩემი კოლხეთი) (7, 690).

ამ განძის დაკარგვა მოუნელებელია, ამ ღალატის შედეგი უფრო დიდი ტრაგედიაა, ვიდრე მრავალი სისხლის წვიმა და მწუხარება წარსულში: „ბორგავს კოლხეთი – ღალატით ყელგამოღადრული, თუმცა პონტოს ახსოვს დღე უარესი – სისხლის წვიმების და მწუხარების. ფაზისის პირას – უსაწმისო ველზე არესის ისმის ბღავილი აიეტის ცეცხლის ხარების“ (ბორგავს კოლხეთი) (7, 315).

რაკი საწმისი სიბრძნის, სულიერების სიმბოლოა, ორგანულად უკავშირდება მისი სახე ფაზისის აკადემიას, ლაზების დიდ კულტურას, ასევე, ბუნებრივია ამ განძის დამკარგავი კოლხეთის წარმოჩენა დარდისგან გათეთრებულად: „გაზაფხულია... და ალუჩები, პონტოს ნაპირზე თეთრ აფრიანს ჰგვანან ხომალდებს – ლაზებისა და ჰენიოხების. ხოლო ფაზისთან პატარა ბორცვი – აკადემიის მოჩანს კათედრად. სხვა არაფერი... არც სასრული და არც საწყისი. ტალღა ჩურჩულებს: ეჰ, კოლხეთი რამ გაათეთრა?! ნაპირი ტირის: ალბათ დარდმა ოქროს საწმისის“ (გაზაფხულია) (7, 865).

დანაკარგის სიდიადე აფორიაქებს ფაზისს და ისმის მისი მწუხარე მესა, უსაწმისო ჭყონდიდის კვნესაც გაუნელებელია: „და უსაწმისოდ დარჩენილი ჭყონდიდი კვნესის, ისმის ფაზისის ტალღების მესა“ (მთვარით შევერცხლილ გველეშაპს სძინავს (7, 162).

ცნობიერებაში ირევიან ბერძნების, კოლხების, მზისშვილთა, ოქროს საწმისის, იასონის, ფოთის სახეები და სახელები (ზღვა კი არა ჩემი ფიქრია) (7, 331).

პოეტი თვალნათლივ ხედავს დედინაცვლისგან დევნილ, ოქროს ვერძზე ამხედრებულ ფრიქსეს, კოლხეთის მარშრუტით: „ოქროს ვერძზე ამხედრებულს ვხედავ ფრიქსეს, კოლხეთისკენ მომქროლავს“ (ფრიქსე) (7, 218).

მზიურ კოლხეთში ფრიქსეს მოვლინება ოქროს ვერძით დაწვრილებით აღწერა დიდმა ქართველმა რომანისტმა ოთარ ჭილაძემ რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ (8, 11).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში გამოხატულია იაზონის და მედეას ძმის აფსირტეს შებრძოლება: „ცა დააბნელეს ისრების მერეხით და მერე შუბებიც ასხლიტეს და... კოლხურ ნავის აფრიდან – იაზონის და აფსირტეს ბრძოლის ლეგენდა აფრინდა“ (იაზონი და აფსირტე) (7, 780).

კოლხეთის და ზღვის გახსენება ყოველთვის მოწამლულია ღალატის შხამით: „...არგოც აქ იდგა... იაზონი ცას გაჰყურებდა – დუმდა ჰელიოს... ოქროს ვერძი ღალატს ბღაოდა აქ, ამ ყურედან“ (ამ ყურედან) (9, 342).

კოლხეთში დღეს არგო არ ჩანს, მაგრამ მოღალატის ხმა მაინც აღწევს ჩვენამდე, ილანდება ამორძალების შუბის ტარიც, რადგან კოლხეთი ამორძალებითაც იყო ცნობილი: „არგო არ ჩანს..., ჟამს იქიდან, ხმა სულ ახლოს ირეკება ჩვენი მავნის და მოძალის. და ფაზისში – ირეკლება შუბის ტარი ამორძალის“ (არგო არ ჩანს) (2, 396).

პოეტი დარწმუნებულია ბერძენთა და რომაელთა დიდების დაცემაში, კოლხური სიბრძნისა და სიმამაცის კვლავ გამობრწყინებაში, მაგრამ უსაწმისო მუხის მწუხარება მაინც განუქარველი იქნება: „წყვდიადში ჩავა მზე ბერძენთა და რომაელთა. სიმამაცე და სიბრძნე კოლხური – ცას მხრებს შეუდგამს კარიატიდებად და გავა ჟამი... და სინათლე ბნელს მოიხურავს, გახედავს, მუხას უსაწმისოს და ატირდება“ (წყვდიადში ჩავა) (7, 716).

კარიატიდები არის ქალის სახის სვეტები ათენში (10, 239), ამ სახეშია პერსონიფიცირებული კოლხური სულის სიდიადე.

კოლხეთი, იგივე პონტო, განთქმულია თქმულებებითა და ოქროს ვერძებით, მისი გრძნეული გზები მოფენილია იებითა და მითებით. შენს ნაფეხურებს – მწევარივით მისდევს ლეგენდა და გრძნეულ გზაზე იებივით ჰყვავის მითები... მწამდა აქ იყავ... მე ზღაპარში მაინც გეძებდი. რამ მოგიყვანა კოლხოპონტოს სანაპიროზე თქმულებებით და ოქროს ვერძებით“ (შენს ნაფეხურებს) (9, 588).

ამ დიდი კულტურის მაცნე განძი ათატსწლეულთა ქარსა და წვიმას გაჰყოლია, მაგრამ პოეტს მაინც ქვეყნიერების დასაწყისად ესახება კოლხეთი: „წაულეკია პონტოს ნაპირი, – ათასწლეულთა ქარსა და წვიმას. აღარც „არგო“ ჩანს, აღარც საწ-

მისი. მხოლოდ ალისფრად მზე ისე ბრწყინავს, როგორც ქვეყნიერების დასაწყისი“ (წაულეკია პონტოს ნაპირი) (9, 887).

ოქროს საწმისის, აიეტის ცეცხლის ხარის ხილვები მარადიულად დავანებულია ხსოვნის კუნძულზე: „ალვის ტოტებზე დაკიდულ მთვარეს, ვით ოქროს საწმისს, ქარი კვლავ არხევს და ცაზე უცებ გამკრთალი ელვა, მე მეჩვენება აიეტის ცეცხლის ხარებზე იაზონის მოქნეულ სახრედ“ (ალვის ტოტებზე) (9, 645).

პოეტს აღაშფოთებს ის, რომ მზის შვილთან – აიეტთან მისვლა გაბედეს ბერძნებმა და ქალიც (მედეაც) და ოქროს საწმისიც გაიტაცეს (ზღვა არა) (12, 331).

სულს აფორიაქებს გაძარცვული და მიტოვებული კოლხეთის წარმოდგენა: „ერთმა ტალღამ პონტოს ნაპირს, მოაბღავლა ოქროს ვერძად და შორეულ მიმცა წარსულს, – სად კოლხეთი ჰგავდა მეძავს, მიტოვებულს და გაძარცვულს“ (ერთმა ტალღამ) (12, 347).

ზღვის ტალღების ხმაში ოქროს ვერძების ბღავილი მოისმის: „ოქროს ვერძებით მოაბღავლა ნაპირზე ტალღამ და დამირღვია სიმშვიდის ფაცხა“ (მზის ალერსს) (9, 683).

მაგრამ მომავლის იმედი მაინც ოქროს ვერძად არის სახელდებული, რადგან დიდი წარსული მომავლის მასტიმულირებელია ხოლმე: „ფიქრების მაღალ ბოლში და კვამლში მოჩანს იმედი, ვით ოქროს ვერძი, რომელსაც ჩუმად ველტვი და ველტვი, ვით ამირანი დევებს, დღეებს მეც ისე ვებრძვი, სანამ, ო, სანამ ჩემი ბედის დამდგარა ეტლი“ (ფიქრების მაღალ ბოლში და კვამლში) (9, 481).

დაკარგული ოქროს საწმისი მაინც აღდგომის, გამარჯვების, არესის ჭალის გაბრწყინების იმედია: „ვითარც უვლია, ლეგენდის გზით მიდი კოლხეთი, არ ეშინის უკან მოხედვის. კოლხეთს უნახავს დღე უარესი (ისევ აღდგება... გამარჯვების ტოტზე დაჰკიდებს ოქროს საწმისს ჭალა პიესის“ (ვითარც უვლია) (2, 653).

კოლხეთის დიდი წარსული მომავლის იმედად ისახება: „კოლხთა წარსული როცა შორით მენარგისება, ხვალის იმედი, ვით ახალი მთვარე ივსება“ (ოქროს საწმიისის გახსენება) (7,2).

ერთ ლექსში კოლხეთი გაიგივებულია ოქროს საწმისთან, რადგან ყოველი ხალხის ფასი მისი სულიერი კულტურით განისაზღვრება: „ლეგენდებიდან მონაბერი ართობს ნიავი და ღამის წყვდიადს აღარ იკარებს, ათასწლეულთა მიღმა მოჩანს მისი საწყისი – განფენილია შავი ზღვის კარად – ჩემი კოლხეთი – ოქროს საწმისი“ (ლეგენდებიდან მონაბერი ართობს ნიავი) (13, 656).

თუ რატომ არის პოეტისთვის ოქროს საწმისი იმედი და რატომ ელტვის მას ასე დაჟინებით, ნათლად არის გაცხადებული იმ რწმენაში, რომ სწორედ მისი შემოქმედება არის „ოქროს საწმისის“, ანუ სიბრძნის, სულიერების ახალი საფეხური.

ლექსში „ჩემი გალობა“ დაპირისპირებულია წარმავალი და მარადიული, უფლის ნებით კი „ოქროს საწმისად“ სახელდებულია ვაჟა ეგრისელის პოეზია: „რამდენი ჩანგი გადაჰყვება ქარებს გრიალით, რამდენი სვეტი და რამდენი ყალმის ნახატი – დაედევნება გარდასულ ჟამს, უცხო ფარფატით... რადგან უფალმა ასე ინება, რადგან გამჩენმა ეს მიწყალობა, „ოქროს საწმისად“ პონტოს პირად წაისილება დაფნაზე უფრო უწყინარი ჩემი გალობა“ (9, 220).

შემთხვევითი როდია, რომ ჰელიოსს (ლეგენდის მიხედვით, აიეტის მამას) დარწმუნებული, ძლიერებაშემოსილი ეხმიანება პოეტი, ამჯერად წარსულზე კი არა, აწმყოზე საუბრობს და პონტოს პირას ისევ ეგულება ოქროს საწმისი (თავისი სულიერებით, სიბრძნით გამორჩეული პოეზია): „წარსულის ტრამალს შენი ეტლი გადმოაქროლე და სიყვარულით ისევ მოგვხედე – ეჰეი ჰელიოს. ძლიერი ვართ, განა უძლურნი. ოქროს საწმისით პონტოს პირას კვლავ დგას კოლხეთი, თქმულე-

ბებით და ლეგენდებით დახუნძლული“ (წარსულის ტრამალს) (9, 196).

ახალი დროის ახალი ოქროს საწმისის თავდაპირველი წყარო მაინც ფაზისია, ის დიდი წარსული, რომლის ნათელი ათასწლეულებს გადასწვდენია, რადგან წარსულის სულის თვალით ძიებას ყოველთვის მოაქვს პოზიტიური შედეგი: „არა, მეოტიდის ზღვასთან, ზღაპრულ პონტოს პირას ვეძებ მშვილდისრიან ამაზონებს... აქ, ფაზისის ნაპირებზე თქმულებებს და ოქროს ვერძებს, ვითარც ადრე, კვლავ ვაძოვებ“.. (არა მეოტიდის ზღვასთან) (2, 954).

პოეტი მზის შვილია აიეტივით, ოქროს ვერძების პატრონი, მზის (ღმერთის) ხელდასმული, რადგან საუკუნეების მოლოდინი ახალი მზის შვილის, ახალი ვერძების სიმბოლოებში გაცხადდა: „აიეტივით მზის შვილი,ნაპირებიდან ფაზისის, კვლავ ოქროს ვერძებს მოდენი. შენს ბედს ბეჭედი აზის მზის და... ქვეშ ხელს აწერს ლოდინი“ (აიეტივით ზღვის შვილი) (9, 889).

ლექსში „სიტყვა ღმერთთა ცისა და მიწის“ (2, 227) ეს შიფრი იხსნება და ვაჟა ეგრისელის გიგანტური (მოცულობითაც და იდეებითაც) „იქმენ ნათელი“ (თბ. 1993) სახელდებულია ოქროს საწმისად: სიტყვა ღმერთია ცისა და მიწის. მე დავადგინე და დავაწესე და წვით და ჯაფით მასთან მივედი. „იქმენ ნათელი!“ – არის ჩემი ოქროს საწმისი, მეცა მზის შვილი ვარ აიეტივით“ (2, 227).

ვინც ამ კრებულის სიღრმეს ჩაღრმავებია, უეჭველად ირწმუნებს ამ განაცხადის ჭეშმარიტებას.

„იქმენ ნათელი!“ პარალელურად არის ღვთისმოსავი პოეტის „სჯულის ფიცარი!“, როგორც ბიბლიური მოსესთვის ღმერთის მიერ ნაბოძები მცნებები.

ებრაელი ხალხის წინამძღოლმა, უდაბნოს გზების გამვლელმა, ზღვის კვერთხით გამპობმა მოსემ თავისი წმინდანო-

ბის გამო, სჯულის ფიცარი მიიღო ღმერთისაგან (გამ. 19,1-20; 20, 21, 22, 23) (11,76-77).

უდაბნოს გზებზე იარა „ქართული სიტყვის რჯულმდებელმა“ ვაჟა ეგრისელმა, ისიც არ შეუშინდა ზღვას, მხეცებს, სულის ხრიოკები გაწმინდა და გაანათლა თავისი პოეზიით და მოსესავით მასაც სჯულის ფიცარი არგუნა უზენაესმა: „გამოვეპარე ათასწლეულებს და ვითარც მოსეს, მეც მიბოძა სჯულის ფიცარი“. ღმერთმა წარწერით: „იქმენ ნათელი“ (გამოვეპარე ათასწლეულებს) (2, 458).

მისი „კოლხური ფსალმუნების“ ხუთი ტომიც (10 ათასი ლექსი – შედევრი) არესისა და კირკეს ჭალების ნაყოფია (ფსალმუნი) (2, 17). კოლხეთის დიდი ტრადიციების ახლებული შემოქმედებითი გაგრძელება და ამაღლება: „...მაშინ ჩემს კოლხეთს ისტორია გადაუმალეს, მაგრამ „ამოდის“ ეს კოლხური ფსალმუნებიდან“ (ამოდის, ნათდება) (7, 196).

ვაჟა ეგრისელი დასაბუთებულად ეპაექრება კოლხეთის ისტორიის და ოქროს საწმისის ფასის უგულებელმყოფელ შურიან დილეტანტებს: „აიეტის ზღაპრულ კოლხეთს მტრობისა და სიძულვილის გველეშაპი მისწოლია. რადგან სჯერათ: აქ იწყება საქართველოს ისტორია“ (აიეტის ზღაპრულ კოლხეთს) (2, 265).

ლექსი დაიწერა 1944 წელს, როცა გააფთრებით მძლავრობდა კოლხთმოძულეობის სინდრომი, რაც ინსპირირებული იყო ზედა ეშელონებიდან და გათიშე და იბატონეს პოლიტიკაზე ასხამდა წყალს.

კოლხეთის ისტორია დიდი, ამოუწურავი და ახლებურად, მეცნიერულად წაკითხული თემაა პოეტის მიერ, რაც სპეციალურ კვლევას მოითხოვს, ხოლო ოქროს საწმისისა და არგონავტების პრობლემასთან დაკავშირებით სულ მოკლედ ის შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა ეგრისელის აზრით, იაზონი ბერძენი კი არა, ქართველთა მონათესავე პელაზგია.

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორისთვის სავსებით მიუღებელია ევრიპიდესგან მომდინარე ვერსია, თითქოს მედეამ შვილები დახოცა იაზონის ღალატის გამო: „უნდა ვამცნო მთელ აზიას, კოლხ მედეას, შვილები რომ არ მოუკლავს, რომ ბერძენს არ გაჰყოლია, იაზონი – კოლხთა მოდგმის პელაზგია“ (მედეა) (7, 152).

კრიტიკას ვერ უძლებს ეს ოდიოზური ჭორი მედეას შესახებ, რადგან ისტორიაში ცნობილია მისი შვილი მერმეროსი და შვილიშვილი ილოსი: „აიეტის ასული – კვლავ ზის ჭორის ბუდეში და ბანს აძლევს მითოსის შამბნარიც და ახოცა: – თუ მედეა გაგიჟდა და შვილებიც დახოცა, მაშ, საიდან ბადიში – ილოს მერმეროსის ძე! (7, 440).

მედეას შვილიშვილი ილოსი იყო ილიონის (ტროას) დამაარსებელი.

ვაჟა ეგრისელის პოეზია ამოზიდულია დიდი წარსულიდან და მომავალში თვით იქცევა ლეგენდად: „საუკუნეებს ვფშვნი მზის მარცვლებად, მერე კოლხეთში ვფანტავ და ვთესავ, რომ ლეგენდები ამოთავთავდეს“ („დიაოხი“) (7, 327).

წარსულისა და აწმყოს მონაპოვართა შეჯერების საფუძველზე პოეტი ასკვნის: „გვერდითა გყავთ ძიძა – პონტო და კოლხეთი ზღვის და ცოდნის უპირველეს აკვანს არწევს.ტალღები კი გვანან კირბებს – წიგნებს ტყავის ყდაზე ნაწერს“ (12, 953).

ლექსში „ამალთეა“ ასეთი ლამაზი ლეგენდა შემოგვანათებს: „ათასწლეულების მერე, ურთა-ხეთის ქორთუებმა, ჩემი სახე, მაღლა ცაში მზით აზიდეს, რადგან ვით ზევსს მორდუები, კოლხური თხის – ამალთეას რძითა მზრდიდნენ“ (12, 952).

პოეტი სიამაყით იმეორებს უძველეს ცნობას: „ზღაპრული ქვეყანა ყოფილა კოლხეთი და კოლხებს თავისი კვირბები ჰქონიათ“ (12, 375).

კოლხური სულის ძებნა გრძელდება „სადღაც თესალიაში, კრეტა, პოლეპონესზე“ (12, 124).

ვაჟა ეგრისელი ვერ ეშვება კოლხეთს – თავისი შთაგონების წყაროს, მის ცას და ვაზს, არგონავტების ლეგენდარულ ხომალდს – არგოს და ლექსში „კოლხური ცის სიანკარე“ თავის სულს აიგივებს ფაზისისკენ აღმა მიმავალ არგოსთან: „კოლხური ცის სიანკარე, სვი და ღმერთმა შენ შეგარგო, ვით ნაჟური კოლხურ ვაზის. ლეგენდებში მიმცურავი შენ ხარ არგო, რომელიც კვლავ მიუყვება აღმა ფაზისს“ (2, 649).

დამოწმებანი

1. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ., 1991.
2. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 2001.
3. აკაკი ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში, თბ., 1964.
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970
5. აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, თარგმანი და შესავალი წერილი აკაკი გელოვანის, რედაქცია, ნარკვევი, შენიშვნები და საძიებელი აკაკი ურუშაძის, თბ., 1975.
6. ვლადიმერ სიჭინავა, ძველი კოლხეთის კულტურის ისტორიიდან. კვირბების ადგილისათვის ქართული დამწერლობის ისტორიაში. ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1953.
7. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 2, თბ., 2006.
8. ოთარ ჭილაძე, გზაზე ერთი კაცი მიდიოდა, თბ., 1994.
9. ვაჟა ეგრისელი, იქმენ ნათელი, თბ., 1993.
10. აკაკი გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983.
11. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I თბ., 1990.

12. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 3, თბ., 2007.
13. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 2, 2006.

სულის მკურნავი "სიბრძნის ღვინო" ვაჟა ეგრისელის პოეზიაში

ქართულ სალიტერატურო კრიტიკასა და მეცნიერებაში სამართლიანად არის მითითებული, რომ ვაჟა ეგრისელი არის „პოეტი ნოვატორი, პოეტი გამოცანა" (აკაკი თოფურია, ნოვატორული ძიების გზით) (1, 7), მეტაფორული ხელოვნების დიდოსტატი (ტიტე მოსია, „იქმენ ნათელი" ანუ პოეტური წარმოსახვის ფურორი) (2, 7).

ჩვეულებრივ, ნოვატორობას ყოველთვის იზმებს უკავშირებდნენ ხოლმე. თავის დროზე ასეთად მიიჩნეოდა რომანტიზმი, მოდერნიზმი (სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი), ავანგარდიზმი, სოციალისტური რეალიზმი, დღეს კი – პოსტმოდერნიზმი. მაგრამ დიდი შემოქმედება ყოველთვის ამა თუ იმ მიმდინარეობის დოგმებიდან თავის დაღწევის შემდეგ იწყება ხოლმე.

მეოცე საუკუნეში, სოციალისტური რეალიზმის ბატონობისას ყოველთვის იგნორირებული იყო სული, სულიერება, მაღალი ზნეობა, ეროვნულობა, ცხოვრების ფილოსოფიური საზრისი და ჭეშმარიტი სიბრძნის ფუძეთა-ფუძე – ბიბლია, რელიგია, ღვთისმეტყველება.

ვფიქრობთ, საბჭოთა ხომალდის საპირისპიროდ სვლის ნიმუშია ვაჟა ეგრისელის პოეტური სამყარო, რომელიც გამორჩეულია სულიერი ინდივიდუალობით, „მზის ბეჭდით" (პოეტის ტერმინია!). ამ ახლებური სიტყვის პლანეტაში უზენაესის აჩრდილია დავანებული და ღმერთისაგან ბოძებული „სჯულის ფიცარი" ბრწყინავს.

„კოლხური ფსალმუნების” ფენომენის შესწავლა შეუძლებელია ძველი მეთოდებით, ამასთან დაკავშირებით უკმარია ყველა ის კრიტერიუმი, რაც დღემდე ნიჭიერების საზომად მიიჩნეოდა და, რისი რეციდივებიც, დღემდე შემორჩენილი, დოგმატური პარტიულობის პრინციპის გაფეტიშებიდან, ავადსახსენებელი სოციალისტური რეალიზმის არსენალიდან მომდინარეობს.

ვაჟა ეგრისელის მოღვაწეობის დიდი პერიოდი ათეისტური იდეოლოგიის ბატონობას ემთხვევა, როცა არათუ აკრძალული იყო ღმერთის ხსენება, რელიგიურობა პოლიტიკური დანაშაულის, ღალატის ჭრილში განიხილებოდა, ქრისტიანობის ადგილი დაკავებული ჰქონდა მარქსიზმ-ლენინიზმს, გაფეტიშებული იყო ცალთვალა მატერიალიზმი, ნივთი, ამქვეყნიური მიწიერი კეთილდღეობა, ღმერთის თაყვანისცემა შეცვლილი იყო კერპთაყვანისმცემლობით, კომუნისტურ ხელისუფალთა კულტით, გონებადაბინდული ვაიპოეტები ხოტბას ასხამდნენ მოჩვენებით წარმატებებს, სამართლიანობის სახელით მოვლენილ ტირანებს, შემოქმედთა უპირატესობა მოკალათებული იყო გეზსამცდარ მარქსიზმ-ლენინიზმის ხომალდში.

ვაჟა ეგრისელს არასოდეს უკმევია გუნდრუკი მედროვე ხელისუფალთათვის, მისთვის ბოლომდე უცხო იყო სატანური ათეიზმი. უპირველესად, პოეტი დაუპირისპირდა სწორედ სულის, ზნეობის დამაკნინებელ მოძღვრებას და ეს „ამბოხება” მოთვინიერებულთა, ლაგამამოდებულთა ფონზე (ხშირად თავის გადასარჩენად მოთვინიერებულის ნიღაბი სჭირდებოდათ ჩვენს კლასიკოსებს) იმდენად შესამჩნევი იყო, რომ პოეტი ათეული წლების მანძილზე ამა ქვეყნის მიწიერ თავადთა და დაქირავებულ-მოსყიდული კრიტიკის გულგრილობის, უგულებელყოფის ჯვარს ეცვა.

კოლხეთიდან მოსული ქრისტეს მხედრის ნოვატორობა, უპირველესად, იმაში გამოიხატა, რომ მან ბიბლიურ მოსესა-

ვით დაამსხვრია გაბატონებული კერპები, ბომონები, უარყო ეშმაკეულთა თაყვანისცემა და სულ სხვა სადინარი მისცა ქართულ სიტყვას: "სასრულს მეორე ათასწლეულის, მგოსნებს ეჭვები რომ გაუჩინოს, პარნასის მაღალ მთაზე შეკრებილთ, მოვიდა ერთი, ვიღაც უჩინო და დაამსხვრია ბომონი და მისი კერპები" (3, 383).

„კოლხური ფსალმუნების" ავტორი მოგვევლინა, როგორც „ქართული სიტყვის რჯულმდებელი და სტრიქონებში მზის მთესავი" (3, 620).

მისი ლექსებიდან გაისმა ახალი, ჯერ მოუსმენელი ჰანგები, გავრცელდა ათეიზმით დაწყლულებული სულის მკურნავი სიკეთის, რწმენის ფლუიდები. ამ აიაზმის შემცველი სიტყვის ძალით გაოგნებული მკითხველი კარგა ხანს დუმდა.

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში მკვიდრდებოდა, ფრთებს ისხამდა ის თემები, ინტონაციები, სახეები, რასაც კრძალავდა სატანასთან წილნაყარი ხელისუფლება და განაქიქებდა დაქირავებული, სულდაბნელებული პროლეტარული კრიტიკა.

პოეტი ჯიუტად ერთგულებდა არა მოარულ, ზედაპირულ თემებს, მიწიერ მიეთ-მოეთს, არამედ ქრისტიანულ ღმერთს, ანგელოზებს, ეროვნულ სატკივრებს, მარადიული ჭეშმარიტებების მხატვრულად ხორცშესხმაში, ხალხისთვის ტაძრისკენ სავალი გზის გაკვლევაში ხარჯავდა სულის მთელ ძალისხმევას.

მას თითქოს ეპატარავებოდა დედამიწა, ვერ იგუებდა ეპოქის ქამანდებს და ხელმწიფის კვერთხს, მიწიერი დიდების არადჩამგდები, კოსმიურში იჭრებოდა, მხოლოდ უზენაესის შთაგონებით გაცხადებული სათქმელი გადაჰქონდა ქაღალდზე.

ბიბლიურ მოსესავით რიდე-მანდილით შებურვილს, ურწმუნოების უდაბნოდან მშობელი ხალხის გაყვანა და უწმინდესი წყაროთი დარწყულება დაესახა მიზნად; წიგნთა წიგნის სიბრძნესთან ნაზიარებს, სიტყვის ხნულში ახალი თესლის

ჩაგდება სურდა და მთავარი საძირკველი ჭეშმარიტებისა სწორედ წინასწარმეტყველთა ნააზრევში ეგულებოდა.

ისო ზირაქი გვასწავლის: „ყოველი სიბრძნე უფლისგან არის და მასთანაა საუკუნოდ“ (სიბრძნე ზირაქისა, თ. 1, 9) (4, 35).

„მყოფობს ყველა ხორციელში მისი ნიჭის მიხედვით, მიმადლის იგი მის მოყვარეებს“ (იქვე, 1, 19) (4, 35).

სიბრძნის სათავე უფლის შიშია და მორწმუნეებს საშოდანვე დაჰყვება თან“ (იქვე, თ. 1, 14).

„რადგან უფლის შიშია სიბრძნე და განსწავლულობა, მისდამი სასოება-რწმენა და სიმშვიდე“ (იქვე, 1, 27) (4, 35).

ისო ზირაქი გვირჩევს: “ყველა საღმრთო ამბის მოსმენა ისურვე და ბრძნული იგავები არ გამოგეპაროს“ (იქვე, თ. 6, 35) (4, 38).

„ბოროტის ცოდნა არ არის სიბრძნე და არც გონიერებაა იქ, სადაც ცოდვილნი ბჭობენ“ (იქვე, თ. 9, 22) (4, 44).

სიბრძნის შეძენაში წინამძღვარია ღვთის სიყვარული, რჯულის ცოდნა: „მხოლოდ ის, ვინც თავს შესწირავს უზენაესის რჯულის შესწავლას, გამოიძიებს წინაპართა სიბრძნეს და წინასწარმეტყველებაში გაიწაფება“ (სიბრძნე ზირაქისა, 39, 1) (4, 62).

გამოიკვლევს ანდაზების დაფარულ აზრსა და იგავთა გამოცანებს გამოიცნობს (იქვე, 39, 3) (4, 62).

ისო ზირაქი მოუწოდებს სულით რჩეულებს: „გამოეცით კეთილსურნელება საკმევლის ხესავით, აყვავდით, როგორც შროშანი, მოაფინეთ სურნელება და იგალობეთ საგალობელი, ყოველი საქმით უფალი აკურთხეთ” (ისო ზირაქი, 39, 14) (4, 62).

„უფალმა სიბრძნე ღვთისმოსავებს მისცა” (ისო ზირაქი, 44, 33) (4, 66).

რჯულის განმტკიცებისათვის ზრუნვა, ღვთისმოსაობა, იგავებით გადმოცემული სიბრძნე, საღვთო საგალობლები, აი ის, რითაც გამორჩეულია ვაჟა ეგრისელის პოეზია.

მის შემოქმედებაზე ფიქრისას ისევ ბიბლიური სიბრძნე გვახსენდება: "ჩემი სული შეეჭიდა სიბრძნეს და რჯულის საქმეშიც გავიწაფე. უფალმა მომცა ჯილდოდ ენა და მით შევაქებ მას" (ისო ზირაქი 51, 19, 22) (4, 72).

თითქოს ბიბლიური ბრძენის შეპასუხებად ისმის ვაჟა ეგრისელის სტრიქონები: "ქართული სიტყვის რჯულმდებელი და სტრიქონებში მზის მთესავი" (ქართული სიტყვის რჯულმდებელი) (1, 620).

„კოლხური ფსალმუნების" ავტორი ასეთი მაღალი გადასახედიდან განჭვრეტს ჭეშმარიტი პოეტის მისიას: "შენი აზრი ელვაა და მნათთა ოკეანეს ერთვის და ქარიშხლის სუნთქვაც ელის. შენი სიტყვა არის ღმერთი, გალობაა სულის მზრდელი" (შენი აზრი ელვაა და) (5, 829).

ჭეშმარიტი პოეზია ღვთის სულის გაცხადებაა მხატვრულ სიტყვაში ჯვარცმის ფასად და მისი მისია რელიგიის ტოლფარდია: "ათასეული წლის იქით, გოლგოთის გზებით უვლია – უკვდავებას რომ ერთვის და... პოეზია სულია უფალი ქრისტე ღმერთის" (ათასეული წლის იქით) (3, 845).

ვაჟა ეგრისელის „ციური არია, მარადისობის არია, ციური სიმღერები, ციურ აზრთა ნადავლი" სწორედ ბიბლიურ წინასწარმეტყველთა და ახალი აღთქმის მოციქულთა სიბრძნეს ეხმაურება.

საბჭოთა პერიოდში გარიყულნი, შერისხულნი და გაუცხოებულნი სწორედ ღვთისმოსავი პოეტები იყვნენ.

ტერენტი გრანელმა ასე უპასუხა ვლადიმერ მაიაკოვსკის, რომელსაც სურდა მისი ლექსების თარგმნა რუსულად: "ჩემს ლექსებში არ ჩანს წითელი აგიტაცია-პროპაგანდა,... ცხოველური აღტყინება, ბიოლოგიური პათოსი; არც და ვერც იქნება...

გამორიცხულია. ჩემს ლექსებში სულიწმინდის მადლია განფენილი. სტრიქონებში ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ხატებია ჩაწნული, მისტიური ხედვითაა გაცნობიერებული ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის წარსული და მომავალი, ღვთიური სულის განკაცებისა და ადამიანის უკვდავი სულის განღმრთობის საფეხურები... არამცთუ მთარგმნელი, არამედ წამკითხველიც (შემგრძნობი, გამგები) მისტი უნდა იყოს, უფრო მეტიც, განდობილი... ასე რომ... მარადისობას-პოეზიას არ ეჩქარება. პოეტებიც ნუ ავჩქარდებით. ოდესღაც, როცა ჩემს საფლავს დაადგება მზე შორეული რიცხვის და სულიერება აღორძინდება, "ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების" (ალექსანდრე სიგუა, მოგონება ტერენტი გრანელზე) (6, 412).

ვაჟა ეგრისელი იმთავითვე საუკუნის ჩრდილში დაკარგული ანუ პრიმიტიულ თანამედროვეთათვის შეუცნობელი და გაუგებარი პოეტი იყო და მას ტერენტი გრანელივით სჯეროდა დიდი ნათლის მოვანების, რაც დამსახურებულ ადგილს დაუმკვიდრებდა ქართულ პოეზიაში: "...და ჩემი სული, მზით შემოსილი, დედამიწაზე ვერ დაეტია. გაივლის ჟამი... დიდი ხნის მერე, ნათელი მოვა დღის ნაბოძები... და საუკუნის ჩრდილში დაკარგულს – ჩუმად მომძებნის" (იმედი) (2, 891).

პოეტი ჯიუტად მიიწევდა პარნასისაკენ, თუმცა ათეისტური ეპოქა მხოლოდ გულისტკივილს განაცდევინებდა: "ურწმუნოციის ქვეშ ბევრი ვეცადე, დარდის თოკებზე ვფენდი აზრის დიბებს და ფარჩებს. მე შენს მიუვალ ციხე-ციტადელს მაინც მივადგი სიყვარულის მაღალი კიბე" (2, 754).

სოციალიზმის ზეობის ჟამს ლიტერატურას სულიერების, რწმენის სამსახური როდი ეკისრებოდა, ის ქვეყნის არყოფილი წარმატებების, ხუთწლედების მეხოტბე და ხელისუფლების პოლიტიკის პროპაგანდისტი იყო.

ვაჟა ეგრისელის ლექსებიდან კი ანათებდა აზრი, სული, სიბრძნე, ღვთისნიერება, რაც ცალთვალა გნომებს არ გაეგებოდათ.

მისი წიგნების სათაურები: „ამაღლება”; „ნათელხედვა”; „იქმენ ნათელი”; „კოლხური ფსალმუნები” აფრთხობდა ორიენტირებდაკარგულ მკითხველს.

ვინ იყვნენ პოეტის წინაპრები, რა წყაროებით საზრდოობდა მისი „სულის მზრდელი” გალობა, რატომ გაურბოდა ეპოქის მავნე იდეოლოგიას, ძნელი გასაგები იყო პრიმიტივთათვის.

„კოლხური ფსალმუნების” ავტორის იგავები, საგალობლები, ტროპარი და კონდაკი და არა მოდური სონეტ-ტერცინა-ტრიოლეტები ღვთისაგან გაბრძნობილი პოეტის ერთადერთობას, შეუცნობლობას უსვამდა ხაზს.

სიბრძნე, ღვთიური ნიჭი მზესავით ბრწყინავს ვაჟა ეგრისელის ლექსებში.

ბიბლიამ საუკუნეებს იმიტომ გაუძლო, რომ იგი უცვალებელი სიბრძნის, მარადიული ჭეშმარიტებების საგანძურია, ღმერთის, სულიწმინდის შთაგონებით შექმნილი.

წმინდა წერილში სიბრძნეა წინა პლანზე და იგი ღმერთის მადლად არის აღიარებული (იგავნი სოლომონისა, 2, 617, 618), იგავნი 2, 18 (7, 619), იგავნი, 8, 11 (7, 622), იგავნი, 9, 10 (7, 623. ეკლესიასტე, 8, 3) (4, 12).

სიბრძნე სოლომონისა, 7, 21, 25, 26, 27, 28 (7, 24-25).

სიბრძნე სოლომონისა 8, 17 (4, 24).

ღმერთის ძიებამ, უზენაესის გამოცხადებამ მიიყვანა ვაჟა ეგრისელი უმაღლეს სიბრძნემდე – ღმერთამდე: „სულ რომ თოვდა, სულ რომ წვიმდა, დღეს სამივე ჩემთან არის – მამა, ძე და სულიწმინდა“ (მამა, ძე და სულიწმინდა) (2, 499).

ბიბლიური ბრძენის მოთხოვნას სიწმინდის შესახებ პოეტი თავისი ცხოვრების წესით აკმაყოფილებს: „შენ ხარ ხელმწიფე და წყვდიადში ნათელს ამეფებ, მიჰყვები დღეებს მზის კარე-

ბიანს, თუმც ზოგ-ზოგები სიძულვილის ლაფში ჩაეფლნენ, შენ საუკუნის ჭუჭყი აღარ მიგკარებია” (შენ ხარ ხელმწიფე) (2, 839).

ეს სიწმინდეა წარმატების უპირველესი გარანტია: “შენი სიცოცხლის სანაპიროზე არდაბერების ჰყვავის სოსნები, ზღვა და ღელვაა მარადისი შენი მხლებელი. თუმც წახდა ჟამი... მაგრამ მაინც პატიოსნება შენს სულში კვლავ დევს ხელუხლებელი” (შენი სიცოცხლის სანაპიროზე).

ბარუქ წინასწარმეტყველი მტრისგან დამონებული ისრაელის უბედურების მიზეზს სიბრძნის წყაროს – ღმერთის დავიწყებაში ხედავდა: „შენ დასტოვე წყარო სიბრძნისა“ (3, 12) (4, 190).

ღმერთისაგან გაუცხოებულნი, ვერც ჭეშმარიტი ცოდნის გზას იგნებდნენ, რადგან ისინი მიწიერ ცოდნას ეძებდნენ: „ახალგაზრდებმა იხილეს ნათელი,... მაგრამ ცოდნის გზა ვერ ისწავლეს” (3, 20) (4, 190).

იაკობ მოციქული განარჩევს „მიწიერ, მშვინვიერ, ეშმაკეულ სიბრძნეს და მაღლით გარდმოვლენილ, წმინდა, მშვიდობიან, ლმობიერ, წესიერ, წყალობათა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელ და უთვალთმაქცო“ სიბრძნეს (იაკობ მოციქული, 4, 13, 14, 15, 16, 17) (7, 298).

პავლე მოციქული „ქვეყნიერების, წუთისოფლის სიბრძნეს“ წარმავალს, სისულელეს, უგუნურობას უწოდებს (კორინთელთა, 20) (7, 357) და მას უპირისპირებს „ღვთის სიბრძნეს, საიდუმლოებაში დაფარულს, რომელიც წინასწარ განსაზღვრა ღმერთმა საუკუნეთა უწინარეს ჩვენი დიდებისათვის” (I, კორინთელთა, 2, 6, 7) (7, 358).

სულიწმინდის ქნარად წოდებული მოციქული ასევე განასხვავებს „ხორციელ გონებას“ (კოლასელთა, 1, 9) (7, 431), „ხორციელ სიბრძნეს” და “ღვღის მადლს” (II, კორინთელთა, 12) (7, 385).

სულიერი მამისთვის მიუღებელია „ფუჭი ამპარტავნობა ხორციელი გონებით“ (კოლასელთა, 2, 18) (7, 433).

მისი იდეალია სულიერი გონება, ზეციური სიბრძნე: „ვლოცულობთ თქვენთვის, რათა აღივსოთ მისი ნების შეცნობით, ყოველნაირი სიბრძნითა და სულიერი გონებით“ (კოლასელთა, 1, 9) (7, 431).

პავლე მოციქული ინტელექტუალურ გონებასთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს „სულიერ გონებას“.

უზენაესის შესაცნობად საჭიროა „სიბრძნისა და გამოცხადების სული“: „ვლოცულობ“,... რათა მოგცეთ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ღმერთმა, დიდების მამამ, სიბრძნისა და გამოცხადების სული მის შესაცნობად” (პავლე მოციქული, ეფესელთა, 2, 17) (7, 414).

ნეტარ ავგუსტინე განასხვავებდა ზერელე „სწავლას“ და „შემეცნებას” (8, 47-48), კიცხავდა ხორციელ სიბრძნისმეტყველებას” და მას უწოდებდა „სხეულებრივი გრძნობების უძლურებას“ (8, 4-50).

„საუკუნის შემეცნებისათვის საკმარისი სიმახვილე გონებისა ჯერ არ შეუძენია იმ ადამიანს, ვისაც მხოლოდ ხილულისა სწამს, ანუ წარმავალი საგნებისა. მაგრამ ასეთი სიმახვილე გონებისა იმას აქვს მომადლებული, ვინც ერთ ღმერთს განადიდებს – დამბადებელს და მომწესრიგებელს“ (8, 52).

წმიდა ნილოს სინელი წერს: „დიდი ძალისხმევით მოსწყვიტე თვალი ამქვეყნიურს, რამეთუ მისგან ამომავალი მავნე კვამლი აღამღვრევს სულს.

ყოველდღე ეზიარე საიდუმლო სერობას.

...ვერვინ შეიქმნება ღირს ზეციურ და ჭეშმარიტ მეუფისაგან სულიწმინდის ზეციური მადლის მიღებისა, თუ უწინარეს არ გაიწვრთნა წმიდა მცნებათა სწავლებით. და ამდენად ვერც თვით მადლის ზეციურ საჭურველს მიიღებს და ვერც გავა ბოროტ სულებთან ბრძოლაში” (8, 110-112).

ვაჟა ეგრისელის „შუბია” მარადისობა (ღმერთი): მარადისობა ხელთ ავიღო, ვითარცა შუბი”...

მისი იარაღია “მზე” და “სიხარული” – ღმერთი: „და დარჩენილი ჩემი დღეები მზეს და სიხარულს, ვით იარაღს კვლავ აისხამენ, როგორც მცხეთა და როგორც სარკინე, რადგანაც ვიცი, ბედი მრისხანე, ვით იაკობს, თვით უფალთან რომ შემარკინებს“.

პავლე მოციქული ამხელდა იმათ სერობებს, რომლებიც ერთად იკრიბებოდნენ, მაგრამ „უფლის სერს” არ ჭამდნენ (I კორინთელთა, 11, 20) (7, 373).

„ვაჟა ეგრისელი მიჰყვება „გზას ხილულს და გზას უხილავს”.

საიდუმლო სერობის მოტივი უმთავრესია მის შემოქმედებაში:

„შენი ლექსი, ციცქნა ლექსი, დიდ ტილოებს მიტომ მეტობს, საიდუმლო სერობა მასში მეტი, ვითარც ფუნχში ტინტორეტოს” (შენი ლექსი).

წმ. ნიკიტა სტიფატე წერს წმ. სვიმონ ღვთისმეტყველზე: “სიბრძნის მწვერვალებს შესწვდა, ღრმა რწმენით გარდამოვიდა კიდეც მასზე სული სიბრძნისა”.

...მას საღმრთო ნათელი ლამპარივით უნათებდა გონებას და სავსებით ნათლად გამოთქვამდა და წერდა იმას, რასაც ნათელმხილველის მზერა ხედავდა” (9, 441).

ნათელმსმენი და ნათელმხილველია ვაჟა ეგრისელი: – “ნათელმსმენს და ნათელმხილველს ნატვრა როგორ აუსრულდა. ციდან ვიღაც უხმობს: მალე! მიწაზე მზე გადასულთა – გულის ყურს და სულის თვალებს” (ნათელმსმენს და ნათელმხილველს) (5, 49).

წმინდათ, ღვთისმოყვარეთ “განაბრძნობს უფალი, ხოლო ვისაც თავი ბრძნად უჩანს, იგი ღვთაებრივი სიბრძნისაგან განდგომილია“ (წმ. ისაკა ასური) (10, 232).

... „თუკი ყოველთვის საღმრთო აზრებით იქნები დაკავებული, მაშინ ჭეშმარიტად იხილავ შენს სულში ქრისტეს ნათელს, დაუღამებელს” (10, 240).

წმინდა მამა გვმოძღვრავს: “სიმდაბლის გარეშე კაცი სრულყოფას ვერ მიაღწევს და მისი თავისუფლების სიგელი სულიწმინდის ბეჭდით არ იქნება დაბეჭდილი” (10, 243).

ვაჟა ეგრისელის სიტყვას “ბეჭედი აზის მზის”.

მზე – საღმრთო სახელია.

სიმდაბლე და მორწმუნოება მიიჩნევა სულიერი ხედვის გაღვიძების პირობად:

„ვისაც სიმდაბლე არ გააჩნია, ვერასოდეს მოიპოვებს სულიერ ხედვას, ხოლო სარწმუნოების მეშვეობით სულიერი თვალი ღმერთს ხედავს” (10, 435).

თავმდაბლობით, მორწმუნეობით სულიერი ხედვა აქვს გახსნილი ვაჟა ეგრისელის პოეზიის ლირიკულ გმირს, ის არის “უფლის მონა და მიამიტი” და ისო ზირაქივით ხედავს მზისთვალება უფალს: “...და ვითარცა ისო ზირაქს, შენც გიხილავს მზისთვალება უფლის მზერა” (11, 37).

„ღვთისმეტყველნი გვიცნობიერებენ, რომ არსებობს “ჯვარი თვისი და ჯვარი ქრისტესი”. ...”როგორი მძიმე ჯვარიც არ უნდა იტვირთოთ, იგი ფუჭია, ამაო, თუ მაცხოვრის შედგომის შემდეგ ქრისტეს ჯვრად არ გარდაისახა” (10, 438).

„ჯვარი თვისი” ქრისტეს ჯვრად გარდაისახება მათთვის, ვინც ქრისტეს გზას შეუდგა, რამეთუ ცხოვრების მიზნად ქრისტეს მცნებების აღსრულება დაუსახავს. ყოვლადწმინდა მცნებების აღსრულება არის ჯვარი იმ ადამიანისა, რომელზედაც თავად უნდა გავიდეს, ჯვარს აცვას გადაღრძუებული და ხრწნადი ადამიანური ბუნება, ვნებებით და გულისთქმით” (გალატელთა, 5, 24).

„ჯვარი მძიმეა, ვიდრე იგი არის “თვისი”, ქრისტეს ჯვრად გარდასახული კი უჩვეულოდ აღმსუბუქდება. თვით უფალიც

ხომ ამბობს: „უღელი ჩემი საამური არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“ (მათე, 11, 30) (7, 23).

„ჯვარი ქრისტესი ჯვარცმულ ქრისტეს მოწაფეს დედამიწას წარტაცებს, საკუთარ ჯვარზე გაკრული, შემმეცნებელი ამაღლებული სიბრძნისა, გონებითა და გულით ზეცად აღიტყორცნება და ჭვრეტს სულის საიდუმლოს უფლისა ჩვენსა ქრისტესსა” (10, 441).

ჯვარცმის და ამაღლების მოტივი მრავალგზის გაიჟღერებს ვაჟა ეგრისელის პოეზიაში: „ლაზთა წინაპარ ორფეოსივით – ხელთა გაქვს მზის და მთვარის საკრავი, რომელთა ჰანგებს მარად უსმენდი. დღეები ჯვარზე მაინც გაკრავენ, მწამს – ქრისტესავით დაილურსმები” (ლაზთა წინაპარ ორფეოსივით) (5, 654, 2).

სხივშემოსილი (სხივი, შუქი, ძე ღმერთის სახელია) პოეტი თავისუფალია ჯვარცმის შიშისგან, რადგან იცის, რომ ამაღლება, უფლის სავანეში ყოფნა მხოლოდ რწმენისთვის სისხლის გამღებთა ხვედრია: “ალბათ ჯვარზე გაგაკრავენ და მით უფრო გალაღდები... შემოსილი სხივთა მარჯნით – ქრისტესავით ამაღლდები და დაჯდები უფლის მარჯვნივ” (შემოსილი სხივთა მარჯნით) (11, 532).

ღვთისთვის იობის ტანჯვის გადასატანადაც მზად არის მისი პოეზიის ლირიკული გმირი: „ღვთისთვის, ვითა იობმა, უნდა მეტი ითმინო, უნდა მეტი იელვო, რომ იხილო წყვდიადში მზე ვით მითინათინობს, მთვარე ვით მიტარიელობს” (11, 364).

მზე ღმერთის, მთვარე კი მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლური სახელია (12, 124).

წმიდა გრიგოლ ნოსელი წერს მოსეს შესახებ: “საღვთო იდუმალგანდობამ განაბრძნო წყვდიადით გარემოცული მოსე. საიდუმლო სწავლის შეძენით საკუთარ თავს წარემატა იგი” (13, 113).

მაგიაში გაწაფული ბალაამი სულიწმიდის მობერვით “საღვთო განზრახვის ქადაგად იქცა” (13, 118).

ღმერთს ეწოდება აზრი და მოაზროვნე, სიბრძნე და ბრძენი, გონება და გონისეული, სიცოცხლე და ცეცხლი, ძალა და შემძლე” (იოანე დამასკელი) (14, 337).

„სულიწმიდა... ითქმის სულად ჭეშმარიტებისა და სიბრძნისა” (14, 341).

„ღმერთშია “სიბრძნის და ცოდნის ყველა დაფარული საუნჯე” (პავლე მოციქული, კოლასელთა, 2, 3).

„კეთილი ისაა, რაც ღმერთს ნებავს, რჯული კი არის ამის მსწავლელი მეცნიერება, რათა მასში მყოფნი სინათლეში ვიყოთ” (იოანე დამასკელი) (14, 454).

წმიდა ბასილი დიდი მოგვიწოდებს “დავამხოთ ღვთის მტერი ხორციელი სიბრძნე” (15, 92), რადგან იგი “ფუჭი ტვირთია” (15, 26).

ქართველი ჰიმნოგრაფი იოანე მტბევარი ევედრება ღმერთს: “აღმავსე საღმრთოთა მეცნიერებითა” (16, 190). ხოლო ბასილი არის, საღმრთოისა სოფლითა სიბრძნითა აღსავსე” (16, 117), „სიბრძნის უფსკრულთა” მავალი (16, 117, 70-75).

ვაჟა ეგრისელის პოეზიის ცენტრალური თემა არის ღმერთი, რწმენა, ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიების მხილება. პოეტი ღმერთის თანამგრძნობია, “უფლის მონა და მიამიტი” და ამიტომ დგას მის შემოგარენში სულის საკვირველი გაზაფხული: “უფალი ჩემში განვასხეულე, ჩემი სიცოცხლის გაზაფხული დღეებს უკვირდა” (უფალი ჩემში განვასხეულე) (1, 63).

სიწმინდით, ლოცვებით ეხსნება ცათა კარები, რათა იხილოს უხილავი, ჩაწვდეს ზეარსებულის არსს: “მწუხრში ზრიალით განიხვნება ცათა კარები, ლოცვების ბურუსს მიმოფანტავს ზესთა კრებული. დარეკავს წამი – უხილავის მოსახილველი,

განმიცხადდება მგოსანს არსი ზეარსებულის და ფრთე ნათლისა გადამივლის სახით ფრინველის” (ილორი).

„კოლხური ფსალმუნების” ავტორისთვის უპირველესი სიბრძნე არის ღმერთი. პოეტის ფიქრი „ციურ ქვაზე” ილესება, ანუ მორწმუნე პოეტი საღვთო სიბრძნეს ეყრდნობა: “...და დგება ჟამი ციურ ქვაზე აზრების ლესვის... ფიქრების რძიდან მთვარესავით ამომყავს ლექსი” (როს სოფლის თავზე) (5, 748).

უფლის შემწეობით “სიბრძნის ქვაზე” ილესება და რწმენის ხნულში ითესება უზენაესთან წილნაყარი სიტყვა: “უფლის ნებით შემწევს ძალა სიბრძნის ქვაზე აზრის ლესვის... და თუნდ იყოს კლდე პიტალო, რწმენის ხნულში სიტყვის თესვის, მიტომ უნდა აიტანოთ ქედმაღლობა ჩემი ლექსის” (მიტომ უნდა აიტანოთ) (1, 695).

„ციური ქვა”, “სიბრძნის ქვა” არის ქრისტეს მეტაფორა.

ახალ აღთქმაში ქრისტე არის “ცოცხალი ქვა, ადამიანებმა რომ დაიწუნეს, ღვთისგან კი რჩეული და ძვირფასია” (I პეტრე, 2, 3) (8, 304).

ქრისტე არის ლოდი, რომელმაც კერპი შემუსრა, ვეებერთელა მთად აქცია და მთელი დედამიწა დაფარა (დანიელ წინასწარმეტყველი, 2, 34) (4, 297).

ესაიას წინასწარმეტყველებაში ქრისტეს სიმბოლოდ ფიგურირებს ქვა, ქვა გამონაცადი, ძვირფასი ქვაკუთხედი, მყარი საძირკველი: “...ასე ამბობს უფალი ღმერთი: “აჰა, ქვა დავდევი სიონზე საძირკვლად, ქვა გამონაცადი, ძვირფასი ქვაკუთხედი, მყარი საძირკველი, მასზე დანდობილი არ აჩქარდება” (ესაია, 28, 16) (4, 93).

საუკუნებრივი ღირებულება მხოლოდ ღვთიური ცეცხლით მოსულ სტრიქონებს შეიძლება ჰქონდეთ: “მარადჟამს ღვთიურ ცეცხლით მოსილი მბრწყინავი თვლებად და მინანქრებად, საუკუნეთა ნადავლს რომ წონის, აზრის გოდოლზე დანთებული

სიტყვის კოცონი, შენი – სამშობლოს ფიქრთა მთაზე აღარ ჩაქრება” (მარადჟამს ღვთიურ ცეცხლით მოსილი) (2, 830).

პოეზიის გზაზე ვაჟა ეგრისელი არის თანამგზავრი მზის, სიცოცხლის, სიყვარულის (საღვთო სახელებია), რათა უზენაესის თანხლებით გაიაროს სამყაროს ყველა კიდე: „მზით და სიცოცხლით და სიყვარულით და თოხისტარზე გამოკრული მცირე სამხარით, გზას მიუყვება ერთი პოეტი, ნახა მაღრიბი... მიდის სამხრეთით... ელის მაშრიყი და ჩრდილოეთი“ (ერთი პოეტი) (2, 363).

სიტყვის უსასტიკეს ომში მისი უმთავრესი იარაღია მზე, სიხარული (საღვთო სახელებია) და როგორც ყველა ჭეშმარიტ შემოქმედს, ღმერთთან მებრძოლი ბიბლიური იაკობივით, უფალთან შერკინება უწერია: „ბრძოლა მომელის უსასტიკესი და დარჩენილი ჩემი დღეები მზეს და სიხარულს, ვით იარაღს, კვლავ აისხამენ, – როგორც მცხეთა და როგორც სარკინე, რადგანაც ვიცი, ბედი მრისხანე, ვითარც იაკობს, თვით უფალთან რომ შემარკინებს“ (ბრძოლა მომელის უსასტიკესი) (1, 293).

მართლაც, მისი საჯილდაო ქვა უფლისმიერი სიბრძნეა და ამ გაგებით პოეტის ხვედრი უფალთან მორკინე იაკობისას ჰგავს.

ვაჟა ეგრისელი არის მარადის ცისკენ მზირალი, ღვთისმოსავი, მისი სიტყვა სჯულის კანონივით, საღვთო წერილივით დიდი აზრის შემცველია, ყოველგვარ მრავალსიტყვაობას, ფუჭსიტყვაობას განრიდებული: „მარადჟამს ცისკენ ჩანგშემართული, მეხთამტყორცნელი და ღვთისმოსავი, დამურვებელი ზღვის და მზის ჰანგის, სწორედ ისეთი შენ ხარ მგოსანი, აზრის მფლანგველი, სიტყვის კრიჟანგი“ (მარადჟამს ცისკენ ჩანგშემართული) (2, 563).

პოეტს ეძახის მზე, სინათლე, სიშორე, სადაც „ცის ყვავილები“ ეგულება: „...მთვლემარე ღამეებიდან მესმის ძახილი მზის

და სინათლის, რადგან სიშორის კენწეროებზე მარად ყვავიან ცის ყვავილები“ (ცის ყვავილები) (1, 543).

მზე, სინათლე, ყვავილი საღმრთო სახელებია.

მარადისობას – ღმერთს, მარადიულ სიბრძნეს ეძებს ზეციური ცეცხლით მოსილი: „...და მამაღმერთი ტოვებს ბაბილონს, ირგვლივ ღამეა. განა მზე არი. მარადისობა სადღაც ყვავილობს, მეც იქ ამოვალ ცეცხლით-ზენარით“ (ცაზე ეცემა ჩრდილი გოდოლის) (5, 242).

შორეული სივრცისა და დროისათვის არის გამიზნული პოეტის მიერ შეკრებილი და გათავისებული მარადიული სიბრძნე – „ციურ აზრთა ნადავლი“: „...სადღაც შორეთს მიჰქრიან შენი ლექსის რაშები და თან მიაქვთ მსოფლიოს ციურ აზრთა ნადავლი” (ზღვა ბობოქრობს მგოსანთა) (5, 948).

სიბრძნეს, სიტყვას, ღმერთს ეძებს ვაჟა ეგრისელი ბიბლიური წინასწარმეტყველებივით: „ეძებს და ...მუდამ ჰპოვებს... მარადისობის შერთვის, ფიქრი – აწუხებს პოეტს. პოეზია, ვით ღმერთი, არის ანი და პოე“ (ეძებს და მუდამ ჰპოვებს) (2, 187).

მშობლიურ საქართველოში, მცხეთაში, სადაც ქრისტეს კვართია დამარხული, სადაც ბიბლიური ქალდეველების, Fდავით წინასწარმეტყველის შთამომავლები – ქართველები ცხოვრობენ, ბუნებრივია იესოს კვართის, დავით წინასწარმეტყველის შურდულისა და ქნარის მოლანდება: „...და ქართვლის ცაზე კვლავ მელანდება: „იესოს კვართი, შურდული და ქნარი დავითის” (ქნარი დავითის) (1, 485).

ასევე, ბიბლიურ სიბრძნესთან წილნაყარს, უფლება აქვს განაცხადოს: „ხმას ვცნობ მათეს სახარების და დავითის საგალობლის” (ხმას ვცნობ მათეს სახარების) (5, 818).

ვაჟა ეგრისელი მხოლოდ ფსალმუნების ავტორს ეჯიბრება ქართული სულის ბაღის, „გალობათა ციხე-კოშკის აშენებაში: “ვითარცა დარეჯანის ძე, მეცა ვარ ქრისტეს ნათლული და,

ღმერთო, ისიც მაღირსე, რომ ავაშენო ქართული ბაღი დავითის ბაღისებრ” (ვითარცა დარეჯანის ძე).

ვაჟა ეგრისელი გვეცხადება, როგორც “კოლხეთიდან მოსული... ქრისტეს მხედარი” (5, 861), რომელიც ახლებურ, კოლხურ ფსალმუნებს ქმნის: სხვაა კოლხური “ფსალმუნი”, სულ სხვა ჰანგი აქვს იადონს. ძნელ გზას ვერ გავიიოლებ და სათქმელს ვეღარ მივანდობ: სონეტს, ტერცინას, ტრიოლეტს” (სხვაა კოლხური ფსალმუნი) (5, 857).

არა სონეტები, ტერცინები და აღმოსავლური ტრიოლეტები, არამედ პოეტის იდეალია სასულიერო ჟანრები – „მთიებივით ტროპარი, ლოცვისფერი კონდაკი”: „ვითა ცეცხლი პრომეთემ, ღმერთს რომ ჩუმად მოპარე (შენ უფლება გქონდა კი?!!) მთიებივით ტროპარი, ლოცვისფერი კონდაკი” (ტროპარი და კონდაკი) (5, 812).

„სიბრძნის ქვევრში დაწმენდილი სიტყვა და აზრი უზენაეს სიბრძნესთან წილნაყარი ზედაშეა, რაც პოეტური თავისუფლების საწინდარია: „სიბრძნის ლაგვანში დადუღდა სიტყვა და აზრმა იმაჭრა, მით არ გიმტყუნა კალამმა, ცა – ქუდად აღარ მიგაჩნდა და დედამიწა – ქალამნად” (სიბრძნის ლაგვანში დადუღდა) (5, 752).

ვაჟა ეგრისელს სწამს და ეიმედება მხატვრულ-რელიგიური სიტყვის მკურნავი ძალის: „და შენ სიტყვით კურნავ სნებას, როგორც გალილეველი...”

პოეტი გამუდმებით დაეძებს “სიბრძნის ღვინოს”, მაგრამ არა მიწაზე, არამედ უზენაესის სავანეში: „მსურს, რომ სული განვიკურნო მთვარის ჩანგით, სიბრძნის ღვინით, როცა უფლის ცას შევუვლი, ღამის დარდში გახვეული მნათთა შორის ცოდნა ღვივის” (ღამის დარდში გახვეული) (5, 100).

მთვარე მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლური სახელია (!2, 124).

ღვინოს ქრისტეს სიმბოლოდ გააზრების მაგალითს ესაიას წინასწარმეტყველებაში ვპოულობთ: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით, ძველი, დაწმენდილი ღვინით” (ესაია, თ. 25, 6) (7, 91).

პოეტის ცოდნის წყარო ისევ და ისევ უზენაესია, როგორც ვხედავთ. რაც შეეხება სულის განკურნებას, ისიც უზენაესის მადლია: “მკურნალობა უზენაესისაგან არის და ნიჭიც მეუფისგან ეძლევა მას” (სიბრძნე ზირაქისა, 38, 2) (4, 61).

ბრძენთა გონის ძიებას პოეტი მიჰყავს ჰერაკლესა და აქილევსის აღმზრდელ კენტავრ ქირონთან, რომელიც იყო თესალიის მთებში მობინადრე ბრძენი, „ღვთიური მხეცი”, ტყის დემონი, ორმაგი ბუნების. უკრავდა ოქროს ქნარზე, იყო მკურნალი. ორფეოსს ასწავლიდა ქნარზე დაკვრას, იბრძოდა სიმართლისთვის. ეს სიკეთე ჩაუნერგა ათენამ” (აკაკი გელოვანი) (17, 518).

ყველგან ფიქრებს, უსაზღვრო და უნაპირო აზრს, ბრძენთა გონს ეძებს ვაჟა ეგრისელი და ამიტომ აინტერესებს კენტავრი ქირონი: “ღრუბლები კი ფიქრებია, მთვარე – ღამის აზრი არის, უსაზღვრო და უნაპირო. ვით ჰერაკლე, ბრძენთა გონს რომ მაზიაროს, კვლავ დავეძებ კენტავრ ქირონს” (ქირონი) (5, 36).

სიბილას წიგნებსაც შემთხვევით არ ახსენებს “კოლხური ფსალმუნების” ავტორი: “ვითარც სიბილას წიგნები, ჩემიც ნაწერია მზის მელნით და მთვარის კალმით, ფოთლებზე პალმის”.

სიბილა იყო ზეშთაგონებული წინასწარმეტყველი ქალი. სიბილების წიგნები – 14 წინასწარმეტყველის წიგნებია, ქრისტიანული და წარმართული ეპოქის, სხვადასხვა დროს შედგენილი. ესაა ქალაქთა და სახელმწიფოთა ბედის მაუწყებელი წიგნები. ქრისტიანობამ მიიღო ისინი, რადგან სიბილები ქრისტეს გამოცხადებასაც ქადაგებდნენ (17, 447-448). პოეტი მზის

და სიბრძნის სავანით, სიბრძნის ზღვის ამოთავთავებით ხარობს: “ორი ათასი წლის მერე, ამოდი, ამოთავთავდი – სილურჯედ იასამანის. მზისა და მთვარის სავანევ, ზღვაო, გულწრფელო ცათამდე” (ორი ათასი წლის მერე).

ზღვა პოეტის ბრძენი სულია, რომელშიც მზე (ღმერთი) და მთვარეა (ღვთისმშობელი) დამკვიდრებული. ეს სიბრძნე გამორჩეულია გულწრფელობით, სიწმინდით.

ღმერთის მაღალ გზაზე სიარული ერთეულთა ნიჭია: “გზას ხილულს და გზას უხილავს, მაღლა, მაღლა მისდევ უხმო მეხთა – ტეხად და ქუხილად” (ისევ ამაღლება) (5, 909).

პოეტის სული “უხილავით” (ღმერთით) გატაცებული სიმაღლის მოყვარული სულია: „ისევ ველტვი უხილავს, არად მგდები ხილულის, რადგან ამას მავალებს სული, აღმა მავალი” (ეკლესიის ზარები) (1, 645).

„უხილავის” მოსახილველად, უსმენელის მოსასმენად ეპატიჟება მკითხველს “კოლხური ფსალმუნების” ავტორი (2, 920).

„უკვდავ სხივთა ნათელი” ესხურება ზეციდან (ქრიან საუკუნენი) (5, 452), ღვთისგან ხელდასხმული, რწმენით მაღლდება: “ამაღლდები! აღწევს ელვად მამა-უფლის ხმა, ძახილი. რწმენის მირონს ცა აპკურებს” (5, 715).

„ბელტთა ყაყანში” ეძებენ სხვა ავტორები მოგების გზას, კოლხური ფსალმუნები კი მეცხრე ცაში, სილაჟვარდეში დანავარდობენ: “ათასწლეულთა ზარაფხანებში მგოსნის ფიქრი რომ დააგირაონ, ბელტთა ყაყანში შარას იგნებენ... და ფრთებგაშლილი შენი წიგნები მეცხრე ცის იქით, სილაჟვარდეში, უცხო ყივილით ჰკრავენ ირაოს” (შენი წიგნები) (5, 696).

რწმენით ხდება “განთიადის”, “წმინდა ნათელის” მიგნება: “აჰა, ამაღლდნენ ჩემი ფიქრები განთიადამდე, სადაც რწმენა მარად ციმციმებს და თავს ევლება წმინდა ნათელს ფარვანასავით” (ამაღლება) (5, 127).

სულის სხეულზე ამაღლებით არის შესაძლებელი ღვთის საუფლოში შეღწევა: “ამაღლდი სულო! სხეულიდან ამოიწიე! (გებღაუჭება მიწიერი არამიწიერს) და ღვთის საუფლო, უსამანო ლაჟვარდს გახედე! ეს სულ ერთია სივრცეები გერთვის თუ ერთვი და ამით უფალს თუ შესცოდე, ამ „სითავხედეს”, მაღალია და... შეგინდობს ღმერთი” (ამაღლება) (5, 29).

არა ცოდვილთა ეკლიან გზაზე, მარადისობის წმინდა სავანეში მოგზაურობს წმინდა სული: “შენმა სიცოცხლემ აფრა აუშვა მარადისობის მგრგვინავ გზაზე სახეტიალოდ” (2, 147).

„უფალი ჩემში განვასხეულე” – ასეა გამოხატული უფლის ხატად და სახედ შექმნილი ადამიანის მსგავსება სამყაროს უფალთან.

ღვთით და ლოცვებით გატაცებული სული წმინდა, მაღალი სულია: “ცათამდე ამაღლებული კაცი ფიქრით და ოცნებით, დაბლა მიწაზე ვერ ივლის. მე ვცხოვრობ ღვთით და ლოცვებით, მეუდაბნოე ბერივით” (ცათამდე ამაღლებული) (2, 681).

ვაჟა ეგრისელის პოეზიის ლირიკული გმირი არის “მეუდაბნოე, ღვთის მოშიშ ბერივით მწირი და მარტვილი და კვირის ლოცვებით მონუსხული” (მეუდაბნოე, ღვთისმოშიშ ბერივით) (5, 294).

მხოლოდ ღმერთშემოსილთა ხვედრია ცათა უფსკრულებში ჭვრეტა, კაცობრიობისთვის ახალი, მარადიული სათქმელის მიწოდება, ახალი ესთეტიკური სამყაროს შექმნა, ხოლო აქტუალური სიტყვის მიგნებას მთელი სიცოცხლე სჭირდება თავდაუზოგავი ძალისხმევა: „სამოსელი უფლის გმოსავს, ღამის უფსკრულებში მჭვრეტელს, უკვდავების მირონს აკმევ ფანტომებს, ახალ სივრცეს უჭრი სარკმელს, სიცოცხლე რომ მოანდომე” (სამოსელი უფლის გმოსავს) (2, 67).

ზესთასოფლის მკვიდრია ნათლითშემოსილი პოეტი, მიწიერი, მაგრამ მზესთან, მთვარესთან წილნაყარი, ცისკენ მზირალი და საბოლოოდ სიმაღლეში, მნათობებთან დავანებული:

“ნათლითშემოსილს, ვითარცა ქრისტეს, ეძახდა სულ სხვა სოფელი, რადგან მიწიერს მზის და მთვარის სისხლი ერია და... მიმწუხრისას ამაღლდა ცისკენ – მნათობთა მტვერში გაერია” (ნათლითშემოსილს, ვითარცა ქრისტეს) (2, 686).

იგი, როგორც საღვთო სიბრძნის გამთავისებელი, ღმერთებთან მოპაექრეა: “მოწყალებით გინათებს იქიდან – წინაპრის სული თუ ღამე! გიხდება ღმერთებთან დავა, ამ ბობოქარი ჟამის – აღმადინებით მავალს” (5, 654).

„რაღაც მღვრიე, რაღაც არაქაური” აფორიაქებდა გალაკტიონს.

„არაქაური უბერავს ქარი” (5, 414), ამბობს ვაჟა ეგრისელი და შთაგონების იდუმალ ქარებს უსმენს.

„გონიერი კაცის სიბრძნე საკუთარი გზის შეცნობაშია, უმეცართა სიბრძნე კი ცრუობაშია”, გვასწავლის ბრძენი (იგავნი სოლომონისა) (14, 6) (4, 626).

უფლის მადლით მოსილს, მზის გვირგვინოსანს, საქართველოს ცის მკვიდრს საკუთარი თავის შეცნობისაკენ მოუწოდებს იდუმალი ხმა: “უფლის მადლით მოსილი და მზის გვირგვინოსანი საქართველოს გშვენის ცა. ვიღაც კივის, მგოსანო! “თავი შენი შეიცან!” (თავი შენი შეიცან) (5, 495).

„იმ ერთმა გამოიარა ბნელი მზიანი ღამისა” – ასე ორიგინალურად გამოხატა პოეტმა საკუთარი ღვთისნიერობა, რადგან მის მიერ განცდილი “მზიანი ღამე” თვალშეუდგამი ნათელია, ანუ ღმერთი.

საგნებისა და ასტრალების სამყაროს, ხილულისა და უხილავის, შორეულის და ახლობელის სულით განჭვრეტას ავალებს ხვედრი: “იდუმალ მხმობს სამყარო მღვრიე და ასტრალური და ერთად ვჭვრეტ შორეულ ხილულსა და უხილავს” (მღვრიე და ასტრალური) (5, 522).

ღვთიური იდუმალება, მოკვდავთათვის შეუცნობელი, ქრისტიანული სამებაა თაყვანისცემის საგანი: “ღვთიურ იდუმ-

ალებით – შენი – მგოსნის სამიზნე კვლავაც არის მოცული. შენში სუფევს სამი მზე, სამივეზე ლოცულობ” (სამი მზე) (5, 231).

წარმოუდგენელია ამაზე ახლოს მისვლა უზენაეს იდეალთან.

უფლისგან ხელდასხმული, სამებისაგან განუყრელი, მიზნად ისახავს ადამიანის მეს, სიკვდილ-სიცოცხლის, ზესკნელ-ქვესკნელის საიდუმლოებათა წვდომას და ტკბილი წამებაა ეს მარადიული ძიება: “ცხოვრებაა – წამება, რადგან როგორც სამება, ერთურთს გადავეფსკვენით: მე, სიცოცხლე, სიკვდილი, ზესკნელ-შუასკნელ-ქვესკნელი” (სამება) (5, 552).

ათასწლეულებისთვის არის გამიზნული მზესთან და მთვარესთან წილნაყარი, და ვარსკვლავებიანი ცისგან შთაგონებული სიტყვა: “მზისა და მთვარის როდინით ათასწლეულებს დანაყავს სიტყვა და... მუდამ ვშეფობდი: მთას – მუდამ მზირალს ამაყად, ცას – ვარსკვლავებით შეფოთლილს” (მზისა და მთვარის როდინით) (5, 101).

საუკუნეების, წუთისოფლის საიდუმლოებების შეცნობა, უზენაესის კარიბჭემდე მისაღწევი სიტყვის მიგნებაა პოეტის უზენაესი მიზანი: “მას ძალა შესწევს ქადილის და ფიანდაზებად საუკუნეებს ფეხქვეშ დაიგებს. სიტყვის ქამანდით წუთისოფლის ქროლვას დაიჭერს, კიდევ ცოტა ხანს თუ დააცდის არსთა განმრიგე, ო, უხილავო, მოადგება ის შენ კარიბჭეს” (ო, უხილავო) (1, 661).

დანტე ბრძანებდა: “ნააზრევმან ფილოსოფოსთა და ხმამან, ციდან ჩვენს მიწაზე ჩამოღწეულმან, მათ ამოტვიფრეს სიყვარული იგი ჩემს გულში” (18, 183).

ვაჟა ეგრისელი გაბრძნობილია წმინდა წერილის მარადიული აზრებით, მსოფლიოს რჩეულ ღვთისმეტყველთა, ფილოსოფოსთა, სასულიერო პოეზიის ნათელმოსილ სახეთა, უცხო-

ური და ქართული კლასიკური ლიტერატურის კორიფეების, ხალხური შემოქმედების მოგვთა სულიერი ნათელით.

მისი შემოქმედების უპირველესი წყარო არის ბიბლია: “და მოვუხმე ორ დიდ დავითს: ერთს, ვით მეფეს და მესიას და მეორეს მეფსალმუნეს” (ორ დიდ დავითს) (....270ვ).

სწორედ “ფსალმუნების” ავტორს ეჯიბრება ქართველი პოეტი, რომ ააშენოს ქართული სიბრძნის ბაღი – დავით წინასწარმეტყველის “ფსალმუნების” ტოლფარდად მოაზრებული „კოლხური ფსალმუნები”.

ბიბლიური, მარადიული სახეებია დავანებული ვაჟა ეგრისელის პოეზიაში: “...ოქროში მცურავ შენს ყვავილნართან, თითქოს უდაბნოს სუნთქვა ვიგრძენი და... მოყვავილე ჩემი სტრიქონი წარსულს მოვწყვიტე და მოგიძღვენი, ვითარცა ვარდი იერიქონის” (ვითარცა ვარდი იერიქონის) (1, 459).

სხვაგან პოეტის ლექსები მოიაზრება, როგორც მამულის “იერიქონის საყვირი”: “...და ჩემი ლექსის ყველა სტრიქონი, მოშურნეთათვის ჩემი მამულის არის საყვირი იერიქონის”...

დავით წინასწარმეტყველთან ერთად, ვაჟა ეგრისელის იდეალია ბიბლიური სოლომონის ნააზრევი და შემოქმედებითად ითავისებს ეკლესიასტეს სიბრძნეს: “ამქვეყნიურ წყვდიადში რადგან ელვად გამოჩნდი, ყოფნის ჟამი იტირე, არყოფნის კი იმღერე, სიცოცხლეც და სიკვდილიც ორივე შეიფერე” (ამქვეყნიურ წყვდიადში) (5, 568).

ვაჟა ეგრისელის “ციური არიის” მასაზრდოებელია “კლდე” (ქრისტე) და ღვთის “კიბე” მარიამი: “მთიები სიშორეს გალობენ და ისმის ციური არია – როს უმზერ კლდესა და ღვთის კიბეს – ბარძიმობაზე შუქმფინარ მარიამს” (მთიები სიშორეს გალობენ) (5, 274).

იმედის წყაროა მთა ქორიბის (მოსესთვის ღმერთის გამოცხადების ადგილი) მოსეს კვერთხი (მარიამის სიმბოლოა), კლდე (მარიამი), წყალი (ქრისტე): “...იმედად ჩანს მთა ქორი-

ბის, მოსეს კვერთხი, კლდე და წყალი“ (კლდე და წყალი) (2, 270).

პოეტის იდეალია ჯადოსნური მუსიკოსი ორფეოსი, ღვთისმეტყველები – დიონისე არეოპაგელი, წმინდა გრიგოლ ნოსელი, რომლებიც სულთა მარადისობაში არწმუნებენ: “სულთა მარადისობას დრტვინავს ზესთა სამყარო და ცისფერი ქარები ჰგვანან მახვილს ალესილს – მთვარის შესამოსელით. ორფეოსის ხმა მესმის, ზარი არეოპაგელის და “პასუხი ექსუთა... წმინდა გრიგოლ ნოსელის” (სულთა მარადისობას) (3, 894).

საგულისხმოდ ესახება ქრისტეშემოსილი გრიგოლ ნოსელის მოწოდება – ახალი კაცის – ქრისტეს მოძღვრების გათავისებაზე: “მსგავსად წმინდა გიორგის, ბევრი ათასწლეული ვაებას გაუძელით, ხმაც გვესმოდა ნოსელის: “განიძარცვეთ მუნ ძველი, ახლით შეიმოსენით”...

წმინდა მამის ღვთიური ხმა მრავალგზის ჩაესმის: “ეს წუთებია ღვთიური: ხმა მესმა გრიგოლ ნოსელის” (11, 329).

მრავალგზის გასათვალისწინებელია პეტრე იბერის (ფსევდო დიონისე არეოპაგელის) და იოანე ლაზის მოძღვრება: “დოქტორი იერარქიის, რომელმაც მზე ქართული, უფრო მაღლა აზიდა, თავის მოძღვართან ებრძვის სიკვდილსა და სიბერეს (იოანე ლაზი და... დიდი პეტრე იბერი” (დოქტორი იერარქიის) (11, 352).

„უფლის წყარო” მოედინება ვაჟა ეგრისელის შემოქმედებიდან, როგორც ბრძენი დიონისე არეოპაგელის საღვთისმეტყველო ნააზრევიდან, მოსესავით სასწაულმოქმედი კვერთხის მფლობელია: “მეცხრე ციდან ჩამოსული – სინათლის და მზის მთესავი, ვით ბრძანებდა ბრძენი დივნოს; კვერთხს დაჰკრავ და კლდეს გააპობ მოსესავით, უფლის წყარომ რომ იდინოს” (მეცხრე ციდან ჩამოსული) (11, 494).

პოეტს არ ავიწყდება პატივის მიგება დიდი ღვთისმეტყველის – გრიგოლ ნაზიანზელისთვის: “შენც მზეში ჭვრეტ სამებას, როგორც ნაზიანზელი” (11, 14).

დიონისე არეოპაგელს საღვთო ეპითეტით – “საცნაური მზე” (ქრისტეს სახელია) მოიხსენებს პოეტი: “ფერმკრთალ ნისლად, ცისქვეშეთში რაც რომ ვაგე, ვუხმობ – “საცნაურად მზისა” დიონისე არეოპაგელს”...

ამ ბრძენებთან მოიაზრებიან ლეგენდარული კოლხები აიეტი და ფარტაზი: „...ათასწლეულების მერეც – ვარსკვლავივით ბრწყინავს აზრი: ბრძენი იოანე ლაზის, დიდი პეტრე იბერის და აიეტის და ფარტაზის” (11, 789).

საწუთროს რაობის უცდომელი დახასიათების მაგალითებია იოანე დამასკელის და იოანე ოქროპირის ნააზრევი: “ვითარცა თქმულა, ეს საწუთრო ცბიერია და ორპირი. ეს ჩვენ ბევრჯერ დავასკვენით, გამოვცადეთ და მოვპირეთ, მოთქვამს ორი იოანე: დამასკელი... ოქროპირი” (ორი იოანე) (11, 348).

სიბრძნით დახუნძლული და სიყვარულით მოსილი “ყოფნის ხე” (სიცოცხლის ხე) ქრისტეა, “ათორმეტი ნაყოფით” ანუ 12 თანამეინახე მოციქულით: “მარადიულ შიშით და სიყვარულით მოსილი შრიალებს ხე – აქ ყოფნის, დახუნძლული სიბრძნით და ათორმეტთა ნაყოფით” (მარადიულ შიშით და) (11, 340).

ვაჟა ეგრისელს სულიერი ერთობა აქვს ქართული სასულიერო პოეზიის რჩეულებთან – იოანე მინჩხთან და იოანე მტბევართან: “სული ედგათ ციური და უღმერთოდ ვერ ძლებდნენ, დაბლა, დედამიწაზე მარად დაუტევარნი. ცაში „ყვავილს ეძებდნენ – იოანე მინჩხი და იოანე მტბევარი” (სული ედგათ ციური) (3, 848).

ცის ყვავილი ქრისტეა.

პოეტი ამბობს: “და მე სიბრძნეს ვესესხები ჰიმნოგრაფებს, ჰაგიოგრაფებს (ხანძთაში) (11, 325).

ასევე გაუხუნარია ათი საუკუნის წინანდელი ნააზრევი ხუთი ქართველი ჰიმნოგრაფის: იოანე შავთელის, იოანე მინჩხის, იოანე მტბევარის, იოანე ზოსიმეს და იოანე ბოლნელის: “ათი საუკუნეა გალობა რომ მოისმის უფლისაგან მოვლენილ ხუთი იოანესი: შავთელ-მინჩხის-მტბევარის, ზოსიმეს და ბოლნელის” (ხუთი იოანე) (11, 351).

პოეტს საყურადღებოდ ესახება ის, რაც “უთქვამს ეფრემ მაწყვერელს , ქრისტეფორე კვირიკელს” (IX საუკუნე) (5, 273).

ღვთისკენ სწრაფვით იზიდავს “ჭილ-ეტრატის იადგარის” სტრიქონები: “ციურ სიმყუდროვეში, როცა ის კითხულობდა – ჭილ-ეტრატის იადგარს – უცაბედად მაცხოვრის მაღალ ჭიშკარს მიადგა” (ჭილ-ეტრატის იადგარი) (5, 531).

„ოქროვან ხანად” წარმოიდგინება დავით აღმაშენებლისა და მისი ბრძენი მოძღვრის – გიორგი ჭყონდიდელის ეპოქა, გრაალის მფლობელი დიდი მეფის “გალობანი სინანულისანი” და იმ გარემოში დავანებული დიდი პოეტურ-ფილოსოფიური აზროვნება სახელდებულია, როგორც „სიბრძნის ჩხანა”(ჩხანა – მზიანი დღე – მეგრ.): “ამ მეოცე საუკუნეს... დიდი მეთერთმეტის – ოქროვანი ახსოვს ხანა, როცა ქართველთ გულს უთბობდა ჭყონდიდის და დავით მეფის სიბრძნის ჩხანა” (ამ მეოცე საუკუნეს) (11, 654).

ქრისტიან ასკეტებთან პოეტს ის ამსგავსებს, რომ ისიც ლოცვით დაღლილი მეუდაბნოე ბერივით მზად არის სულისთვის ხორცი გაწიროს: “ლოცვით დაღლილი, ვითარც მეუდაბნოე ბერი, ღამეს წყვდიადში ათევ. ხორცი სულისთვის მიეც. ბნელი შეცვალე ნათლით, ყოფნით, არყოფნა ძლიე” (ლოცვით დაღლილი ვითარც) (5, 975).

პოეტი პოეზიის უდაბნოში აღკვეცილი ანაფორიანი მგალობელი ბერია უფლის ნებით და რწმენის მირონის მადლით მარადიულობაში მკვიდრდება: “ჩამაცვა გალობის ანაფორა და პოეზიის უდაბნოში უფალმა აღმკვეცა ბერად. მირონით

სავსე მაქვს მზის ამფორა, მას ჟამი ვერ დაამსხვრევს, ვერა!” (ჩამაცვა გალობის ანაფორა).

მთავარი ძალა და შემოქმედების იმპულსი ღვთის მადლია: “მადლს გწირავ, მაცხოვარივით, რომ ამამაღლე შენს ცამდე – უფალო!” (მადლს გწირავ) (3, 823).

ვაჟა ეგრისელის პოეზიის ერთ-ერთი წყაროა ორი დიდი ფილოსოფოსი – ბერძენი პლატონი და ქართველი იოანე პეტრიწი, რომელთაც სანთელს უნთებს: “შენც, ვითარცა თეოლოგი, ზეციურის ნახვას ნატრობ, ლოცვას მიაქვს მეტი წილი... თუმცა სანთელს უნთებ პლატონს იოანე პეტრიწივით” (შენ, ვითარცა თეოლოგი) (5, 214).

ორპირ დროშიც არ ხუნდება პატიოსნებასთან წილნაყარი სიბრძნე პლატონისა და პლუტონის: “...სიცრუემ და ორპირობამ სული წალეკა და თქმა მართლისა მზისებრ გაძვირდა, კაცობა პლუტობს. კრძალვით შევცქერი სიბრძნის ტაძრიდან პლატონს და პლუტონს” (სიცრუემ და ორპირობამ) (5, 250).

ვარსკვლავეთშია ქართველი პოეტის შეხვედრის ადგილი დანტესთან და ვაჟასთან: „...აჰყვები ვარსკვლავების – ყვითელ ქვაფენილს, კარს მიადგები სად ვაჟა და სადაც დანტეა” (სადაც დანტეა) (5, 480).

ცის მოხილვის შემდეგ, დანტესავით ქვესკნელს ეახლება:

“ცა გაქვს მოვლილი და ახლა, ვით ალიგიერი, ქვესკნელს უსინჯავ ფერსა და გემოს” (5, 602), ამბობს იტალიელ გენიოსთან სულიერი ნათესაობის შემცნობი.

„ჯოჯოხეთგამოვლილი” ქართველი პოეტი მომხრედ, მონათესავედ თვლის რუსთაველს და დანტეს: “მე, ჯოჯოხეთგამოვლილი, ვუხმობ რუსთაველს და დანტეს – მტერი არა! მომხრე მინდა!”

უპირველეს წყაროდ, სტიმულად ესახება შოთა რუსთაველის გენია: “დიდი რუსთაველის სახე წინ მინთია, ვით ლამპარი” (დიდი რუსთაველის სახე) (3, 143).

ვაჟა ეგრისელი იგავურ-სიმბოლურ ჭრილში კითხულობს შოთა რუსთაველის პოემას, რადგან თვითონაც გათავისებული აქვს ამგვარი აზროვნება: “ხელს გიწვდიდა საალერსოდ ქართული ცის ათინათი... ვეფხვის ტყავში გახვეული შოთას სიბრძნე” (ხელს გიწვდიდა საალერსოდ) (3, 228)

დიდ წინაპართან სულიერ ნათესაობას ასეთნაირად გამოხატავს ჩვენი თანამედროვე: “ჩემს წიგნებში გაწოლილი, სტრიქონები კი არა და, შოთას ვეფხვის ზოლებია” (ავთანდილის ისრით ნატყორცნ) (3, 297).

გენიალური “ვეფხისტყაოსნის” სტიმულით შეგულიანებული, მისი ავტორის კვალზე მავალი პოეტი აცხადებს: “ვეფხვის ზოლებზე დავწერო, რაც შოთას დარჩა უთქმელი”.

განსაკუთრებით ორი პოეტი აგრძნობინებს ქართული სულის სიდიადეს: “შენ ხარ შოთას ნაგრამი და დიდი ვაჟას ნატამალი” (დიდი ვაჟას ნატამალი) (3, 939).

ორი დიდი ქართველი გენიოსია მისი გზამკვლევი: „შევცქერი მთას და მწვერვალებს, უქრობი ცეცხლი მედება, შოთას ფარი და შიმშერი გზას მიკვლევს, მეიმედება, მაგრამ მე ვაჟა მიშველის” (იმედი) (3, 548).

ვაჟა ეგრისელის დევიზია არა სხვათაგან გამჟღავნებული სიბრძნის გამეორება, არამედ იმის ძიება, რისი მიგნებაც სხვებმა ვერ მოასწრეს: „ვით დიდი მთები და მწვერვალები – პონტოს მწუხარე ზღვაში აბზინდა – ის, რაც დიდ ვაჟას დარჩა უთქმელი. შენი ლექსების ფარზე აზიდე სიამაყე და სიბრძნე რუსთველის” (ვით დიდი მთები და მწვერვალები) (3, 46).

გამორჩეულია “კოლხური ფსალმუნების” ავტორის მიმართება ვაჟა-ფშაველასადმი, რაც, უპირველესად, ერთგვარი პოეტური ინტერესებით აიხსნება: “მე პოეზიის არწივი კვლავ ფრთაგაშლილი წინ მიზის, და ნურვინ მნახოს შემკრთალი. თუმცა ფშაველის – დიდი მზის, სხივი ვარ, ისიც შემკრთალი” (პოეზიის არწივი) (3, 902).

ეს აზრი მეორდება ლექსში “მე ვაჟას სისხლის წვეთი ვარ” (3, 1015). “მე ვაჟას სისხლის წვეთი ვარ და... ნურვინ განმაცალ-კევოს”...

სხვაგან ვაჟასთან სულიერი სიახლოვე წარმოდგინდება ამ-გვარად: “...ძმა მგონი ხარ,... წინაპარიც... და ასევე თანატოლი” (მთაწმინდაზე წევხარ ახლა) (5, 650).

ამ პოეტთა მიმართება სერიოზული კვლევის საგანი უნდა გახდეს მომავალში.

ვაჟა ეგრისელს, როგორც ჭეშმარიტ პოეტს, უსათუოდ სჭირ-დებოდა სხვა დიდი წინამორბედების – ნიკოლოზ ბარათაშვი-ლის, გალაკტიონ ტაბიძის გზების განჭვრეტა: „იქ კვლავ მოის-მის ჭიხვინის ხმა „ლურჯა ცხენების”, „ყორნის ჩხავილი” და „მერანის” ფლოქვის წკარუნი” (სადღაც იდუმალ სიმყუდროვე-ში) (5, 845).

არაერთგზის ახსენებს ორ დიდ წინაპარ რომანტიკოსს – ქარ-თველ ნიკოლოზ ბარათაშვილს და გერმანელ ნოვალისს: „...და ვით ბინადარს მომავლის, ცისკენ გეწევა ცისფერი, ვით ტატოსა და ნოვალისს” (ცისფერი ყვავილები) (3, 846).

მომავლის პოეტი ოქროს ნავით მიექანება ზეცისკენ, რო-გორც გალაკტიონი და ნოვალისი: „ვარსკვლავთა ოქროს ჯაჭ-ვებზე ჰკიდია მთვარის ოვალი და მიაქანებს ოქროს ნავს – მისკენ პოეტი მომავლის. ალბათ ცა ასე უხმობდა – გალაკტი-ონს და ნოვალისს“ (მომავლის პოეტი) (5, 552).

წინაპართა სახეები და ხმები გამუდმებით ახსენებენ თავს: “მთას რომ გავხედავ, დამიდგება ვაჟა-ფშაველა, ცას თვალ-ცრემლიანს – რუსთველი და გურამიშვილი. თოფის ქუხილზე – გაიელვებს შუბლი ილიას და „სამძღვარს“ იქით ტატოს „მერნის” ჭიხვინი მესმის” (3, 112).

მთების სიმაღლესა და სიდიადეში ჭვრეტს რუსთაველს, დანტეს, გოეთეს (მთები) (5, 281).

ვაჟა ეგრისელი არის რჯულის, რწმენის მსახური პოეტი, ტრადიციების შემოქმედებითად გამთავისებელი, წმინდა სისხლის პოეზიის ერთგული: “ქართული სიტყვის რჯულმდებელი და სტრიქონებში მზის მთესავი, ცურტაველიდან, მერჩულიდან, მისხიდან-მისხით, ყველა შენია ქრისტესავით, რადგან შენი სიტყვა – პოეზიაა წმინდა სისხლის” (ქართული სიტყვის რჯულმდებელს).

და ბოლოს, სრულიად ლოგიკურად, ქართული სიტყვის მწვერვალების გვერდზე მოინიშნავს ადგილს: “ტანთ ვეფხის ტყავის გაცვიათ ქურქი და გადმოჰყურებთ სხვა სიმაღლიდან, სივრცეებს წვდება მზერა ქართული. ქართული სიტყვის უკვდავ ტოტზე მეც ვარ ნამყენი. მიწი-მოწიეთ, მთებო, მხრები გოლიათური და თქვენთან ერთად მეც დამაყენეთ” (მთები) (3, 479).

„ქართული სიტყვის ათასწლოვან ტოტებზე მჯდარი” პოეტის სიტყვას (ვით მაფშალია) (3, 218). „თავზე ნამუსის ქუდი ახურავს, მამა-პაპათა აცვია ხამლი... და ჩემი სიტყვა... ამაყია და თავმომწონე, როგორც ცისკრისას ყივილი მამლის, ციხის გოდოლზე დანთებული როგორც კოცონი” (ჩემი სიტყვა) (3, 702).

ამ სიბრძნით სავსე სიტყვის ორიგინალობაზე, გამორჩეულ ხელწერაზეა საუბარი ვაჟა ეგრისელის ლექსში “ქართული სიტყვის მარანში” (3, 248): “ქართული სიტყვის მარანში მაჭარით დაუდუღარით ვავსებ – ჭურებს და ლაგვანებს. მსურს ჩემი ღვინო სხვას ჰგავდეს, მაგრამ ვერაფრით ვამგვანებ” (3, 248).

„კოლხური ფსალმუნების” ავტორს “მოწყალებით უნათებს... წინაპრის სული თუ ღამე” (5, 654).

ამ წინაპრებიდან, ტრადიციებიდან უპირველესია კოლხეთი: „აქ, ფაზისის ნაპირებზე თქმულებებს და ოქროს ვერძებს კვლავ ვაძოვებ” (არა, მეოტიდის ზღვასთან) (3, 954).

საყურადღებოა განაცხადი: “მეც აიეტივით ფაზისის ემბაზში ვარ განბანილი” (კირძები) (3, 913).

პოეტი ღვთის წყალობად მიიჩნევს, რომ ოქროს საწმისის დიდი სიბრძნის ტრადიციები მის შემოქმედებაში გაგრძელდა საუკუნეების შემდეგ: “აიეტივით მზის შვილი ნაპირებიდან ფაზისის – კვლავ ოქროს ვერძებს მოდენი. შენს ბედს ბეჭედი აზის მზის და... ქვეშ ხელს აწერს ლოდინი” (აიეტივით მზის შვილი) (3, 889).

მისთვის ახალი ოქროს საწმისია „იქმენ ნათელი“ (სიტყვა ღმერთია) (1, 227), „კოლხური ფსალმუნები“.

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში გაიგივებულია ოქროს საწმისი და გრაალი. გრაალი გააზრებულია წიგნის იდენტურად და გრაალის იდეალის მხატვრული ხორცშესხმის მაგალითად მიჩნეულია მისი „კოლხური ფსალმუნები“ (იხ. ჩვენი „გრაალი – კაცობრიობის მარადიული იდეალი“, წიგნში “წერილები. აპოკალიფსური სახეები... გრაალის იდეალი..., თბ., 2009, გვ. 141-150).

კოლხური თეთრიც თავისი პოეზიის სიმბოლოდ უქცევია პოეტს: „მამულო ჩემო! აჰა, ჩემი კოლხური თეთრი”...

ამ სიბრძნის, სიწმინდის, რჯულის მკვებავია წყლის ღვთაება იგრისი: “დიდი ხნიდან კოლხეთს სახლობს და ენგურის აკვანს არწევს, სამყოფია აქ მისი. უკვდავების წყალს მაწვდის წყლის ღვთაება – იგრისი” (იგრისი) (2, 953).

პოეტი იხსენებს ჰელიოსის ძეს აქციუსს, როგორც სიბრძნის და სინათლის მთესველს, რომელმაც ეგვიპტეში ააგო ჰელიოცენტრი: “სიბრძნეს და სინათლეს თესავდნენ ეგვიპტეს და ანატოლიას და ნაშიერნი აქციის: ჩემს ენას არასდროს ჰყოლია არც მეზობელი, არც ნათესავი“ (11, 854).

პოეტს არ ავიწყდება ფაზისის აკადემიაში განსწავლულები: „...აწ უკვდავებს ჟამმა სდიოს – სიბრძნემიღებულებს ფაზისს: ევგენიოსს, თემისტოსს“ (ევგენიოსი და თემისტოსი) (11, 796).

სხვაგან აცხადებს: “კოლხთა სიბრძნეს ღაღადებენ ქუჯის ციხის ნანგრევები” (11, 930).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი თავის სიბრძნეს და სიდიადეს “სულის მზრდელთ” უმადლის: „მზიანი და მზით მოსილი, სულის მზრდელი უნდა მიქონ, რომ თავს ადგეს ათი მნათი“ (მზიანი და მზით მოსილი) (11, 350).

რჩეულ შვიდ პოეტთა და შვიდ ბრძენთა მისათვალი კოლხურ სულს აუკვდავებს გულის მალამოდ: „შორ წარსულიდან მოსული, კოლხის სული აქ ტრიალებს, მეასედ მძებნელი სიბრძნეთა და გულს ედება მალამოდ. კაცო! შენ მისათვალო შვიდ პოეტთა და შვიდ ბრძენთა” (შორ წარსულიდან მოსული) (11, 905).

კოლხური სიტყვის ოკეანის პოტენციური შესაძლებლობები ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში პოულობს გამოხატულებას: „კოლხური სიტყვის მძინვარ ოკეანეში ვჭვრეტ პირველყოფილ პოეზიის ცისფერ ფლორიდებს“ (ფლორიდები) (5, 562).

ისევ და ისევ ამ კოლხური სიბრძნის ძირისა და ფესვების ახალ დროში ახლებურად აყვავების შედეგად იქმნება მარადიულის ბეჭდით გამორჩეული სიტყვა: „გვერდითა გყავთ ძიძა პონტო და კოლხეთი ზღვის და ცოდნის უპირველეს აკვანს არწევს. ტალღები კი ჰგვანან კირბებს – წიგნებს, ტყავის ყდაზე ნაწერს“ (გვერდითა გყავთ) (3, 952).

წარსულზე საუბრისას არც მედეა და მისი სამკურნალო ბალახი ასფოთოლა (მოლი) ავიწყდება: „აღარ გინდა ბედი განა?! საბერძნეთი კი არადა, ცისქვეშეთიც აათრთოლა კოლხურ-კურა-ბედიანამ და მედეას ასფოთოლამ”. (“კურა – მედიანა (ბერძნ.) – მ-კურ-ნალობა. ასფოდოლ (ბერძნ.) ასფოთოლა (მოლი) – მედეას სამკურნალო ბალახი) (11, 195).

„მოლი” გრძნულების საშუალებაა რუსთაველის “ვეფხისტყაოსანსა” და გალაკტიონის „დომინოში” (19, 140-156).

წარსულის გასიგრძეგანება, “წარსულიდან ქართუს, ხეთეების... სიმღერის თეთრი არაგვის” ქუხილის მოსმენა (გადმონადენი ათასწლეულებს) (3, 258) საშუალებას აძლევს ხან ქვესკნელი მოიხილოს, ხან სივრცეებში ინავარდოს და ამის შედეგად, „მტკაველ-მტკაველ აქვს გაზომილი ქართული მიწის სიგანე და სიმაღლე ზეცის” (ჩემს ფიქრებს სრბოლას ვერვინ დაუშლის) (3, 834).

იმერისა და ამერის ფესვებიდან ამოზრდილი პოეტი “გულნათელი”, “შეუნიღბავი” და ღმერთის რჩეულია: “მარად გულნათელი და შეუნიღბავი, როგორც დავითისა და ჭყონდიდის, ჩემი გენიც იმერში და ამერშია. მე არასდროს მიძებნია ბედიღბალი, ბედმა მე თვითონ ამირჩია” (მარად გულნათელი და შეუნიღბავი) (3, 944).

ამასთან, მრავალი უცხოელი წინამორბედიც ჰყავს, რომელთაც ასწავლეს აქილევსივით გამარჯვებით გამოსვლა ბრძოლის ველიდან: „მარადჟამს იყო ჩემი მხლებელი, ვით რუსთაველი, პონტო-ევქსინის და ჰომეროსი ელინთა. აი, ამიტომ აქილევსივით, ძლევამოსილი გამოვსულვარ ბრძოლის ველიდან“ (მარადჟამს იყო ჩემი მხლებელი) (3, 45).

პოეტს იზიდავს „რომაელთა სიბრძნის ფრთიანი შორეული ქარები” (3, 409), „ბერძენთა და რომაელთა სიბრძნე, ცოდნა და კულტურა” (3, 705).

სიბრძნის წყაროა უფალი, პლატონი, „თალმუდი”, „ეფუთი”: „მჯერა უფლის და პლატონის, სიცოცხლეს სიბრძნით რომ მოსავენ, ასევე „თალმუდის”, „ეფუთის”, რომლებმაც ამქვეყნად მოსვლამდე ათასი ცოდნით რომ შეგვფუთნეს” (მჯერა უფლის და პლატონის) (3, 407).

პლატონთან ერთად, ხიბლავს არისტოტელეს „ტოპიკა“, „ნიკომაქეს ეთიკა“ (IVს. ძვ. წ.) არაბი სუფისტი ჰალაჯი (922) – არაბი ფილოსოფოსი ავერიოსი (XII ს.): “მზიანი ღამე წინ უძღვის და დიდ პლატონს მიტომ ვაქებ, არ ყოფილა სიბრძნის

სული – ერთმანეთში აერიოს, ვით “ტოპიკას”, “ნიკომაქეს”, ალ-ჰალაჯს და ავერიოსს (11, 328).

საგულისხმოა “ორი ბრძენი გოლიათის” – უიტმენის და თაგორის შემოქმედება (უიტმენი და თაგორი) (5, 603).

ამერიკელი ედგარ ალან პო არის ადრესატი ლექსისა “ქართული სიტყვის სალ კლდეზე”: „...შენ, ვითარც ედგარ ალან პომ, გსურს ლექსი სანთლად აანთო და პოეზია ალამპრო” (5, 274).

გასათვალისწინებელია რონსარის, კაფკას გზები: “ო, ეს შენა ხარ, ათასწლეულთა უფრო შორიდან ფიქრად მოსული, ვითარც რონსარი, ვითარცა კაფკა და შენი კალმის ბასრ ორლესულით სხვა საუკუნის უღრანს მიკაფავ” (ო, ეს შენა ხარ) (5, 862).

“საწუთროს სიბრძნე”, სიკვდილის სივერაგე დიდროსა და კანტის გარეშეც იცის (რა საჭიროა დიდრო და კანტი).

პოეტისთვის სამაგალითოა ლაო-ძის ეთიკური მოძღვრება: “წარსულიდან კი ყივის ლაო-ძი: „ოდეს მდაბლობენ, კაცნი დიადობენ” (ჟამთა დარჯაში გამოვლილს) (11, 85).

დაუვიწყარია “სიბრძნე ბალავარისა” და მისი მთარგმნელი: “სიბრძნე ბალავარისა! – ბევრ ჭირნახულ ქართვლის სულს, მარად უნდა აწვიმდეს, რომ ის სანთელს უნთებდეს – დიდ ექვთიმე მთაწმინდელს” (ექვთიმე მთაწმინდელი) (11, 346).

უფლის ხელდასხმულები იყვნენ დანტე, ვერდი, როსინი, ბოკაჩიო, რაფაელი (უფლის ანგელოზებმა) (11, 348).

ბიბლია ქრისტესავით წყლის ზედაპირზე სიარულს (ცოდვების დამარცხებას), სიბრძნის ზღვის გათავისებას ასწავლის: “ზღვის ზედაპირზე სიარულს ნუ დაიკვეხნის ნურავინ. ეს შენ ხარ... ჰერკულესივით მითოსის მხრებზე შემდგარი, ბიბლიის ზღვაში მცურავი” (წყლის ზედაპირზე სიარულს) (11, 84).

ბიბლიურ მოსესავით “რიდე-მანდილით შებურვილი” პოეტის იდეალია ორმოცი წელი უდაბნოში მოხეტიალე და აღთქმული ქვეყნისკენ – ქანაანისკენ მიმსწრაფი ებრაელი ხალხის წინამძღოლი მოსე, ქართველმა პოეტმა ღვთის რჩეული ერივით, ღმერთისგან გამოგზავნილი „ზეციური მანანით” (ქრისტე ღმერთის სახელია) დაიოკა სულის წყურვილი: “ნავმა ამა ცხოვრების, წუთისოფლის ხიზანი, ზღვაზე არ მანანავა და ორმოცი წელი კი უდაბნოში მატარა, მერე გამომიგზავნა მშიერს – ზეცის მანანა” (წუთისოფლის ხიზანი) (11, 339).

როგორც მოსეს “სჯულის ფიცარი”, პოეტსაც ისევე უბოძა ღმერთმა “იქმენ ნათელი” – სჯულის ფიცარი.

იგავების მოყვარული პოეტი “თავთუხიან ყანას” თესავს, ანუ ზეციურ პურს ახარებს: „ბრძენს უგდე ყური, უბნობს რომელიც, – ხეს უნაყოფოს კეტს არ ესვრიან. თავთუხიანი აქ ყანა პურის, შენებრ არავის დაუთესია” (ბრძენს უგდე ყური) (11, 375).

სახარების მთესვარივით თესავს ვაჟა ეგრისელი საღვთო სიბრძნეს, უფლის ყანას, რათა მოსავალი უფლის წისქვილზე დაფქვას დიდი წინამორბედივით: “მოვა დრო და გაგაქვავებს, გაქცევს ლოდად და შავ ქვად. მანამდე, თუ გაქვს საფქვავი, ეცადე, უფლის წისქვილზე ვაჟასებურად დაფქვა” (დრო) (11, 683).

ბიბლიური იგავით გვესაუბრება პოეტი მოსეს შესახებ, რომელმაც კლდეს კვერთხი დაჰკრა და იქიდან გადმონადენი წყლით დაუცხრო წყურვილი ებრაელებს.

კვერთხი მარიამის, კლდე და წყალი ქრისტეს სიმბოლოდ იქნა კომენტირებული. კლდიდან გადმონადენი წყლით მწყურვალთა დარწყულება ქრისტეს მოძღვრებასთან ზიარებაა.

იგივე მისია აქვს ქართველ პოეტს: “რადგან ბედი აღარ მწყალობს, ჩემო ხარგავ და აწყურო, უნდა სალ კლდეს დავკრა კვერთხი, რომ აჩქეფდეს სიბრძნის წყარო და მწყურვალი დავარწყულო” (ჩემო ხარგავ და აწყურო) (11, 338).

ლექსში “სიკვდილმა რომ მოირთვილოს” (11, 339) ბეთლე-მის სიცოცხლის მტევანი და ყურძენი ქრისტეა, სიკვდილის დამმარცხებელი: „დაღლილმა და დაქანცულმა სიკვდილმა რომ მოირთვილოს, სიცოცხლე კვლავ ისხამს მტევანს. და ბეთ-ლემის ქვაბში მიტომ ყურძნის აღარ არის ტევა”.

პოეტი “მთვარის ჩანგით” (მთვარე მარიამის სიმბოლოა), “სიბრძნის ღვინით” (ქრისტეს სიმბოლოა) აპირებს სულის გან-კურნებას.

საღმრთო სიტყვის პარალელურად, საეროც ცის ნაყოფია, ჭეშმარიტი პოეზია კი „ყოფნისა და არყოფნის”, საღმრთოსა და საერო პრობლემების მართალი პასუხი: “ვითა გრძელი დღე-ღამე, უფალია ჰაერი. ციდან ცვივა ნაყოფი, ყოფნისა და არყოფნის, საღმრთოც და საეროც” (11, 426).

სიბრძნის ნამცვრევს ეძებს პენჯაბში რერიხის სახით, მად-რიდში – სალვადორ დალის მხატვრობაში: “აცვივა წარსულის მტვერი და შთაგონების ალი, სამყაროს გარს უვლის ხშირად, პენჯაბში დაეძებს რერიხს, მადრიდში სალვადორ დალის “ცეცხლმოკიდებულ ჟირაფს” (აცვივა წარსულის მტვერი) (5, 252).

ქვეყნის ოთხივე კიდეს მოგზაურს, არც აღმოსავლეთის სიბრძნის წყარო ავიწყდება: „სხივგაბრწყინებულ აღმოსავლე-თით, ვინც პოეზიის მთები აზიდა – მშურს ხაიამის, ჯამის, ფეშლევის, რადგანაც მოქუხს სიბრძნის წყარო მათი აზრიდან, წყარო, რომელიც აღარა და აღარ ელევათ” (სხივგაბრწყინე-ბულ აღმოსავლეთით) (3, 278).

პოეტი ფიქრით დაეხეტება შუამდინარეთში ევფრატის ნა-პირებზე და მარადიულ თემაზე სასაუბროდ ხვდება “გილგამე-შიანის” პერსონაჟებს – ენქიდუს და გილგამეშს: “ფიქრმა უცებ მომაშხეფა ტალღა ევფრატის და ძილგამკრთალ და თვალ-ბნელ ღამეში, ორი აჩრდილი წამოვიდა ჩუმი ფარფატით და სანთლის შუქზე ჩვენი მზერა გადაიხიდა: მე ვარ ენქიდუ! ის

გილგამეში! მომესმა უცებ, ათასეულ წელთა იქიდან” (მე ვარ ენქიდუ) (3, 739 I).

ეგვიპტური “მკვდართა წიგნი” აგონდება კოლხური “კვირბების” კითხვისას: “...აჟრჟოლებს ბაბილონს, რომსა და ეგვიპტეს – ვკითხულობ “მკვდართა წიგნს” დაწერილს ღვთისენით” („ღვთისენით-იეროგლიფებით დაწერილი ეგვიპტური “მკვდართა წიგნი”) (კოლხური „კვირბები”) (5, 917).

აფიქრებს ფარაონების პირამიდები, სფინქსი, რომი, ბაბილონი: “ფარაონების მღვრიე ციდან წვეთავს მირონი... პირამიდების ჩრდილში სძინავთ ათასწლეულებს. სფინქსის სიზმრებში ბორგავს რომი და ბაბილონი” (დრო გადმოდგება მწუხრის სერიდან) (1, 255).

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში ინტერესი ვლინდება იოგების ფილოსოფიისადმი: „კარმის სარკის დაფაზე – სული თუ დაგიამა, რადუამ ან იამამ, მაშინ დრო შეაფასებს – შენს საქმეთა სიამეს და იქროლებს ნიავად” (რადუამ ან იამამ) (5, 513).

„გონის სარკე” “ცისფერ სავანეს” და “სულის იასამანს” ეძებს შორეთში: “გონის სარკე შორეთში, ეძებს ცისფერ სავანეს, ასე დაუსრულებრივ. სადაც ჩვენი სულების ჰყვავის იასამანი” (ჰყვავის იასამანი) (5, 772).

ზესკნელისა და ქვესკნელის ერთდროული ჭვრეტის ნიჭია გამორჩეულობის საწინდარი: „ზესკნელსა და ქვესკნელს ატანს სული ჩემი – სარვა გატა. თუმც ჯერ არ აქვს ცაში ბინა. ვჭვრეტ: სიკვდილზე ამაღლებულს, განშორების ფრთებით მფრინავს” (სარვა გატა) (5, 471).

მეტაფიზიკის მიღმური სულის ჭვრეტაც “სულისმოყვარე უფალის” (სიბრძნე სოლომონის 11, 21) (3, 27) მადლია: “მარადისობის ჯვარზე გაკრული მიღმური სული მეტაფიზიკის, გასახარად და შენდა იმედად – ისე ახლოა, როგორც ქიზიყი, როგორც მარიხი და ანდრომედა” (მარადისობის ჯვარზე გაკრული) (5, 678).

მარადისობაა (ღმერთის სახელია) მისი გზები: “შენმა სიცოცხლემ აფრა აუშვა მარადისობის მგრგვინავ გზებზე სახეტიალოდ”...

“უკვდავ სხივთა ნათელი” ესხურება ზეციდან (ქრიან საუკუნენი) (5, 45) “უკვდავი სხივი” ქრისტეს სახელია.

ასტრალური მოგზაურობისას სულს მზისა და ცისარტყელის ფერები, სინათლის დიადემა ადგას: “როდესაც სულს ცისკენ მქროლავს, გულმა თვალი მიადევნა, მაშინ გაქრნენ ვარსკვლავები, ცის ბარტყები და სინათლის დიადემად – დამადგა მზე და ფერები ცისარტყელის” (აუმ) (5, 470).

ჭვრეტა, ხილვა სულიწმინდის მადლით გაბრძნობილთა ხვედრია და პოეტი სიკვდილს არყოფნიდან, ანუ სულით უჭვრეტს: “ვით დღე ღამიდან, სიკვდილიდან – სიცოცხლე მოდის სხვა სილურჯეთი და მე, როგორც პოეტი (სისხლის ყველა უჯრედით) მკვდრადქმნილ ყოფნას ყოველთვის არყოფნიდან ვუჭვრეტდი” (ბჰაგავად გიტა) (5, 401).

გალაკტიონი სულის თვალით ქაოსიდან სამყაროს შექმნას, პირველი სახეების გამოძერწვას ხედავდა (მშვიდობის წიგნი).

ვაჟა ეგრისელი თითქოს მარადიული სულია, ქაოსის, ზღვადქცეული სამყაროს მჭვრეტელი და ქვეყნის დასასრულის შიშით შეპყრობილი, ნოეს მაძიებელი: “გრიგალი ქვეყნის დასასრულისკენ მიაქანებდა მთვარის კიდობანს და ვარსკვლავები შიშისგან თრთოდნენ. არ ჩანდა ნოე... და ქაოსიდან მე როცა მოველ, “მთელი სამყარო ზღვა იყო ოდენ” (გრიგალი) (3, 763).

„კოლხური ფსალმუნების” ავტორი ევედრება ღმერთს: “მომეცი ნება, შემოვაღო შენი კარები და შემოგბედო კრძალვით და რიდით არა ლოცვები, არც აღსარება, არამედ სიტყვა და გულისთქმა მცირე თუ დიდი. მომეცი ნება, დაგიდაფნო სიმღერით შუბლი და დავდგე ტინად, დავდგე ქარაფად, მარა-

დისობა ხელთ ავიღო, ვითარცა შუბი, მომეცი ნება... სანამ მაქცევ მტვრად და არაფრად” (ვედრება) (1, 41).

პოეტის სიტყვამ იხარა, დათავთავდა, მკითხველთა გულები დაიპყრო, რადგან იგი პირნათელი იდგა უზენაესის წინაშე და “მარადისობა” (ღმერთი) იყო მისი ამოსავალი, ანუ “შუბი”, როგორც თვითონ ამბობს.

იგი დარწმუნებული იყო თავისი სიმღერის უკვდავებაში, რადგან უფალი “კარნახობდა” „ცხოვრების წიგნს”.

ვაჟა ეგრისელმა გადალახა რუბიკონი, გააღწია სცილას და ქარიბდას, ცაში მოგზაურობისას მეხს არ შეუშინდა, ქვესკნელიდან ცერბერების ყეფას, გოლიათ კიკლოპს გაეპარა, ეპოქის წარღვნაში გადაარჩინა თავისი სულის კიდობანი.

მეოცე საუკუნის საბჭოთა იმპერიის წარღვნისებური უბედურება იყო მარქსიზმი, ცალთვალა მატერიალიზმი, სატანისეული ბოლშევიზმი და მისი ბაცილებით ბევრი მოიშხამა. დროის შემოტევებს მხოლოდ ერთეულები გადაურჩნენ, ღვთისაგან ხელდასხმულები, სულიწმიდის მადლმოსილები, სულისათვის ხორცის გამღებნი.

ვაჟა ეგრისელის წიგნები დროის ქარიშხლებს გადარჩენილი კიდობანია, რომელმაც შემოგვინახა უზენაესი სიბრძნე, “მსოფლიოს ციურ აზრთა ნადავლი”: “ბოლოს მეორე ათასწლეულის ლექსთა წარღვნაა და წყალდიდობა: არა ჩანს მთები არარატის და არც დარჩელის... და შენი წიგნი მოჰგავს კიდობანს, წარღვნას და მეორე მოსვლას – გადარჩენილს” (წიგნი – “იქმენ ნათელი”) (5, 591).

ამასთან პოეტი, ვაჟა ეგრისელის დაკვირვებით, უთვალავ წარღვნათა ღამეების მთეველია, მარადჟამს ფხიზელი თვალით და წმინდა სულით განმსჯელი მოვლენების: “მხოლოდ ღმერთმა იცის პოეტს თუ რამდენი უთევია წარღვნის ღამე, როგორც ნოეს” (მნათობების ყრია მტვერი) (5, 151).

ცხოვრების აზრის ძიებაა მთავარი სიბრძნე, ცნობადის ხიდან განკითხვის ხემდე არსებული გზის გაგება: “დღეები უნდა აკინძო წიგნად, ჩადო ზონარად – ცხოვრების აზრი, რომელსაც ადრე წერდი და ხევდი! საწუთროს მტვრიან და მოკლე გზაზე, ცნობადის ხიდან – განკითხვის ხემდე” (დღეები უნდა აკინძო წიგნად) (5, 695).

როგორც ვიცით, ბიბლია წინა პლანზე აყენებს არა ცოდნას, არამედ რწმენას, იმედს, სიყვარულს და გვასწავლის, რომ “ამათგან სიყვარულია უმეტესი” (პავლე მოციქული, I კორინთელთა) (13, 1-13).

ცოდნა ცოდვას უკავშირდება, რადგან ადამმა და ევამ “ცნობადის ხის” ნაყოფი სატანის – გველის რჩევით იგემეს, რისთვისაც უკვდავება დაკარგეს.

ახალ აღთქმაში გარჩეულია “ხორციელი გონება”, “ინტელექტუალური გონება” და „სულიერი გონება” (პავლე მოციქული).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ღმერთს (ცის ხეს), რწმენას აედევნება ეჭვი ცნობადის ხის ნაყოფზე, რომელსაც სიკვდილი მოაქვს: “ვარსკვლავნი არა, ცნობადის ხეს ცვივა ნაყოფი, რომლებიც რწმენის კედლებს ბზარავენ და მიღმეთიდან გვესმის ძახილი, თუმცა წყვდიადში არ ჩანს არავინ” (ვარსკვლავნი არა) (5, 644).

ცნობადის ხის ნაყოფის მიმღებს განკითხვის ხე უნდა ახსოვდეს, რათა ცოდნა ბოროტების სამსახურში არ ჩადგეს და უკეთურებად არ გარდაისახოს.

სიცოცხლის, უკვდავების საწინდარია არა ცნობადის ხის ნაყოფი, რომელმაც უკვდავება დააკარგვინა სამოთხის პირველ ადამიანებს – ადამს და ევას, არამედ სიცოცხლის ხე – ღმერთი: „...შენთვის წარსული აღარ არის და არც მყობადი პოეზიაში, რადგან იგემე – მწარე ნაყოფი ხისა ცნობადის” (ცის კასრში ზიხარ) (5, 633).

პოეტი “რწმენის საჭით” მიდის უზენაესისაკენ (მიწის ბელტების დგას ღრიანცელი (1, 95).

ხოლო ცნობადის ხე უსახელოს სახით იმზირება: “ისევ ისე ეძებს მიზეზს, შურით მთვრალი დღე მყობადის, უსახელოს თვალით მიმზერს, წარსულიდან ხე ცნობადის” (სამოთ-ხიდან გაძევების) (5, 705).

იოანე დამასკელი გვაუწყებს:

„ღმერთი აპირებდა, სამოთხე შეექმნა ადამიანისთვის. ედემი არის ჭეშმარიტად საღვთო მხარე და ღირსეული სავანე იმათთვის, ვინც ღვთის ხატისებრ დაიბადა. მის შუაგულში ღმერთმა დარგო ხე სიცოცხლისა და ხე ცოდნისა. ამასთან, ხე ცოდნისა იყო ადამიანის მორჩილებისა და ურჩობის გამოსაცდელი, შესამოწმებელი და საწვრთნელი რამ. ამიტომ იწოდა იგი კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხედ ან კიდევ, იმიტომაც იწოდა ასე, რომ მისი გემოს გამსინჯველთ საკუთარი ბუნების შეცნობის ძალას აძლევდა, ძალას, რაც კარგია სრულყოფილთათათვის, მაგრამ ცუდია არასრულყოფილთათვის, რომლებიც ჯერ კიდევ გრძნობას ეხარბებიან, ისევე როგორც ცუდია მაგარი საკვები მათთათვის, რომლებიც კვალად რძეს საჭიროებენ.

მეორე მხრივ, სიცოცხლის ხე იყო ან სიცოცხლის მომნიჭებელი მოქმედების მქონე ხე, ანდა საკვები მხოლოდ მათთვის, რომლებიც ღირსნი არიან სიცოცხლისა და არ ექვემდებარებიან სიკვდილს” (8, 359).

ეს ხე ღირსებისამებრ იწოდება ცხოვრების ხედ. იმავე ხეს ღმერთმა უწოდა აგრეთვე ყოველი ხე, რადგან თქვა: “ყოველი ხისგან, რაც არის სამოთხეში, ჭამით ჭამოთ” (შეს. 2, 16). თვითვე არის ყოველივე, რომელშიც და რომლისა მიერაც არის ყოველივე” (8, 359).

კეთილისა და ბოროტის ცოდნის ხე – ესაა მრავალსახოვანი მჭვრეტელობითი შემმეცნებლობა. იგია საკუთარი ბუნების

შემცნობლობა.., რაც... კარგია სრულყოფისათვის, მათთვის, რომლებიც საღვთო მჭვრეტელობაში ცხოვრობენ და არ უფრთხიან დაცემას,.. მეორე მხრივ კი კარგი არ არის მათთვის, რომლებიც ჯერ კიდევ ყრმები არიან, რადგან არ აქვთ მათ სიმტკიცე იმისა, რომ... მყარად იყვნენ დასაყდრებულნი... მშვენიერების სიახლოვეს, ამიტომ მათ, საკუთარი სხეულის საზრუნავი, როგორც წესი, თავისკენ მიიზიდავს და წარიტაცებს" (8, 359).

ვფიქრობ, ორმაგია საღვთო სამოთხე.

ყოველი ხე შეიძლება გავიაზროთ, როგორც ყოველი ქმნილების გზით აღსრულებული შემეცნება საღვთო ძალისა. მაგრამ ეს ცოდნა შემაცდენელი იყო ახლადშექმნილი ადამისთვის (8, 359).

ცოდვიანი სიბრძნე დიდი მარტოობის, ცისა და ქვეყნის დაკარგვის მომასწავებელია: "როცა იგემა ცნობადის ხის ტკბილი ნაყოფი, წამს სიმარტოვეს გადაეყარა. ფეხდაფეხ სდევდა შიში არყოფნის, მიტომ დატოვა ცა და ქვეყანა" (11, 536).

პოეტის მიზანია უპასუხოს მარადიულ კითხვას, რაც აღბეჭდილია ნერვალის ეპიტაფიაზე: „განვლე და რისთვის?" (წინაგრძნობა) (5, 686).

„სიბრძნე და სულიერი გონება" (პავლე მოციქული, კოლასელთა, თ. 1, 11) აძლევს პოეტს უნარს, მოიძიოს უკვდავებისაკენ სავალი გზა, რათა "ზეცის მოქალაქეობა" მოიპოვოს.

ნეტარი ავგუსტინე ბრძანებს: "ვის შეუძლია გაგვარიდოს ათასგვარ ცდომილებისეულ სიკვდილს, თუ არა მარადიულ სიცოცხლეს, რომელმაც არ იცის, რა არის სიკვდილი. თუ არა სიბრძნეს, თავისი შუქით რომ ანათებს სულებს, რომელთაც სინათლე სჭირდება, თვითონ კი არ სჭირდება არავითარი ნათელი" (20, 117).

ამ მარადიული სიბრძნის ერთგულებაა ვაჟა ეგრისელის პოეზიის გამჭოლი თემა, ღვთივსულიერი სიტყვა, რომელსაც ასე მოწიწებით ისმენს მისი მკითხველი.

„ჩემი ცხოვარნი ისმენენ ჩემს ხმას, თვით მეც რომ საღმრთო სიტყვაში მომისმენია და წმიდა მამათაგან მისწავლია. ამ საღმრთო სიტყვას უცვალებლად ვასწავლიდი ყოველთვის ისე, რომ თანახატ – არ ვექმნებოდი დროის გარემოებათ, და ყოველთვისაც ასე ვასწავლი, რამეთუ ამ სიტყვით ვიშევი ამ-ქვეყნად და ამ სიტყვით განვალ ამა ქვეყნიდან", წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველის ეს სიტყვები გვახსენდება ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე ფიქრისას (9, 7, 9).

მეოცე საუკუნეში ბევრი "ცრუ სიბრძნეს" ერთგულებდა, ერთეულნი – მარადიულს.

გალაკტიონ ტაბიძისთვის "სიბრძნის სახეა შრომის უფალი" (მშვიდობის წიგნი).

„ახალი სხივის", "ახალი ღმერთის" სიყვარული მომავლის ღრმა სიბრძნით უხელდა თვალს პოეტს: "...იქ, იმ კიბეზე მომავლის ღრმა სიბრძნით თვალნახელი, საიდანაც ჩქეფს სიმართლე და წინსვლისათვის ძახილი" ("უმშვენიერეს კიბეზე") (21, 471).

პოეტს "სიბრძნეს სიბრძნეზე ჰმატებდა" და გამარჯვების სტიმულად ესახებოდა "პირველი ოცნების, სიცოცხლის (საღვთო სახელია), მშვენიერებისა და სისპეტაკის" სიყვარული ("1950") (21, 741).

ანა კალანდაძის პოეზიაში მოიძიება "მაღალი სიბრძნის სინათლე", რომლის მცველები არიან ჭეშმარიტი მსახურები ღვთისა და ჭეშმარიტებისა – გიორგი და ექვთიმე მთაწმინ-დელები, ლაზარე, იოანე-ზოსიმე (ოშკის მძლე ტაძარო) (22, 175).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში თავი მოიყარა "მსოფლიოს ციურ აზრთა ნადავლმა", რომლითაც უცდომლად განიჭვრიტება ადამიანის მე, სიცოცხლე, სიკვდილი, ზესკნელი, ქვესკნელი,

შუასკნელი, პლანეტები, კოსმოსი, ხილული თუ უხილავი სამყაროები...

ვაჟა ეგრისელის პოეზია საღვთო სიბრძნის სალაროა, მისი „ციურ აზრთა ნადავლი", „ღაზელები" საღვთო სიბრძნეა, რაც სპარსული პოეზიიდან არის ცნობილი, სუფისტური სიყვარულის ანარეკლია და არაბეთის ქრისტიანი ბერების გავლენით აღმოცენდა (23, 104).

სუფისტების მოძღვარი იყო იბნ ელ არაბი (24, 17).

სუფისტურ სიყვარულს უმღეროდა ჯალალ-ედ-დინ რუმი (24, 17).

საღმრთო სიყვარულის იდეას იზიარებდნენ და "საყვარელს" – ქრისტეს ეთაყვანებოდნენ დავით გურამიშვილი, ვახტანგ VI, აკაკი წერეთელი.

ქრისტე აკაკი წერეთლისთვის იყო უმაღლესი სიყვარული, "საყვარელი" და "სულიკო" (სული-ღმერთი) ერთდროულად.

მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში გალაკტიონმა დაამკვიდრა საღვთო სიბრძნის გამომხატველი ლექსები, ცნობილი "გაზელების" სახელწოდებით.

ამ ტრადიციის სათავეს იგი აღმოსავლურ ლირიკაში, ჯალალ-ედ-დინ რუმის, ნიზამის, ომარ ხაიამის, საადის შემოქმედებაში ხედავდა და წერდა, რომ ისინი "სავსე პეშვებით ისვრიან აელვარებულ მარგალიტებს გაზელებისას" (25, 92-95).

გრაალის თასია (მარადიული სიბრძნეა), ღაზელია, საღვთო ჭეშმარიტებებია ორთავ სოფლად მარადისობის გარანტი ვაჟა ეგრისელის პოეზიაში: "ბრწყინავს თასი გრაალის და როგორ არ მიკვირდეს, როცა ვხედავ სულს და ხორცს ერთმანეთში აზელილს. მე, ვით მგოსანს მარადისს-სასუფეველს მიმკვიდრებს ორთავ სოფლად ღაზელი" (11, 489).

ლექსში "ყაზალები" (11, 32) კოლხეთში ვარსკვლავების თვლებად ყვავილობენ ნიზამის, ხაიამის, საადის, ჯალალ-ედ-ინ-რუმის ტრადიციებით შთაგონებული საღვთო ლექსები:

“...აქ კოლხური საღამოა ჩუმი, რომ ვარსკვლავთა თვალს ახელენ ყაზალები: ნიზამის და ხაიამის, საად, ჯალალ-ედინ-რუმის”.

ქართველი პოეტი შემთხვევით არ აკეთებს აქცენტს იმაზე, რომ კოლხეთში ახლებურად, ვარსკვლავთა თვლებად აელვარდა ძველი სპარსული ტრადიცია.

ვაჟა ეგრისელის პოეზია საღვთო თავთუხის ყანაა, მხატვრულ სიტყვაში გაცხადებული ზეციური მანანა, ზეცის ვაზის (ღმერთის) საგალობელი.

რეზიუმესავით ჟღერს საკუთარ წიგნზე – “ნათელხილვაზე” გაკეთებული განაცხადი: “ცით ჩამოსული წყალობად, ჰოი, რა სილამაზეა – შიგ არსთა გულისმპყრობელი, ეს წიგნი არა, ვაზია რჩეულთა მოსართლობელი” (წიგნი “ნათელხილვა” (11, 94).

მაშ, ვაჟა ეგრისელის მიხედვით, წიგნი შეიძლება იყოს ოქროს საწმისი, გრაალი, ვაზი, ზღვა (სიბრძნის).

გალაკტიონი ამბობდა: “...პოემას უვრცესს დაერქმევა ალვა და სურო, იქ შორეული მხარეები უნდა გამეფდეს”. ალვა და სურო საღმრთო სახელებია.

ვაჟა ეგრისელი თვითონვე გვაძლევს თავისი პოეზიის გასაღებს, როცა ამბობს: “მაინც მიუვალ მთაზე პარნასის, ის ღვთის ტაძარი ვერ დავასრულე, პოეზია რომ ჰქვია სახელად”...

მართლაც, ღვთის ტაძარია, საღვთო, მარადიული ჭეშმარიტებებით გამორჩეულია უფლისგან ხელდასხმულთა მხატვრული სიტყვა.

როგორც “კოლხური ფსალმუნების” ავტორის შემოქმედების წყაროებზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, მისი პოეზიის მასაზრდოებელ-მასტიმულირებელი წყარო ძალზე უხვია: ბიბლია, ქრისტიანული ღვთისმეტყველება, წინასწარმეტყველთა სიბრძნე, ფილოსოფია, ქართული და უცხოური კლასიკური პოეზია, მითოლოგია, აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდი-

ლოეთისა და სამხრეთის განედების ქვეყნებიდან მომდინარე სიბრძნის ნაკადულები...

ამასთან, ინტერესის საგანია როგორც რელიგიური, ისე საერო იდეალები. რომელიმე მათგანის იგნორირება უთუოდ შექმნიდა ეჭვს მისი სრულყოფილება-სრულფასოვნებისადმი.

ცნობილია, რომ წმინდა მამები – ნეტარი ავგუსტინე, ნეტარი იერონიმე, წმიდა ბასილი დიდი, წმიდა გრიგოლ ნოსელი, წმიდა იოანე ოქროპირი, წმიდა ეფრემ ასური, წმიდა კლიმენტი ალექსანდრიელი, წმიდა იოანე დამასკელი საფუძვლიანად იცნობდნენ ანტიკურ ლიტერატურას, ფილოსოფიას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებას, გრამატიკას, საღვთო წერილს, მათემატიკას, ასტრონომიას...

კლიმენტი ალექსანდრიელს მაქსიმე აღმსარებელმა "ფილოსოფოსთა ფილოსოფოსი" უწოდა. (26, 13).

ამერიკელი მართლმადიდებელი მღვდელ-მონოზანი სერაფიმე როუზი იყო ხელოვნების დოქტორი, ორიგინალში ჰქონდა ნასწავლი ჩინური და ინდური ფილოსოფია, იუდაიზმი, იცნობდა მეცნიერების მრავალი დარგის მიღწევებს. საგანგებოდ სრულყოფილად აითვისა ძველი სლავური და რუსული.

ნეტარი ერონიმე ბრძანებს წმინდა მამების შესახებ: "არც კი იცი კაცმა, რა უფრო გაგიკვირდეს მათი, საუფლო სიტყვის წვდომა, თუ საერო განსწავლულობა" (ზურაბ ცხოვრებაძე, ღვთაებრივი და ამსოფლური სიბრძნის შესახებ (26, 13).

მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ წმიდა მამები "გარეშე ცოდნას" სიფრთხილით ეკიდებოდნენ.

„ძალა, რომელიც წმიდა მამებს ჰქონდათ, მიწიერ სიბრძნეს არ ეფუძნებოდა. გარეშე სიბრძნე იყო მხოლოდ იარაღი ჭეშმარიტების უკეთ გადმოსაცემად, ან მის დასაცავად. ისინი იყენებდნენ ფილოსოფიურ ტერმინებს იმისათვის, რომ ადამიანურ ენაზე გადმოეცათ ის ცოდნა, რაც მათ ზეციური ჭვრეტით მიიღეს.

წმიდა ბასილი დიდი აღნიშნავდა საერო ცოდნის საჭიროებას, მაგრამ ხაზს უსვამდა იმას, რომ ეს იყო მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპი, რომლის შემდეგ ქრისტიანის გონება ზეციური ცოდნისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული.

„ქრისტიანებს ჯერ ბუნებაში, მის ჰარმონიაში, მიწიერ საგნებსა და მოვლენებში უნდა დაენახათ ღვთაებრივი კანონზომიერება და შემდეგ ამქვეყნიურიდან აემაღლებინათ თავიანთი გონება ზეციურისკენ, გადასულიყვნენ უშუალოდ ღვთისმეტყველების შესწავლაზე" (26, 13).

„საღვთო მადლის მიღებით გონების განბრძნობა" მამებისთვის შემეცნების გზა იყო.

მაგრამ იყვნენ განსწავლულობის გარეშე, საღვთო მადლით გაბრძნობილნიც. სულთმოფენობის ტროპარი გვამცნობს: "კურთხეულ ხარ შენ, ქრისტე, ღმერთო ჩვენო, რომელმა ყოვლად ბრძნად მეთევზურნი გამოაჩინენ, მიაფინე რა მათზედა ყოვლადწმინდა სული შენი და მათ მიერ ყოველი სოფელი მოინადირე..." (26, 14).

როგორც კლიმენტი ალექსანდრიელი ბრძანებს, "მაცხოვარი მისიანებს საღვთო, მისტიკური სიბრძნით ასწავლის ყველაფერს და არა კაცობრივად" (26, 13).

ნეტარი ავგუსტინე თვლიდა, რომ ღვთისმეტყველების ამოცანა იყო "გონების თვალით შეცნობა იმისა, რაც უკვე მივიღეთ რწმენით" (26, 14).

მაგრამ ვერც რჯულის ცოდნა, ვერც წიგნიერება ვერ მიგვიყვანს ჭეშმარიტებამდე, თუ გვაკლია სიყვარული, როგორც ებრაელ მწიგნობრებს.

წმიდა იოანე ოქროპირი გვამცნობს: "ამა სოფლის სიბრძნის მეშვეობით ჩვენ ვერ ჩავწვდებით იმას, რაც ჩვენზე აღმატებულია. განა ცხადი არაა, როგორი სასარგებლოა სწავლების მიღება სულიწმიდისაგან? – ასეთი სწავლება ყველაზე მარტივი და ნათელია... "ხოლო ჩუენ გონებაი ქრისტესი გვაქუს" (I

კორ. 2.16) – ანუ სულიერი, ღვთაებრივი, რომელშიც არაფერია კაცობრივი... არა პლატონისა, არა პითაგორასი, არამედ თავისი ამცნო ქრისტემ ჩვენს გონებას” (26, 15).

წმ. თეოფანე დაყუდებული გვამცნობს: “ნურავინ იფიქრებს, რომ რწმენის სფეროში არაა ფილოსოფია... სარწმუნოებრივ ჭეშმარიტებათა ერთობლიობა არის ყველაზე უფრო მოხდენილი, ამაღლებული, ნუგეშისმცემელი და განმასულიერებელი ფილოსოფია – ნამდვილი სისტემა, როგორსაც ვერ წარმოიდგენს ვერც ერთი სხვა ფილოსოფიური სისტემა... ესაა სიბრძნე საუკუნითგან დაფარული” (26, 15).

ხოლო შთაგონების მომნიჭებელი “მამისგან გამომავალი” სულიწმინდა არის “ფალავანი მწიგნობარი” (ბასილი დიდი) (15, 146).

„კოლხური ფსალმუნების” ავტორის სიბრძნის წყაროებზე დაკვირვება მის უკიდეგანობაში გვარწმუნებს.

მისი წიგნები “ფიქრთა ოკეანეა”,... “ლექსების ზვირთებით” (ნათელხილვა) (1, 379).

მისი სიბრძნის მასშტაბების მახასიათებლად მხოლოდ ოკეანე და ზღვა შეიძლება გამოდგეს: “ორი ათასი წლის მერე ამოდი, ამოთავთავდი – სილურჯედ იასამანის. მზისა და სიბრძნის სავანევ, ზღვაო, გულწრფელო ცათამდი” (ორი ათასი წლის მერე) (5, 236).

და ყველაფერი, რაც მას სულის თვალით გაუცნობიერებია, მიმართულია ერთი უმთავრესი მიზნისკენ – ქრისტიანული რწმენის, სულიერების, სიყვარულის, სამშობლოს ერთგულება-მსახურების გზაზე გაიყოლიოს თაობები და თავისი “სიყვარულით შემოღობილი”, “სიყვარულის წმინდა ძაფით” დაგვირისტებული წიგნების საშუალებით ამცნოს მარადიული, გაუხუნარი ჭეშმარიტებები, რაზედაც მას რწმენის, ცოდნის ძალით უზენაესისგან ემცნო და რისი სიმართლეც უკვე გამოიცადა მიწაზე თუ ცაში...

„თავი შენი შეიცან”, “...განვლე და რისთვის?” – მოგვძახის მისი პოეზიის ლირიკული გმირი...

გვახსენდება “კოლხური ფსალმუნის” ავტორის თვითდაჯერებული, მაგრამ სავსებით საფუძვლიანი განაცხადი: “ძილგამტყდარი ღამეები, მზით, დღეების ხმლებს ფერავენ, ალბათ, ესეც ღმერთს ენება. წინ აღუდგეს აწ ვერავინ – შენს სიბრძნეს და ძლიერებას” (11, 387).

და კიდევ: არც ეს რწმენაა ფუჭი: “ვერ წააქცევენ ქარები სასახლეს შენი გონების” (5, 491).

დამოწმებანი

1. ვაჟა ეგრისელი, იქმენ ნათელი, თბ., 1993.
2. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები ხუთ ტომად, ტ. 3, თბ., 2007.
3. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 1, თბ., 2001.
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.
5. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 2, თბ., 2006.
6. ცისფერი სიშორე, თბ., ტერენტი გრანელის თარგმანები, მოგონებები. შემდგენელი და გამომცემელი გაიოზ როგავა, თბ., 1998.
7. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.
8. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი IV, თბ. 1992.
9. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი III, თბ., 1991.
10. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი II, თბ., 1991.
11. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 4, თბ. 2008.
12. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996.
13. სიტყვა მართლისა, სარწმუნოებისა, წიგნი I, თბ., 1990.
14. წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ორი ძველი ქართული თარ-

გმანი (წმ. ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის) გამოსაცემად მოამზადეს რომან მიმინოშვილმა და მაია რაფავამ. წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მაია რაფავამ, თბ., 2000.
15. წმ. ბასილი დიდი, თხზულებანი. ფსალმუნთა განმარტებანი. ჰომილები ექვსი დღისათვის. ძველი ბერძნულიდან თარგმანი და წინასიტყვაობა გვანცა კოპლატაძის. თბ., 2002.
16. პავლე ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი I, ტექსტები VIII-IX ს.
17. აკაკი გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983.
18. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ., 1941.
19. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები, თბ. 2009.
20. ნეტარი ავგუსტინე, "აღსარებანი", ლათინურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ., 1995.
21. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977.
22. ანა კალანდაძე, რჩეული, თბ. 1987.
23. ზვიად გამსახურდია, "ვეფხისტყაოსნის" სახისმეტყველება, თბ., 1991.
24. აღმოსავლური პოეზია, თ. ჩხენკელის თარგმანი, თბ., 1981.
25. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. 5, თბ., 1995.
26. ჟურნ. "კრიალოსანი", თბ., 2008, #5 (39).

თავი III
საქართველო – მსოფლიოს დიდი წიგნის თავფურცელი

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ძირფესვიანად არის გააზრებული საქართველოს წარსული, აწმყო, პოეტის მზერა წვდება სამშობლოს მომავალსაც.

საქართველოს ცა და მიწაა პოეტის გამძლეობის გარანტი: „მზე–შუბად, მთვარე ფარად იფარე. ტანზე ჩაიცვი ვარსკვლავების ჯაჭვ–მუზარადი. (გვერდით ვაჟა გყავს, არ ხარ ეული) და უთვადთვალებ ქართულ მიწას აწ და მარადის, საქართველოს ზეცად ქცეული“ (1, 95, 6).

ქალდეველთა შთამომავალი პოეტი სიამაყით იხედება წარსულში: „რვა ათასი წლის უკან შესცქეროდა სამყარო ქალდეველთა ცის რუკას“ (ზოდიაქო) (2, 1342).

ქართველი ერის შესაძლებლობებს, მის მარადიულ სულს მომავალში ხედავს „ქართვლის სულის“ ავტორი: „... და დღეს მღვრიე ქართლის სული – მომავლის თეთრ კალაპოტში ვხედავ, როგორ მიწანწკარებს“ (2, 720).

ათასწლეულებში ძნელბედობა იკითხება, მაგრამ იმედს აღვიძებს მორწმუნე ერის თავშესაფარი – ტაძრები: „ითვლის მძვინვარე ათასწლეულებს, ჩემი სასო და გასაგისი ქვაზე გამძლეა... ჩემს გალობებს – სივრცეებში ისეც აანთებს სვეტიცხოველი, ჯვარი, ვარძია და საქართველოს ზეცის თავანი“ (3, 965).

ლექსში „ისევ აღდგომის კუნძულებზე“ ნათქვამია: „ჩვენი დიდი წინაპრების კოლხთა ქანდაკებებს ვუმზერ“ (4, 671).

ათასწლეულებში ქრისტესავით ჯვარცმული საქართველოს ისტორია იკითხება: „წამების ძელს ჯვარს გაკრელი, ათასწლეებით დალურსმული, ვითარც ჩვენი მაცხოვარის – ქრისტეს ლურჯი, ტანი ისე მოჩანს საქართველო –ჩემი გურჯისტანი“ (გურჯისტანი) (5, 876).

პოეტს ეიმედება საქართველოში ქრისტიანობის გამავრცელებელი წმინდა ნინო და ჩვენი ერის მონათესავე და მფარველი, კაბადოკიელი წმინდა გიორგი: „მთვარის მახვილით და მზის ფარით ათასწლეულებია საქართველოს იფარავს (მიუხედავად სიობლისა) ორი კოლხი კაბადოკიელი, წმინდა ნინო და წმინდა გიორგი“ (ორი კოლხი კაბადოკიელი) (4,760).

პოეტის რწმენით, ჩვენი ერი მუდმივად მაღალი იდეალების მსახური, მტერ-მოყვრის გამრჩევი იქნება: „ჩემი სამშობლო – მამული ვითარცა ვაჟა იტყოდა, ვეღარ იქცევა დუქნადა და მტერიც ვეღარ იბუქნებს, როგორც ის ადრე ბუქნავდა“ (ჩემი სამშობლო მამული) (4, 825).

პოეტს ეამაყება ერის დიდი წარსული, მისი მხატვრული სიტყვის ფენომენი: „გადმონადენი ათასწეულებს, სიკვდილ-სიცოცხლის კლდეს ეხეთქება ერთი ზათქით და დავიდარაბით და წარსულიდან ქართვლის, ხეთების – მოქუხს სიმღერის დიდი არაგვი“ (3, 238).

ზეცის მფარველობით გაძლიერებული საქართველო ცბიერი მტრისგან ყოველთვის თავს აღწევდა: „ბუღრაობდნენ საუკუნენი, მაგრამ ქართლის სულს მფარველობდა თვით ზეციერი და ჩემი გრემი, ოშკი, საფარა, შადიმანივით ჟამმა ცბიერმა წარსულის მტვერით ვერ იქნა და ვეღარ დაფარა“ (ზვაობდნენ წლები) (2, 379).

მაღალი იდეალების მსახური, დიდი ტრადიციების მქონე ერის სიდიადის დასტურია გენიოსი სიტყვის ოსტატები, აკადემიები: „საქართველო კვლავაც შობს ქართულ სიტყვის გენიებს. დრო ვერ მოჰკლავს მსახვრალი ფაზის–გელათ–იყალთოს უკვდავ აკადემიებს“ (3, 210).

ქვეყნის წინაშე ბევრჯერ მდგარა ყოფნა–არყოფნის დილემა, მაგრამ სასწორი ყოველთვის გადარჩენისკენ იხრებოდა: „როგორ მაღლდები... ოთხივ კუთხით ჯვარი გწერია, მაგრამ მე ვიცი, გედგა ჟამი ყოფნა–არყოფნის, ამის მოწმეა კრწანისი და

ველი მარტყოფის. შამქორს! მარაბდას! დიდგორს! ბასიანს! – ეჰ, საქართველოვ! სხვამ რა იცის, თუ რა ფასი აქვს“ (საქართველოს) (2, 246).

დაუვიწყარ ფიქრებს იხსენებს პოეტი, რაც დავით აღმაშენებელს უკავშირდება: „ნიკოფსიიდან – დარუბანდამდე, დავითმა მტერს რომ უმტვრია კარი, მისი სახელი მიტომ ზარავდათ... მას სულ ხელთ ეპყრა მშობლიური მთავარი კარი, ეხურა ქართლის ვარსკვლავეთის ჯაჭვ-მუზარადი“ (5, 950).

პოეტს ეამაყება ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის შთამომავალი ერის შვილობა, თამარ მეფის სახელი: „ჩვენ საქართველოს ცაზე ვლოცულობთ და თამარ მეფის სახელს ვფიცავართ... რა ვუყოთ მერე, არ ვართ მრავალნი, მაგრამ რანიც ვართ, მაგრამ ვინცა ვართ, ვართ გორგასალის და დავითის შთამომავალი“ (ჩვენ) (5, 333).

ერს უნდა ახსოვდეს თავისი წარსული, უნდა შეეძლოს მტერ-მოყვრის გარჩევა: „სიავით სპარსიც დაჩრდილა აღვირახსნილმა არაბმა, წევს ქართლი ისარგაჩრილი,... იგია ვეფხვი დაჭრილი,... მაგრამ მომაკვდავს არა ჰგავს“ (VIII საუკუნე) (5, 641).

საქართველოს ათასწლეულებში აქვს ჯვარცმა გამოვლილი: „წამების ძელს ჯვარგაკრული, ათასწლებით დალურსმული, ვითარც ჩვენი მაცხოვარის – ქრისტეს ლურჯი ტანი ისე მოჩანს საქართველო – ჩემი გურჯისტანი“ (2, 876).

ლექსში „აპოკალიფსი“ ნათქვამია: „აქ წიწამური და იქ კრწანისი, მომხდურს ეწადა, რომ ყოფილიყო საქართველოსთვის აპოკალიფსი. მაგრამ... ყური მიუპყართ, ბაზალეთის ლურჯ ტბიდან – აკვნის რწევის ხმა ისმის“ (2, 532).

პატრიოტებთან ერთად მოღალატეებით გარემოცული ერის გადარჩენაზე ფიქრი ასეთ კითხვას ბადებს: „სამშობლოვ?! დღემდე როგორ მოხვედი, ამდენ ხანს კიდევ როგორ გაძელი! როდესაც გყავდა თითო–ოროლა თეთრ გიორგივით დიდი მხე-

დარი, ხოლო ასობით ბაღვაშ –მხარგრძელი, იქედნესავით ქვეგამხედვარი“ (1, 943).

ერს უნდა ახსოვდეს მტრები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩნენ მონგოლები: „სილამაზე არ აპატიეს, მიკაფ–მოკაფეს საქართველოს ცა და ვენახი, მაგრამ საფლავში ვერ დამარხეს, – ვერ ჩაატიეს... თვალები შურით დაუვიწროვდათ“ (მონღოლები) (2, 215).

სხვაგან ნათქვამია: „ცეცხლისა და ცრემლის მთესველ, ჩვენს „ამამთხრელს, ამამბარავს“ – ხანებსა და ომარ ფაშებს, ისევ ვუჭვრეტ წარსულიდან, ქართლში ურცხვად მოპარპაშეთ“ (4, 971).

სპარსელების მიერ მოვლენილ ავბედობას ეხება ლექსი „მარტყოფის ველი“: „ბინდად დამდგარა ოთხასი წლის სპარსთა ყაყანი“ (2, 126).

ავბედითი პრობლემები იყო და არის აჭარაში: „ვჭვრეტ მინარეთს და მწვავს აგონია, რომ ქართლს უცეცხლოდ და უმახვილოდ იპყრობს თათარი ტკბილი სიტყვის ლიქნით და ბუქნით. და დავით მეფის განწირული მესმის ძახილი: „ტაოსკარს მოადგნენო თურქნი“ (აჭარაში) (4, 437).

პოეტის სმენას ეწვეთება ქართლის დედის კივილი და ელანდება მისი უბედურება: „ქართლის დედის ვისმენ კივილს, ჩამოგლეჯილს ვჭვრეტ მის საკინძს და აღვიქვამ ბნელში ელვას, ვითარც შაჰის ხმლის გაკრთომას, თავზე პაატა სააკაძის“ (4, 957).

შეუძლებელია იმის დავიწყება, როგორ იყიდებოდნენ ქართველი რჩეული ქალ–ვაჟები სპარსეთში: „მესიზმრება დრო წარსული. ობლად მდგარი ზღვის ბაქანი, ნავზე ცხრაფად მიბაწრულებს, – ქართველ ვაჟებს და ქალწულებს, სპარსეთისკენ ჟამი როგორ მიაქანებს“ (4, 934).

წარსულზე ფიქრი, სამშობლოს ავბედობა დამშვიდების უფლებას არ აძლევს პოეტს: „ეჰ, არტანუჯო, სამცხევ, სამ-

შვილდევ! დღეს თქვენს შემურეს და შემხვედვარეს, აბა მითხარით, რა დამამშვიდებს“ (4, 943).

ერისკაცებთან ერთად, მოღალატეებით იყო სავსე ჩვენი სამშობლო: „ბევრჯერ გადაგილახავს რუბიკონი, თუმცა გულში გხვდებოდა ისარი ყველა ავისმდომის და თუქსუსის... მამულო! გყოლია კეისარი, მაგრამ ჰაი, ჰაი რომ გყოლია ბრუტუსიც“ (4, 969).

უღმერთობები რწმენისთვის უსპობდნენ სიცოცხლეს ღვთისმოსავთ: „სხვა არაფერი, რწმენისთვის მხოლოდ, უფლის მოსავი ბერი თუ მწირი, უღმერთოებმა ხოცეს და ხოცეს. გამოუყვანა დრომ მცხეთას წირვა... მაგრამ კედლები ამაღლდნენ ლოცვით“ (4, 702).

ურჯულოთა ყაყანი ადრეც იყო უბედურების მაუწყებელი და დღესაც სახეზეა: „რჯულმტკიცე წინაპრებისგან, ვარკვლავთა სასანთლეებში დანთებული მზის „ლილეო“, ამ ურჯულოთა ყაყანში, ვახმე, რარიგად ილევა“ (4, 398).

მაინც ღმერთია პოეტის იმედი: „არ ასრულდება არასდროს ის, რაც სურს ლეკს და დიდოსა; ღმერთმა სამშობლო – ივერთა ფეხზე რომ დაიკიდოსა“ (4, 670).

შეუძლებელია იმ სისხლისა და ცრემლების დავიწყება, რაც ქართველობას უღვრია უსამართლოდ მოძალებული მტრის ბრძოლებში: „... ეჰ, ისტორიამ, ზოგჯერ რიგით, ზოგჯერ ურიგოდ, ჩემს ქართველ ხალხსაც ჯიხვის ყანწივით სისხლით და ცრემლით სავსე ჯამები... ვაჰმე! რამდენჯერ ჩამოურიგა!“ (ეს ისტორია) (2, 179).

მორწმუნე, მშრომელ ქართველს სულ მტრისკენ უნდა ჰქონოდა ყურადღება, რომ არსებობა შეენარჩუნებინა: „ტაძრებს აგებდნენ... მტერს ებრძოდნენ... მიწას ბარავდნენ. ეს მღვრიე მტკვარი მათი ოფლია წარსულიდან რომ მოედინება და მაინც რაა ქართლის წარსული?“ – კითხულობს პოეტი და მიგნებულ,

სწორ პასუხს პოულობს: „თორ–აბჯართა ყიჟინაა, კაჟის თოფია, ხმალ–ხანჯალია პირგაბასრული“ (წინაპრები) (2, 184).

შეუძლებელია ჩვენი ერისკენ დამიზნებული ყიზილბაშების მშვილდის დავიწყება: „პონტოს ზღვიდან ისევ მესმის ხმები ცივი, ვით ყინული... შორს რომ მოჩანს მოჭიქული ცისარტყელა კი არა და, მშვილდი არის ყიზილბაშის“ (4, 981).

პოეტი ასკვნის: „ჩემი ლექსების სევდაჩამდგარ სათოფურებიდან საქართველოს პირქუში წარსული იხედება“ (მესხთა და ჯავახეთის მიწაზე) (4, 923).

ვაჟა ეგრისელს ეიმედება დავით აღმაშენებლის ბადალი რაინდის მოვლინება და „დიდ თურქობის“ დასრულება: „ვითარცა ჟამს „დიდთურქობა, კვლავ ატყდება კიდით კიდე ვარსკვლავების ზარის რეკვა. მოვა ქარი, ვით დავითი და ღრუბლების უშქარ ურდოს ქართლის ციდან გადარეკავს“ (4, 484).

ვაჟა–ფშაველას „ბახტრიონის“ პრობლემას ასე ეხმიანება ვაჟა ეგრისელი: „როდესაც მამრთაგან არ დარჩა არავინ, როდესაც საკლავი თვით დაკლა სანათამა, როდესაც პოეზიის მინდვრებში შებინდდა, მაშინ ის ფშაველი ქართლს მოდგა მთებიდან, კოლხი კი – ზღვიდან და წყვდიადი განათდა“ (კოლხი და ფშაველი) (2, 31).

1921 წელი, საბჭოთა იმპერიაში ყოფნის დროს, ისევ საქართველოს ძირძველი ტერიტორიების ჩამოცილებით აღინიშნა: „ვით იესოს სამოსელი, მათ „განიყვეს“ საქართველოს ბრძოლით დაგლეჯილი ტანი! თათრებს ერგოთ საინგილო, სომხებს – ლორე და ტაშირი, თურქებს – ართვინ არტაანი“ (საქართველო – 1921) (5, 781).

ლექსში „საქართველოვ“ აპოკალიფსური მხეცების მიერ გაუბედურებული სამშობლოა გოდების საფუძველი: „აქეთ დათვი, იქით ლომი, წინ მეწყერი, უკან ცეცხლი... საქართველოვ! რას დიდგულობ? ქრისტესავით მუჭა ვერცხლად იუდასგან გაყიდულო!“ (5, 544).

სარფიდან ისევ „გველეშაპის“ საშიშროება ილანდება: „ძმათა მტრობის ზღვა ისევ ბობოქრობს, ღამე პირს აღებს გველეშაპივით, რომ ქართლი შთანთქას – აქვე, სარფიდან“ (5, 232).

პრობლემად ისევ უცხოთა მოძალება რჩება: „ეჰ, საქართველო უცხო თესლით ისევ აივსო. კახეთს „თათრები“... და ქართლს ოსები. ისე, ვით კრწანისს ყაყაჩოები, შემოეხიზნენ სამარადისოდ“ (მამულს გვტაცებენ) (5, 235).

სამშობლოს უპირველესი სატკივარია აფსუა და ოსი: „არც მონგოლმა, არც თათარმა, საქართველო შავ ძაძებით ისე მაგრად არ შემოსა, ისე აღარ დაგვამხო და ისე აღარ დაგვაოსა, ვით აფსუამ და ვით ოსმა“ (5, 249).

ვაჟა ეგრისელი განასხვავებს აფსუას, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიიდან მოგვევლინა დასავლეთ საქართველოში და სულ სხვა ეთნოსია, აფხაზი, აფხაზეთის სამთავრო ჩვენი ძირძველი ერის წარმომადგენელია.

ქართველები ყოველთვის ქრისტიანები იყვნენ, „ჭეშმარიტების ძელს“ – ქრისტიანულ რწმენას ერთგულებდნენ (5, 442).

1801 წლიდან ახალი უბედურება დაატყდა ჩვენს ქვეყანას. ქრისტიანული რწმენის იმედით ჩრდილოელ მეზობელს შეაფარა ჩვენმა ქვეყანამ თავი, ამით მოიგერია მუსულმანი მტრები, მაგრამ ეკლესიამ დაკარგა ავტოკეფალია, ქართულმა ენამ დაკარგა სახელმწიფო ენის სტატუსი.

საქართველო ხედავს თავის სამწყოში ბევრ უგულო კალიგულას, რომის ტირან იმპერატორს მიმსგავსებულს (1, 825).

ჩრდილოეთის დათვს პრეტენზია გაუჩნდა ჩვენი მიწიერი– სამოთხის –გაგრის მიმართ და ურჩხულივით გადაყლაპა: „გველეშაპი ცეცხლს აფრქვევდა, ამირანმა შეძლო შებმა, მაგრამ როცა გადაყლაპა დევმა გაგრა, ერთმანეთს კვლავ გადახედეს ქართლის მთებმა და ზღვა ისევ აიჯაგრა“ (4, 91).

პოეტი მაინც არ კარგავს იმედს, რომ ჩვენი ქვეყანა გამთლიანდება.

ვაჟა ეგრისელის განსაკუთრებული ტკივილია ბერძენი იაზონის მიერ კოლხეთიდან გატაცებული ოქროს ვერძი, საწმისი, აიეტის ძლევამოსილი კოლხეთის ძლიერების დაცემა, არგონავტების ლაშქრობა კოლხეთში და მედეას დახმარებით ოქროს საწმისის გატაცება.

„საწმისი, გრაალი სიმბოლოა „სულიწმინდის, ღვთისმშობლის და გრაალის მფლობელი არის სულიწმინდით გამსჭვალული ადამიანი“ (ზვიად გამსახურდია) (6, 38).

„უსაწმისო კოლხთა სევდა – მკერდზე ასჯერ გადამივლის“, აცხადებს პოეტი ლექსში „მზე წარსულში როცა ჩავა“ (1, 812).

„ლეგენდის ტოტზე ჰკიდია მზე – ოქროს საწმისი“ (კოლხეთში) (2, 35).

ძიების ორიენტირია „აიეტის კოლხეთი“ (კოლხეთს ვეძებ) (2, 923).

„ვჭვრეტ კოლხური ბილიკით მიმავალს: გილგამეშს, ამირანს, პრომეთეს“, აცხადებს პოეტი (4, 965).

იდეალია „ქართული ცის“, „კოლხი ქურუმ–მისნების“ მიერ გახსნილი ქართული ცის ხილვა: „ათას წელში ერთხელ რომ ზესთა კარი იხსნება, ბრძენნი ჭვრეტენ ქართულ ცას, ვარსკვლავებით დაწერილს – კოლხი ქურუმ მისნების“ (ვარსკვლავებით დაწერილს) (4, 1241).

ისევ „მოძმეთაგან“ „სამეგრელოს მერამდენე დალაშქვრა აღაშფოთებს პოეტს (4, 938).

მიზანი აიეტის სასახლის აღმოჩენა უნდა იყოს: „გრიგალი ზვირთებს მიასვენებს ზღვის ბალდახინით, უნდა აღმოაჩინოს აიეტის სასახლე“ (დღისით და ღამით) (1, 238).

ლექსში „აისბერგები“ ასეთი ხილვაა: „ოკეანეში რომ დაცურავს აისბერგები, სულია იგი ზღვაოსანი ძველი კოლხების“ (აისბერგები) (4, 213).

„... კოლხთა წარსულით მთვრალი და გალეშილი“ პოეტი „უსიერ ჟამში“ იხედება და ენქიდუს და გილგამეშს ჭრეტს (ენქიდუა ან გილგამეში) (2, 936).

„ბევრჯერ სიკვდილ–სიცოცხლის ზღვართან“ მდგარ კოლხეთს უფალი მფარველობდა (ყოფილა სათარეშო)(1, 514).

„ჩემი კოლხეთის წარსული დიდ იმპერიებს ეყოფათ“, აცხადებს პოეტი (2, 936).

ერთგან კოლხეთი ოქროს საბადოთი ცნობილ ელდორადოსა და იაკარიასთან არის შედარებული (5, 566).

„ფლორიდებში“ საუბარია „კოლხეთის სიტყვის მძინვარ ოკეანეში“ დანახულ „პოეზიის ცისფერ ფლორიდებზე“ (ფლორიდები) (5, 556).

„ოქროს წვიმის ყაისნაღით მოქსოვილი კოლხური ცა სხვაფერია“, აცხადებს პოეტი. ლექსის ეპიგრაფია გალაკტიონის სტრიქონი: „შეხედე, რა ცაა, ესაა რაცაა“ (5, 204).

„ათასწლეულებში“ ხედავს ვაჟა ეგრისელი კოლხ–იბერთა მარადიულ ქვეყანას: „ითვლის ათასწლეულებს, მითებიდან მოსული ქვეყანა კოლხ–იბერთ... თუმც ბევრი ჰყავს მოშურნე, მაინც არ დამიბერდა“ (ქვეყანა კოლხ–იბერთა) (5, 378).

პოეტის უკიდეგანო თვალსაწიერი სათაფლიასთან მილიარდი წლის წინ არსებულ „დინოზავრს“ ჭვრეტს (სათაფლიასთან) (3, 665).

შუმერთა, ქალდეველთა შთამომავალი ერი ბიბლიასა და ყურანშიც იელვებს. ლექსში „ქალაქი კოლხა – 52 საუკუნე“ ნათქვამია: „მზე რომ ადგა კოლხთა ქალაქს ახსოვს ბიბლიას და ყურანს“ (5, 766).

პოეტი ვერ ინელებს დიდი დათვის მიერ წაქეზებული აფსუების ვერაგობას: „პონტო ხელთ გეპყრა და არ იყო მტრის ჭაჭანება, იყო კოლხეთი: ლაზების და მეგრელ–ჭანების, მერე გამოჩნდნენ აფსუები ვითომ მაკრონად და შენს სამოთხეს დაეპატრონა. გლეწავდნენ, გლეწდნენ... არ ილეწები და შორეული

წარსულიდან დიდ მომავალში გადიხვეწები“ (პონტო ხელთ გეპყრა) (5, 583).

კოლხეთი კვლავ ოქროს საწმისთან არის გაიგივებული: „კვლავ მოვკაფავ ისტორიის წყვდიად უღრანებს, ოქროს საწმისით თავს იწონებს ველი არესის, ფაზისს ჩასცქერის პირმცირანე ბაღი ჰეკატის, სხვა არრა მოჩანს, რადგან წლები კარებს კეტავენ“ (5, 603).

პოეტს ეიმედება გამოდარება და „პრეისტორიის ნისლიდან“ კოლხეთის გამობრწყინება: „რაც დრო გადის, მით უფრო ნისლში პრეისტორიის – იძირება კოლხეთი... მაგრამ გამოიდარებს და ჟამი კვერს დაუკრავს ჰომეროსს და პინდარეს“ (ჰომეროსს და პინდარეს) (5, 609).

შემთხვევითი როდია ცოტნე დადიანის ძეგლის დადგმისას ცისარტყელას გამობრწყინება: „როდესაც ვდებდით წმინდა ცოტნეს ბალავარს, ღმერთს და განგებას ვთხოვდით შეწევნას, ლოცვა–კურთხევით ღამენათევი მრევლი და ყველა უფლის მსახური. უცებ იელვა და წმინდანის ტაძრის ბალავარს თავზე დაადგა უფლის ნათელი ვითარცა მაღალ ცისარტყლად გამოსახული“ (5, 615).

ვაჟა ეგრისელის დასკვნა ასეთია: „კოლხეთის დიდი მომავალი მეიმედება“, „უკოლხეთოდ კი საქართველო უწარსულოა“ (5, 740, 766).

განსაკუთრებით საყურადღებოა მსოფლიოს, საქართველოს უშორეს წარსულში ასი თვალით მჭვრეტელი პოეტის მოსაზრება ჩვენი ერის მომავალზე: „ქვეყნად ქართველი არასდროს გადაშენდება/ არწივის მართვე არ იქცევა ძერის ქარდებად“... (ქვეყნად ქართველი არასოდეს გადაშენდება) (1, 473).

პოეტი ირწმუნება: „საქართველო რომ ღვთისაა, დასტურ მთვარე ბეჭდად აზის. კრთება ელვა – ცის მიზეზით და... ღვთის შვილი არის ვაზი, მიტომ მაღლა დედისაკენ მიისწრაფვის“ (5, 647).

მთვარე საღვთისმშობლო სახელია (7, 122).

ვაზი, ვენახი ქრისტეს სიმბოლოა: „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი და მამაიჩემი მევენახეა“, ნათქვამია წმინდა წერილში (იოანეს სახარება, 15, 1) (8, 213) (8, 211).

სამშობლოს მარადიულობის დასტურია უფლის წიგნი – „ეფუთი“ და ქრისტეს მიერ თავისი საყვარელი მოწაფის – ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს გაცოცხლება: „სამყაროს შეარხევს სხვა ზარი და ათასწლეულით შეფუთვნილს უფლის წიგნს – ცის ნაწერ „ეფუთის“, რომელიც ქართველებს ეკუთვნის, გახსნის... და მკვდრეთით აღდგება ლაზარე“ (ლაზარე) (5, 290).

იოანე ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ ქართულ ენას ლაზარეს უწოდებს, რომელიც დღეს დამცირებულია, ათასწლეულების ბინდი ფარავს, მაგრამ ის გაცოცხლდება ისე, როგორც ქრისტემ გააცოცხლა თავისი საყვარელი მოწაფე ლაზარე და ცოდვილი კაცობრიობა ქართულ ენით განიკითხება, ასეთია ჩვენი წინამორბედის და თანამედროვე პოეტის რწმენა, რაც იმედით ავსებს ქართველს (5, 7-9).

„ჩემი ზღაპრული კოლხეთის – ცითაა გადახურული... არც ლარი უნდა, არც ხაზი, ვით მეგრელი და გურული, რომ ქართველია აფხაზი“ (9, 625).

„პონტოს პირად აფსუა რომ დაპარპაშებს, ის კოლხეთი დედამიწის არის საშო“, აცხადებს პოეტი და განასხვავებს აფხაზისგან აფსუას.

მომხდურის მიერ დაგეგმილი წიწამური და კრწანისი ბედისწერამ საქართველოსთვის აპოკალიფსად ვერ აქცია, ბაზალეთის ტბიდან მოსმენილი აკვნის რწევა სამშობლოს გადარჩენის და მარადიულობის მაუწყებელია: „აქ წიწამური და იქ კრწანისი ,მომხდურს ეწადა, რომ ყოფილიყო საქართველოსთვის აპოკალიფსი. მაგრამ... ყური მიუპყართ, ბაზალეთის ლურჯ ტბიდან – აკვნის რწევის ხმა ისმის“ (აპოკალიფსი) (5, 531).

ათასწლეულებში ნაომარი ერი არა მარტო ბრძოლისუნარიანობით, მსოფლიო მნიშვნელობის მხატვრული სიტყვის შექმნითაც გამოირჩა: „გადმონადენი ათასწლეულებს, სიკვდილ–სიცოცხლის კლდეს ეხეთქება ერთი ზათქით და დავიდარაბით. და წარსულიდან ქართვლის, ხეთების – მოქუხს სიმღერის თეთრი არაგვი“ (5, 238).

მთავარი ის არის, რომ „ქართველისთვის ... სამშობლო ისევ მზე და ფარია“ (ოქროს მთებით შემოსაზღვრული) (3, 803).

დიდი წარსულის მქონე ქვეყანა უბერებელია: „ითვლის ათასწლეულებს, მითებიდან მოსული ქვეყანა კოლხ–იბერთა, თუმცა ბევრი ჰყავს მოშურნე, მაინც არ დამიბერდა“ (ქვეყანა კოლხ-იბერთა) (5, 378).

ლექსში „ქალაქი კოლხა – 52 საუკუნე“ – ნათქვამია: „მზე რომ ადგა კოლხთა ქალაქს, ახსოვს ბიბლიას და ყურანს“ (5, 766).

პოეტი ჭვრეტს „კოლხური ბილიკით მიმავალს: გილგამეშს, ამირანს, პრომეთეს“ (2, 965).

„კოლხთა წარსულით მთვრალს და გალეშილ“ პოეტს ესმის ენქიდუს, გილგამეშის ხმა (ენქიდუა ან გილგამეში) (2, 936).

ვაჟა ეგრისელი ირწმუნება: „... არ გვქონია წარსული გლახა, არც მომავალი გვექნება ცუდი“ (4, 1003).

ჩვენი ქვეყნისთვის დავით აღმაშენებლის აჩრდილი „ნათლის სვეტია, კოლხეთი – „ოქროს საწმისი“, ამიტომ ორივეს სიყვარულით უმღერის: „სადაც ქვეყნის გასაგონად „ოდოია“ მიმღერია, ზღვით ნაშობი ტყუპისცალი კოლხეთი და იბერია, ჩემი ტკბილი სიყრმეა და ჩემი მწარე სიბერეა“ (კოლხეთი და იბერია) (5, 440).

ერის უშორესი ხმები მისი მარადიულობის რწმენით ავსებს პოეტს: „ზღვაოსან კოლხთა და დიაოხთა აქარიშხლებულ ცის და სულების, ისევ გრძელდება ქროლვა – აფრული და ისევ მესმის მათი ყიჟინა მარადისობის უფსკრულებში გადახაფრუ-

ლი“, ასე ამხნევებს ნათელმსმენ პოეტს წარსულის ხმები (4, 94).

სხვაგან ნათქვამია: „ჩემი ფრთებდამწვარი თბილისი ფიქრში ისევ ამაღლებულია და ბაბილონობს და ქანაანობს“ (4, 371).

გახსენების წყაროა ის, რომ „თამადასავით იდგა კახეთი“ (შალვა მჭედლიშვილს) (4, 355).

წინანდალი „სემირამიდას“ ბაღების ასოციაციას იწვევს (წინანდალში) (4, 384).

ედემს, სამოთხეს მიმსგავსებული სამშობლოს მარადიულობის რწმენა ვლინდება ლექსში „ციხე–კოშკებიდან“: „ეს მიწა ედემია და სამოთხეა, ხეთა ფესვები ჩემი წინაპრების ძვლებია. ბევრიც ეცადონ, ყველას მაინც ვერ ამოთხრიან“ (5, 397).

წარსულის ტრაგედიებიდან გამოღწეული მამულის მარადიულობის იმედია პოეტის მრავალ შედევრში: „სადღაც მომავლის ხარობს ჯეჯილი და მესმის მისი ჩუმი შრიალი. თუმც წარსულითაც შენ ხარ მდიდარი, ჩემი სიცოცხლე გიდგას თავდებად, რომ შენს თვალებშიც გამოიდარებს – მამულო ჩემო! შენი ყანაც დათავთავდება“ (4, 961).

„მამულის სიყვარულის ცადამწვდენი კოშკიდან“ უცდომლად იკითხება „ავბედითი წარსული“, ღვთისმშობლის წილხვედომილი სამშობლოს აწმყოც, მომავალიც.

„და დღეს მღვრიე ქართვლის სული – მომავლის თეთრ კალაპოტში, ვხედავ, როგორ მიწანწკარებს“, ნათქვამია ლექსში „საქართველოს სული“ (2, 720).

„სამგლეთს“ წარსულიდან მომავალი ალგეთის მგლები ვერ მოერევიან, ასეთია პოეტის რწმენა: „სანამ ისმის რუსთაველის ვეფხვის წიგნში ლომთა ბრდღვნა, დე, იცოდნენ, რომ სამგლეთი კვლავ არსებობს ამა სოფლად – დრო მოვა და ... მგლებს ალგეთის, ერთ ლუკმადაც არ ეყოფათ“ (6, 8).

„დაგვნათის სახე თამარის, გვიფარავს ფრთა ანგელოზის“, ნათქვამია ლექსში „ყინწვისში“ (5, 285).

მრავალჭირნახული ქვეყნის გადარჩენას ესმება ხაზი: „მაშრიყის მხრიდან და მაღრიბიდან ცით და ხმელეთით და ზღვისპირიდან, საუკუნეთა მღვრიე ჯარი მოდგა და მოდგა, მაგრამ ვერასგზით ვერ აღგავა მიწის პირიდან ჩემი ამაყი ჯიქთა ჯიში და ჩემი მოდგმა“ (2, 165).

ლექსში „ცხრამნათი“ მოიხსენებიან მამულისთვის დამაშვრალი გმირები... ვახტანგი, დავითი, ქეთევანი, ცოტნე, მირიანი, შალვა, ელიზბარი, ნინო, ერეკლე, რომლებიც „საქართველოს ცის სარკეში აირეკლნენ“ (2, 138).

ჭეშმარიტი პოეტის მისიაა „ოქროს ვერძების“ (სიბრძნის) მოხელთება: „აიეტივით მზის შვილი, ნაპირებიდან ფაზისის, კვლავ ოქროს ვერძებს მოდენი, შენს ბედს ბეჭედი აზის მზის და... ქვეშ ხელს აწერს ლოდინი“ (5, 889).

„შორ მომავლიდან“ ისმის მომავლის მაუწყებელი ყიჟინა: „ქვეყნად ქართველი არასოდეს გადაშენდება, არწივის მართვე არ იქცევა ძერის ქარდებად“... (ქვეყნად ქართველი არასოდეს გადაშენდება) (3, 473).

პოეტის წინამძღვრები არიან „ფსალმუნების“ ავტორი დავით წინასწარმეტყველი და „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ სამშობლოს გამამთლიანებელი დავით აღმაშენებელი: „გადავავლე მთებსაც ჰუნე და მოვუხმე ორ დიდ დავითს: ერთს, ვით მეფეს და მესიას და მეორეს – მეფსალმუნეს“ (ორ დიდ დავითს) (5, 270).

„ფიქრის თვალებით“ იხილვება წარსულის „შვიდი ათასწლეულის მინდვრები“, იხილვება „ქართული სიტყვის დიდი ზღვა“...

17. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“ ხუთ ტომად, ტ. IV, „უნივერსალი“, თბ. 2014;
18. „კოლხური ფსალმუნები“, ტ. III, თბ. 2016;
19. „კოლხური ფსალმუნები“, ტ. II, თბ. 2004;
20. „კოლხური ფსალმუნები“, ტ. V, „უნივერსალი“, თბ. 2019;
21. „კოლხური ფსალმუნები“, ტ. I, „მოლოდინი“, თბ. 2001;
22. ზვიად გამსახურდია, „საქართველოს სულიერი მისია“, თბ., 1991;
23. ტიტე მოსია, „საღვთისმშობლო სახისმეტყველება“, ზუგ-დიდი, 1996;
24. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.

საქართველოს – ლაზარეს მკვდრეთის აღდგომის და გაბრწყინების იმედი

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მართლმადიდებლური ქრისტიანობის, ეროვნული ტრიადის – ენა, მამული, სარწმუნოება – ერთგულებას.

„კოლხური ფსალმუნების“ ერთ–ერთი უპირველესი პერსონაჟია იოანეს სახარების ლაზარე, ქრისტეს საყვარელი მოწაფე, რომელიც ოთხი დღის მკვდარი გააცოცხლა ქრისტემ.

იოანე ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ ქართულ ენას მოიხსენიებს ლაზარედ, რომლითაც მეორედ მოსვლისას უფალი განიკითხავს ცოდვილ კაცობრიობას.

X საუკუნის მოღვაწის – იოანე ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ გვამცნობს: „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა და ესე ანბანი

მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან... და ესე ენაჲ შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა, და სასწაული ესე აქვს: (ასოთხი) წელი უმეტეჲს სხვათა ენათა ქრისტეჲს მოსვლიდან ვიდრე დღესამომდე“ (1, 7-8).

„იოანე ზოსიმეს „ქებაჲ“ ეხება არა მხოლოდ ქართულ ენას, როგორც ასეთს, არამედ ქართველ ერს, ქართულ ეთნოსს, მის კულტურულ–ისტორიულ მისიას, როგორც ეს ესმოდათ საქართველოს ეზოტერულ–ქრისტიანულ წრეებში“, აცხადებს ზვიად გამსახურდია (2, 4).

„ასე რომ იოანე ზოსიმე წინასწარმეტყველებს: ქართველი ეროვნება, ქართული მოდგმა მიაღწევს მეორედ მოსვლამდე“ (2, 7).

„ქრისტესეული ნათლისღება პირველად განხორციელდა ლაზარეზე, რომელიც მოკვდა და აღდგა. ე. ი. ლაზარე პირველი მოინათლა სულიწმინდით და ცეცხლით, ანუ ქრისტიანული ნათლისღებით. მაგრამ მის სნეულებაზე ხომ მაცხოვარი თავიდანვე ამბობს, რომ ეს არ არის ნამდვილი, სასიკვდინე სნეულება, „სნეულება ეს არა არს სასიკვდინე, არამედ დიდებისათვის ღმრთისა, რათა იდიდოს ძე ღმრთისა მისგან“ (იოანე, 11, 4) (2, 203).

იოანე ზოსიმეს ძეგლში ნათქვამია: „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე, მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, ცხადია, ჭეშმარიტების საწამებლად. ქართულმა ენამ, ქართულმა მოდგმამ უნდა სწამოს ჭეშმარიტი ისევე, როგორც იესო ქრისტემ. მან უნდა ადიდოს ქრისტე ისევე, როგორც იოანე ლაზარემ. ასე სწამს იოანე ზოსიმეს“ (2, 11).

„ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს“ – ნიშნავს, რომ ეზოტერული, საიდუმლო სიბრძნეა შემონახული საქართველოში, ქართველ ერში, მის ენასა და კულტურაში (2,

14), რომ ქართული ენა „მოგვთა ენაა, პირველადი მისტერიების ენა, ღმერთებთან ურთიერთობისთვის შექმნილი“ (2, 36).

„საქართველო, გადმოცემით, ღვთისმშობლის წილხვდომილია. იგი არის სულიწმინდის მიწიერი გამოცხადება, სულიწმინდისა, რომელიც არის მომცემელი ჭეშმარიტი საღვთო სიბრძნისა“ (სოფიასი) (2, 20).

სახარების მიხედვით, სულიწმინდის მისია არის კაცობრიობის ცოდვათა, ანუ „ყველა ენათა“ ცოდვათა მხილება. იგივე მისია ეკისრება ქართველ ერს მომავალში. იოანე ზოსიმეს თვალსაზრისით, შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ გადმოცემით, „ღვთისმშობელს წილად ერგო საქართველო სულიწმინდის გადმოსვლის დღეს“ (2, 21).

„სულიწმინდა არის კაცობრიობის მამხილებელი და, ამავე დროს, „ყოველი საიდუმლოს“, ანუ საიდუმლო სიბრძნის მომმადლებელი. სულიწმინდა ქართული ენის, ანუ ქართული მოდგმის საშუალებით განახორციელებს თავის მისიას, როდესაც ამხელს კაცობრიობას მეორედ მოსვლის ჟამს“ (2, 21).

იოანე ზოსიმეს გაგებით, ქართული ენა ოთხი დღის, ანუ ოთხი ათასი წლის მკვდარია. მაგრამ ეს დამდაბლება მისთვის ქრისტესეული ნათლისღებაა სიკვდილისა და დაფლვისა, რასაც გარდუვალად მოსდევს აღდგომა და ამაღლება, რასაც განახორციელებს ის, ვინც აღადგინა და განადიდა ლაზარე. ამიტომ არის ქართული მოდგმა ლაზარესთან შედარებული“ (2, 34).

„ქართული ენა ლაზარეა ყველა ენებს შორის, იგი პირველადი ენაა, მთავარი ენაა ისევე, როგორც ლაზარე – იოანე იყო მთავარი მოციქული უახლესი სულიერი მეგობარი ქრისტესი. იგი იყო ამავე დროს ძეობილი ღვთისმშობლისა ისევე, როგორც საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი“, ასეთია ზვიად გამსახურდიას დასკვნა („ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ) (2, 3-46).

ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში საყურადღებოა ებრაული მესიანიზმის იდეა, რომ ამ ხალხის წიაღში დაიბადებოდა ხალხის მხსნელი, მესია.

ერის რჩეულობის იდეა გამოვლინდა ბიზანტიაში, სომხეთში, პოლონეთში, რუსეთში.

„დიდი ქვეყნებისთვის მესიანიზმი მსოფლიო ბატონობის, იმპერიული ზრახვების რეალიზებაში ვლინდება, პატარა ერებისთვის – თვითდამკვიდრების, ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების იმპულსში.

მცირერიცხოვან, ძნელბედობაში მყოფ ქართველ ერს განსაკუთრებით სჭირდებოდა მესიანისტური იდეა, რადგან „ეს იდეა თვითგანმტკიცებას, თვითრწმენას, ძლიერებას უწყობს ხელს, ამა თუ იმ ისტორიულ ვითარებაში იმედის საფუძველია და ებრძვის ეროვნულ სასოწარკვეთილებას“ (აკაკი ბაქრაძე, დავიწყებული იდეა) (3, 49).

გრიგოლ რობაქიძე განასხვავებდა „მესიანიზმს“ და „მისიანიზმს“. მწერალი დარწმუნებული იყო ჩვენი ერის დიდ მისიაში, ეთაყვანებოდა ქართულ ენაში დაუნჯებულ შესქმისეულ სიბრძნეს, მწერალი იმოწმებდა ნიცშეს: „რაც ვერ მძლევს, მხლის უფრო ძლიერს“ – საქართველოზე თუა გამოჭრილი“ (ქართული გენია როკვით განფენილი) (4, 287-290).

ლაზარეს მკვდრეთით აღდგომას რუდოლფ შტაინერი მისტერიას უწოდებს: „ლაზარეში მარადიულმა სიტყვამ დაივანა. ლაზარე იმად იქცა, რასაც მისტერიების ენაზე ხელდასხმული ჰქვია“ (5, 125).

„ბეთანიის მოვლენა ხელდასხმად ანუ ინიციაციად უნდა წარმოვიდგინოთ“.

„ხელდასხმის ძველი წესების თანახმად, საჭირო იყო რამდენადმე ძილისმაგვარი მდგომარეობის მიღწევა“.

შტაინერის მიხედვით, ლაზარეს სიკვდილი სიმბოლური სიკვდილია. როცა ამ აქტით მისტერიაში ზიარება აღსრულდა,

მოხდა ის, რაც მთელს ძველ სამყაროში ესმოდათ, როგორც ინიციაცია.

„...ამ აქტში ქრისტიანობა მისტერიებს უკავშირდება. ლაზარე ხელდასხმული გახდა თვით ქრისტე იესოს მიერ, რამაც ლაზარეს სულიერ სამყაროში ამაღლების შესაძლებლობა მისცა. სწორედ იგი გახდა პირველი ქრისტიანი ხელდასხმული, თანაც ქრისეს მიერ“ (5, 128).

„იოანეს სახარება სწორედ მისტერიას წარმოადგენს. მასში გადმოცემული ყველა მოვლენა სულიერად უნდა გავიგოთ“.

„აქ არის შემეცნების დრამა, რომელსაც ჯერ კიდევ ოდითგანვე იცნობდნენ. ამ დროს თქვენს წინაშე მისტერია წარმოდგება“ (5, 129).

რუდოლფ შტაინერის ყურადღებას იპყრობდა კოლხეთის მისტერიული სკოლაც. ამ პრობლემაზე დაწვრილეით საუბრობს ზვიად გამსახურდია „საქართველოს სულიერ მისიაში“.

ტერენტი გრანელი საქართველოს მომავალს გაიაზრებდა გარდაცვლილი, მაგრამ ქრისტეს მიერ გაცოცხლებული ლაზარეს სახეში: „კვდება ეს მდელო და ეს ქარია და საქართველო ახლა მკვდარია. მათ საქართველო დღეს გულში დაჭრეს, ახლა ძნელია სულის მიგნება. ირგვლივ ღამეა, არ ჩანს მესია და საშინელი ეს გაციგნება, მაგრამ ლაზარე აღდგება მკვდრეთით, აღდგება, როგორც ღვთის სიყვარული... მას ვამბობ, რასაც ვამბობდი: კმარა!!! მზეო ამოდი! ამოდი ჩქარა“ (ფიქრები ქაქუცა ჩოლოყაშვილის მკვლელობის დღეს) (6, 246).

ლაზარეს სახით დაინტერესება მრავალგზის იჩენს თავს ვაჟა ეგრისელის პოეზიაში.

„საიდანღაც ლაზარეს ჩუმი სუნთქვა იგრძენ და ჭვრეტ იგავ–მითებში – ადრე ტაბუდადებულ საიდუმლო სიბრძნეს“ („ლაზარეს აღდგინება“) (7, 288).

ლექსში „რემამ საუკუნეთა“ ნათქვამია: „... კოლხურ მისტერიებს კი, მწამს „ლაზარეს“ გარეშე ქვეყნად ვერვინ ამოხსნის“. ლაზარე – იგულისხმება საქართველო (7, 779).

გარდაცვლილი ლაზარეს საფლავში დავანება და აღდგომა ასე წარმოიდგინება ვაჟა ეგრისელის ლექსში: „დღე და ღამის შავ–თეთრ ხეს გააპაობს მთა-ველის ნაჯახით და ლოდს გამოსწევს ლაზარე, მე კი მთებს ერთურთს ვაჯახებ და მიწა მიტომ ზანზარებს“ (8, 530).

„პონტოს სანაპიროზე მიძინებულ ლაზარეს“ „კოლხეთის მისტერიას“ უწოდებს პოეტი (კოლხეთის მისტერია) (7, 695).

ლექსში, „ლაზარე“ ისევ უფლის წიგნზე და ლაზარეს მკვდრეთით აღდგომაზეა საუბარი: „სამყაროს შეარყევს სხვა ზარი და ათასწლეულით შეფუთვნილ უფლის წიგნს – ცის ნაწერ „ეფუთის“, რომელიც ქართველს ეკუთვნის, გახსნის და მკვდრეთით აღდგება ლაზარე“ (9, 292).

ლაზარეს მკვდრეთით აღდგომა სასწაულებს მოახდენს, „იმ ქვეყნიდან“ დარეკავს „დედო ზარი“ სასწაულებრივი მოვლენის საუწყებლად, ასეთია პოეტის რწმენა: „ლოდს გადასწევს და ლაზარე წარმოდგება ისევ მკვდრეთით, ჟამი მოვა მთათა დრეკის და მოუსმენს დედო–ზარებს, იმ ქვეყნიდან გადმორეკილს“ (9, 660).

ლექსში „იდუმალი საზღვარი“ ლაზარეს მკვდრეთით აღდგომა წარმოიდგინება, როგორც საყოველთაო სასიხარულო სასწაული, სამშობლოს აღორძინება, მისი უკიდეგანო შესაძლებლობების გამოვლენა, საზღვრების შორს გაწევა: „მკვდრეთით აღდგა ლაზარე, ისევ უხმობს ზარს ზარი და ცა გადაშლილია, ველი მულღაზანზარის, ისევ ცვივა ფიქრს ფიფქი... იდუმალი საზღვარი მიიწევა მზის იქით“ (10, 767).

საკუთარ ბიოგრაფიასაც ლაზარეს უკავშირებს პოეტი: „დასაბამიდან ვიდრე აქამდე, გამოიარე გზები საზარი, რადგან

უფალი მუდამ გყვარობდა. ვით ენა შენი – წმინდა ლაზარე, შენ ხარ მოსული სხვა სამყაროდან“ (9, 107).

დამოწმებანი

1. ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, „მერანი“, თბ. 1980;
2. ზვიად გამსახურდია, წერილები, ესსეები, თბ. 1991;
3. აკაკი ბაქრაძე, „რწმენა“, თბ., 1990
4. გრიგოლ რობაქიძე, ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 2012
5. რუდოლფ შტაინერი, ქრისტიანობა, როგორც მისტიკური ფაქტი და უძველესი მისტერიები, თარგმნა მიხეილ ნიშნიანიძემ, „პითაგორა“, თბ., 1994
6. ტერენტი გრანელი, ლექსები, წერილები, ჩანაწერები, თბ., 2012
7. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“ ხუთ ტომად, ტ. IV, „უნივერსალი“, თბ., 2017
8. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“, ტ. V, თბ., 2011
9. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“, ტ. II, თბ., 2006

თავი IV
ფილოსოფიური ლირიკა

წუთისოფელი და მარადისობა

წუთისოფელი, წარმავლობა და მარადისობა, წამიერის გასაუკუნება ყველა ჭეშმარიტი შემოქმედის ფიქრის საგანია.

ვაჟა ეგრისელისთვის საწუთრო ურჩხულია, დღე და ღამე – სქილა, ქარიბდა, მაგრამ თავისი შემოქმედებით უზენაეს ცაში – ცათა ცაში აღწეული პოეტი უშიშარია და მიწადყოფნის გამარადიულებას ცდილობს: „დღესა და ღამეს – სკილას, ქარიბდას ამ ორ დიდ ურჩუხლს არ შევუშინდი და ეს საწუთრო მე შევიფერე“ (1, 783).

წუთისოფელი დაუნდობელია, სულის და სხეულის დაუძინებელი მტერი: „...მას გადაჭრილი ჰქონდა ვენები და სულს ღაფავდა სისხლდაწრეტილი“, ნათქვამია ლექსში „წუთისოფელი ასეა“ (1, 809).

„რა არის ყოფნა, წუთისოფელი? კითხულობს პოეტი და ასეთ შთამბეჭდავ პასუხს პოულობს: „ზღვის მიქცევა და მოქცევაა დაუსრულებელი“ (2, 308).

წუთისოფელი სიხარული და ბედნიერება კი არ არის, შურით, შხამითაა სავსე: „ასე ყოფილა, ასე მოდის, შენც, ვითარც მამას, წუთისოფელი მოგიწამლა შურმა და შხამმა“ (2, 326).

„საწუთრო ძაღლყურძენაა“ (ნაკადულების სიცილ-კისკისში) (3, 674).

„არყოფნის ტოტზე მჯდარი“ პოეტი „ყოფნას უგალობს, ეს „საწუთრო კი „სიზმრის, სიზმრის სიზმარია“ (2, 1403).

სიცოცხლის წარმავლობის აღიარება პოეტს ხელს ვერ უშლის გამუდმებით ქართულ მიწაზე იყოს, ანუ წარმავლობა მარადისობად აქციოს: „ვით უბადრუკი ჟამთა დინება, წარმავალია ქვეყნად ყოველი და დრო არ გვრჩება საკუთარი ბედის

გლოვისთვის. მაგრამ მე... მტკვრისპირ ვიდგები, ვით სვეტიცხოველი, ქართულ მიწიდან ფეხს არ მოვიცვლი“ (რწმენა) (3, 600).

„წუთისოფლის სივერაგე შენც იცინე, შენც იტირე“, აცხადებს პოეტი (2, 1285).

ვაჟა ეგრისელს არ ავიწყდება წმინდა წერილის ბრძნული განაცხადი: „ნუ შეიყვარებთ წუთისოფელს“ (მათე; 2, 24).

მიწიერი ცხოვრების წარმავლობაზე, წამიერობაზე ფიქრი პოეტს ათქმევინებს: „რა არის აქ ყოფნა! იგი ხომ წუთია, გიყვარდეთ არყოფნა – ცასავით მარადი!“ (2, 419).

ელენე ბლავატსკაია გვმოძღვრავს: „ეს დედამიწა სევდის სრა–სასახლეა, ყოველ ნაბიჯზე ხიბლია, რათა შენი „მე“ დაიჭიროს იმ ხიბლით, რომელსაც უდიდესი ერესი ჰქვია“ (მდუმარების ხმა) (4, 61).

„ბჰაგავად–გიტას“ მიხედვით, „ეს ქვეყანა ჭირთა წარმავალი საუფლოა, „წარმავალი და უსიხარულოა საწუთრო“ (5, 60, 67).

მიზანი სიბრძნესთან ზიარებაა: „იქვე დაამარცხა წუთისოფელი იმან, ვისი გულიც შეუძვრელია“ (5, 45).

წუთისოფლის წამიერების მიუხედავად, ვაჟა ეგრისელი წარმავლობაზე მაღლდება სიკეთით და რწმენით, რომ ცრუ სოფელში სინათლის ჩირაღდანი შემოიტანოს: „ვუსხედვართ წუთისოფლის სამსჯავროს, სად უმაღლესი დროა მსაჯული. ავაგიზგიზოთ სიკეთის და რწმენის კოცონი, რომ ბინდისფერი, ცრუ სოფელი გავაჩირაღდნოთ“ („შეგონება“) (1, 76).

პოეტი წუხს „ამ წუთისოფელში“ მაჩაბლის გაუჩინარებას (მაჩაბელი) (1, 158).

ვაჟა ეგრისელს სწამს, რომ „არყოფნის ნავსადგურიდან“ შესაძლებელია უზენაესის კარიბჭემდე მიღწევა: „სიტყვის ქამანდით წუთისოფლის ქროლვას დაიჭერს, ...ო, უხილავო, მოადგება ის შენს კარიბჭეს“ (ო. უხილავო) (1, 611).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი „წუთისოფელს დიდ-ხანს ედავა“ (წამი რაა) (2, 525).

ბოლოს მოახერხა წუთისოფელზე ამაღლება: „გამკრთალ ელვის სატევრით, ჟამთა უღრანს მიჰკაფავ, წუთისოფლის დამ-ნისლავს. ღამით იცვამ მზის კაბას და დღისით კი მთვარისას“ (2, 60).

მზე საღვთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84, 12) (6, 612).

მთვარე ღვთისმშობლის მეტაფორაა (7, 122).

მხოლოდ უფლის რჩეულს ხელეწიფება წუთისოფელზე, ყოვლის შემმუსრავ სიკვდილზე ამაღლება, რადგან ნიჭის მიმ-მადლებელი სულიწმინდის მფარველობაშია.

„არყოფნის ნისლის“ გამფანტავი პოეტი წუთისოფლის წარმავლობას როდი ემონება, მას ღვთის შეწევნით, ხელეწი-ფება მიწა ზეცად აქციოს, წარმავლობაზე ამაღლდეს, წუთისო-ფელს ფერი უცვალოს: „სადიდებელს მზისას მღერი,... და სიმ-ღერით გსურს უცვალო წუთისოფელს ზნე და ფერი“ (ცისქვე-შეთში ერთადერთი) (2, 1335).

ვაჟა ეგრისელი „ურწმუნოთა დიდ ოკეანეში“ „რწმენის კუნ-ძულს“ ქმნის „კოლხური ფსალმუნების“ სახით (2, 37).

სატანის საუფლოში ღმერთშემოსილი პოეტი ნუგეშის და სულიწმინდის ხელდასხმულია: „ანგელოზთა ფრთით დახუ-რულ და ღვთისმოსილ შენს საუფლოს გარს სატანა უვლის ბინდად... მაინც შენში მზედ გადმოდის ნუგეში და სულიწმინ-და“ (ნუგეში და სულიწმინდა) (2, 79).

უფლის რჩეულის განაცხადია: „სიცოცხლე ან სიკვდილი, აქ, ერთი რჩება ორიდან. ვისმენ ვარსკვლავთა გალობას. მეღი-მილება შორიდან წარმავლის წარუვალობა“ (2, 684).

„უჩინარი გზა“ პოეტს დიდებასთან აკავშირებს (გზა უჩინა-რი) (2, 689).

გზა საღმრთო სახელია: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე, 14, 6) (6, 211).

ზესკნელ–ქვესკნელის, წუთისოფლის საიდუმლოებებში უცდომლად მჭვრეტელი პოეტი აცხადებს: „წუთისოფლის ზამთარში, ვისაც აღარ შესცივდა, ვინც უკან არ იხევდა, მისი სული ზეციდან – ელვად გადმოიხედავს“ (2, 901).

ისევ და ისევ უცდომელი დასკვნით გამოირჩევა პოეტი: „უფლის ხელით ტრიალებს წუთისოფლის ბორბალი“ (მზის და მთვარის ბორბალი) (2, 911).

ვაჟა ეგრისელს საწუთროზე ამაღლების მაგალითად ესახება იტალიელი გენიოსი დანტე: „მისწრებაა ეს საწუთრო, რადგან ჟამი ელვად მიჰქრის... ბედნიერი არის იგი – მინდვრის მხვნელი და მთესავი, რომელმაც ჰყო ენა იფქლის, და მოიმკა დანტესავით“ (მისწრებაა ეს საწუთრო) (2, 1066).

მნათობების ცაში ამაღლებული პოეტის თაყვანისცემის ობიექტია „წარუვალი და უხილავი“ – უზენაესი: „მნათთა ხოდაბუნები არის მისი საყანე, ცაში დადის ქუხილად და მას ჩემი თაყვანი – წარუვალს და უხილავს“ (2, 1068).

ობიექტური განაცხადია: „... შენ ხედავდი წარმავალში – წარუვალს, მიწიერში ზეციერს“ (მთვარე მარადისია) (2, 1177).

პოეტმა თავისი „კოლხური ფსალმუნებით“ წარმავალი მარადიულად, წუთი საუკუნეებად აქცია, რადგან გათავისებული ჰქონდა საღვთო, მარადიული სიბრძნე, სიტყვის რჩეულთა შეგონება.

პოეტი ხედავდა უზენაესს, ღმერთებისა და წმინდა სულების სავანეს – „ცათა ცას“.

ტიტანური ტომეულების ავტორის მხატვრულ ნააზრევში ჩახედვა გვარწმუნებს, რომ პოეტმა შეძლო წარმავალი მარადიულად, მიწია – ზეცად ექცია და ეროვნული გადასახედიდან შეხმიანებოდა კაცობრიობას, მსოფლიოს.

ვაჟა ეგრისელმა ზედმიწევნით გაითავისა და თვითონაც ბევრი რამ წაამატა მსოფლიოში ცნობილ მოღვაწეთა აზრებს.

რუდოლფ შტაინერი აცხადებდა: „საჭიროა წარმავალთან განშორება, გონება უნდა მიაპყრო წარუვალს. სული უნდა მიაპ-ყრო მარადიულს. გრძნობა უნდა მიმართო წარუვალისკენ“ (8, 164).

„თავის დროზე წარუვალი მიემადლება ყველას, ვინც მით-მინებით მოელის და მუშაობს... წარმავლობა გადაიქცევა მის-თვის მარადიულის ნაწილად.

„მარადისობა ხდება მისთვის მახლობელი ისე, როგორც უწინ მახლობელი იყო წარმავლობა.

„ამ გზით იგი ღებულობს ხელდასხმას (ინიციაციას), იქცევა ადამიანის მოდგმის წინამძღვრად, დიად სულიერ ხელმწი-ფედ. იგი ხდება სიბრძნის მოწაფე. შემმეცნებელი ჰპოვებს ახ-ალ სამშობლოს. იგი ხდება შეგნებული მკვლევარი ზეგრძნო-ბადი სამყაროსი“ (8, 165).

მიზანი უნდა იყოს „წარუვალი ნათლის“ძიება, წილნაყა-რობა მარადიულ ჭეშმარიტებასა და სიკეთესთან“ (თეოსოფია) (8, 33).

ანალოგიური შეგონებით იქცევს ყურადღებას აღმოსავლუ-რი სიბრძნეც: „აქვე დაამარცხა წუთისოფელი იმან, ვისი გუ-ლიც შეუძვრელია, ვინც უზენაეს სიბრძნეს ნაზიარებია“ (5, 219).

ლაო– ძის „დაო დე ძინის“ მიხედვით, „მრავალჟამიერია ის, ვინც გადიადდა, ვინც წარუვალში გარდაიცვალა, ანუ გაუკვ-დავდა“ (9, 163).

„ბჰაგავად–გიტაში“ ასეთი განაცხადია: „ეს ქვეყანა ჭირთა წარმავალი საუფლოა, წარმავალი და უსიხარულოა საწუთრო, მიზანი კი სიბრძნესთან ზიარებაა. მხოლოდ „შეუძვრელი“ გუ-ლით მარცხდება წუთისოფელი“ (5, 60, 61).

ქართველი პოეტი საწუთროს მძლეველია, რადგან წმინდა სულების ხმა ესმის, უზენაესია მისი წინამძღვარი და არა ავსულები: „საწუთროს ხარ მძლეველი, მიტომ შურით დაგესლილს, მაინც, ვითა საარი: სერაფიმთ, ქერუბიმთა, ანგელოზის ხმა გესმის“ (საწუთროს ხარ მძლეველი) (1, 605).

„სადღაც ტრანსცენდენტურში მჭვრეტელი“, „მარადისობასთან“ წილნაყარი, „წუთისოფლის სივერაგის“ დამგმობი, „ჰელიოსის ნაშიერი“ პოეტი მაღლდება წუთისოფლის ვერაგობაზე და არა მხოლოდ ზღვად, არამედ „პოეზიის ოკეანედ“ იქცევა: „წუთისოფლის სივერაგე, გონის თვალებს ვერ გიოსებს. ეჯიბრები მამაღმერთთან მორკინალებს. ნაშიერო ჰელიოსის, ზღვაო არა, პოეზიის ოკეანევ!“ (1, 1305).

დამოწმებანი

1. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები ხუთ ტომად, ტ. 3, თბ. 2016;
2. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები ხუთ ტომად, ტ. 5 თბ., 2011;
3. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები ხუთ ტომად, ტ. 2, თბ. 2006;
4. ელენე ბლავატსკაია, „მდუმარების ხმა“, თარგმანი თ. თავაძის თბ. 2011;
5. ბჰგავად გიტა, ინდური ლოტოსი, თარგმნა, შესავალი და კომენტატები დაურთო თამაზ ჩხენკელმა, თბ. 2006;
6. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992;
7. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, თბ., 1996;
8. რუდოლფ შტაინერი, „თეოსოფია, შესავალი ადამიანის დანიშნულებისა და სამყაროს ზეგრძნობადი შემეცნების

სფეროში“. თარგმნეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ 1970 წ. რედაქტირებულია, 1995;
9. ლაო ძი, „დაო დე ძინი“, თარგმანი, შესავალი და კომენტარები ლერი ალიმონაკის, თბ., 1982;

არყოფნის სევდა

სიკვდილი „მოუცილებელი მეაბჯრეა“, გაუნელებელი სევდის აღმძვრელი.

შემოქმედება და სიკვდილის შიში განუყოფელია.

სიცოცხლეში სიკვდილის განცდა, მის საიდუმლოებებზე ფიქრი რჩეულთა ხვედრია, რაც არის პირობა წარმავლობის გამარადიულების.

სიკვდილი აუცდენელია. მთავარია შიშის დაძლევა. შიში კი დაიძლევა სულის მარადისობის რწმენით.

ჭეშმარიტი პოეზია სიკვდილის რაობასაც აცნობიერებდა სიცოცხლესთან ერთად: „არ ვარ მეხოტბე მარტოოდენ სიცოცხლის გრძნობის, სიკვდილის ტრფობაც შემიქია, მიდიდებია“, აცხადებდა უოტ უიტმენი ლექსში „ჰიმნები სიხარულისადმი“ (1, 36).

სიკვდილზე ფიქრებს ვერ იცილებდნენ მოპასანი, ჩეხოვი, დანტე, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, ჰორაციუსი, ოვიდიუსი, ლუკრეციუსი, მიშელ მონტენი, ბეკონი, ჰემინგუეი, შარლ ბოდლერი, გოეთე, შოთა რუსთაველი, ვაჟა–ფშაველა, მერაბ კოსტავა, გოგოლი, ალ. ბლოკი, შექსპირი, კ. გამსახურდია, არისტოტელე, ფლობერი, ალ. ტოლსტოი, სალტიკოვ–შჩედრინი, შოპენი, ედგარ პო (2).

ძველი ეგვიპტური პაპირუსის მიხედვით, სიკვდილი არის საიქიოში ხსნის ძიება, სიკეთე, ცოდვისგან გაქცევა, „გამოჯანმრთელება“, „სენისგან თავის დაღწევა“, „სურნელება საკმევ-

ლისა“, განსვენება ჩარდახის ქვეშ ქარიან ღამეებში, სურნელეება ლოტოსისა, ჯდომა თრობის ნაპირთან, დაბრუნება მოლაშქრისა ლაშქრობის შემდეგ სახლში, სურვილი „მრავალი წლის პატიმრობის შემდეგ საკუთარი სახლის ხილვისა“ (3).

გარდაცვალების შემდეგ ყოველი ადამიანის სული სამსჯავროზე უნდა წარდგეს. ამას ამტკიცებს ყველა რელიგია.

ეგვიპტეში მიცვალებულთა მეუფედ ითვლებოდა ოზირისი, ხოლო სიმართლისა და წესრიგის ქალღმერთი მაატი სწონიდა მის გულს, რომელსაც ფრინველის გული არ უნდა გადაეწონა. ცოდვილს დემონი შთანთქავდა, უცოდველი კი ძაღლისთავა ღვთაებას გადაჰყავდა იალუს მინდვრებზე მზის ღმერთის თანმხლებად მუდმივი მოგზაურობისთვის.

მიცვალებულს სამსჯავროზე უნდა წარმოეთქვა ორმოცდაერთი ცოდვის უარყოფის სიტყვა, ბოლო ფორმულა კი უნდა ყოფილიყო: „მე სუფთა ვარ, მე სუფთა ვარ“ (3, 130).

ტიბეტური მიცვალებულთა წიგნის მიხედვით, მიცვალებულთა მოსამართლე დხარმა-რადჟა აფასებდა განსასჯელი მკვდრის საქმეებს კარმის სარკის საშუალებით.

ძველ ინდოეთში ძვ. წ. II–III ს; გვხვდება სიკვდილის ღმერთი „იამა“. მანუს კანონებში საუბარია სულის სხეულთან გაყრაზე, მის ხელახალ დაბადებაზე, გარდასხეულებაზე, უმაღლეს, მაღალ და მდაბალ სულებზე, კარმისგან განთავისუფლებაზე.

ამერიკის მიცვალებულთა წიგნის სახელწოდებაა „გარდაცვალების მეცნიერება“ ანუ „გარდაცვალების ხელოვნება“.

სიკვდილისათვის ვარჯიში, სიმბოლური სიკვდილი იწვევს სულიერ განახლებას, შთაგვაგონებს ამქვეყნიური არსებობის წამიერებას და ტრანსცენდენტური სამყაროს მშვენიერებას.

სიკვდილი არის დიდი გამოცდა. ადამიანის სრულქმნის პროცესი მიზნად ისახავს სულიერ სამყაროში დაბრუნებას.

„ბჰაგავად–გიტას“ მიხედვით, „ყოფიერების რა მდგომარეობაც ახსოვს ცოცხალ არსებას სიკვდილის დროს, იმავე მდგომარეობას მიაღწევს“.

ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, რომ მიიღოს სულიერი სხეული და მიაღწიოს სულიერ პლანეტას.

იოგების ფილოსოფიის მიხედვით, სამყარო დაყოფილია დაბალ, მაღალ და შუა პლანეტარულ სისტემებად.

დედამიწა შუა პლანეტარული სისტემის შემადგენლობაშია.

სიკვდილი ყველგან არსებობს, გარდა მაღალი სულიერი პლანეტისა.

ადამიანის მიზანი უნდა იყოს სულიერი სხეულის მიღება, სულიერ პლანეტამდე მიღწევა.

სიკვდილს ოპტიმისტურად უცქერიან იოგები, რადგან სულს მარადისობის კატეგორიად მიიჩნევენ.

სიტყვა „იოგა“ ნიშნავს დაკავშირებულს, ამჟამად ღმერთს გამოკლებული ვართ. მიზანი უნდა იყოს უზენაესთან, კრიშნასთან კავშირი.

გალაკტიონი აცხადებდა: „ალერსიანი შემოდგომის დღე მევლება გარს, ნიავი მითხრობს უცვლელ ზღაპარს, სიკვდილის ზღაპარს“ (უკანასკნელი დღე).

სიკვდილის სიმღერა ესმის პოეტების მეფეს ურთხელის-სიცოცხლის ხისგან: „ტოტმა, რომელიც სიბნელეს ერთვის, დიდი ხანია იმ ხით, ურთხელით, მხოლოდ სიკვდილი იმღერა შენთვის, ბნელ განაჩენით გამოუთქმელით (იარე გზაზე, სადაც ნისლია).

გალაკტიონის „მთაწმინდის მთვარეში“ სიკვდილის გზა „ვარდისფერია“ და ამის საწინდარია პოეზია, რაც უკვდავებას ანიჭებს.

„ხილვის გაახლება“, ახალ, სამერმისო ცნობიერებამდე ამაღლება“, დანტეს მიხედვით, ჰადესის საუფლოში ჭვრეტის შე-

დეგია: „გამახვილდა აქ თვალი ჩემი და შემეცნებაც მკვიდრ ნიადაგს დამყარებია“ (4, 293).

სიცოცხლეში სიკვდილის განცდა, მის საიდუმლოებებზე ფიქრი რჩეულთა ხვედრია. მხოლოდ ეს არის პირობა წარმავლობის გამარადიულების.

მთავარია სიკვდილის შიშის დაძლევა.

სიკვდილი არის გარდასახვა.

შარლ ბოდლერის „ღრმა ოცნების თანაზიარია საფლავი“. სიკვდილი „ძველი კაპიტანია და პოეტის სურვილია ცის და ქვესკნელის ბჭეთა გახსნა, რათა „უცნობში მოვიძიოთ რამე ახალი“ („მოგზაურობა“) (5, 222).

ლექსში „ლეში“ ბოდლერი საუბრობს გახრწნილ ლეშზე, რომელსაც პოეტის კალმით კვლავ მიემადლება „ღვთაებრივი სული და ღვთაებრივი სხეული“ (6, 34).

ბოდლერის სტიქიაა მოგზაურობა ჰადესში, მიჯნურთა, უპოვართა, ხელოვანთა სიკვდილის გაცნობიერება. პოეტი იზიარებდა გარდასხეულების თეორიას, სულის უკვდავების იდეას, რაც ტრაგიზმის დაძლევის საშუალებაა.

ნიცშესთვის „ყველა საფლავთა მმუსვრელია ნება და სად საფლავნი ჰგიებენ, ჰგიებენ აღდგომან“ (7, 88).

გოეთე სიკვდილს „ძმას“ უწოდებდა: „და ჩვენი ძმა სიკვდილი ჩვენსკენ მოიპარება“ (ფაუსტი).

შოთა რუსთაველი გვმოძღვრავს: „ცდების და ცდების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად, „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსავსოს“, მოგვმართავს ნიკოლოზ ბარათაშვილი.

„ღმერთმა გიშველოს სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა“, ასე ესახება სიკვდილ-სიცოცხლის გამოცანა ვაჟა–ფშაველას.

კონსტანტინე გამსახურდიასთვის სიკვდილი „ჩვენი ცხოვრების იდუმალ ეტრატზე აღბეჭდილი მეშვიდე ბეჭედია, ჩვენი სულის უკანასკნელი წრთობაა, უკანასკნელი ომია, „მოუცილებელი მეაბჯრეა“.

„სიკვდილს მე როდი შევუშინდები, იგი ძმა მუდამ ჩვენს მხარეზეა, მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის, სიკვდილს რომ ჰგავს და უარესია“, აცხადებდა გალაკტიონი, რომელმაც შეიგრძნო „სიო საიმქვეყნიო და საამსოფლო“, დაინტერესდა „ყოფნის და არყოფნის წიგნებით“, შექმნა თავისებური სიკვდილის სახელმძღვანელო, თავისი „შავი წიგნი“ და „ვარდისფერი სიკვდილის გზაზე“ „შუქთა კამარას“, „დიდ საიდუმლოს“ მიესალმა.

ტერენტი გრანელმა მოიახლოვა და გაიშინაურა სიკვდილი, იწამა სულის მარადისობა და „მესამე გზას“ მიაპყრო მზერა იმის შეგნებით, რომ სამშობლოდ ესახებოდა „ლაჟვარდები ცისფერი“, მისთვის „სიკვდილია სიცოცხლეზე მეტი“ (გულიდან სისხლის წვეთები) (8, 290-291).

გალაკტიონმა და ტერენტი გრანელმა „სულის გაღვიძების“, ასტრალური მოგზაურობის არაჩვეულებრივი მაგალითებით გაგვაოგნეს.

სიკვდილი „შეუბრალებელი მთიბავია და არა „ცხოვრების ყვავილი“ მერაბ კოსტავას ლექსში „სული ნაკუწებად ნაკეპი“ (9, 29).

სიკვდილზე ფიქრით დაუნჯებული სიბრძნეა ამაღლების საწინდარი მერაბ კოსტავას ლექსში „შიმშილობა“. „სიკვდილზე ფიქრებს, სიბრძნის ამ დედას თუ სამარცხვინოდ არ გაექცევი, ჯანგალეული სხეულის ჭვრეტა შემაზრზენ შიშად თუ არ გექცევა, მაღალი აზრი უფსკრულთა ზედა, გარეშემოთა და შენდა ბედად, კვლავაც აღგმართავს ხელთუქმნელ სვეტად, გარეშემოთა და შენდა ბედად, ჭეშმარიტების შენისა ჭვრეტად, მშობლიურ ცასთან კვლავ შეგაერთებს“ (შიმშილობა) (9, 133).

მერაბ კოსტავა შეგვახსენებს, რომ ჩვენი მიწიერი, მდაბალი აზრები და მიზნები სისულელეა მარადისობის გადასახედიდან: „... სიამაყე, აქ რომ მბრძანებლობს, მათხოვარია იმ სოფლის ბჭესთან“ (ძმას ქრისტესმიერს) (9, 14).

თვითმკვლელ შვილს ასე მიმართავს მერაბ კოსტავა: „კიდევ კარგი, რომ ჩემთვის, ირაკლი, გარდაცვლილები არ არსებობენ, არც კვდებიან და არცა ქრებიან, გარდიქმნებიან ღვთივ საოცრებად, რადგან ისინი მუდამ რჩებიან ჩემთვის ცოცხლებზე უფრო ცოცხლებად“ (ირაკლის) (9, 126).

პოეტი ცდილობს აჩრდილთა სამეფოდან გამოიხმოს თავისი პირმშო და ეს შეხვედრა ლაერტის ძისა და აქილევსის, გილგამეშის და ენქიდუს შეხვედრის ტოლფასი იქნება. „ჩვენ უნდა შევხვდეთ ჩემს სიკვდილამდე, ვით ლაერტის ძე და აქილევსი, რომ შევამტკიცოთ ორი სოფელი მზით ნათელღებულ შუაღამეში. ჩვენ უნდა შევხვდეთ უცილობელად, როგორც ენქიდუ და გილგამეშის (ირაკლის).

ცნობილია, რომ ორი სამყარო (სააქაო და საიქიო) ერთმანეთთან კავშირშია. მიცვალებულები ცოცხლებს ევლინებიან და პირიქით, ამქვეყნიურთ ჰადესში ჭვრეტის უნარი მომადლებიათ. ირწმუნებიან, რომ არსებობს რადიოკონტაქტი მკვდრებთან, შესაძლებელია აჩრდილების ფოტოგრაფირება, გარდაცვლილთა ხმების ჩაწერა მაგნიტოფონზე. მკვდრები ეცხადებიან ცოცხლებს (10).

შიში აჩლუნგებს ბრძოლისუნარიანობას, აახლოებს დაღუპვას. ადამიანთა უმრავლესობა სიკვდილს უბრძოლველად ემორჩილება, ფარ-ხმალს აყრევინებს და სიკვდილის მიზეზი ხდება.

„გონება, იდეები და და ამაღლებული გრძნობები თრგუნავენ შიშის გრძნობას, ამარცხებენ სიკვდილს“ (2, 216).

სიკვდილისთვის თვალის გასწორება, სიცოცხლეშივე მასთან შეგუება – გაშინაურება ესახება კონსტანტინე გამსახურ-

დიას შიშის დაძლევის ძალად: „ვისაც სიცოცხლეში რამდენ-ჯერმე განუცდია სიკვდილი, მისთვის სიკვდილის იდუმალება და შიში აღარ არსებობს, თუმცა სიცოცხლე ადამიანებს თოვ-ლივით ადნებათ ხელში“.

დიდი პროზაიკოსი ფეხზე ამდგარი შეხვდა სიკვდილს.

ადამიანების, შემოქმედთა მუდმივი თანამდევია ტკივილი, აზრთან და გრძნობასთან ჭიდილით გამოწვეული სიძნელეე-ბი, გენიალობის სევდა.

მელანქოლიას ამაღლებული გრძნობის, ღრმა აზროვნების საწინდრად მიიჩნევდნენ კანტი, არისტოტელე, ბრიუსოვი, ედ-გარ პო, შოპენი და თავი მოსწონდათ კიდეც ამით.

ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, რომ მიიღოს სულიერი სხე-ული და მიაღწიოს სულიერ პლანეტას.

იოგების ფილოსოფიის მიხედვით, სამყარო დაყოფილია დაბალ, მაღალ და შუა პლანეტარულ სისტემებად.

დედამიწა შუა პლანეტარული სისტემის შემადგენელობა-შია.

სიკვდილი ყველგან არსებობს, გარდა მაღალი სულიერი პლანეტისა.

ადამიანის მიზანი უნდა იყოს სულიერი სხეულის მიღება, სულიერ პლანეტამდე მიღწევა. სიკვდილს ოპტიმისტურად უც-ქერიან იოგები, რადგან სულს მარადისობის კატეგორიად მი-იჩნევენ. სიტყვა იოგა ნიშნავს დაკავშირებულს. ამჟამად ჩვენ ღმერთს გამოკლებული ვართ. მიზანი უნდა იყოს უზენაესთან, კრიშნასთან კავშირი.

ტერენტი გრანელი აცხადებდა: „ჩემი სამშობლო ხომ სამა-რეა“, „სიკვდილია სიცოცხლეზე მეტი“.

გოდერძი ჩოხელს არ აშინებდა სიკვდილი, დარწმუნებუ-ლი იყო, რომ სიკვდილის მერე უფრო დიდი სიცოცხლე იწყე-ბოდა.

„ყველა საქმეს სამსჯავროზე მიიტანს უფალი, ყოველივე დაფარულს, კეთილს თუ ბოროტს“, გვამცნობის ეკლესიასტე (18, 4) (11).

ქრისტე შეგვაგონებს: „ნუ გეშინიათ მათი, ვინც სხეულს კლავს, სულის მოკვლა კი არ ძალუძთ“ (მათე, 10, 28).

„ხრწნადი უხრწნელობით, მოკვდავი უკვდავებით უნდა შეიმოსოს.

„აჰა, გეტყით თქვენ საიდუმლოს: ყველანი როდი მოკვდებით, მაგრამ ყველანი შეიცვლებით“, გვმოძღვრავს პავლე მოციქული (I კორინთელთა, 15, 51, 53) (12,0381).

პლატონის მიხედვით, ფილოსოფია ხელს უწყობს სიკვდილისათვის მზადებას, სულიერ სრულყოფას.

ბიბლიაში მეფე ბალთაზარმა ნადიმის დროს იხილა კედლიდან გამოსული ხელი, რომელმაც კედელზე სამი საბედისწერო სიტყვის წარწერად ამცნო მისი და მისი სამეფოს აღსასრული (წინასწარმეტყველება დანიელისა, 5, 1-30) (11, 663-664).

„ადამიანს სულიერ სამყაროშიც გააჩნია ცნობიერება, მიღმურ სამყაროში მხოლოდ ცნობიერების ცვლაა“, ირწმუნება რუდოლფ შტაინერი (13, 121).

გოეთეს აზრით, მიღმურ სამყაროშიც გრძელდება არსებობა: „ყოველი ენტელექია ზიარებულია მარადისობას... ჩვენ განვაგრძობთ არსებობას, მაგრამ ყველანი ერთნაირად უკვდავნი არ ვართ“ (14, 64).

ხდება მიცვალებულთა გამოცხადება ცოცხლებთან გაფრთხილების მიზნით (ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ) (10, 14).

ბიბლიაში მეფე საულმა მესულთანე ქალს სთხოვა სამოელის გამოძახება მიღმური სამყაროდან. სამოელმა იწინასწარმეტყველა საულის და მისი ოჯახის ტრაგედია, რაც ახდა კიდეც.

დანტე სიზმარში გამოეცხადა შვილს, რათა „ღვთაებრივი კომედიის“ XIII თავის ადგილსამყოფელი მოენიშნებინა.

გოეთეს მიაჩნდა, რომ „სულთა სამეუფო არ არის კარდახ-შული“...

ვაჟა–ფშაველას ეცხადებოდნენ რუსთაველის, გურამიშვი-ლის აჩრდილები, ერეკლე მეორე, სულიერი ერთობა ჰქონდა აკაკის, ილიას შემოქმედებასთან.

გალაკტიონმა უცდომლად წაიკითხა „ყოფნის წიგნი“, „არ-ყოფნის წიგნი“ (დღეთა გარდასულთა) (15, 119-120).

პოეტების მეფეს სჯეროდა, რომ „სული ცოცხლობს, როს სხეული სამარეში სდუმს“... ხორცისგან განშორებულ სულს „ცის ლაჟვარდში“ ხედავდა (მას სიკვდილის დროს ეჩვენებო-და) (16, 121-122).

გალაკტიონს ეცხადებოდნენ ქართველი კლასიკოსები, ამ-ასთნ, დანტე, გოეთე, ედგარ პო, ნოვალისი.

ტერენტი გრანელს სიკვდილი სამუდამო გაქრობად კი არა, სულის ახალ ყოფიერებაში გადასასვლელად ესახებოდა და აცხადებდა: „სიკვდილია სიცოცხლეზე მეტი“.

„არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა“, „მე-სამე გზა“ იყო „მემენტო მორის“ ავტორის ნუგეში.

ვაჟა ეგრისელმა მრავალგვარ ასპექტში გაიაზრა სიკვდი-ლი.

პოეტს მარადჟამს ჩაესმის სიკვდილის ხმა: „წუთისოფლის შხამით ალესილი, მარადი მთიბველის კივის ცელი: ამ დღეთა მიღმა გადასცურე. მიწა – მიწადვე მიიქცევი, სიცოცხლე სიკვ-დილია გადაცმული“ (16, 24).

„...ცხოვრება დანაღმული არის მინდორი, რაღაც წამებში გადასარბენი“, ნათქვამია ლექსში „ასეა წუთისოფელი“ (17, 27).

სიკვდილი წარმოჩნდება „მეუფედ“, სიცოცხლე – როგორც „მეფისნაცვალი“ (17, 29).

არყოფნის „შავ დღეს“ ვერავინ აიცილებს, „ვერ გაექცევი ძილს-სიკვდილის ტყუპისცალს“, ნათქვამია ლექსში „სწორია, რომ ამბობ, შენ გილგამეშივით“ (17, 879).

საფლავის ლოდების ხილვისას წარმოთქმული სიტყვებია: „სიკვდილზე დამხობილები – წარსულში წვანან ლოდები. აქ სძინავს პაპის პაპასაც, მივალ... მათ ვუახლოვდები“ (17, 102).

„არყოფნის შავი მწევარი მოგვდევს და მოგვდევს ავყია, ყოფნაც წამია მქროლავი. მკვდრებს როცა ქვა–ღორღს აყრიან, მაშინ სიკვდილსაც ქოლავენ“, გვამცნობს პოეტი (17, 315).

სხვაგან „სიკვდილი შემოსილი შავად, შავ ლოდზე ზის, თვალები აქვს ზღარბის“ (17, 364).

ყოველ ადამიანს ელოდება საფლავი (17,429), „სიკვდილის ქვისმხვრეტი მზერა“ (ჯვრებს ებჯინება) (18, 434).

„სწორუპოვარი მებადურია სიკვდილი, აბობოქრებულ სიცოცხლის მდინარეში თევზაობს... და ამაყად დადის, არავინ იცის, ხმაურის გარეშე, სად და როდის მოისვრის ბადეს“, ასეთი განაცხადია სხვაგან (18, 784).

ხშირად შური ხდება შემოქმედთა ტრაგიკული აღსასრულის მიზეზი: „შურმა ცხოვრების აურზაურში და პოეტების რია–რიაში, გალაკტიონი კლდიდან დაუშვა... შუბლზე ტყვია ჰკრა პაოლო იაშვილს“ (18, 819).

საფლავის მიწების ცქერა ათქმევინებს პოეტს: „დაბადებიდან – ყველა მოკვდავს თავსასთუმალთან, შავით მოსილი არყოფნა უზის და რამდენ ყოფნას ჩაიკრავს მიწა, ჰოი, იმდენი ცოდვისაგან უჩნდება კუზი“ (18, 852).

დაბადებიდან სიკვდილის ძახილის გაგონება რილკეს ასოციაციას იწვევს: „დაბადებიდან მის ძახილს ვისმენ... და... ნელა–ნელა, ვითარცა რილკე, ყოველდღიურად მე ვსწავლობ სიკვდილს“ (17, 629).

პოეტს ხელეწიფება „ზღვაში დაღუპულ სულებთან კავშირი... მედიუმივით“ (17, 38).

ვაჟა ეგრისელს სწამს, რომ შურიანი, სხვისი სიკვდილის მსურველი ადამიანი „იქედნესავით“ დაასრულებს სიცოცხლეს, ხოლო კეთილი „დიდი დავითის“ ღვთის საუფლოში დაემკვიდრება, ამის მაგალითს წმინდა წერილი იძლევა: „ძმავ, ძმაო ჩემო, ქრისტესმიერო, აგე, წარსულში გადაიხედე: შურით ვითა სდევს დავითს საული, და ვითა კვდება, როგორც იქედნე და როგორ ბრწყინავს ღვთის საუფლოში დიდი დავითის მეუფების დღესასწაული“ (17, 677).

თავისიანებისთვის თავდადებული გმირული სულის ადამიანი ლეგენდებით და მზით შემოსილი ათასწლეულებში იცოცხლებს, ამის მაგალითია ცოტნე დადიანი: „ლეგენდებით და მზით შემოსილი, გაჰყვება მღვრიე ათასწლეულებს რწმენის ამარა, ვითარცა ქრისტე. როს ძმათა თვისთა სატანჯველად გვემა სხეული, სული მაშინვე გაფრინდა ცისკენ“ (ცოტნე) (18, 678).

უღმერთოების მიერ დახოცილი, რწმენისთვის თავგანწირული ადამიანები მუდამ ლოცვის ადრესატები იქნებიან და ცად ამაღლდებიან: „სხვა არაფერი, რწმენისთვის მხოლოდ, უფლის მოსავი ბერი თუ მწირი, უღმერთოებმა ხოცეს და ხოცეს... (გამოუყვანა დრომ ყველას წირვა). მაგრამ კედლები ამაღლდნენ ლოცვით“ (18, 701).

წიწამურთან პოეტს სატანისეულთა მიერ განწირული დიდი ილია ჭავჭავაძის ხმა ჩაესმის: „საქართველოს მთად და ბარად, ფიქრი ჩემი, ვით გავაზი – ქროდა... და მზით დავიტვირთე. შუბლში ტყვია მითავაზეს მამულისთვის ჯვარის მტვირთველს“ (ხმა წიწამურთან) (18, 668).

განსაკუთრებული იყო ვაჟა–ფშაველას სიკვდილის ღამე, ბუნება, ზეცა, ვარსკვლავები გრძნობდნენ გენიოსი პოეტის სიდიადეს: „არ ეძინა ფშავის არაგვს, არც ჩარგალს, არც ხმელ წიფელს, სავსე იყო ტყე გზირებით. ხოლო ზეცის ოქროს ტახტზე – მთვარე იჯდა ვით ხელმწიფე, გვერდით ესხდნენ ვარსკვლა-

ვები, როგორც ნაზირ–ვეზირები“ (ვაჟას სიკვდილის ღამე) (18, 822).

„მზის შვილებს“, „ღვთისა და ქარიშხლის ძეთ“ ვერაფერს დააკლებს ჟამი, ირწმუნება პოეტი (18, 479).

მაღალზნეობრივ ადამიანს „სიყვარული ოქროს ქამრად და სატევრად უნდა გვერტყას, სანამ ჟამი ყოფნის ხიდან კაკალივით ჩამოგვბერტყავს“ (18, 884).

ცხოვრებაში „ხეტიალის“ ბოლოს „არყოფნა“ უხმობს ადამიანებს, რათა „მარადიული ქალაქის“ კარს – სიკვდილს მიადგეს (როგორც ოლოლი) (18, 667).

უკვდავების გზაზე მავალთა ხვედრია „მარადიული წამება“, „შავი შურის ყვავების“ ყრანტალი (ჩემი მამულის მკერდზე) (18, 260).

პოეტი ზედმიწევნით იცნობდა „მკვდართა წიგნს“ (17, 917).

ვაჟა ეგრისელს სიცოცხლე და სიყვარული კი არა, სიკვდილი ეიმედება, რადგან განკითხვისას მართალთა შორის მოხვდება (მეიმედები) (18,076).

უმაღლესი იდეალისთვის ბიბლიური იობივით ნაწამები პოეტი „უმზერს ყოფნას და არყოფნას“ და სიკვდილი ესახება, როგორც „კაცობრიობის მცირე სოფლიდან დიდ სოფელში გადასვენება“ (რაა სიცოცხლე?“ (17, 79).

სიკვდილი კი არ ამწუხრებს, ეიმედება (მეიმედება) (17, 78).

პოეტი მოგვიწოდებს: „ადამის ძეო, ალფრედ დე ვინის მგელივით შეხვდი სიკვდილს, როს ჟამი მოვა განკითხვის“ (ჟამი განკითხვის) (18, 711).

„სიკვდილი ფეხდაფეხ დაგვდევს, როგორც ჯაშუში“ (18, 785).

„სიკვდილი ყველას ერთნაირად უმასპინძლდება“ (18, 839).

„სიკვდილი მომზერს – სარკოფაგიდან კბილდაკრეჭილი“, ნათქვამია ლექსში „სიკვდილი მიმზერს“ (18, 832).

ძაღლის ყმუილიც სიკვდილს მოასწავებს (18, 833).

„მიწას მაინც ვერ გაექცევი“, „სიკვდილს ვერსად წაუველ, მესმის მწუხარე ხმა დაფდაფების“, ნათქვამია ლექსში „ცერზე დავისვი“ (18, 426).

„მზე ჩადის... და დასალიერთან მოისმის არყოფნის საარი“ (18, 923).

„რაა ცხოვრება, მას წამის წინ სიცოცხლე ერქვა, ახლა უბედურს არყოფნა ჰქვია“, ასეთი განაცხადია ლექსში „შუბლს უნამავდა ცვარივით ოფლი“ (18, 955).

„სიკვდილი ბაყბაყდევია, ამ სოფლიდან იქ მიგვდენის“, აცხადებს პოეტი (18, 289).

„სიკვდილი დედასავით ერთგულია, გულში ჩაგიკრავს და არასოდეს მოგიშორებს“ (ცხოვრება ენგურია) (19, 557).

„ყოფნა–არყოფნა თურმე ღვიძლი ძმები ყოფილან“ (19, 659).

ისევ და ისევ ახალ–ახალი ასპექტით ხდება სიკვდილის დახასიათება: „ხელთ ნიჩაბი უჭირავს და ზურგზე ადევს შავი ლოდი, წარსულ დღეთა გვითვლის ვალებს... და სიკვდილი ხან ახლო და ადრე მოდის, ხან შორიდან გვითვალთვალებს“ (სიკვდილი) (19, 849).

ლექსში „მიწყივ სიცოცხლის კაბის კალთას ვებღაუჭებით“ ნათქვამია: „ზოგჯერ სიკვდილი ჩვენ გვავიწყდება, მაგრამ არასდროს გვივიწყებს იგი“ (19, 878).

„სიცოცხლის დედაქალაქია სიკვდილი, რომელსაც უცილობლად ვნახავთ“, გვიბეჯითებს პოეტი ლექსში „ეს ერთმა უფალმა იცის“ (19, 365).

ლექსი „ვით დიოგენე“ გვამცნობს: „დარდით დახურულ ამ ცისქვეშეთში, სიკვდილ–სიცოცხლის გრძელდება დავა, რადგანაც ყოფნა არყოფნის ნადავლია. და ფარნით ხელში კარდაკარ დავალ; ვით დიოგენე, ვეძებ ადამიანს“ (ვით დიოგენე) (19, 514).

ისევ და ისევ სიკვდილ–სიცოცხლის მონაცვლეობას უკეთ-ებს აქცენტს პოეტი: „... დედამიწა არის მცირე სამყოფელი – დიდ სოფელში წასასვლელად“ (არის მცირე მოსაცდელი) (19, 515).

„დღეები ღამის როდინში ქვამარილივით მაინც დაგვნა-ყავს“, ნათქვამია ლექსში „სიყვარულისთვის გვჩაგრავს უფა-ლი“ (17, 74).

ლექსში „1907 წელი“ წიწამურთან მომხდარი დიდი ილიას ტრაგიკული აღსასრული გვზარავს: „... გამოვიგლოვე ბევრი, მაგრამ ეს წიწამური, რა ვქნა, ვერაფრით გამოვიგლოვე“ (19, 253).

„მკვდარ ქალაქში“ ნათქვამია: „ლოდზე თავს იწონებს წარ-წერა: „აქ განისენებს მალაქია. ჟამთა ოკეანეში ნარწევი – სა-საფლაო მკვდარი ქალაქია“ (20, 687).

პოეტის მიზანია „ყოფნისა და არყოფნის“, „სოფლისა და ზესთასოფლის“ საიდუმლოებების წვდომა (20, 688).

სიკვდილ–სიცოცხლის მარადიულ პრობლემაზე ფიქრი გა-უნელებელ სევდას ემეზობლება, მაგრამ ამ მსოფლიო მასშტა-ბის სატკივრის მეორე – ოპტიმისტურ მხარესაც ხედავს პოეტი, ის სიკვდილს მაღალ, მარადიულ იდეალებს უპირისპირებს და კაცობრიობის თვალსაწიერს უკეთესობისკენ, მარადიულობის-კენ მიაქცევს.

სიკვდილის დამარცხების გზა რწმენით და სიბრძნით არის შესაძლებელი, ირწმუნება პოეტი: „მიწის მტვერს გამოქცეული სული, რადგან ცისკენ ილტვის, ყურს ნუ უგდებ კივილს ტურის. მუდამ დაამარცხებ სიკვდილს, რწმენის ზღვით და სიბრძნის პურით“ (20, 1118).

შემოქმედს, პოეტს ხელეწიფება უკვდავება, რადგან ის ხელდასხმულია სულიწმინდის, უფლის (მგოსნის დედა) (18, 163).

„მსოფლიოს ციურ აზრთა ნადავლის“ მომპოვებელი პოეტი სიკვდილის წილი ვერ გახდება (ზღვა ბობოქრობს მგოსანთა) (18, 948).

„ქართულ სიტყვის მთაგორებზე“ აღწეული ვაჟა–ფშაველა უკვდავების, მარადიულობის მაგალითია (ხელთ გიპყრია მყინვარწვერი ლამპარივით).

ათასწლეულებში გააღწევს პოეტის „სიტყვის სასახლე“: „ვით კრიმანჭულად გურული, სიცოცხლესა და სიყვარულს, ათასწლეულებს გასძახებს მთვარით გადახურული შენი სიტყვის სასახლე“, ასეთი რწმენაა ლექსში „ვით კრიმანჭულად გურული“ (18, 502).

შემოქმედის სიკვდილი დასასრული კი არა, საწყისია სიცოცხლის (უკვდავება) (18, 335).

„სიტყვის კოცონია“ მარადიულობის კართან მიმყვანი (ქართული სიტყვის ტყეში).

„პოეტს მხრებით დააქვს დედამიწის ბოღმა და დარდი... და უცდის პოეტი სიკვდილს, მერე რომ იცოცხლოს“, ნათქვამია ლექსში „უცდის პოეტი სიკვდილს“ (18, 835).

„ლამაზი სიკვდილის“, „მზიანი დილის“ გათენების საწინდარია შემოქმედება (მოიწყენს ცა და) (18, 828).

სიკვდილი ყოვლისშემძლე როდია პოეზიის გიგანტებთან: „ღამის ნაშობი და ნაშიერი, პოეტებს დაეძებს სიკვდილი მშიერი, შეჭმა სურს, დროს უცდის, რომ სტყორცნოს არგანი, ვერ შეჭამს, დიდია ზოგ–ზოგი მათგანი“, ირწმუნება პოეტი (18, 841).

ნიკოლოზ ბარათაშვილივით, „სამზღვარს იქით“ გაღწეულ პოეტს ვერ აშინებს სიკვდილი (18, 844).

თვით პოეტს გამოაქვს სამართლიანი მსჯავრი თავის მრავალტომიან შემოქმედებაზე: „საუკუნის საწიერზე – სიხარულის ჩანს ტრამალი, მომხდურ დღეებს ვერკინები – ჩემი ლექსების ამალით, რვაასი წლის რუსთაველის ნასახი და ნატამალი“ (საუკუნის საწიერზე).

ვაჟა ეგრისელის მითიური „კოლხური ფსალმუნები“ გათვლილია საუკუნეებისთვის: „... და ვით ნოე, მეც ვაგებ „კოლხური ფსალმუნების“ დიდ მითიურ კიდობანს“ (ნოეს კიდობანი) (18, 931).

„გონის თვალით“ და „სულის ფრთებით“ მომადლებული პოეტი მიწაზე ამაღლებულია, „ცათა ცამდე“ აღწეული, დანტესავით ჯოჯოხეთში ნამყოფი, დავით წინასწარმეტყველივით ახალი ფსალმუნების მთხზველი, „მსოფლიო სულის“ მატარებელი, საუკუნეების, სამყაროს სიბრძნისა და სიყვარულის გამთავისებელი, რომელიც მიელტვის „ნირვანას“ მარადიულ არსებობას (დღენიადაგ ლოცვებით) (19, 165).

ვაჟა ეგრისელი ხედავს ქართულ სულს, „სხვათაგან უხილავს“, ათასწლეულების მიღმიდან ხელეწიფება „უსმენელის სმენა“ (რამზესის ეტლი) (18, 725).

ლექსია პოეტის „სიცოცხლის მარადისი თავშესაფარი“ (თავშესაფარი) (18, 745).

ობიექტური განაცხადია: „მე მოველ შენთან... უკეთესი ვერავინ ვპოვე... მზის სადღეგრძელო – შენ უნდა შესვა, და ჰკითხა პოეტს: – „სად მიდის ეს გზა? – შენ რომ ახლა პარალელს ავლებ? – უკვდავებამდე მაცხოვრო, გოლგოთის გავლით“ (სად მიდის ეს გზა?) (18,743).

დიდ ურჩხულებთან – სკილას და ქარიბდასთან მებრძოლი პოეტი საწუთროზე ამაღლდა და მარადისობა დაიმკვიდრა (20, 783).

ვაჟა ეგრისელს ხელეწიფება გაითავისოს შორეული წინაპრების მოწოდება: „ქართული სიტყვა სტრიქონების ოქროს ყალიბში ჩამოასხი და წიგნში ჩადე ოქროს ზოდებად“ (ღრუბლები, როგორც მიკიოტები“ (18, 783).

პოეტს გაცნობიერებული ჰქონდა უდიდესი მიზანი: „ღვთის შთაგონებით და ღვთის კარნახით დავუსხლტე სიკვდილს, ვით არაგვში ბადეს კალმახი“ (ერთადერთი სურვილი) (21, 791).

დამოწმებანი

1. უოტ უიტმენი, ბალახის ფოთლები“, თბ. 1966;
2. მიხეილ ზოშჩენკო, „მზის ამოსვლის წინ გონებისათვის“, თარგმანი ეთერ თვარაძის, „განათლება“ თბ. 1986;
3. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ. 1990;
4. დანტე, „ღვთაებრივი კომედია“, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, „პალიტრა L“ თბ. 2012;
5. შარლ ბოდლერი, „ბოროტების ყვავილები“, თარგმანი დავით აკრიანის, თბ. 1992;
6. შარლ ბოდლერი, „ჩემო გიშერო“, თბ., 1990;
7. ფრიდრიხ ნიცშე, „ესე იტყოდა ზარატუსტრა“, თარგმანი ერეკლე ტატიშვილის, თბ., 1993;
8. ტერენტი გრანელი, „საოჯახო ბიბლიოთეკა, თბ., 2011;
9. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ., 1990;
10. ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ, მოსკოვი, 1958;
11. ბიბლია, თბ., 2013;
12. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992;
13. რუდოლფ შტაინერი, ქრისტე გოლგოთას მისტერიის დროს და ქრისტე მეოცე საუკუნეში, თბ., 1994;
14. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, თარგმანი აკაკი გელოვანის, ბათუმი, 1988;
15. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. 2, „„პალიტრა L“, თბ., 2011;
16. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1993;
17. ვაჟა ეგრისელი ხუთ ტომად, ტ. I, „მოლოდინი“, თბ., 2001;
18. ვაჟა ეგრისელი ხუთ ტომად, ტ. II, თბ., 2004;
19. ვაჟა ეგრისელი ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 2016
20. ვაჟა ეგრისელი ხუთ ტომად, ტ. IV, „უნივერსალი“, თბ., 2017;
21. ვაჟა ეგრისელი ხუთ ტომად, ტ. V, „უნივერსალი“, თბ., 2019.

ბედისწერის რჩეული

ბედისწერის პრობლემა კაცობრიობის მარადიული საფიქრალია.

რუდოლფ შტაინერი ბედის მეუფედ ადამიანს მოიაზრებდა: „იმით, რაც გუშინ ჩავიდინე, მე შევიქმენი ჩემი დღევანდელი ბედი. ჩემი წარსული მკვიდრობს ჩემს აწმყოში და გამომყვება მომავალში.

„თავისი ქმედებით ადამიანის სულმა ჭეშმარიტად შექმნა თავისი ბედი.

„სხეული ექვემდებარება მემკვიდრეობითობის კანონს, სამშვინველი ექვემდებარება თავის მიერ შექმნილ ბედისწერას. ამ ბედისწერას ჩვენ ვუწოდებთ კარმას“, წერდა ანთროპოსოფიის წარმომადგენელი (1, 171).

„თეოსოფიის“ ავტორის აზრით, ადამიანს შეუძლია თავისი ბედისწერის შეცვლა: „თუ ჩემი ბედისწერა თავად დამიმსახურებია, მაშინ უნდა გამამხნევოს იმან, რომ ჩემი ბედისწერის გამოსწორება თავად შემიძლია“, ასკვნიდა რუდოლფ შტაინერი (იდუმალთმეტყველების კარიბჭე) (2, 61).

კარმის კანონის გათვალისწირებით ხსნიდა მეცნიერი ბედისწერის საკითხს, წარსულის განცდებს „მომავლის ბედისწერის“ განმსაზღვრელად სახავდა: „რასაც მე დღეს განვიცდი, ამას თავისი მიზეზი წინა ცხოვრებაი აქვს და რასაც დღეს ვაკეთებ, ის ქმნის ჩემს ბედისწერას შემდგომი ცხოვრებისთვის: მიზეზი წინა ცხოვრებაშია. ადამიანმა თავისი ბედისწერა წინა ცხოვრებაში მოამზადა“ (იდუმალთმეტყველების კარიბჭე) (2, 61).

კარმის კანონი ადამიანში იმედის გაღვიძებას ემსახურება: „თუ მე დამთრგუნავს ის, რომ ჩემი ბედისწერა თავად დამიმსახურებია, მაშინ უნდა გამამხნევოს იმან, რომ ჩემი ბედისწერის გამოსწორება თავად შემიძლია“ (2, 61).

რუდოლფ შტაინერი ბოლომდე მიჰყვება მიზეზ–შედეგის კანონს: „... ჩემს მიერ გაკეთებულ ყველა სიკეთეს თავისი შედეგი ექნება, ასევე, თავისი შედეგი ექნება ყველაფერ ცუდს,... ყოველი ახალი წამოწყება ცვლის ბალანსს და ყოველი ახალი ქმედება ცვლის ბედისწერას. არაფერი უშლის ხელს ადამიანს, ახალი ფაქტი შეიტანოს სიცოცხლის წიგნში (2, 62).

„კარმის კანონი ნების თავისუფლებას არ ზღუდავს. ქრისტიანული ეზოთერიკა იცნობს კარმის კანონს“ (2, 63).

„ფიზიკურ ცხოვრებაში ადამიანის ქცევას უკავშირდება გარეგანი ბედისწერა შემდგომ ცხოვრებაში. გარეგანი ბედისწერა არის ის გარემო და პირობები, რომელშიც ვიბადებით. ცუდი საქმეების ჩამდენი ცუდ პირობებს იმზადებს და პირიქით“ (2, 65).

„გარეგნულ ბედისწერას განაპირობებენ წინა ცხოვრებაში გაკეთებული საქმეები (2, 66).

„ცხოვრებაში ბევრი კეთილი საქმის ჩამდენი შემდეგში კეთილი საქმეების კეთებისკენ მიდრეკილებით დაიბადება“ (2 ,67).

ადამიანს ნიჭს სულიწმინდა მიჰმადლებს, ბედისწერას კი თვითონ ქმნის.

პოეტის მეფე გალაკტიონი აცხადებდა: „ღმერთი ჩემშივეა და მევე ვქმნი ბედისწერას“ (ბედს იქით) (3, 152).

„მთაწმინდის მთვარის“ ავტორი სულ „ბედს იქით“ ისწრაფოდა.

ვაჟა ეგრისელის აზრით, პოეტი მზის შვილია, ბედის რჩეული: „აიეტივით მზის შვილი, ნაპირებიდან ფაზისის, კვლავ ოქროს ვერძებს მოდენი. შენს ბედს ბეჭედი აზის მზის, და ქვეშ ხელს აწერს ლოდინი“ (აიეტივით მზის შვილი) (4, 888).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი გვმოძღვრავს: „ვმორჩილებდეთ ბედისწერას და ველოდოთ მოსვლას „მისას“ (4, 930).

ლექსში „ბობოქარი დღეები“ ნათქვამია: „...ციდან ოცნების – შენი ბედის ვარსკვლავის ველი გამოშუქებას“ (4, 76).

ვაჟა ეგრისელი იზიარებს მოსაზრებას, რომ ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედი იაკობივით ღმერთთან მორკინალია: „...ვიცი, ბედი მრისხანე ვითარც იაკობს, თვით უფალთან რომ შემარკინებს“ (ბრძოლა მომელის უსასტიკესი) (5, 293).

ლექსში „გედის მღერა“, პოეტი თვითდაჯერებულად აცხადებს: „...და მე ვიცი ზღვა და ლექსი არის ჩემი ბედისწერა“ (5, 438).

უზენაესის ცათა კარებისკენ მაცქერალი პოეტი სულ მაღლა მიიწევს ბედის გამოდარების მოლოდინში: „აღარ განიხვნა ჩემეული ცათა კარები, ჩემი სურვილის ციცქნა ქოხი ვერ გადავხურე. მაღლა დაფრენენ – დარი უდგათ ახლა ჭილყვავებს. ო, არა უშავს, ბედი მაინც გაიზაფხულებს და დამჭკნარ იმედს კვლავ ამიყვავებს“ (5, 147).

ურთულესი და უდიადესი მიზნისთვის ბრძოლა ვეფხვთან და ლომთან შერკინების ტოლფარდია: „...შენ კი ბედი გამოგლიჯე ვეფხვისა და ლომის ტორებს“ (ის სხვა არის) (4, 1083).

მრავალნაირი წინააღმდეგობის დამძლევი, „ბედისწერის ურჩი“ პოეტი არასოდეს გამხდარა მგლის კბილების და ლომის ხახის კერძი: „ამაყი და თავმომწონე, მუდამ ბედისწერის ურჩი, დაჩოქილი ვერვინ მნახა და ბეწვზე ძლივს გადავურჩი: მგლის კბილებს და ლომის ხახას“ (ამაყი და თავმომწონე) (5, 331).

მწყალობელ ბედისწერას მადლობა აღევლინება ლექსში „ზე-სკილა, ქვევით ქარიბდა“: „ბედი თუ წერა მწერალი, გაჩენის დღიდან მე მწყალობს... და წამით პირს არ მარიდებს: წინ წყალი, უკან-მეწყერი, ზე-სკილა, ქვევით ქარიბდა“ (5, 1313).

„ულმობელ დრო-ჟამს“ პოეტი მგელივით უპირისპირდება, „რადგან მგელია მისი ტოტემი (6, 1316).

„ბედნიერებით შენ ხარ მწუხარე“, აცხადებს პოეტი, რადგან მიწიერი, პრაგმატული ბედნიერება არასდროს ყოფილა მისი იდეალი (განათდა ბნელი) (5, 369).

„ბედნიერებით გამოწვეულ უბედურებაზე“ ამახვილებდა ყურადღებას გალაკტიონი და გულისხმობდა პრაგმატულ, წარმავალ ბედნიერებას.

გვაგონდება ლაო-ძი: „მჭმუნვარება გვმართებს გამარჯვების ჟამს. გლოვა გვმართებს გვამთა ზეიმის ჟამს“ (7, 200).

სულ „ბედს იქით“ მიიწევს ვაჟა ეგრისელი, „გოლიათის მძლავრ ნაბიჯებით“ ბედისწერაზე მაღლდება, ტიტანური ძალისხმევით აღწევს ახალი, განუმეორებელი სამყაროს შექმნას, ეზოტერულ სიბრძნესთან ზიარებას.

ყოველი ბედისწერის რჩეულის ხვედრია იუდასთან, „მზაკვართა ნაშიერებთან“ გამკლავება, რასაც პოეტი გოლიათური ძალისხმევით ყოველთვის ახერხებს (ბედისწერით თანა გდევს) (8,838).

„...ბედი მაინც გაიზაფხულებს“, ირწმუნება პოეტი და თავისი „კოლხური ფსალმუნების“ ორასტომეულის ენიგმების ამოხსნაა მისი სიხარული და არა ოქრო-ვერცხლი.

დამოწმებანი

1. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა“ თარგმანი კონსტანტიენე (უმცროსი) გამსახურდიასი, „პითაგორა“ თბ. 1994;
2. რუდოლფ შტაინერი, „იდუმალთმეტყველების კარიბჭესთან“, მთარგმნელები ლ. ბაბლუანი, ა. კვარაცხელია, ასოციაცია „კოგიტო“, თბ. 2014;
3. გალაკტიონ ტაბიძე 15 ტომად, ტ. 2, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ. 2016;

4. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“ ხუთ ტომად, ტ. 3, თბ. 2001;
5. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“ ხუთ ტომად, ტ. 5, თბ. 2008;
6. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“ ხუთ ტომად, ტ. 2, თბ. 2006;
7. ლაო-ძი, დაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და განმარტებანი ლერი ალიმონაკის, თბ., 1983;
8. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“ ხუთ ტომად, ტ. 4, თბ. 2017;

ვაჟა ეგრისელის „სიყვარულის იმპერია”

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა რწმენის, სიყვარულის, ქრისტიანული ეთიკის მსახურება.

საღვთო სიყვარულის იდეით მისი შემოქმედება ენათესავება ქრისტიან ღვთისმეტყველებს, სასულიერო პოეზიას, ბიბლიას, დანტეს, აღმოსავლურ სუფისტურ პოეზიას, მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურას.

იოანე მოციქული შეგვაგონებს: „საყვარელნო! გვიყვარდეს ერთმანეთი, რადგან ღვთისგანაა სიყვარული. ხოლო ყოველი, ვისაც უყვარს, ღვთისგან არს შობილი და იცნობს ღმერთს.

„ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცვნია ღმერთი, ვინაიდან ღმერთი სიყვარულია” (იოანე, 4, 7, 8) (1, 320).

იუდა მოციქულის მოწოდებაა: “თქვენ, საყვარელნო, აღაშენეთ თქვენი თავი უწმინდეს რწმენაზე, ილოცეთ სულიწმიდით.

„დაიცავით თქვენი თავი ღვთის სიყვარულში და დაელოდეთ ჩვენი უფლისაგან, იესო ქრისტეს წყალობას საუკუნო სიცოცხლისათვის” (იუდა, 1, 20, 21) (1, 326).

პავლე მოციქული ცოდნასთან შედარებით უპირატესობას სიყვარულს ანიჭებდა: “...ცოდნა აამპარტავნებს, სიყვარული კი აშენებს” (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 8, 1) (1, 367).

სულიწმიდის ქნარად წოდებული პავლე მოციქულის მიხედვით, სიყვარული მაღლა დგას ცოდნაზე, წინასწარმეტყველებაზე, ხელგაშლილობაზე, რწმენაზე, იმედზე. “თუ მე ადამიანთა და ანგელოზთა ენებით ვლაპარაკობ, ხოლო სიყვარული არ გამაჩნია, მაშინ ჟღარუნა რვალი ვარ ან ჟღარუნა წინწილა.

წინასწარმეტყველებაც რომ მქონდეს, ყოველი საიდუმლო და მთელი ცოდნაც რომ ვუწყოდე, სრული რწმენაც რომ მქონდეს, ისეთი, მთების გადაადგილება რომ შემეძლოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არარაობა ვიქნებოდი.

მთელი ჩემი ქონება რომ დავარიგო და ჩემი სხეული დასაწვავად გავწირო, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არაფრად ვარგივარ.

სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს.

არ სჩადის უწესობას, თავისას არ ეძიებს, არ რისხდება და არ განიზრახავს ბოროტს.

არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს.

ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველივეს ითმენს.

სიყვარული არასოდეს მთავრდება, წინასწარმეტყველებანი იყოს, გაუქმდება, ენები იყოს, შეწყდება, ცოდნა იყოს, გაუქმდება.

ვინაიდან ნაწილობრივი ვიცით და ნაწილობრივს ვწინასწარმეტყველებთ...

...ახლა კი რჩება რწმენა, იმედი, სიყვარული – ეს სამი, ხოლო მათგან სიყვარულია უმეტესი” (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 13, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 13) (1, 375-376).

„ესწრაფეთ სიყვარულს და ეშურეთ სულიერ ნიჭებს, შეიცანით ქრისტეს სიყვარული, ცოდნას რომ აღემატება, იყავით ფესვგადგმულები და დაფუძნებულები სიყვარულში“ – გვირჩევს პავლე მოციქული (ეფესელთა, 4, 17, 19) (1, 417).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, ღმერთი არის „დიადი სიყვარული“: „ეს სამყარო დიადი სიყვარულით, რომლითაც მოწყალების გამო შენისა, ბრწყინავს და იწვის იგი, ვითარცა მარადიული შუვა დღე” (“აღსარება”) (2, 240).

გიორგი გურჯიევი ამბობს: „რეალური სიყვარული – ეს არის ქრისტიანული, რელიგიური სიყვარული; ამ სიყვარულით, არავინ იბადება ამ ქვეყნად. თქვენ უნდა იშრომოთ ამ სიყვარულის მისაღწევად. ზოგიერთი ამას ბავშვობიდანვე შეიცნობს, ზოგი მხოლოდ სიცოცხლის ბოლოს, უმრავლესობა კი არასოდეს. თუ არსებობს ვინმე ამ რეალური სიყვარულით, მან იგი შეიძინა თავისი სიცოცხლის მანძილზე, მაგრამ ძალიან ძნელია ასეთი სიყვარული შეიცნო და შეუძლებელია ასეთი სიყვარული ადამიანებიდან დაიწყო“ (3, 64).

წმიდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი საუბრობს საღვთო სიყვარულზე, ნათელზე, იმ ნეტარებაზე, კეთილცვალებაზე, განწმენდაზე, სიბრძნეზე, რასაც მიჰმადლებს ადამიანს ეს ზეციური გრძნობა: „...რაწამს მოვიხსენე მშვენებანი შეურყვნელი სიყვარულისა, ჩემს გულში მყისვე აღმოცენდა მისი ნათელი, წარმიტაცა მისმა სიტკბოებამ და მომესპო ხორციელი რამ ყველა გრძნობა, მთელი არსებით გავუცნაურდი ამ ცხოვრებიდან... ჰოი, სიყვარულო ყოვლადსაწადელო, ნეტარი არის, ვინც ამბორს გიყო შენ, რადგანაც აღარ ინდომებს იგი ვნებიან ამბორს მიწათშობილი მშვენებისადმი: ნეტარი არის, ვინც ამბორს გიყო შენ, რადგანაც აღარ ინდომებსიგი ვნებიან ამბორს მიწათშობილი მშვენებისადმი; ნეტარი არის, ვინც შენ შეგეწია საღვთო ტრფობით, ნეტარი არის, ვინც ეამბორა შენს სიტურფეებს, ...კეთილცვალებით შეიცვლება ის სულიერად და განი-

ხარებს სამშვინველით, რადგანაც შენ ხარ სიხარული მიუთ-ხრობელი... უფრორე ნეტარია, ვინც თვით იყვარე, თვით ითვი-სე, ვინც შენ განსწავლე, ვინც დაიმკვიდრა შენს წიაღში, ვინც შენს მიერ მიიღო საზრდო – ქრისტე უკვდავი, ქრისტე ღმერთი ჩვენი" (4, 266).

ჰოი, საღვთოო სიყვარულო,.. შენ ხარ მოძღვარი წინასწარ-მეტყველთა, თანამსრბოლი მოციქულთა, ძალი მოწამეთა: შთაბერვა მამათა და მოძღვართა, სრულქმნილება ყველა წმინდანისა, აწ კი – ხელამპყრობელი ამჟამინდელი მსახურე-ბისა" (4, 268).

ბასილ დიდის მიხედვით, „სიყვარული და სახიერი თავისი არსით ერთია" (5, 144). ყველას როდი შეუძლია სიყვარულში სრულყოფილებას მიაღწიოს და შეიმეცნოს იგი, ვინც ჭეშმარი-ტად სიყვარულია... ვისაც ფული უყვარს, ხრწნადი სხეულების სილამაზე აღაგზნებს და აქაურ დიდებას ამჯობინებს, ჭეშმა-რიტი სიყვარულის ჭვრეტისას დაბრმავდება. კაცთაგან მხო-ლოდ ცოტას თუ ეწოდა მეგობარი ღმერთთა, როგორც მაგალი-თად, მოსეს, რომლის შესახებ სწერია, რომ იგი იყო მეგობარი ღმრთისა და იოანესი, რომელზედაც ნათქვამია: "ხოლო მეგო-ბარი სიძისაი რომელ დგას, სიხარულით უხარის" (იოანე, 3, 29) ანუ ის არის ღირსი ქრისტეს მეგობრობისა, ვისაც მისი მტკიცე და ურყევი სიყვარული აქვს. ამიტომაც მოწაფეებს, რომელნიც უკვე სრულყოფილებას იყვნენ მიღწეულნი, უფალი ეუბნება: „არღარა გეტყვ თქვენ მონად, რამეთუ მონამან არა იციან, რა-სა იქმს უფალი მისი, არამედ მეგობრად" (იოანე, 15, 15). ჭეშმა-რიტი სიყვარულის შეცნობა სრულყოფილს შეუძლია" (4, 144).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში" სიყვარული-ღმერთი სამ-ყაროს, მზეს და ვარსკვლავებს ამოძრავებს: „წადილი, ნების-ყოფა ჩემი შეირხა, როგორც ბორბალი, სიყვარულით მძლავ-რად დაძრული, იმ სიყვარულით, რაც აბრუნებს მზეს და ვარ-სკვლავებს" (3, 43).

სხვაგან დანტე ამბობს: „სიყვარული ღვთაებრივი ანიჭებს ძალას და ამოძრავებს ამ მშვენიერ ციურ ცდომილებს“ (5, 45).

„ღვთაებრივ კომედიაში“ საუბარია „ღვთაებრივი სიყვარულის ალში ნაწრთობი გონების“ ყოვლისშემძლეობაზე, „მარადჟამული ტრფიალის ცეცხლზე“, “პირველადი სიყვარულის სიყვარულზე“, „სხვადასხვაგვარი სიყვარულის“ შეცნობაზე, „უზეშთაეს სიყვარულზე“, „სულიერ ტრფობაზე“ (5, 303, 292, 246, 380, 361, 205).

იტალიელი გენიოსის პოემაში დიდი ადგილი ეთმობა „ციური ჭვრეტისათვის“ განკუთვნილ სიყვარულს (5, 331), უფლის კეთილ ნებას, რომლის ძალით ყოველთვის „კაცში სახიერდება სიყვარული ალალმართალი” (3, 334).

დანტეს აზრით, „მისნური სიყვარულის ქმედების ძალის ნაყოფია სრულყოფილის გამოვლენა“ (5, 328), „დაუშრეტელი სიყვარულის კოცონის დამნთებია ნათელი მადლისა“ (5, 316). წმინდა სულის კითხვაზე: „წადილი შენი?“ – „სიყვარული და სიბრძნის ნიჭი“, პასუხობს დანტე.

იოანე პეტრიწი სიყვარულს ღმერთს, სამებას უწოდებს და დარწმუნებულია, რომ მხოლოდ მისდამი მიმსგავსებით არის შესაძლებელი მადლის მიღება, განღმრთობა: „სიყუარულსა სხვას ნურას ჰგონებ, ღმერთი არს, სამებით ერთი, ცნობილი სამებადვე, ხოლო რომელი ძალისაებრ მსგავსებას მისსა მიიღებს, მადლით განღმრთების იგი“ (6, 184).

ჯერ კიდევ პლატონთან ვხვდებით მიწიერი და ციური ეროსის ცნებებს. დიდი ბერძენი ფილოსოფოსის მიხედვით, არსებობის მიზანი ეროტიკულ მისტერიათა საწყის სტადიაზე შეჩერება კი არ არის, არამედ სულის ამაღლება მის უმაღლეს, „ეპოპტიკურ სტადიამდე“, „სულის მშვენების” უპირატესობის აღიარება „სხეულის მშვენებაზე“, გაბრძნობა და გამობრძმედა, „აბსოლუტური მშვენიერების წვდომა“, „მარადიულ, ...ხელთუქმნელ” მშვენიერებამდე ამაღლება, რომელიც „სახი-

ერია“ თავის ყველა გამოვლენაში, ყველა დროში, ყველა ასპექ-ტში, იგი მაღლა დგას ყოველგვარ განძზე, წმინდა მშვენიერება შეურყვნელი და შეურევნელია კაცის ხორცით, ხრწნადი გარ-სით შებღალული კი არა, ერთსახოვანი ღვთაებრივი მშვენიერ-ებაა“ (8, 17).

გოეთე წერდა: „ყველა წიგნი, რაც კი ხელში მოგყოლია, მო-გონილი, ნამდვილი, თუ ზღაპრული, მარტოოდენ ბაბილონის გოდოლია, თუ არ არის სიყვარულით შეკრული“ („უწყინარი ქსენიები”) (9, 256).

„ვეფხისტყაოსნის” სახისმეტყველებაში” ზვიად გამსახურ-დია აღნიშნავს, რომ „შუა საუკუნეების ევროპაში, პროვანსსა და იტალიაში არსებობდა მიმდინარეობა “მიჯნურობის მორ-წმუნენი”, რომელიც წარმოადგენდა საიდუმლო ორგანიზაცი-ას. ამ ორგანიზაციას ჰქონდა საიდუმლო მეტაფორული ენა, რომელიც სიმბოლოებისა და ალეგორიების მეშვეობით გად-მოს-ცემდა სიყვარულის ინიციაციის მისტერიებს... აქ იყო გამე-ფებული ერთადერთი ქალის კულტი („ქალი” ამ შემთხვევაში ტრანსცენდენტალური ინტელექტის, სიბრძნის, სოფიას სიმ-ბოლო იყო,... დანტე იყო წევრი მიჯნურობის მორწმუნეთა ძმობის“ (8, 10, 93).

სუფისტური ასკეტიზმი აღმოცენდა არაბეთის ქრისტიანი ბერების გავლენით (10, 104).

სუფისტურ სიყვარულს პოულობდნენ „ვეფხისტყაოსანში“ ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი, კორნელი კეკელიძე. თუმცა კორნელი კეკელიძე არ იყო ამ საკითხში თანმიმდევრული, 1933 წელს იგი სუფისტურ თეორიას ავითარებდა, 1941წ. უარ-ყო ეს აზრი, 1945 წელს კი ისევ სუფიზმს დაუკავშირა რუსთაველ-ის პოემა.

„მიჯნურის სიყვარული ღვთის სიყვარულის ანარეკლია. მიჯნური განასახიერებს მარდქალურ საწყისს, სოფიას,

ღვთისმშობელს. აქედან იშვა მიჯნურობის მისტიური კულ-ტიც“ (10, 167).

„სუფიები არიან პოეტები და მიჯნურები ერთდროულად. მათ გზას ეწოდება გზა მიჯნურობისა“ (10, 106).

სუფისტურ ასპექტში აქვს გააზრებული რუსთველური მიჯ-ნურობა ზვიად გამსახურდიას (10, 106).

სუფისტური სიყვარულია ჯალალ-ედ-დინ რუმის პოეზიის მთავარი თემა: „მე ...ერთს ვუჭვრეტ ორსავ სოფელში... იგია პირველყოფილი და უკანასკნელი, იგია ცხადი და დაფარული. და ამ სოფელში ჩვენ ორს გარდა, სხვას არავის ვცნობ. მე სიყ-ვარულმა დამათრო და ცნობისაგან მიხდილი მაქვს ორივ ქვე-ყანა“ (11, 17).

სუფისტების მოძღვარი იბნ ელ არაბი წერდა: „მე მივსდევ რელიგიას სიყვარულისას. მე მიწოდებენ ხან ღაზელების მწყემსს, ხან ქრისტიან ბერს, ხანაც სპარსელ ბრძენს. ჩემი მიჯ-ნური სამებაა, რომელიც არის მხოლოდ ერთი“ (11, 21).

„უსიყვარულოდ ყოველი საქმე უწმინდურია“.

„სიყვარულის აღმსრულებელი ყოველი სჯულის აღმსრუ-ლებელია, რამეთუ აღმასრულებელი რჯულისა სიყვარული არს“ (რომ. 13, 10).

„ღვთაებრივი სიყვარული არს თავი ყოველთა სათნოებათა და სიყვარულია მიზეზი ყოველთა კეთილთა, მარილია სათ-ნოებათა და სასრული სჯულისა” (წმ. ეფრემ ასური) (4, 136-136).

მერაბ კოსტავა საუბრობდა „სიყვარულის გრადაციაზე”, მოყვასის სიყვარულზე, რაც ღმერთისადმი სიყვარულის საწინ-დარია, სულიერი სიყვარული კი – „კოსმიურ ჰარმონიასთან“, „სფეროთა მუსიკასთან” ზიარების გზა.

„როგორც სიყვარულის სულები – სერაფიმები არიან სუ-ლიერ იერარქიათა შორის უპირველესნი, ერთიანად რომ გან-მსჭვალავენ დანარჩენ იერარქიებსაც და მთელ კოსმოსსაც, ას-

ევე სიყვარულია ადამიანის უკვდავი სულის ყველა ღირსებათა შორის უპირველესი და დანარჩენ ღირსებათა ამოსავალი წყარო“, წერდა მერაბ კოსტავა (16, 56-57).

„წმინდა ვნებას“ უმღეროდა ბოდლერი („მიწვევა სამოგზაუროდ“) (12, 13).

საღმრთო სიყვარულის იდეას იზიარებდნენ და „საყვარელს“ ქრისტეს ეთაყვანებოდნენ დ. გურამიშვილი, ვახტანგ VI, აკაკი წერეთელი.

ქრისტე აკაკი წერეთლისთვის იყო უმაღლესი სიყვარული, „საყვარელი“ და „სულიკო“ ერთდროულად (13, 244).

ვაჟა-ფშაველას “სიყვარულის სამეფოში” სატრფო სიყვარულია, ღმერთია, რომელიც გამუდმებული ძიებით იპოვა პოეტმა: „მე თვით გახლავართ ის შენი სატრფო! ტრფობის ქვეყანა ერთხმად კიოდა“ (14, 188).

მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში საღმრთო სიყვარულის იდეას ავითარებდა გალაკტიონ ტაბიძე.

მეფისტოფელის, ურწმუნოების ეპოქაში გალაკტიონმა ხელახლა აღმოაჩინა მივიწყებული უზენაესი გრძნობა: „ჯერ ყველასაგან მიუკვლეველი აღმოვაჩინე მე სიყვარული („დადგა აგვისტო“ (17, 265).

საღმრთო სიყვარულის გამომხატველი ტერმინებია გალაკტიონის პოეზიაში: ზექვეყნიური სიყვარული, ტრფობა სრული, მზიანი სიყვარული, პირველი სიყვარული, სიყვარულის სიმღერა, შორეული სატრფო, იდუმალება შორეულ ტრფობის, ვარსკვლავი-სატრფო (18, 100-109).

საღვთო სიყვარულის პრობლემა გვხვდება ანა კალანდაძის პოეზიაში (19, 158-165).

იგი უხმობს „ცის და მიწის სიყვარულს“ – ღმერთს (“ცათა მაღალთა მადლი”) (19, 236). ასევე მისი „რჩეულია” ღმერთი (გამომეცხადა რჩეული ჩემი) (19, 192).

ახალი აღთქმის საფუძველზე ანა კალანდაძე ასკვნის: “ყოველთა დიდი არს სიყვარული” (“ვარსკვლავი ბრწყინავს ასე საამოდ?”) (19, 152).

ვაჟა ეგრისელი შემოქმედებითად უდგება ამ პრობლემას. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი, როგორც “ზესკნელ-ქვესკნელის მეუფე”, კიდევ უფრო აღრმავებს საკითხს და მისი წყაროები უფრო შორეულია, ვიდრე საკუთრივ ქართული.

„კოლხური ფსალმუნების” ავტორი იმპულსს იღებდა დავით წინასწარმეტყველის და სოლომონ ბრძენის ნააზრევიდან, მისი სურვილი იყო, შეექმნა ღვთის გამორჩეული საგალობელი. ბიბლიიდან პოეტს ესმის “ხმები დავითის და სოლომონის” (ხმები ისმის ბიბლიიდან) (20, 425).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს საღმრთო სიყვარულს – „პირველ სიყვარულს” (ღმერთს), რომელიც ამ სოფელსაც და იმ სოფელსაც განაგებს: “ცხადია თუ ფარული – ჩემთვის ორივ ერთია და შუა არ იყოფა პირველი სიყვარული ამ სოფლად და იმ სოფლად”.

ლექსს ეპიგრაფად უძღვის ჯალალ-ედ-დინ რუმის სტრიქონი: “მე ერთს ვჭვრეტ ორსავ სოფელში” (პირველი სიყვარული) (20, 368).

ეს ეპიგრაფი ლექსის წყაროზეც მიუთითებს.

ასევე, ქართველი პოეტის შთამაგონებელია ახალი აღთქმა: “შენ მიატოვე შენი პირველი სიყვარული” (იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადება, 2, 4 (1, 492) – ამ სიტყვებით ქრისტემ უსაყვედურა ღმერთის დამვიწყებელ ეფესელთა ეკლესიას.

დანტეს, რომელმაც სულიერ ზეცაში შეიცნო “სიყვარული სხვადასხვაგვარი”, განსაკუთრებით იზიდავდა “სიყვარული პირველი, პირველადი სიყვარული, სიყვარული ღვთაებრივი, სიყვარული დაუშრეტელი”.

იტალიელი გენიოსი მოგვიწოდებდა: “თვალი მივაპყროთ ახლა უკვე სიყვარულს პირველს” (5, 328).

დანტესებური ძალისხმევით ეძებს და ლოცვით უახლოვდება ეგრისელი სიყვარულს – ღმერთს: „ლოცვის ბილიკს მივყვები, მარად მისი ერთგული, ირგვლივ არის ქაოსი, გზა არის უტევანი და სადღაც იქ მეგულვის სიყვარულის მტევანი“ („სიყვარულის მტევანი“). (19, 411).

სიყვარულის მტევანი საღვთო სახელია.

კოლხურ-ქართული მზის კვალზე შესდგომია პოეტი ღმერთის შორეულ გზას და „სიყვარულის კვირიონების” ფრთების ფათქუნით აღწევს ცას: „წყვდიადიდან ამოსული – მზე კოლხური და ქართული, გზას შორეულს გიიოლებს. ცად აყავხარ ფრთის ფათქუნით სიყვარულის კვირიონებს“ („სიყვარულის კვირიონებს“) (20, 367).

კვირიონი – კვრიონი სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, ფრინველია (20, 402).

ეს სიყვარული პოეტს მშობლიური მხარის ადგილის დედამ უსაგზლა, „მიხმობს, მეძახის ჩემი კოლხეთი, ფაზისს და პონტოს სიყვარულის ადევს არილი” („მიხმობს, მეძახის”) (19, 302).

სიყვარულის კლდეზე დაბმული პოეტი ეთაყვანება ცას მარადიულს, ცეცხლს ღვთაებრივს: „...და სიყვარულის კლდეზე დავები, მერე ვილოცე და ვეთაყვანე – ცას მარადიულს... და ცეცხლს ღვთაებრივს“ („აყვავებული ღამის სიზმრები”) (19, 596).

სულიერ კლდეში კი ქრისტე იგულისხმება: „...ჰსუმიდეს” იგინი სულიერისა მისგან კლდისა ... ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე” (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 10, 4) (1, 370).

„სიყვარული” ქრისტე ღმერთია, „ცა მარადიული” არის „ცათა ცა, სულიერი, გონიერი ცა, ცა – ღმერთების სავანე.

მიწა და ზეცა შექმნილია, „ცანი ცათანი“ კი, რომელიც თავდაპირველად შეიქმნა ღმერთის მიერ, „სულიერ სამყაროს წარმოადგენს“, ის არის ჩვენი ხილული ზეცის მაღლად, „ცანი ცათანი გონიერი ზეცაა, სადაც გონებას ყველაფრის ერთბაშად შეცნობა ეძლევა და არა ნაწილობრივ, მთელი თავისი სისრულით, გამოცხადებით (2, 382, 383, 386, 388).

ცეცხლიც საღმრთო სახელია (22, 99).

„სიყვარულის კლდეზე” მიჯაჭვული პოეტი არის დედა-ძის თავდადებული მოთაყვანე, საღვთო ცეცხლით და თოვლის სისპეტაკით შემოსილი სიყვარულის მეხოტბეა პოეტი: „ჩემი სპეტაკი სიყვარულია ის თოვლი, რომ შეჰფენია კავკასიონს, ოჰაიოს და ინდიანას“ („ჩემი სპეტაკი სიყვარული”) (20, 184).

მიწიერი პოეტი ცაში ეძებს იდეალს – ცეცხლის მზეს და ცეცხლის დისკოს – სიყვარულს: „მიწის ხელებით მძერწა უფალმა, მაგრამ ცაზე კი ფიქრი მაინც ვერ მოვიშორე – სადაც სიყვარულს ცეცხლის დისკოდ ჰკიდებს ცეცხლის მზე“ („მიწის ხელებით მძერწა უფალმა”) (23, 303).

მარადისობა, სიყვარული, მზე, სინათლე, ცის ყვავილები, საღმრთო სიმბოლოებია – პოეტის ლტოლვის უმაღლესი მიზანი: “მარადისობა მარად მე მინდა და სიყვარულის ჩუმი მეფობა, რადგან მთვლემარე ღამეებიდან – მესმის ძახილი მზის და სინათლის, რადგან სიშორის კენწეროებზე მარად ჰყვავიან ცის ყვავილები“ („ცის ყვავილები”) (23, 543).

სიყვარულის მაღალი ცის მოწყალე ღიმილად აღიქმება თოვლის სისპეტაკე: „სიყვარულის მაღალი ციდან შენი ღიმილი ჩემთან ჩამოდის სისპეტაკედ პირველი თოვლის“ („იასამნების ლურჯი გალობა”) (23, 527).

სიყვარულის მაღალი ცის წყალობაა “იასამნების ლურჯი გალობა“, მთვარეულ გზებით მოვლენილი, მნათობების ყიჟინა: “იასამნების ლურჯი გალობა მთვარეულ გზებით მიედინება... და სიყვარულის მაღალი ციდან შენი დუმილი ჩემთან ჩა-

მოდის მნათობების ფერმკრთალ ყიჟინად” (“შენი დუმილი”) (24, 205).

დედამიწასთან გატოლებული გულის ლტოლვა უზენაესი სიყვარულის მზისკენ ასეა გამოხატული: “დღისა და ღამის ყავარჯნიანი – დედამიწა ვარ მე და მივსდევ მნათობს. ჩემი სიყვარულია – მზე, ასე რომ გათბობთ” (“დედამიწა ვარ მე”) (23, 525).

„კოლხური ფსალმუნების” ავტორს არ ავიწყდება კოლხეთში ქრისტეს სიყვარულის მოძღვარნი – ანდრია მოციქული და სვიმონ კანანელი: “ჩემს კოლხთა სულიერ მოძღვართ და ნათესავთ – ანდრია მოციქულს და სვიმონ კანანელს რომ ქრისტეს სიყვარულს კოლხეთში თესავდნენ, ურჯულოებმა ვერ მოანანიეს” (ანდრია მოციქულს და სვიმონ კანანელს” (19, 465).

ღმერთის შეწევნით რუბიკონის გადამლახველი, შურისა და მტრობის ქარიშხალთან მორკინალი, სიყვარულის ზარებით აღვიძებს ახლობელ თუ შორეულ გარემოს: “შიგ კაკალ გულში მხვდება ისარი, მაგრამ რუბიკონს გადასული, ვით კეისარი, შურის და მტრობის ვხვდები ქარიშხლებს, ორიათასის ბჭესთან მისული. კვლავ სიყვარულის ზარებს ვარისხებ: მტკვრით და რიონით, მისისიპით, განგით, მისურით” (“შიგ კაკალ გულში მხვდება ისარი”) (10, 188).

ღმერთს ევედრება შთაგონების მოვლინებას, რათა სიყვარულით აღჭურვილი ცის და მიწის სათავეს მისწვდეს: “ძეო ღვთისავ! მზევ – ცისა! ოქროს ტახტზე მჯდომარევ, შთაგონების მთიები ისევ ამითავთავე. რომ მე, ვითარც მარდუქმა, სიყვარულით ხელთ ვიპყრო ცის და მიწის სადავე” (“ვით მარდუქმა”) (19, 219).

სიყვარულის საწყაულია სიყვარულით ხელდასხმულის წარმატებების სტიმული: “ნათლითმოსილმა პოლიჰიმნიამ სამარადისოდ რადგან მიშვილა და საწყაული სიყვარულით

რადგან მევსება, ლექსებით ვხვდები ავად ხშირ-ხშირად და ვიკურნები ისევ ლექსებით” („პოლიჰიმნია”) (23, 183).

სიმაღლის სიყვარულიც უზენაესის მადლია, რომელსაც ასე ევედრება: “ლაჟვარდ სიმაღლის სიყვარულში მოდი, დამინდე და შუბლშეჭმუხვნილ წყნარი ზეციდან ჩემი ჩამქრალი ვარსკვლავები ისევ ამინთე” (“აჰა, ოცნება ცისკარივით ისევ ამაღლდა”) (23, 232).

სიყვარულის ფრთას დაეძებს ნიადაგ: “უღალატოს და მარად უტყუარს, მივაყურადოთ უნდა გულის ხმას... ფრთა, ფრთა აკლია ჩვენს სიყვარულს, სხვა არაფერი” (“უღალატოს და მარად უტყუარს”) (23, 251).

სიყვარულის ჩამქრალ კოცონს შური ენაცვლება: “ტრფობის კოცონი რომ ჩაგვიქრია, დიახ, ამიტომ შური გვიღრღნის ჩანგსა და ებანს” (“ჰე, პოეტებო” (23, 529).

პოეტის გული მთელი დედამიწის სიყვარულის დამტევია, მნათესავით სიყვარულს თესავს და სანთელივით იწვის: “ვით აპოლონი და ვით ჰერმესი, მსურს რომ სიყვარულს ვთესდე და ვმკიდე და სანთელივით ასე დავიწვა. მოხსენით მზე და მზის მაგიერ ჩემს გულს დავკიდებ და მწამს გაათბობს მთელ დედამიწას” (“ვით აპოლონი და ვით ჰერმესი”) (23, 573).

პოეტის სიყვარულია ზღვა, ქარიშხალი: “ზღვათა ბინადარ ქარს და ქარიშხალს შორით ვეტრფოდი როგორც საყვარელს და მათთან ყოფნა ბევრჯერ ვინატრე. ბოლოს მძინარე ზღვები ავყარე და ჩემს წიგნებში დავაბინადრე” (23, 248).

პოეტის სიყვარულია ზღვა, თავისუფლების, დემოკრატიის, მრავალფეროვნების, ცხოვრების სახე და სიმბოლო: “...ზღვაო... მე შენი ძმობა მეამაყება და შენს სიყვარულს თან გადავყვები” (“ქარების სურვილს როცა აჰყვები”).

მამულის სიყვარული კი “მუდმივი სასჯელია” (23, 839).

„სიყვარულით შემოღობილი “წიგნის კარ-მიდამოა პოეტის საცხოვრისი: “ესაა წიგნი! სიყვარულით შემოღობილი... მინ-

თია აზრი, ფიქრის კვამლი ადის ფათქუნით და მე აქ ვცხოვრობ... კარ-მიდამო ჩემი აქ არის" ("ჩემი კარ-მიდამო") (23, 17).

"სიყვარულის წმინდა ძაფით" არის დაგვირისტებული ფიქრები აზრის პერგამენტებზე: „...და ფიქრი აზრის პერგამენტებზე სიყვარულის წმინდა ძაფით დავაგვირისტე" ("სამშობლო იყო ჩემი ოცნება") (23, 252).

დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებთან შეხმიანებულ კოლხურ ფსალმუნებში ფეთქავს ციური გული, სიყვარული, იდუმალი ფიქრი და წმინდა ლოცვები: "აჰა, ეს წიგნი – ჩემი ფსალმუნი: ფურცლებს კი არა, ცით აკინძულ ჩემს გულს გადაშლი. სიყვარულით და იდუმალი ფიქრით მოცული. და მეც მუხლმოყრით შენზე ვლოცულობ მზით განათებულ პოეზიის წმინდა ტაძარში" ("ფსალმუნი") (20, 17).

ჯადოსნურ კვერთხადქცეული კალმით იქმნებოდა სიყვარულით მოოქროვილი აზრი და დღეები: "სადაც დავკრავდი, ამოჩქეფდა აზრი ანკარა. კალამი არა, კვერთხი მეპყრა მე ჯადოსნური. და ლამაზ დღეებს სიყვარულის ოქროს ვავლებდი" ("სადაც დავკრავდი") (24, 102).

ლექსი "სინათლის მიღმა" გვაუწყებს, რომ ქართული სიტყვის მისიად ისახება სიყვარულის მსახურება: "...სურს სიყვარულად წიგნში ჩაკრიფოს ქართული სიტყვის საოცრებანი" („სინათლის მიღმა") (24, 175).

უსიყვარულო არსებობა სიკვდილის ტოლფასია: "თუ არავინ აღარ გიყვარს და სიყვარულს არ დებ ხიდად, ადე! შუბლში ტყვია იკარ! – წუხელ ფიქრი ამიხირდა" ("თუ არავინ აღარ გიყვარს) (23, 890).

ცხოვრება სიძულვილისა და სიყვარულის ჭიდილია და ამ ორი გაკვეთილიდან რომელს გავითავისებთ, ეს ჩვენს სულზე, ძალისხმევაზეა დამოკიდებული: "ცხოვრება ჩემი მასწავლებელია, ყოველდღე მიტარებს ორ გაკვეთილს – სიძულვილის და სიყვარულის. ძნელია, მაგრამ ვჯახირობ, ვწვალობ. პირ-

ველს ვერა და... მუდამ ფარულად – მეორეს ვსწავლობ” (“ორი გაკვეთილი”) (23, 649).

მხოლოდ სიყვარულით შეიძლება მდინარის ორი ნაპირის გაერთიანება: “ჩვენ ვართ მდინარის ორი ნაპირი – და სიყვარული გავდოთ ხიდებად, არ მივაკაროთ სიძულვილის და მტრობის ნაღმი, რადგან ამ ქვეყნის ავლა-დიდება პოეტის ერთ კარგ სიმღერად არ ღირს” (“ჩვენ ვართ მდინარის ორი ნაპირი”) (23, 818).

სიყვარულის ფასი მით უფრო იზრდება, რაც უფრო დიდია უბედურება: “ქვეყნად, ყოველთვის მიტომ მოდის უბედურება, რომ სიცოცხლის და სიყვარულის აუქციონზე, რაც შეიძლება, ბედნიერების გაზარდოს ფასი” (23, 400).

ცხოვრებაში დარდის პარალელურად, მაინც ზეიმობს სიყვარული: “... და მაინც სადღაც, სიყვარულის ისმის გალობა დარდით გაფოთლილ ღამის ჭალაში” (“დღისით და ღამით” (23, 50).

ეროსია (იგივე ამური) პოეზიის ტაძრისკენ მთავარი წინამძღვარი: “ის პოეზიის ტაძარში მივიდა ღამენათევი, ამურის ისარნაკრავი, და დაკლა თავის საკლავი, დაანთო თავის სანთელი” (23, 75).

პლატონი ამბობს, რომ არსებობს მიწიერი და ციური ეროსი (“ნადიმი”).

ზემოხსენებული ლექსის ამური უსათუოდ ციურია.

აი, რა მიგნებულად არის გამოხატული საღვთო სიყვარულის ტყვეობა: “სიყვარულს ჰყავხარ ატაცებული ცისფერ ხელებში, როგორც ბიგელებს, სათნო, კეთილი და ცათა სწორი. და მიკვირს ზოგნი რომ ვერ იგებენ, სიძულვილისთვის აღარა ღირს დაკარგვა დროის” (“სიყვარულს ჰყავხარ ატაცებული”) (23, 855).

ლექსში “სიბერე” სიყვარულის თაყვანისცემა ასეა გამოხატული: “ფიქრის და დაფნის გვირგვინს ვუწნავდი, ოცნების კიბით ცამდე ამყავდა ...სიყვარული (“სიბერე”) (23, 491).

სამშობლოს სიყვარული ასე ორიგინალურად ვლინდება ლექსში “ნოსტალგია”: “...ჩემს სიყვარულში და ალერსში გახვეული ფიქრის აკვანში მიწევს, მაგრამ ვეღარ ვაძინებ და ყოველ ღამე „იავნანას” ვუმღერი საქართველოს” (23, 67).

ქვეყნად სიყვარულის მისიით მოსვლის მაგალითებად დიდი წინაპარი კლასიკოსების ცხოვრება ესახება: “...და ვით აკაკი, ვაჟა, ილია, სიყვარულისთვის ქვეყნად მოხვედი” (“იმედი”) (24, 387).

რეზიუმესავით აღიქმება განაცხადი: “შემოიჭირე სიყვარულის აპეურები, შენც საქართველოს უღელი გადგას, როგორც ტიციანს, როგორც პაოლოს” (“შენ საქართველოს გადგას უღელი”) (24, 580).

მამულის ტრფობის უღელის ტკბილი ტკივილი სხვაგან ასეა გადმოცემული: “ეჰ, საქართველოვ! შენი ტრფობის უღელში შებმულს, დე, მარად მტკიოდეს ქედი ნაუღლარი” (დე, მარად მტკიოდეს (...709)

ეს სტრიქონები არის შეპასუხება ტიციან ტაბიძის ფრაზისა: “დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი” (“მაშ, გამარჯვება”...) (24, 155).

ვაჟა ეგრისელის საყვარელი ფრაზებია: ციური ქვა, სიბრძნის ქვა, სიყვარულის ქვა, რაც ქრისტეს სიმბოლოა და მისი პოეზიის ქრისტიანულ ხასიათს უსვამს ხაზს, როცა ამბობს, რომ სიტყვა სიყვარულის ქვაზე ალესა: “ჟამთა ქარქაშში ჩაგებული სიტყვა ქართული, რუსთაველივით სიყვარულის ქვაზე ავლესე და ახლა დილის მზისებრ ელვარებს... ჩემი სიმღერა მიუალერსებს ზღვათა სიღრმეებს... და ცად აწვდილ მთათა მწვერვალებს” (ჟამთა ქარქაშში ჩაგებული სიტყვა ქართული) (23, 302).

ვაჟა ეგრისელი ეძებს მარადისობას, სიყვარულს, მზეს, ცის ყვავილებს (საღვთო სახელებია): “მარადისობა მარად მე მინდა და სიყვარულის ჩუმი მეფობა, რადგან მთვლემარე ღამეებიდან – მესმის ძახილი მზის და სინათლის, რადგან სიშორის კენწეროებზე, მარად ჰყვავიან ცის ყვავილები” (ცის ყვავილები) (25, 543).

პოეტისათვის მარადისობა (ღმერთი) არის “შუბი”, სიყვარული – “მახვილი”... ზეციური ხმა მოუწოდებს, საწუთროს ქარებზე კი ნუ დაამყარებს იმედებს, სიყვარულის მახვილი შეიბას და მხოლოდ ეს გადაარჩენს დავიწყებას: “ფიქრები ღამით უფრო ღრმავდება, კივის სიშორე: – სიყვარულის “შეიბ მახვილი! და დავიწყების შმაგ ქარებთან ქროლვას მოეშვი. გათენების ჟამს, ვით სინათლის შორი ძახილი, შენ გამოკრთები ჩემს მოწყენილ სიმარტოვეში” (ფიქრები ღამე უფრო ღრმავდება) (26, 202).

სიყვარული “ოქროს ქამარი” და “სატევარია” საღვთო იდეალებისთვის, რწმენის, გამარჯვებისთვის მთავარი იარაღია: “ჩვენ, ვითარცა ყარაჩოხელს, სიყვარული ოქროს ქამრად და სატევრად უნდა გვერტყას, სანამ ჟამი ყოფნის ხიდან კაკალივით ჩამოგვბერტყავს” (ჩვენ, ვითარცა ყარაჩოხელს) (20, 901)

სხვაგან არის “სიყვარულის ოქროს პალო”: “ისევ შენა ხარ ჩემი მსაჯული, რადგანაც შენი სიყვარულის ოქროს პალოზე ვარ მიჯაჭვული” (ისევ შენა ხარ) (25, 596).

„სიყვარულის და სითბოს მთესავი სული”... ვარსკვლავებთან და მთვარესთან, პატარა კუნძულზე სახლობს (სიყვარულის და სითბოს მთესავი) (20, 219).

პოეტი ევედრება ღმერთს: “ძეო ღვთისავ! მზევ – ცისა! ...შთაგონების მთიები ისევ ამითავთავე. რომ მე, ვითარც მარდუქმა, სიყვარულით ხელთ ვიპყრო ცის და მიწის სადავე” (“ვით მარდუქმა”) (20, 219).

მარდუქი იყო ბაბილონელთა უზენაესი ბრძენი ღმერთი, რომელმაც სძლია ქაოსს, დაამარცხა ბოროტი ღმერთი ტიამატი, მისგან შობილი ურჩხული და შექმნა სამყარო. აღიარეს უზენაეს ღვთაებად (ძვ.წ. 2600წ.). ის იყო ჭექა-ქუხილის მეუფე, ელვით გარემოსილი, გვირგვინოსანი, მან მოაწყო მიწიერი ცხოვრება, დაამყარა წესრიგი, ადამიანთ ღმერთის მსახურება ასწავლა. ის იყო შუქის მომცემი, მკურნალი, ბრძენი, მოსამართლე. იგი, ერთი ვერსიით, სიკვდილით დასაჯეს, მაგრამ აღსდგა. ამ თქმულების შემადგენელია სულიერი სიყვარული (27, 291-292).

პოეტი ყოველთვის სიყვარულისთვის ევედრება ღმერთს: "სიყვარულით ამაღლებას, ვევედრები ქვეყნის გამჩენს" (20, 588).

სიყვარული, პოეზია სულის ნიჭია, ღმერთის მადლი, რაც გამორჩეულობის გარანტია: „ყველა ერთად ავისრულე, თუ მქონია რამ სურვილი, რადგან შემწედ კვლავ მყავს ქრისტე, სიყვარულით დაისრული სტრიქონს ელვით ვაგვირისტებ" (24, 84).

სიცოცხლის და ცნობადის ხე ღმერთის სახელებია და ქრისტეს, მის ორბუნებოვნებას გამოხატავს (აკაკი ბაქრაძე, "ქართული სასულიერო პოეზიის სახეები") (28, 38).

ვაჟა ეგრისელის ლექსში „სიყვარულის ხე არის მარადმწვანე, სიძულვილის ფოთლები სცვივა" (24, 137).

სიყვარული და სიძულვილი ანტიპოდებია. ეს აზრი ბიბლიური ნოეს ხმას დაუკავშირა პოეტმა: "სად გაგონილა, ხეს სიძულვილის, რომ სიყვარულის ნაყოფი მოესხას" ("ნოეს ხმა") (24, 218).

სიყვარული პოეტის ყავარჯენია, გამარჯვების საწინდარი: "მიყვარდეს ყველა! – დამბადებელმა გამომიტანა, ვით განაჩენი და მტერზე მუდამ მან გამიმარჯვა. მადლობელი ვარ ჩემი

გამჩენის, სიყვარული რომ შემაჩეჩა ხელში ყავარჯნად” (“მიყვარდეს ყველა”) (24, 771).

ეს არის პერიფრაზირება ქრისტეს სიტყვებისა სახარებიდან: „ხოლო თქვენ გიყვარდეთ თქვენი მტრები, სიკეთე უყავით და ასესხეთ და ნუღარაფერს მოელით და დიდი იქნება თქვენი საზღაური: იქნებით უზენაესის ძენი, ვინაიდან იგი კეთილია უმადურთა და ბოროტთა მიმართაც” (ლუკა, 6, 38) (1, 124).

სიყვარულის კლდეს, სიყვარულის მტევანს, სიყვარულის კვირიონებს, სიყვარულის ზარებს, სიყვარულის კიბეს, სიყვარულის ხიდს, სიყვარულის ძაფს, სიყვარულის სასთუმალს, სიყვარულის ოქროს, სიყვარულის ქვას, სიყვარულის სადავეს, სიყვარულის ყავარჯენს, სიყვარულის აპეურებს ემატება სიყვარულის გალობა.

სიყვარულის ცით ავსებული ოცნებებით იქმნება გრიგალივით დაუმარცხებელი სიმღერები, რომელთა ადგილი ლოცვის საკურთხეველთან არის: “სიყვარულის ცით ავსებული ჩემი ოცნება, რომელიც დაჰქრის სიმღერებად და დაგრიგალობს, მოვა შენ წმინდა, ლოცვით დაღლილ საკურთხეველთან და სიკვდილამდე შენთვის იგალობს” (“ჩემი ოცნება”) (23, 613).

გალაკტიონის ლექსში “მარმარილო” “ცა სიყვარულის და სიცოცხლის ძვირფასი თასია” (17, 75).

სიყვარულის გორგალი, სიყვარულის ტაძარი, სიყვარულის მეფობა, მოკლული სიყვარული, სიყვარულის ოქროს პალო, სიყვარულის სხივი, სიყვარულის ხე, სიყვარულის ვარდები, ტრფობის უღელი, ტრფობის მუგუზალი, გადავიწყების აკვანში მწოლი ძველი სიყვარული, პირველი სიყვარული, სიყვარულის ცისფერი ხელები, სიყვარულით მკვდარი დღეები, მამულის ტრფობის კავკასიონი, სიყვარული მშობელი მიწის, ამურის სიყვარული, დედამიწის სიყვარული, გარდასული სიყვარულის ქორონიკონები, ლაჟვარდ სიმაღლის სიყვარული, სიყვარუ-

ლის თავსასთუმალი, სიყვარულით გარდაცვლილი წუთები, სიყვარულის ცრემლი, სიყვარულის დროშა, სიყვარულის ნაღმი, სიყვარულით სიკვდილმისჯილი, სიყვარულის ლურჯი სანთურიი, სიყვარულის ვარდები, სიყვარულის ზღაპარი, სიყვარულის ნიავი, სიყვარულის ოქროს ქამარი, სიყვარულის სატევარი, სიყვარულის იმპერია, სიყვარულის გორგალი, სიყვარულის ფრთა, სიყვარულის ძეგლი, სიყვარულის უღელი, სიყვარულის მახვილი, სიყვარულის ცა, სიყვარულით თრობა, პირველი სიყვარულის მაღალი კოცონი, სიყვარულით ამაღლება, სიყვარულით ანთება, სიყვარულის ხარაჯა, აი, რამდენად სხვადასხვაგვარ სიტყვათშეთანხმებას ამშვენებს სიყვარული ვაჟა ეგრისელის პოეზიაში.

სიყვარულის ცასთან სიახლოვე ასე გამოხატა: "და სიყვარულის მაღალი ციდან შენი დუმილი ჩემთან ჩამოდის მნათობების ფერმკრთალ ყიჟინად" ("შენი დუმილი") (23, 205).

მამაღმერთს ასე მიმართავს: "მე შენს მიუვალ ციხე-ციტადელს მაინც მივადგი სიყვარულის მაღალი კიბე" (23, 754).

სიყვარული ღმერთია, კიბე კი მარიამის სიმბოლური სახელია ბიბლიაში, სასულიერო პოეზიაში, დავით გურამიშვილის "დავითიანში" (21, 124).

ასე რომ, ვაჟა ეგრისელის ლექსში ერთდროულად ფიგურირებს მამაღმერთი, ძე, მარიამი.

პოეტის შემოქმედებაში უზენაესის პრიმატი ასეა გამოხატული: "და სიყვარული – მგალობელი პატარა ჩიტი ჩემი სიმღერის მაღალ ტოტზე იშენებს ბუდეს" (23, 117).

ერთგან "სიყვარულის ქუჩა" იქცევს ყურადღებას: "მე სიცოცხლეს მივღიღინებ სიყვარულის ფართო ქუჩას" ("მკერდგახსნილ ცას")(...750,).

სიცოცხლე საღვთო სახელია: "უთხრა იესომ: "მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე" (იოანე, 14, 6) (1, 211).

საღვთო სიყვარულს სიმბოლურად გამოხატავს ფრაზა: “წვიმა... სიყვარული ცისა და მიწის” (“ჩამოდის წვიმა”) (23, 866).

წვიმა ღმერთის პარადიგმაა (22, 122).

ერთგან სიყვარული “წუხილის რაშზე ამხედრებული” ეცხადება: “...ვიცი, მოდიხარ, სიყვარულო, მოარღვევ სივრცეს, წუხილის რაშზე ამხედრებული” (“სიყვარულო”) (23, 507).

ლექსში “ო, ღმერთო ჩემო” – “სიყვარულის ლავა” წვავს სულს: “ო, ღმერთო ჩემო! სიყვარულის ისევ მწვავს ლავა, სულს ისევ მიხნავ, ფიქრის გუთანო” (23, 526).

სიყვარულია ვაჟა ეგრისელის პოეზიის ანი და ჰოე: “დასაბამიდან დასასრულამდე მსურს სიყვარულის ნერგებს რომ ვრგავდე და სიხარულმა მიძმოს და მიყმოს” (“სიყვარულმა მიძმოს და მიყმოს) (23, 397).

სიხარული საღმრთო სახელია. ქრისტე არის “სიხარული ყოვლისა ერისა” (ლუკა, 2, 10) (1, 113).

ლექსში გაიგივებულია სიყვარული და სიხარული, რადგან ორივე ღმერთზე მიანიშნებს.

სიყვარულის გარეშე არ არსებობს ამაღლება, ამიტომაც აღავლენს უზენაესისადმი ლოცვას: „სიყვარულით ამაღლებას, ვევედრები ქვეყნის გამჩენს” (“სიყვარულით ამაღლებას”) (24, 588).

სიყვარულით მარცხდება ყოველგვარი გასაჭირი, მაგრამ იგი იშვიათი და უცხო სტუმარია, მხოლოდ რჩეულთ, წმინდათ ეცხადება: “იშვიათი და უცხო სტუმარი შენ სიყვარული შემოგეკედლა, უსიხარულო დღეებს მიტომ ადებ ყადაღას” (“იშვიათი და უცხო სტუმარი”) (24, 592).

თავისი სიყვარულის განსაკუთრებულობის შემცნობი პოეტი ამბობს: “...მე და ჩემს სიყვარულს – ქვეყნად ერთად შობილს, კვლავ არა გვყავს ცალი” (“შენ და შენი გრძნობა”) (23, 801).

ვაჟა ეგრისელს აინტერესებს წარუვალი სიყვარული, მისი შეცნობა კი მხოლოდ ცაში ბინადართა, „ცისკენ ჩანგისმტყორცნელთა“ ხვედრია: „ანგელოზების მესმის გალობა, მე ვარსკვლავებში დავიდე ბინა, იქიდან ვუჭვრეტ სიყვარულის წარუვალობას” (“ანგელოზების მესმის გალობა”) (23, 652).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორის ღვთიური ძალმოსილებით შექმნილ პოეზიას მართლაც შეიძლება ეწოდოს “სიყვარულის იმპერია” (19, 527), სადაც ღვთაებრივი ჰარმონია, წესრიგი და სამართლიანობაა გამეფებული.

სამშობლო ღმერთივით უპირველესია და მასთან შედარებით უფასურდება ყოველგვარი სიმდიდრე, ჭეშმარიტი პატრიოტი ქვეყნის ინტერესებში იფერფლება და პირადულს ივიწყებს: „მხოლოდ სამშობლო, სხვა არაფერი, არც ოქრო-ვერცხლი და არც ლალები. ო, სულ უბრალო საფლავებში წვანან ნაღდები, მე ერთი ვიცი დანამდვილებით, ჩემი მამულის სიყვარულში რომ ჩავძაღლდები” („მე ერთი ვიცი დანამდვილებით”) (23, 112).

მამულის და ღვთის სიყვარული ერთგვარი ძალით ვლინდება ვაჟა ეგრისელის პოეზიაში, რადგან მისთვის „მამული ღმერთია“: „...მე კი, მამულო! სიყვარულის ცათამწვდენ კოშკში გყავარ და წამით არ მიშვებ გარეთ” („წარსულის ლანდი“) (23, 41).

მისი მშობლიური კოლხეთიც სიყვარულის, აღტაცების, მოკრძალების საუფლოა: „პონტოს ნაპირას – ლეგენდების მზიან ბუდეში ჩემი კოლხეთი ზის ისე, ვით უცხო ფრინველი და ჩეკს სიყვარულს... აღტაცებას და მოკრძალებას” (23, 49).

იობის მოთმინება და გაძლება ჭირდება სამშობლოს ჭირვარამის ტვირთის ზიდვას: „ისევ შენა ხარ ჩემი მსაჯული, რადგანაც შენი სიყვარულის ოქროს პალოზე – ვარ მიჯაჭვული. და იობივით კიდევ დიდხანს ავიტან ტანჯვას. ო, არა უშავს,

თუმც... მოთმინების ჯაჭვს ლოკავს ჟამი, ვითარცა ყურშა“ (23, 596).

სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარულის სამსხვერპლო ზვარაკს მოითხოვს: „მე ვარ ბატკანი შენდა ზვარაკად შენი სიყვარულის ხეზე მიბმული. როდესაც გიჭირს, მადევს მგლისფერი. სხვა არაფერი... შენით ვდიდგულობ, სამშობლო ჩემო! შენი მიწის და ფეხის მტვერი” (24, 362).

მაგრამ მამულის ტრფობის დამვიწყებელთ ბაზრის ყაყანისთვის მიუპყრიათ ყური. გახუნებულა ქვეყნის სიყვარული, თვით მამულის ცნებასაც დაუკარგავს აზრი და წუხილით გვამცნობს პოეტი: „ადრე სხვა იყო... დღეს არვინ ისმენს მამულის ცისქვეშ წუხარ თუ მღერი. შთანთქა ყოველი ყაყანმა ბაზრის და გაუხუნდა სიყვარულს ფერი. სიტყვა – სამშობლომ დაკარგა აზრი“ (24, 974).

სამშობლოს მარადიული ერთგულებით აღვსილი „კოლხური ფსალმუნების“ ავტორი ზეციურ ძალებს ევედრება, დაიფაროს მისი მამული: „მამულო ჩემო! მუდამ გფარავდეს ჯვარი ლაშარის, ხატი – ხახულის და გორგასალის ფარ-მუზარადი. მე სიყვარული შენახული მაქვს... და მექნება შენთვის მარადის” (“მამულო ჩემო”) (24, 94).

ასეთი გულმხურვალე ლოცვა ისმის მამულის მისამართით ლექსში “სიყვარულით გართულს”: „ენგურ-არაგვივით, სიყვარულით გართულს, ზღვიდან ზღვამდე ევლოს კოლხეთსა და ქართუს, ლოგოსსა და მელოსს“.

რეზიუმედ შეიძლება აღვიქვათ განაცხადი: „მე ვუფრთხილდები სინდისს და ნამუსს, ვით ქამარ-ხანჯალს – დანატოვარს მამა-პაპათა. ჩემი სამშობლოს სიყვარულის მიდვია ნაღმი ბალიშის ნაცვლად თავსასთუმალთან” („ასეა ხვედრი”) (23, 402).

შურით, მტრობით, სიძულვილით გაბზარულ ჩვენს გულებზე, საამაყო ძეგლებზე, ციხე-კოშკების ბზარზე ჰგოდებს პოეტი

და სიყვარულის, გამოფხიზლების ზარებს რეკავს: „შურმა და მტრობამ და სიძულვილმა ჭირი შეჰყარა ხახულს და ზარზმას, გულებს და მაღალ ციხე-კოშკებს გაუჩნდათ ბზარი. კმარა, სამშობლოს იქუხოს აზრმა და სიყვარულის შემოვკრათ ზარი“ (23, 879).

ეს ურწმუნოებით დადაღული ეპოქის მსჯავრია.

სამშობლოს სიყვარულის გარეშე არ არსებობს მომავალი, პოეტური უკვდავება: „ვერ წააქცევენ ჩემს ხვალის დღეს და პოეზიას, რადგან სამშობლოს სიყვარული უდევს საძირკვლად” („ფესვები“) (21, 21).

მართლისმთქმელი მორწმუნე მამულიშვილი ვერ ურიგდება ქართველების უძველეს სენს – ძმათა სიძულვილს და გულისტკივილით ამხელს ამ საყოველთაო უბედურებას: „...სიძულვილის ღვინო, ძმათა ზიარ ქვევრებიდან – ვერ იქნა, ვერ ამოხაპა, ვერც ვახტანგმა, ვერც დავითმა, თამარმა და მისმა პაპამ” („ქართველების სიყვარული”) (19, 296).

იდუმალი, წმინდა, სიყვარულის ემბაზში განბანილი პოეტის სახელი კი ცაში იწერება, მარადიულად ანთებული ვარსკვლავია, რომლის სინათლე გვიან, მაგრამ მაინც მოაღწევს მიწამდე, ასე სჯერა „კოლხური ფსალმუნების“ ავტორს: „იდუმალების სხივით მოსილი და სიყვარულით გადანასკვავი, შენი სახელი შვიდ მნათობთა გვერდით სწერია, რადგან ის გვიან ანთებული არის ვარსკვლავი, რომლის სინათლეს მიწად ჯერ ვერ მოუღწევია“ („იდუმალების სხივით მოსილი”) (19, 762).

გალაკტიონი აცხადებდა: „ზეცაზე სწერია ჩემი გზა“ („ეფემერა“) (26, 116).

ვაჟა ეგრისელის ლექსის ექვსი მნათობი თვით გალაკტიონის მიერ შეგულებული ქართული პოეზიის მარადიული ვარსკვლავებია: შოთა, დ. გურამიშვილი, ნ. ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი. ამ სახელების გვერდით დანამდვი-

ლებით დაიმკვიდრა ადგილი კოლხეთიდან მოვლენილმა „ქრისტეს მხედარმა“.

მის მიერ დათესილი სიყვარული სივრცეებში განიფინება ჰაერივით. ჟამი კოლხი ორფეოსის გიგანტურ ტომებს მარადიულად იახლებს პოეტის სიცოცხლეში თუ სიკვდილის შემდეგ: „გადაშლის ჟამი სიკვდილ-სიცოცხლის სქელ ყდაში ჩასმულ ვეება წიგნს ჩვენი სიცოცხლის და ასო „ე-ზე ჩაკეცს ალფავიტს. თავს წაუქცევენ ღვინის ჭიქები, მერე ჩიტები დასხდებიან ლოდზე საფლავის და ყოველ დილით ჩემს სიყვარულს იჭიკ-ჭიკებენ“ („ჩემს სიყვარულს იჭიკჭიკებენ“) (19, 26).

დიდი მასშტაბებისთვის არის გამიზნული მის მიერ შემოკრული სიყვარულის ზარი: „...კვლავ სიყვარულის ზარებს ვარისხებ: მტკვრით და რიონით, მისისიპით, განგით, მისურით“ (“შიგ კაკალ გულში მხვდება ისარი”) (19, 188).

ქართველ პოეტთაგან ძალიან ცოტა ვინმეს შეუქმნია იმდენი და ისეთი ამაღლებული პატრიოტული საგალობლები, როგორც ვაჟა ეგრისელს.

ერთ შემთხვევაში იგი წარსულიდან ცოტნე დადიანს გამოიხმობს, როგორც სამშობლოსთვის ზნეობრივი თავგანწირვის იდეალს: „...მეც კოლხი ვარ და ...მეც ცოტნესავით ჩემი სამშობლოს სიყვარულში ვარ ჩაკირული“ (სამშობლოსთვის თავდადებულთა) (...737, I).

ცოტნეს სახე სხვაგან ახალი ფერებით არის აელვარებული: „მეც ცოტნესავით, სანამ ცოცხალ ვარ, მამულო ჩემო, შენს სიყვარულს მივეფიცები“ (შენით ვიწვები) (...34, იქ)

ხან წარსულის რელიქვიას იხსენებს სამი ათას ხუთასწლოვანი ოქროს თასის სახით და ჯერ არსმენილი ჰანგით უმღერის სამშობლოს სიყვარულს: „მზის და ოჯალეშისფერი ჩემი ცის და ჩემი მიწის სიყვარული ისევ მასვით – სამიათას ხუთასი წლის თრიალეთის ოქროს თასით“ (ოქროს თასი) (23, 195).

მამულის სიყვარულის უმაღლესობა და უზენაესობა დახასიათებულია „ტრფობის კავკასიონის“ განუმეორებელი სახით: „ჰე, მამულო, შენი ტრფობის კავკასიონს – ვიყო ასე მიჯაჭვული“ (ჰე, მამულო) (23, 347).

სხვაგან ნადირობის ქალღმერთის დალის ნაშიერია მისი პოეზიის ლირიკული პერსონაჟი, სულკალმახის გაზრდილი და ცამცუმის ციხე-კოშკია მისი სამშობლო: “ლეგენდებში მშობა დალიმ, ზღაპრად მზრდიდა სულკალმახი და სამშობლო მქონდა მუდამ ციხე-კოშკად ცამცუმისი და რაც ღმერთმა მიკარნახა, ოქროა თუ უზალთუნი, არა რაა ჩემო სხვისი, სულ ჩემია, სულ ქართული“.

არც სიკვდილის შემდეგ დატოვებს პოეტის სული თბილისს: “ადრე თუ გვიან... მკვდრეთით აღვდგები და სიყვარულით ჩემი თბილისის ხმაურიან ქუჩებს დავივლი, სიმყუდროვიდან გამოპარული” (ადრე თუ გვიან) (...70).

პოეტის მამულიშვილური სიყვარულის ისტორია მართლაც უნიკალურია და ცად და მიწად ვრცელდება: „რომ გაიგოს ცამ და მიწამ, საქართველოვ! – ჩემო დედავ! ჩვენი სიყვარულის ამბავს: არწივს ფრთაზე გამოვაბამ, ცხენს – ნალისქვეშ ჩავუჭედავ“ (რომ გაიგოს ცამ და მიწამ) (...981, I).

„ჩემი სამშობლოს სიყვარულის დამადგით ძეგლი!“ (დიდი პაემანი) (...85, იქ) – ივედრება „კოლხური ფსალმუნების” ავტორი.

ამ დიდი, მასულდგმულებელი სიყვარულის დედად, თვით ამურად წარმოიდგინება მამული ლექსში „მამულო“: „ნათლით მოსილი, ბროლის ფრთოსანი, მშვილდმოზიდული შენ ხარ ამური, გვტყორცნი სიყვარულს და ვარსკვლავებს ოქროს გირჩებად და... შენი ტრფობა – შიგ გულში მჭრის, ჩემო მამულო, არ ვიცი, როგორ გადაგირჩები“ (მამულო) 925, 224).

სხვაგან ასე გამოიხატება სამშობლოს სიყვარულის მარადიული გრძნობა:

„მე კი, მამულო! სიყვარულის ცათამწვდენ კოშკში გყავარ და... წამით არ მიშვებ გარეთ“ (წარსულის ლანდი) (25, 41).

საქართველოს სიყვარულის უღელში შებმული ესახება შვილები (ჩემს ყევარ ბიჭებს) (31, 124).

„სიყვარულით მსურს ავანთო, რაც ჩამქრალი კერებია“ (25, 395), ასეა გამოხატული ქვეყნის აღორძინების იდეა.

ჭეშმარიტებაა დასკვნა: „...ვერ წააქცევენ ჩემს ხვალის დღეს და პოეზიას, რადგან სამშობლოს სიყვარული უდევს საძირკვლად” (ფესვები) (23, 21).

სამშობლოსთან მიჯაჭვულობა უფრო სხვაგვარად ჟღერს ლექსში “იდუმალების შორეული რეკენ ზარები”: “მე ვარსკვლავთა ოქროს ჯაჭვებით საქართველოს ცას ვარ მიჯაჭვული” (207, იქ)

ხან მამულის „სიყვარულის ქვაზე“ ლესავს სულს, რომ ბოლოს სამშობლოს ზეცის ბინადარი გახდეს: „ჩემი მამულის“ სიყვარულის ქვაზე რომ ვლესე სული, ო, იმ სულს გავაყოლებ როდესაც მერცხალს და თუ ვიხილავ ლაჟვარდოვან სამშობლოს ზეცას, მშვიდი ძილისთვის მეყოფა ესეც“ (მეყოფა ესეც) (25, 448, იქ)

ლექსში „სამშობლოვ ჩემო“ „რწმენის და სიყვარულის მაღალი დროშით“ დგას მამულის გვერდით (23, 304).

სამშობლოს “სიყვარულის ნაღმია“ ლექსში „ასეა ხვედრი“: „ჩემი სამშობლოს სიყვარულის მიდვია ნაღმი ბალიშის ნაცვლად თავსასთუმალთან“ (25, 402).

ვაჟა ეგრისელის პოეტური იმპერიის მბრძანებელია სიყვარული. აქ “სიყვარული მშობელ მიწის ახატიათ გულზე ფოთლებს: “მზეც და მთვარეც ერთმანეთის ტრფობით იწვის” (სიყვარული) (8, 473).

მისი პოეზიის ლირიკული გმირი გაიგივებულია დედამიწასთან და იწვის მზის სიყვარულით: “დღისა და ღამის ყავარ-

ჯნიანი დედამიწა ვარ მე და მივსდევ მნათობს. ჩემი სიყვარულის – მზე, ასე რომ გათბობთ“ (დედამიწა ვარ მე) (23, 458).

ეს სიყვარული უსასრულო და დაუტევარია: „ხუთი მილიარდი – გული გიცემს მკერდში – სამყაროვ! – მე და შენ გვიყვარს ერთმანეთი“... (სამყარო) (591).

სიყვარული რგებია წილად პატარა ბეღურას: “ჩემი სიყვარულია პატარა ბეღურა” (გთხოვ) (25, 802).

„სიყვარულის იმპერიას“ სძინავს ვაჟა ეგრისელის სამყაროში, „სიყვარულის ნიავი“ უბერავს (წარსულ დღეთა) (25, 634).

ამ სიყვარულის ძიებაა ჭეშმარიტი პოეზია: „...მიწით ნაშობი, ცათა მიერი, სად არის იგი სიყვარული პირველყოფილი?“ (სად არის იგი) (23, 240).

„სიყვარულის წმინდა ტაძარში” ამურს და სხვა ღმერთებს ესაუბრება (სიყვარულის წმინდა ტაძარში).

სიყვარულს, სიკეთესა და მადლს შორის გამუდმებული დავაა: “ისევ ციმციმებს ლურჯი სანთური – სიკეთის, მადლის და სიყვარულის და სიძულვილის, ისევ გრძელდება საწუთრის და ბედის ტრიალი” (23, 61).

მაგრამ ისევ და ისევ ხდება სიყვარულის ხის აყვავება: “იყუჩე გულო... სიყვარულის ხეს ისევ ნახავ თეთრად შემოსილს. ისრებს კაპარჭში აწყობს ეროსი... და სიცილი ისმის ამურის” (დარდს და სიხარულს ცა აქვთ საერთო) (20, 261,).

გამუდმებით სიყვარულის ორბიტაზე უნდა ტრიალებდეს სული სიკვდილამდე: „გაწყვეტაზე მილეულ ძაფის – ჩემი სიცოცხლის, კვლავ სიყვარულის გორგალზე ვართავ” (კვლავ სიყვარულის გორგალზე ვართავ) (23, 392).

მამულის სიყვარული ერთი დიდი და, ჯერჯერობით, ბოლომდე შეუსწავლელი თემაა ვაჟა ეგრისელის პოეზიაში. იგი ამ ასპექტშიც სავსებით ორიგინალური რჩება.

მივმართოთ რამდენიმე მაგალითს: „ნათლით მოსილი, ბროლის ფრთოსანი, მშვილდმოზიდული შენ ხარ ამური, გვტყორცნი სიყვარულს და ვარსკვლავებს ოქროს გირჩებად... და შენი ტრფობა – შიგ გულში მჭირს, ჩემო მამულო! არ ვიცი, როგორ გადაგირჩები“ (მამულო) (26, 224).

პოეტს ძალიან უყვარს ციური ქვა, სიბრძნის ქვა, სიყვარულის ქვა (ღმერთის სიმბოლოა): „ჩემი მამულის სიყვარულის ქვაზე რომ ვლესე, სული, ო, იმ სულს გავაყოლებ როდესაც მერცხალს და თუ ვიხილავ ლაჟვარდოვან სამშობლოს ზეცას, მშვიდი ძილისთვის მეყოფა ესეც” (ჩემი მამულის სიყვარულის ქვაზე რომ ვლესე) (26, 448).

ხალხისაგან აკრეფილი „სიყვარულის ხარაჯა“ გვიზიდავს ლექსში „ფიქრი“ (20, 57).

„მუდმივ სასჯელში“ მამულის სიყვარული ასეა გამოხატული: “მამულო ჩემო! მსაჯულებმა – ჩემმა დღეებმა, ძველმა დღეებმა, თანაც ახლებმა, დახვრეტა და არც გადასახლება, შენი მუდმივი სიყვარული – მე მომისაჯეს“ (26, 839).

სამშობლოს სიყვარულის უღელი და ტკივილი განცდილია ბედნიერებად: „ეჰ, საქართველოვ, შენი ტრფობის უღელში შებმულს, დე, მარად მტკიოდეს ქედი ნაუღლარი” (25, 709).

უსასრულოდ შეიძლება ასეთი მაგალითების დამოწმება: „ჩემი თბილისი მთებს სიყვარულის დიდ ალყაში ჰყავთ მომწყვდეული” (მთები) (25, 627).

სიცოცხლის სიყვარულის ყოვლისშემძლეობა ასეა გამოხატული: “სიყვარულით მსურს ავანთო, რაც ჩამქრალი კერებია” (25, 395).

სამყაროს ყოვლისმომცველი სიყვარულია ლექსში “სამყარო” (25, 591): „ხუთი მილიარდი – გული გიცემს მკერდში – სამყაროვ – მე და შენ გვიყვარს ერთმანეთი”.

პოეტი „მიჯაჭვულია” მსაჯულის (ღმერთის) სიყვარულის ოქროს პალოზე: “ისევ შენა ხარ ჩემი მსაჯული, რადგანაც შენი

სიყვარულის ოქროს პალოზე ვარ მიჯაჭვული“ (ისევ შენა ხარ ჩემი მსაჯული) (25, 596).

„სიყვარულის და სითბოს მთესავი” პერსონაჟი ლექსისა „ვარსკვლავებთან და მთვარესთან ახლო... სულ მარტოდმარტო პატარა კუნძულზე” სახლობს” (სიყვარულის და სითბოს მთესავი) (25, 840).

„სიყვარულით ამაღლებაა” ცხოვრების მიზანი (23, 588).

ასეთი პოეზია სივრცეებში მარადიულად ივლის ფიქრად და სიყვარულად: “გაზრდილს კოლხური მზით და ლეგენდით, ვერას დამაკლებს დღეთა მარულა, რადგან პოეზია – მეტი არი. შენ ივლი ფიქრად და სიყვარულად, არ მოგწყინდება სივრცეებს შორის ხეტიალი” (გაზრდილს კოლხური მზით და ლეგენდით) (23, 304).

პოეტი თავის საღვთო სიყვარულს ბედნიერებად სახავს, რადგან ამ წრფელი გრძნობის პასუხს მისგან ბოძებულ მადლში ხედავს ყოველ საქმეში: “ვუყვარდი და... მიტომ ღმერთი თავის სიყვარულში მცდიდა, რადგან, ვითარც ვახტანგ მეფე, სულ ვისმენდი ვარსკვლავების რეკვას – საქართველოს ციდან” (ვუყვარდი და) (20, 358).

ზოგჯერ სიყვარულით სავსე პინი სიძულვილით ივსება (20, 613), “ზვირთთა ყორნები სიყვარულით სავსე გულს ძიძგნიან” (20, 723), მაგრამ პოეტი არ ღალატობს ღვთიურ მცნებას და მისი ლექსების სიყვარულის ხმები საუკუნეებს მისწვდება: „ვით კრიმანჭულად გურული, სიცოცხლესა და სიყვარულს, ათასწლეულებს – გასძახებს, მთვარით გადახურული, შენი სიტყვის სასახლე” (20, 502).

სიყვარული მისთვის მახვილია: „კივის სიშორე: – სიყვარულის “შეიბ მახვილი!” (ფიქრები) (26, 202).

პოეტისთვის მარადისობა „შუბია”, მზე და სიყვარული – “იარაღი”, სიყვარული – „მახვილი”.

პავლე მოციქული საუბრობს „ღვთის საჭურველზე, სიმართლის ჯავშანზე, რწმენის ფარზე, ხსნის ჩაჩქანზე და სულის მახვილზე (წერილი ეფესელთა მიმართ, თ. 6, 11, 14, 16, 17) და განმარტავს: “ჩვენი საბრძოლო იარაღი ხორციელი კი არ არის, არამედ არის ღვთიური ძლიერება სიმაგრეთა დასანგრევად” (II კორინთელთა, თ. 10, 4).

ვაჟა ეგრისელის შუბი, ფარი და მახვილი ქრისტიანული ღმერთის სიყვარულია, რამაც განაპირობა მისი ასეთი გასაოცარი გამარჯვება.

უნდა ითქვას, რომ სიყვარული ასეთ მრავალგვარ და სულიერ ჭრილში არცერთ ქართველ პოეტს არ მოუაზრებია და არც ასეთი შეუდარებელი მეტაფორები შეუქმნია ამ საღვთო მნიშვნელობის სახელის გამოყენებით...

სამართლიან განაცხადია: „მე და ჩემს სიყვარულს... კვლავ არა გვყავს ცალი” (“შენ და შენი გრძნობა”) (23, 801).

პოეტმა სიყვარულის მრავალსახეობას უმღერა და თან უპირველესი ადგილი მიაკუთვნა საღვთო სიყვარულს.

მისი სამყარო მართლაც “სიყვარულის იმპერიაა”, უზენაესისგან ხელდასხმული, ღვთის მიერ შექმნილი სიყვარულით მადლცხებული მრავალფეროვანი იმპერია მიწით, ზეცით, მნათობებით, პლანეტებით, ხილულით თუ უხილავით, სულიერით თუ მიღმურით.

დამოწმებანი

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.
2. ნეტარი ავგუსტინე, “აღსარება”, თარგმანი ვ. ბურკაძის, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1985.
3. გიორგი გურჯიევი, ჭეშმარიტების სამყაროში, თარგმანი ლაშა დადიანის, თბ., 1991.
4. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი II, თბ., 1991.

5. დანტე, “ღვთაებრივი კომედია”, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ., 2012.
6. იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, ივ. ლოლაშვილის რედაქციით, თბ., 1968.
7. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი I, თბ., 1991.
8. პლატონი, “ნადიმი”, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის, თბ., 1964.
9. გოეთე, რჩეული ლირიკა, გერმანულიდან თარგმანი, შესავალი წერილი და კომენტარები აკაკი გელოვანისა, თბ., 1972.
10. ზვიად გამსახურდია, “ვეფხისტყაოსნის” სახისმეტყველება, თბ., 1991.
11. აღმოსავლური პოეზია, თამაზ ჩხენკელის თარგმანი, თბ., 1981.
12. ბოდლერი, “ჩემო გიშერო”, თარგმანი დ. აკრიანის, თბ., 1991.
13. ლუარა სორდია, აკაკი წერეთლის “სულიკო”, სკოლა და ცხოვრება, 1991, #4.
14. ვაჟა ფშაველა, თხზ. 10 ტომად, ტ. I, თბ., 1961.
15. მარადი დღე, თბ., 1984.
16. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ., 1991.
17. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977.
18. ლუარა სორდია, საღმრთო სიყვარულის იდეა გ. ტაბიძის პოეზიაში – წიგნში – გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკა, თბ., 1996.
19. ლუარა სორდია, ანა კალანდაძის პოეზია (ბიბლიურ-ქრისტიანული ასპექტები), თბ., 2005.
20. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 2006.

21. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ილია აბ-
ულაძის რედაქციით, I, თბ., 1991.
22. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.
23. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. I, 2001.
24. ტიციან ტაბიძე, ლექსები, პოემები, პროზა, წერილები, თბ.,
1985.
25. ვაჟა ეგრისელი, იქმენ ნათელი, თბ., 1993.
26. ვაჟა ეგრისელი, კოლხური ფსალმუნები, ტ. 3, 2007.
27. აკაკი გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983.
28. კრებული “პოეზია”, თბ., 1981.

თავი V
სახისმეტყველების საკითხები

ზღვისა და ოკეანის პარადიგმა

ბიბლიაში ზღვა ცოდვილი ცხოვრების სიმბოლოა: „ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრიან ლაფს და ლექს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 57, 20) (1, 116).

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში საუბარია იმაზე, როგორ აღდგა ცოდვების ზღვა ბაბილონზე და როგორ შთანთქა იგი: „და ერთმა ანგელოზმა ძლიერმა აიღო ქვა, დიდი დოლაბის მსგავსი და ზღვაში ჩააგდო და თქვა: ასე სწრაფად ჩაინთქმება ბაბილონი, დიდი ქალაქი და არ იქნება“ (გამოცხადება იოანე ღმრთისმეტყველისა, 18, 21) (2, 996).

სახარებაში „მცირედმორწმუნე“ პეტრე ვერ გადალახავს ზღვას, ხოლო ქრისტე თამამად გაივლის მასზე (იოანეს სახარება, 6, 15-31) (3, 189).

გალაკტიონ ტაბიძე ზღვის გადალახვას გაიაზრებს, როგორც ცოდვებზე ამაღლებას: „გადავიარეთ მრისხანე ზღვები“...

ამასთან, პოეტების მეფის სულში ფიქრის ზღვა და „ფიქრთა ოკეანე“ ბობოქრობს“ (გურიის მთები) (4, 57).

ვაჟა ეგრისელის „კოლხურ ფსალმუნებში“ ახლებურად გრძელდება წინამორბედთა და თანამედროვეთა ტრადიციები.

პოეტი ზღვის ღმერთს პოსეიდონს შემთხვევით არ ახსენებს: „გიხმობს პოსეიდონი ჰელიოსის ნათესავს, ზღვის და ქარის ნაშიერს“ (5, 101).

სხვაგან ზღვად პოეტის მამული მოიხსენება: „ზღვაო, შენ ჩემო მამულო... ჩემო მკვლელო და ხსნავ!“ (645).

ლექსში „გაგრის დაცემა“ მტერი მოაზრებულია როგორც გველეშაპი, დევი, რაც ზღვის განრისხებას იწვევს: „გველეშაპი ცეცხლს აფრქვევდა, ამირანმა შეძლო შებმა, მაგრამ როცა გადაყლაპა დევმა გაგრა, ერთმანეთს კვლავ გადახედეს ქართლის მთებმა და ზღვაც ისევ აიჯაგრა“ (6, 991).

ლექსში „მიწის დილეგში“ „ზღვა ქარიშხლის ყრუ ბუნაგში თვლემს“ (6, 887).

„უხმო ძახილში“ საუბარია „ფიქრთა ზღვაზე“ (6, 744).

სხვაგან „ოკეანე გველეშაპია, მზად მყოფი მიწის ჩასაყლაპავად“ („ვით მომლოცველი“) (6, 746).

ერთგან „ზღვა – ცალთვალა ციკლოპია“ (6, 892).

„ზღვა უმაძღარ ბაყბაყდევს“ ედრება (6, 409).

პოეტის მღელვარე „სულს ზღვასთან მისვლა სულ ეჩქარება“ (6, 405).

„ზღვაში დაღუპულ სულებთან კავშირს ვამყარებ მაინც მედიუმივით“, აცხადებს პოეტი (6, 38).

„ზღვა უმაძღარი ბაყბაყ დევია,... მაგრამ ამაყად მივუყვები მის ლურჯ დერეფანს. წამომიმართავს ქარიშხალი ღრუბლებს ძეგლებად და მე „შიშში ვგრძნობ, რომ ახლოა ბედნიერება“, ლექსის ბოლო ფრაზა გალაკტიონის ერთი ლექსიდან არის დამოწმებული (6, 409).

პოეტი მიარღვევს „ჟამთა ზღვას“, „ზურგის ქარს უგზავნის ღმერთქალი ჰეკატე“ (8, 656).

„ზღვის ამღვრეულ სიბობოქრეში“ არა „ქარიბდა და სცილა“, არამედ „ალბატროსები და ტალღები მიაცილებენ“ (ჩაესმის მიწის უხმო ძახილი (6, 671).

მდინარე და ზღვა პოეტის შედევრებს გულისხმობს შემდეგ სტრიქონებში: „როცა მდინარე ვიყავი, გულში ვნატრობდი ზღვად ქცევას, ზღვად ვიქეც – ახლა ვწკმუტუნებ, ვითარცა ძაღლი ნაცემი, რადგანაც შურის და მტრობის დღეები ჯვარზე მაკრავენ“ (6, 515).

ზღვაში სხვის გადარჩენის დროს დამხრჩვალი უნიჭიერესი გურამ რჩეულიშვილი წარმოჩნდება, როგორც ზღვის ღმერთის – პოსეიდონის ნაშვილები, ხოლო აფროდიტე მისი დაკარგვით დამწუხრებული (გურამ რჩეულიშვილი) (6, 578).

„ცოდვის ზღვის“ გადამლახველი უშიშარი ადამიანი უკვდავად მოიხსენება („უკვდავია უმცდარად“) (6, 355).

ზღვის მკვიდრი ზღვას „მამულს, მშობელს, ხსნას“ უწოდებს (ზღვაო, შენ ჩემო მამულო) (6, 45).

„მცხეთასთან – მტკვრის სარკეში“ სერაფიტას ჭვრეტს (სერაფიტა) (1, 740).

„საწუთროს გზაზე მავალი“ პოეტი „ზღვის წიაღმავალია (მაძიებელს მდინარეთა სათავის) (6, 780).

„ზღვა ქარიშხლის ბუნაგში“ წევს (მიწის დილეგში) (6, 887).

პოეტი გვევლინება, როგორც „ბიბლიის ზღვაში მცურავი“, ანუ ბიბლიის სიბრძნეს დაწაფებული (6, 84).

„ზღვის ფსკერზე“ იხილვება „ბევრი საიდუმლო“ (რისხვა ნაპირს რომ ეხეთქება) (6, 268).

„გიხმობს პოსეიდონი, ჰელიოსის ნათესავს, ზღვის და ქარის ნაშიერს“, ნათქვამია ერთგან (6, 101).

სხვაგან „ზღვა ბობოქრობს მგოსანთა“ (6, 948).

ლექსში „კოლხეთს ვეძებ“ ხაზგასმულია პოეტის მიზანი: „... ღამით ლაზურ აფრებს გავშლი და ბობოქარ ჟამთა ზღვაში – ვუხმობ გატაცებულ ვერძებს“ (7, 923).

„ზვირთა ურჩხულებია“ ლექსში „არ ჩანს არავინ“ (7, 79).

ზღვა არფაა ეოლოსის, ქარი უკრავს გადაჭიმულს ზღვირთთა სიმებს“, ნათქვამია ლექსში „ზღვა არფაა ეოლოსის“ (8, 78).

პოეტს დაჰბედებია ფრენა, მთების გადალახვა, ზღვაზე „აფრების გაშლა“: „დღისა და ღამის ფრთებით ვიფრინე, დავლახე მთები და გავშალე ზღვაზე აფრები... მზემ სივრცეები გადამისარკა“ (ეს ყველაფერი) (9, 683).

აფრა სულიწმინდის სიმბოლოა.

„დაბარბაცებენ მთვრალებივით გრიგალში ზღვები“, ნათქვამია ლექსში „ქარები სადღაც მიიჩქარიან“ (9, 836).

„მომწყვდეული წიგნში ზღვა ხვნეშის“, წერს ლექსში „ბალახს ფოთლები“ (9, 51).

პოეტის ზღვასავით უკიდეგანო სული მუდამ შფოთავს (ტალღებს გრიგალში უნდათ გაფრენა) (9, 223).

„ზღვის ძახილი და ტალღის ოხვრა მომესმის მუდამ დაღუპული მამულის ექოდ“, ნათქვამია ლექსში „დოსკურია“ (171) სხვაგან „ზღვის გალობა“ ისმის (9, 180).

პოეტს ესმის „ფრიდონის ზღვათა სამეფოს ზანზარი“ (ასე რატომ ზანზარებს) (9, 139).

ლექსში „გათენდა“ „... ვითარცა ლომი, დასვლეთის ღია კარებთან შავი ზღვა წევს და... მიწას ურტყამს რიონს კუდივით“ (9, 588).

ერთგან „ზღვა მამალი ინდაურივით ნაპირთან მოდის და იფოფრება“ (თვალი მარადის მაღლა უჭირავს (10, 578).

ერთგან ზღვა აღიქმება, როგორც „თვალები მიწის“ (გათენება) (11, 715)

„ხსოვნის ზღვა“ იქცევს ყურადღებას ლექსში „ალუჩა შავი ზღვის პირას“ (10, 722).

სხვაგან „ზღვა – ტაძარია უზარმაზარი, სადაც გალობს ზვირთების ქორო“ (გამთენიისას) (10, 497).

„ზღვის ხმა“ ისმის ცის იქით (ზღვის გადღმა) (10, 180).

ლექსში – „ალუჩა შავი ზღვის პირას“ – საუბარია „ხსოვნის ზღვაზე“ (10, 722).

პოეტი არის „ზღვისებრ ურჩი“ (11, 1087).

„რა ქნას, მედეას ღალატი ზღვამ ვეღარ გამოიგლოვა“, ნათქვამია ლექსში „შავი ზღვა“ (11, 83).

„და მე ვეძებ პონტოს ზღვაში კოლხეთსა და საქართველოს დაუნჯებულს“, ასეთი განაცხადია ლექსში „ზღვის სარკეში“ (11, 1387).

„ზღვის გაღმა“ კირკესა და ოდისევსის ნაშიერები – ეტრუსკები და ლათინები ილანდებიან (შენ) (11, 1338).

„ცრემლის ზღვაა კოლხეთი და იბერია“ ნათქვამია ლექსში „წარსულიდან გადმოვარდნილს“ (11, 1340).

ზღვა და კოლხეთია პოეტის საესავი.

ლექსში „ღამის მიღმა“ ებრაელთა წინამძღოლის ბიბლიური მოსეს მიერ ზღვის გადავლას უტოლდება პოეტის მიერ ზღვის გადავლა, ანუ წინააღმდეგობების დაძლევა, ცოდვებზე ამაღლება (ღამის მიღმა) (11, 1018).

პოეტი თვალს აწვდენს „ჟამთა ოეკანეს“ (11, 687).

„ზღვაო არა, პოეზიის ოეკანევ!“ – ასეთი განაცხადი ვერ გააოცებს „კოლხური ფსალმუნების“ ორასტომეულზე მეტი წიგნების მკითხველს.

განაცხადი „ძმათა მტრობის ზღვა“ ობიექტური დანახვაა რეალობის (11, 232). ამასთან ზღვა არის „მზისა და სიბრძნის სავანე“ (ორიათასი წლის მერე (11, 236)

„კოლხური ფსალმუნები“ გვაოცებს როგორც ხედვითი, სმენითი, ისე ფილოსოფიური, ესთეტიკური, პოლიტიკური გადასახედიდან.

ზღვა და ზღვაური „სცილასა და ქარიბდას“ ასოციაციას იწვევს (დღე და ღამე) (8, 509).

პოეტს გადასალახი აქვს „ცხრა მთა, ცხრა ზღვა, ცხრა წყარო“ (12, 509).

ლექსში „გინესი“ – 97“ ნათქვამია: „ყოვლისმხილველ თვალს შენ რომ გიკოცნის, ცით მონაბერი მშობლიური მიწის ქარია და შენ გეკუთვნის ეს დღე მზიანი. მიტომ ტირიხარ... და გიხარია, რომ გადიქეცი ზღვა ოკეანედ“.

ზღვა პოეტის „ძმადნაფიცია“, უსაზღვროების და სიცოცხლის სიმბოლო: „... შენთან, როგორც ძმადშეფიცული, ზღვაო, მოვედი, შენზე ძლიერ ვის ვიპოვიდი. ვკოცნი შენს ტალღებს, ვით მშობლიურ მიწა–აყალოს, შენც მიწასავით გულში მიკრავ, შენსკენ მიზიდავ, უსაზღვროება და სიცოცხლე რომ შემაყვარო“ (8, 198).

„სამარადისო შფოთს და ღელვის მიჯაჭვული“ პოეტი ქმნის „გალობას მებადურთა და მონადირეთა“ (8, 527).

ზღვა – „პოეტის უნაზესი სატრფოა“ (11, 550).

ზღვის „ბედაურივით“ დამურვებელ პოეტს გამუდმებით ესმის „ქარიშხლის ტოტზე მიბმული ზღვის ცივი ჭიხვინი“ (9, 123).

სიტყვის ოსტატი დავანებულია „კოლხური სიტყვის მძვინვარ ოკეანეში“ (ფლორიდები) (10, 566).

პოეტს იზიდავს „მნათთა ოკეანე“, სულის მზრდელი გალობა (10, 829).

„ზღვა ჩემი გიჟი ორეულია, ცისკენ აღმართავს ფიქრთა ზვირთებს ოქროს ტინებად, ო, რა ძნელია ზღვის ძეობა და ასულობა, რადგანაც იგი ცას და მიწას ეპოტინება და მკლავს მე მისი სულწასულობა“, ნათქვამია ლექსში „ზღვა ჩემი გიჟი ორეულია“ (10, 147).

ლექსში „დიოსკურია“ ასეთი განაცხადია: „აქ ზღვის ძახილი და ტალღის ოხვრა მომესმის მუდამ დაღუპული მამულის ექოდ“ (10, 71).

პოეტი გამუდმებით „მღელვარ ზღვასთან“ დგას(10, 623).

ვაჟა ეგრისელს ხელეწიფება ისმინოს „მთათა გალობა, ზღვათა სევდა, მიწის გნიასი“ (ჰყივის სიცოცხლე) (10, 63).

პოეტი გვევლინება, როგორც ზღვასავით ამოუწურავი, „ზღვისებრ დიდგული და ქედმაღალი“: „ქარის აკვანში ზღვა ისევ წევს დედიშობილა და აი, ახლა დილაადრიან – ღამენათევი, ცისფერ ჩაღანით – მარტოდ რომ მიდის, ზღვის ბილიკ-

ზე ჩემი ლანდია, ზღვისფერ დიდგულა და ქედმაღალი“ (10, 604).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორის თვალსაწიერის მახასიათებელია ზღვა, ოკეანე: „ოკეანისკენ მიიქცევა გზა – შენეული, შვილი ვარ შენი. შენ გიგალობდი... მაინც ვალში ვარ, ...რაც გიგალობე, ზღვაო, ალბათ ზღვაში წვეთია“ (10, 606).

პოეტი „პოსეიდონივით“ გაჰყურებს მშობლიურ ცას (10, 612).

„ზესთა სამყარო ოეკანეა, მზე – ხმაა ოკეანის“, ნათქვამია ლექსში „ოქროდ ღაღანებს ახლა ცის ყანა“ (10, 263).

„ზღვების ფსკერზე“ იხილვება „ბევრი საიდუმლო ათასწლეულთა“ (რისხვა ნაპირს რომ ეხეთქება) (10, 268).

უფლის რწმენა, გალობა, ზღვასთან წილნაყარობაა პოეტის ბედნიერების საწინდარი: „მოხუცი მწყემსის სალამურივით სავსეა გული ოქრონარევ მზით და გალობით. სიხარულის ზღვა მიდგას თვალებში, მაგრამ რად გინდა ბედნიერება, უფალო, შენთან ყოფნის გარეშე“ (10, 1031).

ჭეშმარიტი სიტყვის ოსტატის მახასიათებელია „ფიქრთა ზვინები, ოკეანე“: „საუკუნეთა ნაპირს აწყდება და ჩემს ბობოქარ მკერდზე ხმიანებს, ზვირთი კი არა, ფიქრთა ზვინები. ქარს მინდობილი ვარ ოკეანე, თვალებში დედამიწა ჩამშტერებია დაჟინებით“ (საუკუნეთა ნაპირს აწყდება) (10, 1025).

„ზღვაში აფრების ტკაცუნი“ ისმის ლექსში „ხსვა არაფერი“ (10, 876).

პოეტის ორიგინალობა ისევ ზღვის სახის გამოყენებით არის აქცენტირებული: „მთვარესავით სულ ივსება... და სულ სხვა აქვს სადინარი. და ჩემი ზღვა არ იერთებს, სხვა წყალთა და სხვა მდინარის არიებს და არიეტებს“ (10, 363).

ობიექტური განაცხადია: „... ეს წიგნი კი არა ,ფიქრთა ჩემთა ოკეანეა, ნაპირს აწყდებიან ლექსების ზვირთები“ (ნათელი ხილვა) (10, 379).

სხვაგან ლაპარაკია „ცოდვის ზღვის“ გადავლაზე და ამ სოფლიდან იმ სოფლად გადასახლებაზე (უკვდავია, უმცდარად) (13, 355).

ყოფნა–არყოფნის დაპირისპირებაში ზღვის მარადიულობას აგონებს პოეტს პლატონი და ეზოპე: „ო, როგორ ებრძვის ყოფნას არყოფნა... ზღვა პლატონია და ეზოპეა“ (10, 960).

დამოწმებანი

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990;
2. ბიბლია, თბ. 2013;
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტკოჰოლმი, 1992;
4. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, „განათლება“, თბ. 1989;
5. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“ ხუთ ტომად, ტ. 2, თბ., 2006;
6. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“ ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 2001;
7. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“ ხუთ ტომად, ტ. 2, თბ., 2006;
8. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“ ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 2007.
9. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“ ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 2001.
10. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“ ხუთ ტომად, ტ. V, თბ., 2008.

აპოკალიფსური სახეები

წმინდა ეპისკოპოსმა ეგნატემ ქვეყნიერების გამშემო იმოგზაურა სულით, მთელი სამყარო მოიარა უმცირეს დროში და იხილა ტანჯვა ფიზიკური თუ ზნეობრივი, სასახლეებში, სამეფო ტახტზე ფუფუნებაში მყოფი ადამიანების სხეული იყო მაძღარი, სული – „მშიერი და სნეული“: „მე ვიხილე კაცობრიობა ბოროტმოქმედებით დაცემული! ბარბაროსობით დასახიჩრებული, პირუტყვთა და მხეცთა მსგავსებაზე დასული“, წერს წმინდა მამა (1, 266-277).

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში სიკვდილით ისჯებიან ცოდვილები, ბოროტეულნი, ხოლო უმეცართა მიერ დახოცილი წმინდანები ცოცხლდებიან და თეთრად შემოსილი გვევლინებიან.

ვაჟა ეგრისელი, როგორც მორწმუნე პოეტი, უგალობს სულს, სულიერებას, ზნეობის ამაღლებას, მაგრამ იგი ცხოვრების მეორე მხარესაც ხედავს და გაბედულად ამხელს ბოროტების მსახურთ.

„რუსთველის ხმა მოგესმის ისე, როგორც ნობელის და შიშის ზარს არისხებ – ავსულების მობერილ ქარებსა და ქარიშხლებს“, წერს პოეტი (2, 867).

ლექსში „მცხოვრებთ შურის კუნძულზე“ სიძულვილით, ღვარძლით შეპყრობილ ვაიადამიანთ „უმანკო ცა“, უზენაესის სამართალი უპირისპირდება: „მცხოვრებთ შურის კუნძულზე, სიძულვილის და ღვარძლის, შავ ისრებით დაისრულს უმანკო ცა დასცქერის მხეცებს აპოკალიფსურთ“ (2,867).

ეშმა უძლურია უზენაესი სინათლის – უფლის წინაშე: „ეშმას ცნებით აღჭურვილი, ბერავს უძლურების ქარი. ცას სინათლის უვლის ბინდი, მაინც ხმები ისმის ქნარის, მამის, ძის და სულიწმინდის“ (2, 871).

სიკეთის მსახურის მიზანია ლომის და მარტორქის ძალის ბოროტებასთან შერკინება: „...ვითარც ჯვარი ლაშარის ებრ-ძვი ლომს და მარტორქას“ (უშქარი და ურიცხვი) (2, 1208).

ცხოვრებაზე დაკვირვებით უცდომელი დასკვნა გამოუტანა პოეტმა კაცობრიობას: „...თუმც ყოველივე არის ნამდვილი, მე მრცხვენია და ვამბობ ჩურჩულით: რომ კაცთა მოდგმა არის ნა-დირი, კაცობრიობა არის ურჩხული, სადაც ცოცხლად რომ ჭა-მენ ერთმანეთს“ (კაცობრიობა არის ურჩხული) (2, 1224).

ლექსში „ჟამთა მღვრიე მდინარე“ პოეტს ბრძოლა უხდება „მძვინვარ ბუდუმუღუნთან, ცხრათავიან ბაყბაყთან“ (2, 1225).

„ბედისწერის ურჩ“ ადამიანს ვერც მგელი დააჩოქებს და ვერც ლომი: „ამაყი და თავმომწონე, მუდამ ბედისწერის ურჩი, დაჩოქილი ვერვინ მნახა და ბეწვზე ძლივს გადავურჩი: მგლის კბილებს და ლომის ხახას“ (2, 1311).

თვით პოეტია მგლის ტოტები: „დღეთა კბილებით რომ იღ-რინება – ულმობელ დრო–ჟამს, შენც მგელივით აეტოტები, რადგან მგელია შენი ტოტემი“ (2,1316).

„ალგეთის მგლის“ გაზრდილი, თვითონაც „მგლის კბილს“ დაატარებს“ (მგლის კბილი) ამასთან, ღმერთი ეიმედება: „ამ-დენ მგლებთან რას გახდები, თუ ღმერთი არ შეგეწია“ (ჩვენის დღიდან) (3,654).

„ზღვიდან გესლი მოგორავს მტრის და ლევიათანის“, აცხა-დებს პოეტი ჩრდილოეთის ურჩხულის მისამართით ლექსში „უცხო, უცხოდ მოსილი“ (3,654).

უფლის რწმენაა დევის და ეშმას დამმარცხებელი: „სიხა-რულის მაღალ ხატს ხელი ფრთხილად შეახე, მერე დევი და ეშმა შებორკე და შეფსკვენი, ჯიქურ ერთად შეაღე კარი ზეს-კნელ – ქვესკნელის“ (3,704).

ჩვენს სამშობლოზე დადარაჯებული ურჩხულების შაჰ-აბა-სის, მურვან ყრუს, ბუღა თურქის, ყარჩიხანის სურვილი საქარ-თველოს გაქრობისა, წარსულს ჩაბარდა: „საქართველოს ხსე-

ნება გამქრალიყო სრულიად – სურდა აბასს, მურვან ყრუს, ბუღა თურქს და ყარჩიხანს. დღეს ზარს რეკავს სიონი, მოწამეთა და ლარჩვა: და ხატებმაც იომეს: მადლი ილორს, ანჩისხატს – საქართველო გადარჩა“(ხატების ომი. ილორი, ანჩისხატი) (4, 733).

შეუძლებელია შაჰ–აბასის კახეთში ლაშქრობის დავიწყება 1616წ: „შაჰი, შაჰსევანები... მათი ცოდვით ცა ტირის, ტყეში ჭოტი ვალალებს“ (3,834).

„შენ კი ბედი გამოგლიჯე ვეფხვისა და ლომის ტორებს“, ნათქვამია ლექსში „ის სხვა არის“ (3, 1083).

„ყორნებთან“ მებრძოლი პოეტი მადლს სწირავს უფალს გამარჯვებისთვის: „მადლი შენ, უფალო, დღემდე რომ მოვედი მებრძოლი ყორნებთან! ეს მიტომ, შენ მახლდი ყოველთვის, ყოველგან“ (3, 1289).

გაუნელებელი წუხილს მომტანია „ჩრდილოეთის თეთრი ძერას“ ვერაგობა: „გაგრაცა და აგუძერაც თან წაიღო წიწილივით ჩრდილოეთის თეთრმა ძერამ“ (3, 1268).

პოეტს ჩაესმის წმინდა წერილის ხმა: „გველის ფესვიდან გამოვა უნასი და მისი ნაშიერი გველეშაპი იქნება“ (წარსულიდან ცივი ხმა მოისმის) (3,976).

ცოდვების გამო იავარქმნილი ბაბილონიდან მიკიოტთა კივილი მოესმის: „აი ახლა ბაბილონის გოდლიდან ვისმენ კივილს მიკიოტთა“ (3, 982).

ცოდვების სავანეში, სანამ განკითხვის ჟამი არ დამდგარა, „აღარ არის საშველი... საით არ გაიხედავ, ყველგან ხედავ გველეშაპს, ასპიტსა და იქედნეს“ (3,1055).

„ძველ კოლხეთში “ „ლოცვის ხმას ახშობენ ავსულები და ქაჯები“ (4,1055).

ვაიპოეტთა ლექსებში მოისმის „შეცხადება ტურების“, ჭეშმარიტი სიტყვის ოსტატის სტრიქონებში კი „ბრდღვინავენ ლომები და ჯიქები“ (მელექსენი) (4,1010).

საქართველო თავის სამწყსოში ხედავს „ბევრ უგულო კალიგულას“ – რომის ტირან იმპერატორს“ (კალიგულა) (5, 793).

ლექსში – „პაპა“ ნათქვამია: „...დრომ ცხრათაა გველეშაპმა ურარტუ და ბაბილონი გადაყლაპა, კოლხეთი კი ყელს ძვალივით გაეჩხირა“ (5, 825).

პოეტს აღაშფოთებს, რომ განკითხვის ობიექტად არ ქცეულან ეს ნეგატიური, შხამიანი არსებები: „დღე არ დადგა განკითხვის, აღარ არის საშველი... საით არ გაიხედავ, ყველგან ხედავ გველეშაპს, ასპიტსა და იქედნეს“ (3,1055).

ერთ ლექსში ასეთი გაფრთხილებაა: „ფრთხილად! ერიდო უნდა, მგლის მუხლი მოსდევს ტალღას“ (ტალღა) (5, 840).

ლექსში „ფიქრები“ მგელი შემოქმედების ჭრილშია გააზრებული: „...და ჩემი ყოფნა – ძუ მგლებივით ფიქრებმა დახრეს (5,279).

„ჟამს მიმწუხრისას“ მუხის და ტახის დაპირისპირების ჩვენებით გვამცნობს ერის საშიშროებას: „მუხის ფესვებთან ციალებენ ტახის ეშვები“ (5, 173).

ერთგან „მტრობისა და სიძულვილის გველეშაპია“ „აიეტის ზღაპრულ კოლხეთთან“ დაპირისპირებული: „აიეტის ზღაპრულ, კოლხეთს სიძულვილის გველეშაპი მოსწოლია... მათ იციან, აქ იწყება საქართველოს ისტორია“ (6,18).

ნიანგი სიკვდილს სიმბოლოცაა: „უყვარს ნორჩი სიცოცხლე, ბებერსაც არ თაკილობს. სახით ნიანგს მიაგავს და სიკვდილი ნიადაგ ყველგან ეძებს საკბილოს“ (უყვარს ნორჩი სიცოცხლე) (6,1400).

პოეტს ახსენდება ბიბლიური წინასწარმეტყველის ესაიას გაფრთხილება: „გველის ფესვიდან გამოვა უნასი და მისი ნაშიერი გველეშაპი იქნება“ (2, 576).

სხვაგან მხეცია სიკვდილის სიმბოლო: „ჩემი ყოფნა ისევ ისმენს აქ არყოფნის რაშის ჭიხვინს. მოვეჭიდო, არ ჩანს ხავსი და მხეცს უნდა, რომ მიღრინოს“ (6, 1180).

იგივე მიზანი აქვს მაცილს (5, 424), ეშმას (6, 871).

„ამდენ მგლებთან რას გახდები, თუ ღმერთი არ შეგეწია“, აცხადებს უზენაესის მოიმედე (გაჩენის დღიდან)(6, 954).

„ოკეანე გველეშაპია, მზად მყოფი მიწის ჩასაყლაპავად“ (ვით მომლოცველი) (5, 746).

„ეშმას, ავსულებს, შაითანს“ მაინც ნათელი უპირისპირდება და იმარჯვებს.

„სამგლეთს“ „ალგეთის მგლები“ დაამარცხებენ, ასეთია პოეტის რწმენა“: „დე იცოდნენ, რომ სამგლეთი კვლავ არსებობს ამა სოფლად... დრო მოვა და... მგლებს ალგეთის, ერთ ლუკმადაც არ ეყოფათ“, ასეთი ოპტიმისტია პოეტი (5, 83).

ათეისტური მეოცე საუკუნე წარმოჩნდება, როგორც „წითელი ქარის“, „წითელი ჭირის“ სავანე, „შავი ღრუბლით დაფარული, „გონდახშული“, ბელზებელთა“ სამკვიდრებელი, მაგრამ უკომპრომისია პოეტი: „ათასმა ეშმამ და ბელზებელმა ღამის წყვდიადში თავი მიმალეს, რადგან მაცდურთა ვარ გამკიცხველი“ (7,175).

ვაჟა ეგრისელი უკომპრომისოა, მამხილებელი „შურის ძერის“: „შურის ძერამ წარგვტაცა, რაც კი გვქონდა კაცური და ახლა დავასკვენი, რომ შენს გულს თხრის მაცდური, ისე, ვით ვარქსენის“ (შურის ძერამ წარგვტაცა) (177).

დამოწმებანი

1. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, I, თბ. 1990
2. ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“ ხუთ ტომად ტ. 5,თბ. 2008
3. „კოლხური ფსალმუნები“, ტ. 3,თბ. 2001
4. „კოლხური ფსალმუნები“, ტ. 4,თბ. 2007
5. „კოლხური ფსალმუნები“, ტ. 2,თბ. 2006
6. „კოლხური ფსალმუნები“, ტ. 1,თბ. 2001

ლუარა სორდია არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. მისი კვლევის სფეროა მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ესთეტიკის პრობლემები, თანამედროვე ლიტერატურული პროცესები.

სრულიად საქართველოს გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატორთა კავშირის მიერ დაჯილდოებულია პოეტის სახელობის მედლითა და პრემიით. ასევე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მიერ მიღებული აქვს ტერენტი გრანელისა და ბეჟან ხარაიშვილის სახელობის პრემია მონოგრაფიისთვის – „ბეჟან ხარაიშვილი – ქართული პოეზიის მიმინო“.

ლუარა სორდია ავტორია შემდეგი მონოგრაფიების: გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები, „განათლება, თბ.1991 (დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებისთვის), უცნობი სფინქსი (დაკვირვებები ტერენტი გრანელის პოეზიაზე), „ალაშარა“, სოხუმი, 1992, გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1993 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1996 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), რევაზ მიშველაძის შეგონებანი, გამონათქვამები, ხატოვანი თქმები, ფრაზები, „ობოლი მარგალიტი“, თბ. 1999, რევაზ მიშველაძის ნოველათა სამყაროში, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ. 2001, ანა

კალანდაძის პოეზია (ბიბლიურ-ქრისტიანული ასპექტები), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2005 (სტუ-დენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი (შემოქმედებითი ნათესაობის საკითხები), „მერიდიანი“, თბ. 2005, წერილები, ბიბლიის ერთი კონცეფცია, აპოკალიფსური სახეები, გრაალის იდეალი, „უნივერსალი“, თბ. 2009, საღვთო სიბრძნისა და საღვთო სიყვარულის ადეპ-ტები ქართულ პოეზიაში, „უნივერსალი“, თბ. 2009, ქრისტიანუ-ლი სახისმეტყველების საკითხები XX საუკუნის ქართულ პოეზ-იაში, „უნივერსალი“, თბ. 2009, ანა კალანდაძის ესთეტიკის სა-კითხები, „უნივერსალი“, თბ. 2009, გოდერძი ჩოხელის „მგე-ლი“ (პრობლემატიკა და სახეები), „უნივერსალი“, თბ. 2009, გა-ლაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფლმხედველო-ბის საკითხები, თბ. 2009 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვა-ნელო), გალაკტიონ ტაბიძის ესთეტიკის საკითხები, „უნივერ-სალი“, თბ. 2011, ტერენტი გრანელის ბედისწერა, „უნივერსა-ლი“, თბ. 2011, მეფისტოფელის საუკუნე და გალაკტიონ ტაბი-ძის პოეზია, „უნივერსალი“, თბ. 2011, მეოცე საუკუნის პირვე-ლი ნახევრის ქართული ოპოზიციური ლირიკა, „უნივერსალი“, თბ. 2011, ანტიციპაცია მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატუ-რაში“, „უნივერსალი“, თბ. 2011. ქრისტეს მხედარი კოლხეთი-დან (ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები) WWW. Sou.edu.ge 2012. ქართული სულის კოლიზეუმი (ვაჟა ეგრისე-ლის პოეზია) „უნივერსალი“, თბ., 2015. მადლშემოსილი (გულ-ნაზ ხარაიშვილის სულის გალობა), „უნივერსალი“, თბ., 2015, ბეჟან ხარაიშვილი–ქართული პოეზიის მიმინო, „უნივერსა-ლი“, თბ., 2016. ტერენტი გრანელის ენიგმები, „უნივერსალი“, თბ., 2016. მერაბ კოსტავას პოეზია, „უნივერსალი“, თბ., 2017.

გრაალის ორდენის რაინდი – გრიგოლ რობაქიძის მსოფლ-მხედველობისა და სახისმეტყველების ზოგიერთი პრობლემა, „უნივერსალი“, თბ., 2017.

გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სამყარო. „უნივერსალი“, თბილისი, 2018; ნიკო სამადაშვილის პოეზია. „უნივერსალი“, თბილისი, 2021; რობერტ მესხის „ლირიკის თვალსაწიერი“, „უნივერსალი“, თბილისი, 2021; სულიერების მსახური. გულნაზ ხარაიშვილის „დარდის პირამიდების“ მთავარი კრიტერიუმები. „უნივერსალი“, თბილისი, 2023; ინდიგო – ადამიანთა ახალი, „იისფერი რასა“ – ლამარა გერგედავას „ლიტერატურული მოზაიკის შთაგონება“. „უნივერსალი“, თბილისი, 2023; ტერენტი გრანელის შემოქმედების ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო მასშტაბები, „უნივერსალი“, თბილისი, 2024; ანა კალანდაძის პოეზიის მთავარი პრობლემები – „უნივერსალი“ თბილისი 2024; გალაკტიონ ტაბიძის რემინისცენციები მერაბ კოსტავას შემოქმედებაში. „უნივერსალი“, თბილისი 2024. მსოფლიოს რეკორდსმენ და მსოფლიოში მოგზაურ ჯუმბერ ლეჟავას ფენომენი. „უნივერსალი“, თბილისი, 2025.

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-521-22-5

ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტი – „კიბერული ფსიქოგენეზის“ ზეგავლენა ეროვნულ
ეკონომიკურ კვლევებზე